ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

კახა ღლონტი

წარმართული და ქრისტიანული ტრადიციების ასახვა კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი რამაზ ხალვაში

ბათუმი
2016

შინაარსი

შესავალი 3

თავი 1. წარმართული ტრადიციების ასახვა კონსტანტინე გამსახურდიას რომანებსა და ნოველებში 12

თავი 2. ბიბლიურ-ქრისტიანული სახე-სიმბოლოები კონსტანტინე გამსახურდიას რომანებსა და ნოველებში 71

თავი 3. სახელმწიფოს მართვის თეორიები კონსტანტინე გამსახურდიას რომანებში 119

თავი 4. კონსტანტინე გამსახურდიას ბიოგრაფიის ასახვა „ლანდებთან ლაციცში“ 160

ძირითადი დასკვნები 173

გამოყენებული ლიტერატურა 180

შესავალი

კონსტანტინე გამსახურდიას ისეთ დროში მოუწია ცხოვრება და მოღვაწეობა, რაც არ უნდა გულანთებული ქრისტიანი ყოფილიყო, საჯაროდ მაინც ვერ გამოხატავდა თავის ჭეშმარიტ მრწამსს. ამის გამო მას დახვრეტდნენ ან გადაასახლებდნენ. ზედმეტი სქოლასტიციზმი ისეთივე მავნებელია, როგორც ზედმეტი მატერიალიზმი. ამ ორ უკიდურესობას შორის არსებობს ოქროს შუალედი, რომელიც დაცულია კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში.

ადამიანის განღმრთობის რელიგიური იდეა ქრისტიანული მოტივია, რომლის თანახმადაც ადამიანი ღმერთის ხატადაა გაჩენილი და მუდმივად განიცდის შემოქმედებითი განღმრთობის პროცესს, რაც გამოიხატება ადამიანის „ხელახლა შობაში“ ანუ ქრისტიანულად ნათლისღებაში. კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების ძირითადი მოტივი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი რაც არ უნდა განათლებული და მცოდნე იყოს ამქვეყნად იგი მარცხისთვისაა განწირული თუ არ მოხდება მისი „ხელახლა შობა“ ანუ ადამიანი ამქვეყნადვე უნდა ეზიაროს ღმერთს და მოიპოვოს სულის უკვდავება. ეს ზიარება კი ქრისტეს ჯვარცმასთან ზიარების გარეშე არ არსებობს. ეს მოტივი სხვადასხვა ვარიაციებითაა გამოხატული კონსტანტინე გამსახურდიას ცალკეულ რომანებსა და ნოველებში.

ჩვენი მიზანია კომპლექსური სახით წარმოვადგინოთ კვლევა კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებასთან დაკავშირებით იმ პრობლემათა კონტექსტში, რომლებიც რეალურადაა წარმოდგენილი და ასახული მის შემოქმედებაში. საკითხი ეხება ქართული წარმართული მთვარის კალენდარის (წმინდა გიორგის კულტი), ნიცშეს ზეკაცისა და „მარადიული დაბრუნების“ იდეის ანუ დიონისოს კულტის (მთვარე-მზის კალენდარული სისტემა), ქრისტიანული „მისტიკურ-ალეგორიული“ თეორიის ანუ ქრისტიანული „საღვთო მიჯნურობის“ იდეის, ქრისტეს ჯვარცმის მისტერიის, ხელისუფლების სამად დანაწილების თეორიის (ქრისტიანული წმინდა ერთარსება სამება და მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის სახელმწიფო ინსტიტუტი) მხატვრული ინტერპრეტაციის საკითხს თანამედროვე ლიტერატურისმცოდნეობის კონცეფციების ჭრილში წარმოდგენილს.

ვერ ვიტყვით იმას, რომ აღნიშნულ პრობლემათა შესწავლის თვალსაზრისით კ. გამსახურდიას შემოქმედება ყამირი ნიადაგია ქართულ ლიტერატურის მცოდნეობისათვის, მაგრამ ისეთი მრავალმხრივი მწერლის შემოქმედების დაკვირვებისას, როგორიც კონსტანტინე გამსახურდიაა, ყოველთვის წამოიჭრება ახალი და საინტერესო პრობლემები.

ქართულ სინამდვილეში კ. გამსახურდიას შემოქმედების თვალსაჩინო მკვლევარია ს. სიგუა (სიგუა 1980; სიგუა 1991; სიგუა 2007). მის ნაშრომებში კ. გამსახურდიას შემოქმედებითი თვალთახედვის არე საინტერესოდ და მრავალმხრივ არის წარმოდგენილი. ა. ბაქრაძე (ბაქრაძე 2000; ბაქრაძე 1967ა; ბაქრაძე 1967; ბაქრაძე 1968; ბაქრაძე 1990) კ. გამსახურდიას რომანების პრობლემატიკას განიხილავდა. ა. ნიკოლეიშვილი (ნიკოლეიშვილი 1994; ნიკოლეიშვილი 2002; ნიკოლეიშვილი 2005; ნიკოლეიშვილი 2007; ნიკოლეიშვილი 2010) წარმოაჩენს ეროვნული ცნობიერების საკითხებს კ. გამსახურდიას შემოქმედებაში.

მწერლის შემოქმედებას საინტერესო გამოკვლევები მიუძღვნეს თ. დოიაშვილმა (დოიაშვილი 1982), შტეფი იუნგერი-ხოტივარმა (უნგერი-ხოტივარი 1982), გ. კანკავამ (კანკავა 1962; კანკავა 1969; კანკავა 1983), ი. ჩხეიძემ (ჩხეიძე 1962; ჩხეიძე 19689), ა. ცანავამ (ცანავა 1970; ცანავა 1991; ცანავა 1998), მ. ჯალიაშვილმა (ჯალიაშვილი 2006), გ. გვერდწითელმა (ვერდწითელი 1949), ლ. ჭანიამ (ჭანია 1997), ნაზი ხელაიამ (ხელაია 2008), გაგა ლომიძემ (ლომიძე 1998), გიორგი მერკვილაძემ (მერკვილაძე 1963), რევაზ თვარაძემ (თვარაძე 1969), რ. მიშველაძემ (მიშველაძე 2000).

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების თვალსაჩინო მკვლევარის ს. სიგუას აზრით, მწერლის შემოქმედების იდეურ სათავესთან დგანან ევროპული აზროვნების დიდი კორიფეები, რითაც ყალიბდება დეკადენტურ-მოდერნისტული მსოფლმხედველობა: „კ. გამსახურდიას შემოქმედების I და II პერიოდის იდეების სათავესთან, ისევე როგორც თ. მანთან, დგას „დიდი თანავარსკვლავედი“ - ა. შოპენჰაუერი, რ. ვაგნერი, ფრ. ნიცშე. მათ ემატება გერმანული და იტალიური მისტიკა (ეკჰარტი, ბემე, ანგელუს სილეზიელი, დანტე), ა. ბერგსონი,

ფსიქოანალიზი, ო. შპენგლერი, რითაც ყალიბდება დეკადენტურ-მოდერნისტული მსოფლმხედველობა. დანარჩენი მოაზროვნენი შედარებით ნაკლებ როლს ასრულებენ უახლესი ლიტერატურის ფორმირების პროცესში. კ. გამსახურდია ჯერ თვით იყო იდეალისტი. შემდეგ მისგან განთავისუფლება იმით სცადა, რომ საკუთარი შეხედულებანი, რაც განსწავლის წლებში შეითვისა და გამოიმუშავა, მთავარ პერსონაჟებზე გადაიტანა, გამოიყენა მასალად, ლიტერატურული ხასიათის შესაქმნელად. სავარსამიძის და ემხვარის სახეები ვერ შეიქმნებოდა თუ არ მოიმარჯვებდა იმ მსოფლმხედველობას, რომელიც მოდერნისმს დაედო საფუძვლად. ამ მხრივ მისი პოზიცია ძალიან ჰგავს თ. მანის შემოქმედებას, რომელიც კლასიკისა და დეკადენტობის მუდმივ კონფლიქტში, დიალოგსა და პაექრობაში მიიკვლევდა გზას. კ. გამსახურდიას შემოქმედების გასაღები მისივე ბიოგრაფიაა...“ (სიგუა 1991: 48-49).

ცნობილი მკვლევრის ა. ნიკოლეიშვილის მართებული მოსაზრებით, კონსტანტინე გამსახურდიამ ძალა და ენერგია არ დაიშურა თავისი დროის მთვლემარე ქართული ცნობიერების გამოსაღვიძებლად: „...სხვა ნაწარმოებების მსგავსად, თავის დროზე, სამწუხაროდ, არც „დავით აღმაშენებელს“ ასცდა ოფიციალური კრიტიკის რისხვა. რაში აღარ სდებდნენ ბრალს ავტორს. ზოგი ენას უწუნებდა, ზოგი ბაგრატიონების მეხოტბეობაში ადანაშაულებდა, ზოგი ნაციონალიზმში და, ვინ მოთვლის, კიდევ რაში. კ. გამსახურდიამ, რომელსაც ამდაგვარი კრიტიკული შემოტევების უდიდესი გამოცდილება ჰქონდა, წინასწარ „მიიღო ზომები“ და რომანის გამოცემებს სპეციალური ბოლოთქმები დაურთო, რომელთაც ავტორისეული მიზანსწრაფვის შესაცნობად დიდი ფუნქცია აქვთ დაკისრებული. პირველ ყოვლისა, სწორედ ისინი უნდა გამხდარიყვნენ თავისებური მეგზურნი მკითხველისათვის ნაწარმოების არსისა და მიზანდასახულების შეცნობა-გააზრების დროს... ეს ავტორისეული კომენტარები ერთგვარი აზრობრივი გასაღებია „დავით აღმაშენებლის“ რთულ და მრავალსახოვან მხატვრულ სამყაროში გასარკვევად. იგი პასუხს ცემს და განმარტავს ბევრ იმ დაუმსახურებელ კრიტიკულ შენიშვნასაც, რომელნიც

ნაწარმოებთან დაკავშირებით არაერთგზის გამოუთქვამთ მწერლობაში პარტიულ-იდეოლოგიური ხაზის გამტარებელ კრიტიკოსებს...“ (ნიკოლეიშვილი 1994: 416).

მხატვრულ-ისტორიული კონცეფციის თვალსაზრისით განიხილავს კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებას ცნობილი მკვლევარი გ. კანკავა, რომელიც მართებულად მიიჩნევს, რომ: „...კ. გამსახურდიას ისტორიულ-კულტურული თვალსაზრისი ემთხვევა თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის დებულებებს და მხატვრულად ასაბუთებს და აღრმავებს მათ. მწერლის მხატვრული მეთოდისთვის ნიშნეულია წმინდა ისტორიული წვდომა-აღწერა, ერთი მხრივ, და წარმოდგენილ პრობლემათა თანამედროვე ისტორიულ-მეცნიერულ შუქზე გადაწყვეტა, მეორე მხრივ: ეთნოგრაფიული, ტოპონიმიკური ზუსტი დეტალიზაცია და ეპოქის სულის მთლიანი გამოხატვა, თანამედროვე ესთეტიკურ-ზნეობრივ და იმ დროის ცალკეული შეხედულებების თუ მატერიალური რეალიების მხატვრული პროპორციით დაცვა...

ისტორიზმი კ. გამსახურდიას რომანებში გულისხმობს იაზროვნო არა მარტო ქვეყნის საგარეო მდგომარეობიდან გამომდინარე, ან ქვეყნის მხოლოდ შიდა საზოგადოებრივი ძალების განვითარებისა და სოციალური ყოფის ანალიზის შემწეობით. არამედ ორივე მხარის ერთ თვალსაზრისში მოქცევით. მწერალმა იცის, რომ სახელმწიფოს შინაგანი მამოძრავებელი ძალები მუდმივ თანაფარდობაშია გარე მეზობლების პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ვითარება-სთან... რაც შეეხება მწერლის ისტორიულ თვალთახედვას, კ. გამსახურდიასთვის ისტორიული თემის მომარჯვება არ გულისხმობს წმინდად ისტორიაში ჩაძირვას, ისტორიის გაშუქებას ისტორიისათვის. კ. გამსახურდია იმ მწერლებს ეკუთვნის, რომელნიც არა მარტო თანამედროვე პრობლემებით და საკითხებით, არამედ მომავლის დიდი იმედით ცხოვრობენ... კ. გამსახურდიამ თავს იდო დიდად საპატიო საქმე – მხატვრულ ჩარჩოებში მოექცია საქართველოს წარსული... კ. გამსახურდია იმ მწერალთა ჯგუფს ეკუთვნის, რომლებიც წარსულის სახეებში სადღეისო აზრებს, თანამედროვე პრობლემებს დებენ...“ (კანკავა 1969: 119-121).

ქართული მწერლობის თვალსაჩინო მკვლევარის ა. ბაქრაძის მოსაზრებით კონსტანტინე სავარსამიძის სულში ორი ღვთაებრივი საწყისი ებრძვის

ერთმანეთს და ქმნის მის ტრაგედიას: „...მეორეც, იმიტომ, რომ ორივე ღმერთს მის სულში მტკიცედ აქვს ფესვი გადგმული და ფაქტიურად ვერცერთს ვერ უარყოფს. თუ ბავშვობაში ტაია შელია კონსტანტინე სავარსამიძის სულს წარმართული სამყაროს ლხენით, უშუალობით და უბრალოებით ავსებდა, უკვე მოწიფულ კაცს ევროპული აღზრდა-განათლება ქრისტიანული რწმენით, შეხედულებითა და წარმოდგენებით ბოჭავდა. ქრისტიანულმა ცივილიზაციამ კონსტანტინე სავარსამიძე ისე შეიპყრო, როგორც ლაოკოონი და მისი ორი შვილი გველებმა. იგი არჩევანს ვერ გააკეთებს, მაგრამ ვერც ამ ორ ღმერთს შეარიგებს. ქრისტე და დიონისე მტრები არიან, ერთმანეთის უარმყოფელი და გამომრიცხველი. ეს ორი ღვთაებრივი საწყისი ებრძვის ერთმანეთს კონსტანტინე სავარსამიძის სულში და ქმნის მის ტრაგედიას, რადგან „ბედნიერია მხოლოდ ის კაცი, ვინც ერთი ღმერთის მშვიდობიან კარავში შესძლებს ამ უდაბნოში გადაჩრდილებას...“ (ბაქრაძე 2004: 216-217).

ქრისტიანული პოზიციიდან გამომდინარე განიხილავს კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებას მისი ვაჟი ზ. გამსახურდია, რომლის სამართლიანი მოსაზრებითაც: „...ბიბლიისა და სახარებისადმი სიყვარული ჯერ კიდევ ბავშვობაში ჩაუნერგეს მშობლებმა პატარა კონსტანტინეს. მიუხედავად იმისა, რომ მამამისი, სვიმონ გამსახურდია არ გამოირჩეოდა მწიგნობრობისადმი დიდი მიდრეკილებით, იგი ფსალმუნსა და „ვეფხისტყაოსანზე“ ზრდიდა ვაჟს (საერთოდ გამსახურდიას გვარი კი მწიგნობრობით გამოირჩეოდა, ისინი სახლთუხუცესები იყვნენ დადიანის კარზე). დედა გამუდმებით ლოცულობდა და მარხულობდა. ბალღი სოფლის დიაკონს მიაბარეს, რომელსაც იგი წირვის დროს ეხმარებოდა. „დიაკონმა ევგენი ქოიავამ შემაყვარა ბიბლია, სახარება და ეკლესია, მოგვითხრობს მწერალი „ლანდებთან ლაციცში“.

გამდელი ეკაია ნიადაგ მაცხოვარზე და წმინდა გიორგიზე ესაუბრებოდა მომავალ მწერალს, რელიგიურ მოწიწებას და ღვთისმოსაობას უნერგავდა, რაც მთელი ბავშვობისა და სიჭაბუკის მანძილზე გაჰყვა მას. მაგალითად, აი, როგორ გვიხასიათებს მწერალი თავის განცდებს გიმნაზიაში პირველი დაპატიმრებისას, პატრიოტული ორგანიზაციის, „ცხრა მუხას“ შექმნის გამო: „ჩემთვის ეს პირველი

პატიმრობა იყო უბედნიერესი მომენტი ჩემი ცხოვრებისა. ბედნიერი გრძნობისაგან შეპყრობილი ვიმეორებდი ამ ბრწყინვალე სიტყვებს: „ნეტარ იყვნეთ თქვენ რაჟამს გდევნონ ჩემი სახელისთვის“ („ლანდებთან ლაციცი“).

ასე რომ, როგორც ვხედავთ სახარების ამ უჭკნობი სიტყვების პერიფრაზა სიჭაბუკეშივე ცხოვრებისეულ კრედოდ იქცა მწერლისათვის. „წმინდა გიორგის პატარა ხატი მეკიდა გულზე იდუმალ და ვიბრძოდი, ვიბრძოდი...“ წერს იგი გერმანიიდან გამოგზავნილ ერთ-ერთ წერილში. წმინდა გიორგი იყო მისი საყვარელი სახე, უდიდესი ფაქტორი მის შემოქმედებაში...“ (გამსახურდია 1991: 377-378).

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების ცნობილი მკვლევარის ე. შუშანიას მოსაზრებით მწერლის შემოქმედებით გამარჯვებაში დიდი როლი შეასრულა მომავალი მწერლის ევროპაში განსწავლისა და მოგზაურობის წლებმა და გოეთესა და დანტეს გენიალურ მემკვიდრეობასთან ზიარებამ: „....ასევე განუზომელად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც მთელი ქართული ლიტერატურისათვის, ისე პირადად კონსტანტინე გამსახურდიასათვის გოეთესა და დანტეს გენიალურ მემკვიდრეობასთან ზიარებას, მის შესწავლას, რომელსაც მწერალმა მრავალი წლის დაძაბული მუშაობა მოანდომა, ხოლო, შემდეგ ხელი მოჰკიდა მეტად ძნელსა და რთულ საქმეს, მან ქართულ ენაზე აამეტყველა ამ გამოჩენილი მწერლების საკაცობრიო ქმნილებანი: დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედია“ და გოეთეს „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი...“ (შუშანია 1976: 8).

მკვლევარ თ. კიკაჩეიშვილის მოსაზრებით, კონსტანტინე გამსახურდია მთელი ცხოვრება იბრძოდა ქართულ ლიტერატურაში ნოველისა და რომანის განვითარებისათვის: „...კ. გამსახურდიას შემოქმედება ფორმალური შეუზღუდაობის მაგალითია, გამორჩეულია თემატიკური მრავალფეროვნებით, მხატვრულ ხერხთა სიუხვითა და მათი გამოყენების ოსტატობით. მწერალმა მხატვრულ ფორმათა ძიების თვალსაზრისით ძალზე საინტერესო გზა განვლო: იგი მთელი მოღვაწეობის მანძილზე იბრძოდა ქართულ ლიტერატურაში ცალკეული ჟანრების, კერძოდ, ნოველისა და რომანის განვითარებისათვის. ასეთ ვითარებაში შემოქმედი სრულიადაც არ უარყოფს მოდერნიზმის პრინციპებს,

რადგან სულით პოეტი გრძნობდა, რომ მოდერნიზმის წიაღში ლიტერატურისათვის საჭირო მნიშვნელოვანი რამ საუნჯე უთუოდ მოიძებნებოდა...“ (კიკაჩეიშვილი 1997: 12).

მკვლევარი გ. ასათიანი მიიჩნევს, რომ კონსტანტინე გამსახურდიამ სამყაროს რომანტიკული ხილვა და ამ ხილვის შესატყვისი ახალი, უჩვეულო, თავისთავადი, „ზებუნებრივი“ სტილი დაამკვიდრა ქართულ ლიტერატურაში: „...კონსტანტინე გამსახურდიამ ეპოქალური მნიშვნელობის როლი შეასრულა ჩვენი სულიერი კულტურის ისტორიაში. რეალიზმის ხანგრძლივი სუფევის შემდეგ, რომლის განვითარება დავით კლდიაშვილის სრულქმნილი სახეებით დაგვირგვინდა, მან რამდენიმე, მასავით დიდი პოტენციის შემოქმედთან ერთად, სამყაროს რომანტიკული ხილვა და ამ ხილვის შესატყვისი ახალი, უჩვეულო, თავისთავადი, „ზებუნებრივი“ სტილი დაამკვიდრა ქართულ მწერლობაში. „დიდოსტატის“ ავტორმა თითქოს ყალყზე შეაყენა ჩვენი ლიტერატურა და თავბრუდამხვევი ნახტომისთვის ასე შემართულს, კუნთებდაძაგრულს, ამაღლებულს, ახალ სივრცეებთან შეჭიდება მიანდო...“ (ასათიანი 1983: 111).

ცნობილი მკვლევარის რ. მიშველაძის მოსაზრებით კონსტანტინე გამსახურდიამ ახალი სული შთაბერა ქართულ რომანს, განაახლა და არნახულ მხატვრულ სიახლეებს აზიარა იგი: „...კონსტანტინე გამსახურდიამ ოციანი წლების მოდური ლიტერატურული ჯგუფების მიერ „რომანის ჟანრის კვდომის“ თეორიის კომპანიის ვითარებაში ახალი სული შთაბერა ქართულ რომანს, განაახლა და არნახულ მხატვრულ სიახლეებს აზიარა იგი. კონსტანტინე გამსახურდიამ დიდი შრომა შესწირა ქართული კლასიკური ნოველის შექმნას. ნოველის საყოველთაოდ მიღებული ჟანრული კანონების ერთგულებით ამ ჟანრის რევოლუციის შემდგომ ქართულ ლიტერატურულ ნიადაგზე გადმონერგვა კ. გამსახურდიას უშუალო დამსახურებაა...“ (მიშველაძე 1984: 310).

მკვლევარ ნ. ლემონჯავას მოსაზრებით კონსტანტინე გამსახურდიას რომანებში გაბატონებულია ნარ-თანიანი მრავლობითის გამოყენება: „...მიზეზი გასაგებია: ჯერ ერთი, პერსონაჟთა მეტყველებაში ეს უკანასკნელი ბუნებრივად დაცულია. მეორე, თვითონ ავტორის მეტყველებაშიც მას უპირატესი ადგილი

უჭირავს, რასაც მხოლოდ სტილის საჭიროებით თუ ავხსნით...“ (ლემონჯავა 1981: 27).

დასახელებული კვლევების და შრომების კრიტიკული ანალიზით მივედით დასკვნამდე, რომ ფაქტობრივად არ არსებობს ნაშრომი, სადაც კომპლექსურად, ყველა ასპექტის გათვალისწინებით იქნებოდა გამოკვლეული წარმართული და ქრისტიანული ტრადიციების კვალი კ. გამსახურდიას შემოქმედებაში. აქედან გამომდინარე ნაშრომის ***მეცნიერული სიახლე*** ისაა, რომ მასში კომპლექსურად, მონოგრაფიულად საკვლევი პრობლემატიკის ზოგადთეორიული ასპექტის გათვალისწინებით შესწავლილია მწერლის თვალსაზრისი ქართული წარმართული მთვარის კალენდარის (წმინდა გიორგის კულტი), ნიცშეს ზეკაცისა და „მარადიული დაბრუნების“ იდეის ანუ დიონისოს კულტის (მთვარე-მზის კალენდარული სისტემა), ქრისტიანული „მისტიკურ-ალეგორიული“ თეორიის ანუ ქრისტიანული „საღვთო მიჯნურობის“ იდეის, ქრისტეს ჯვარცმის მისტერიის, ხელისუფლების სამად დანაწილების თეორიის (ქრისტიანული წმინდა ერთარსება სამება და მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის სახელმწიფო ინსტიტუტი) საკითხებისადმი.

ამ მიზნით სადისერტაციო ნაშრომში შევისწავლეთ და გამოვიკვლიეთ კონსტანტინე გამსახურდიას რომანები და ნოველები: „დიონისოს ღიმილი“ (1976 წ.) „მთვარის მოტაცება“ (1973 წ.), „დიდოსტატის მარჯვენა“ (1976 წ.), „დავით აღმაშენებელი“ (2013 წ.), „ლანდებთან ლაციცი“ (1967 წ.), „ზარები გრიგალში“ (1980 წ.), „ქოსა გახუ“ (1980 წ.), „ტაბუ“ (1980 წ.), „კლარა“ (1965 წ.).

სადისერტაციო ნაშრომის ***მიზანია*** შევისწავლოთ, რამდენად შეესაბამება კ. გამსახურდიას რომანებსა და ნოველებში ჩამოყალიბებული მოსაზრებები იმ მხატვრულ კონცეფციებს, რაც მის შემოქმედებაში იჩენს თავს. განვიხილოთ მწერლის თეორიული და მხატვრული ნაშრომები ქართული წარმართული მთვარის კალენდარის (წმინდა გიორგის კულტი), ნიცშეს ზეკაცისა და „მარადიული დაბრუნების“ იდეის ანუ დიონისოს კულტის (მთვარე-მზის კალენდარული სისტემა), ქრისტიანული „მისტიკურ-ალეგორიული“ თეორიის ანუ ქრისტიანული „საღვთო მიჯნურობის“ იდეის, ქრისტეს ჯვარცმის მისტერიის,

ხელისუფლების სამად დანაწილების თეორიის (ქრისტიანული წმინდა ერთარსება სამება და მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის სახელმწიფო ინსტიტუტი) პრობლემატიკის გააზრების თვალსაზრისით.

ნაშრომის მეთოდოლოგიური და თეორიული საფუძველია თვალსაჩინო ქართველი მწერლების, მეცნიერ-ლიტერატურისმცოდნეთა, თუ ფსიქოლოგთა მხატვრულ-ესთეტიკური და თეორიული დებულებები, ასევე კ. გამსახურდიას შემოქმედების შემსწავლელი მკვლევარების შრომები, ლიტერატურათმცოდნეობითი ხასიათის სამეცნიერო ლიტერატურა.

დისერტაციის პრაქტიკული მნიშვნელობა. კვლევის შედეგები და განზოგადებული დასკვნები შეიძლება გამოყენებული იქნეს კ. გამსახურდიას შემოქმედებით დაინტერესებული მეცნიერ-მკვლევარების მიერ, ასევე სალექციო კურსებში კ. გამსახურდიას შემოქმედების შესახებ.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა სადისერტაციო ნაშრომი „წარმართული და ქრისტიანული ტრადიციების ასახვა კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში" შეიცავს კომპიუტერზე აწყობილ და დაბეჭდილ 184 გვერდს და შედგება შესავლის, ოთხი თავისა და დასკვნისაგან.

თავი 1. წარმართული ტრადიციების ასახვა კონსტანტინე გამსახურდიას რომანებსა და ნოველებში

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში ვრცლად არის ასახული წარმართული კულტურა და წარმართული მოტივები, მაგრამ ქრისტიანულ სარწმუნოებასთან მიმართებაში წარმართულ კულტურას მეორეხარისხოვანი როლი, დამხმარე ფუნქცია გააჩნია. საიდან უნდა დავიწყოთ წარმართული სარწმუნოების - როგორც ერთგვარი რელიგიური მიმართულების არსის ძიება? ამ კითხვაზე პასუხი მოცემულია ქრისტიანობის საღვთო წიგნში - ბიბლიაში. ბიბლიის თანახმად - ღმერთმა, წმინდა ერთარსება სამებამ შვიდ დღეში შექმნა სამყარო. მეექვსე დღეს შექმნა ადამიანი – მიწისაგან: „...გასრულდა ცა და მიწა მთელი მათი მორთულობითურთ. გაასრულა ღმერთმა მეექვსე დღეს თავისი საქმე, რაც გააკეთა, და დაისვენა მეშვიდე დღეს ყოველი საქმისგან, რაც გააკეთა... გამოსახა უფალმა ღმერთმა ადამი (კაცი) მიწის მტვერისაგან და შთაბერა მის ნესტოებს სიცოცხლის სუნთქვა და იქცა ადამი ცოცხალ არსებად. უფალმა ღმერთმა ბაღი გააშენა ედემში, აღმოსავლეთში, და დასვა იქ ადამი, რომელიც გამოსახა...“ (დაბ. 2.1-8).

ღმერთმა უთხრა ადამს, რომ მოევლო მთელი დედამიწისათვის და მასზე არსებული თევზებისათვის, ფრინველებისათვის და პირუტყვისათვის: „...თქვა ღმერთმა: გავაჩინოთ კაცი ჩვენს ხატად, ჩვენს მსგავსებად. პატრონოს ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, პირუტყვს, მთელს დედამიწას და ყველა ქვემძრომს, რაც კი მიწაზე დახოხავს. შექმნა ღმერთმა კაცი, თავის ხატად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი. აკურთხა ღმერთმა ისინი და უთხრა: ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ დედამიწა, დაეუფლეთ მას, ეპატრონეთ ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, ყოველ ცხოველს, რაც კი დედამიწაზე დახოხავს...“ (დაბ. 1.26-28).

ღმერთმა ედემში, შუაგულ ბაღში აღმოაცენა ხე სიცოცხლისა და ხე კეთილის და ბოროტის შეცნობისა. ღმერთმა გააფრთხილა ადამი და უთხრა, რომ ყველა ხის ნაყოფი ეჭამა, კეთილის და ბოროტის შეცნობის ხის ნაყოფის გარდა, რადგან როგორც კი შეჭამდა მოკვდებოდა: „...აღმოაცენა უფალმა ღმერთმა

მიწიდან ყოველი ხე, სანახავად საამო და საჭმელად ვარგისი, შუაგულ ბაღში კი ხე სიცოცხლისა და ხე კეთილის და ბოროტის შეცნობისა... გააფრთხილა უფალმა ღმერთმა ადამი, უთხრა: ყველა ხის ნაყოფი გეჭმევა ამ ბაღში. მხოლოდ კეთილის და ბოროტის შეცნობის ხის ნაყოფი არ შეჭამო, რადგან როგორც კი შეჭამ, მოკვდებიო...“ (დაბ. 2.9-17).

მაგრამ ეშმაკს, რომელიც თავის დროზე ღმერთის შექმნილი ანგელოზი იყო და „დაბადებაში“ წარმოდგენილია გველის სახით, შეშურდა ღმერთის და მან თავად მოინდომა ღმერთობა და თაყვანის მიღება ადამიანისაგან. ამიტომაც, აცდუნა ჯერ ქალი - ევა და შემდეგ მისი მეშვეობით ადამი. მათ იგემეს ნაყოფი ცნობადის ხისაგან, რითაც დაარღვიეს ღმერთის მიერ მოცემული მცნება და დაუჯერეს ეშმაკს, რომელმაც უთხრა მათ „არ მოკვდებით" და ამით საბედისწერო შეცდომა დაუშვეს. არა მარტო მათ დაიმსახურეს სიკვდილი, არამედ ცოდვა და სიკვდილი გადმოვიდა ადამის და ევას მთელს შთამომავლობაზე, ანუ მთელს კაცობრიობაზე: „გველი ყველაზე ცბიერი იყო ველურ ცხოველთა შორის, რომლებიც უფალმა გააჩინა. უთხრა გველმა დედაკაცს: მართლა გითხრათ ღმერთმა, ბაღის არცერთი ხის ნაყოფი არ შეჭამოთო? მიუგო დედაკაცმა გველს: რაც კი ბაღშია, ყველა ხის ნაყოფი გვეჭმევა, ოღონდ შუაგულ ბაღში რომ ხე დგას, იმის ნაყოფს ნუ შეჭამთ, გვითხრა ღმერთმა; არ გაეკაროთ, თორემ მოკვდებითო. უთხრა გველმა დედაკაცს: არ მოკვდებით. მაგრამ იცის ღმერთმა, რომ როგორც კი შეჭამთ, თვალი აგეხილებათ და შეიქნებით ღმერთივით კეთილისა და ბოროტის შემცნობელნი. როცა დაინახა დედაკაცმა, რომ კარგი იყო საჭმელად ის ხე, რომ თვალწარმტაცი და საამური სანახავი იყო, მოწყვიტა ნაყოფი და შეჭამა. მისცა თავის კაცს და კაცმაც შეჭამა. აეხილათ თვალი ორივეს და მიხვდნენ, რომ შიშველნი იყვნენ. გადააკერეს ლეღვის ფოთლები და არდაგები გაიკეთეს...“ (დაბ. 3.1-7).

„დაბადებაშივე" ჩვენ ვხედავთ, რომ ღმერთმა სამყაროს შექმნისას ასევე შექმნა - მზე, მთვარე და ვარსკვლავები: „...თქვა ღმერთმა: იყოს მნათობები ცის მყარზე დღისა და ღამის გასაყრელად, დროჟამის აღმნიშვნელად – დღეებისა და

წელიწადებისა; იყვნენ მანათობლებად ცის მყარზე რომ გაანათონ მიწა. და იქმნა ასე. გააჩინა ღმერთმა ორი მთავარი მნათობი, - დიდი მნათობი დღის განმგებლად და მცირე მნათობი ღამის განმგებლად – და ვარსკვლავები. დასხა ისინი ღმერთმა ცის მყარზე, რომ გაენათებინათ მიწა. განეგოთ დღე და ღამე, გაეყარათ ნათელი და ბნელი. დაინახა ღმერთმა, რომ კარგი იყო. იყო საღამო, იყო დილა – მეოთხე დღე...“ (დაბ. 1.14-19).

ეს ყველაფერი ღმერთის მიერ შექმნილი ქმნილებებია და სხვა არაფერი. ხოლო ცოდვითდაცემის შემდეგ, როგორც ბიბლიაშია ნათქვამი, ადამიანი თანდათან დაშორდა ერთადერთ ჭეშმარიტ ღმერთს, სამყაროს შემოქმედს და ბოლოს საერთოდ დაივიწყა იგი. პარალელურად ადამიანმა დაიწყო ქმნილებათა გაღმერთება, ანუ კერპების შექმნა.

როგორც ეპისკოპოსი ა. ჯაფარიძე მიიჩნევს: „დედამიწის ზურგზე გაფანტვის შემდგომ ადამიანებმა თანდათან დაივიწყეს თავიანთი წინაპრებისაგან გაგონილი და ნასწავლი გადმოცემები ღმერთზე. ამას ხელს ისიც უწყობდა, რომ სიშორისა თუ ურთიერთქიშპის გამო ხალხებს შორის მისვლა-მოსვლა და კავშირი შემცირებული ანდა შეწყვეტილი იყო. ჭეშმარიტი ღმერთის დავიწყების შემდგომ გავრცელდა ცრუმორწმუნეობა, ზეციური და ქვეყნიური ქმნილებების თაყვანისცემა, ამიტომაც ერთი უხილავი ღმერთის მაგიერ თაყვანი სცეს მრავალ ცრუ „ღმერთს“, მათ გამოსახულებებს – კერპებს, ემსახურებოდნენ და მსხვერპლს სწირავდნენ მათ...“ (ჯაფარიძე 1994: 30-31).

წარმართული სარწმუნოება ეს არის კერპთაყვანისმცემლობა, ანუ ღმერთის მიერ შექმნილი ქმნილებების ადამიანის მიერ გაღმერთება. წარმართული კულტურის ძირითადი არსი ძირშივე მცდარია იმ თვალსაზრისით, რომ ეს არის ადამიანის მიერ შექმნილი „ღმერთები“, ანუ კერპები, რომელთაც არაფერი საერთო არ გააჩნიათ ჭეშმარიტ ღმერთთან, სამყაროს შემოქმედთან. ეს არის ძირითადი განმასხვავებელი ფაქტორი ქრისტიანულ სარწმუნოებასა და წარმართულ კულტურას შორის.

მას შემდეგ რაც ადამმა და ევამ ჩაიდინეს პირველი ცოდვა და ისინი გამოძევებულები იქნენ ედემის ბაღიდან, თანდათან წარმოიშვა კაცობრიობა,

რომელიც აღარ ემორჩილებოდა ღმერთის რჯულს. ბიბლიაში მოთხრობილია წარღვნისა და ჯერ კიდევ ერთიანი კაცობრიობის მიერ უდიდესი კერპის - ბაბილონის გოდოლის მშენებლობის შესახებ, რასაც მოჰყვა ჭეშმარიტი ღმერთის მიერ კაცთათვის ენის აღრევა და მრავალი ერისა და ენის წარმოშობა. ასე გაიყო ცოდვაში ჩაძირული კაცობრიობა და წარმოიშვა მრავალი ერი და ენა და სრულიად ახალი კაცობრიობა, რომელსაც სრული ცოდნა აღარ გააჩნდა ჭეშმარიტი ღმერთის - სამყაროს შემოქმედის შესახებ.

ეპისკოპოს ა. ჯაფარიძის სამართლიანი მოსაზრებით „...თანდათან კერპთაყვანისმცემლად იქცა მსოფლიოს ყველა ხალხი, ამიტომაც უფალმა ინება დედამიწაზე ყოფილიყო ერთი ხალხი მაინც, რომელშიც დაცული იქნებოდა ჭეშმარიტი სარწმუნოება, რომელსაც ეცოდინებოდა იგი და თაყვანს სცემდა მას და მხოლოდ მას...“ (ჯაფარიძე 1994: 31).

ერთადერთი ერი, რომელმაც ჭეშმარიტი ღმერთის შესახებ სრული ცოდნა შეინარჩუნა და იგი კაცობრიობას გადასცა, იყო ებრაელი ერი, რომელიც ღმერთმა თავიდანვე გამოარჩია თავის რჩეულ ერად, რათა ამ ერში შობილიყო ღმერთისგანვე კაცობრიობისათვის აღთქმული მაცხოვარი, მესია, რომლის შესახებაც წინასწარმეტყველება ჯერ კიდევ ედემის ბაღში იყო მოცემული: „...მტრობას ჩამოვაგდებ შენსა და დედაკაცს შორის, შენს თესლსა და დედაკაცის თესლს შორის: ის თავს გიჭეჭყავდეს, შენ კი ქუსლს უგესლავდე...“ (დაბ. 3.15).

„დაბადებაში“ საუბარია წარღვნამდელ კაცობრიობაზე, რომელსაც ერთი საერთო ენა გააჩნდა და ყველა ერი ერთ ენაზე მეტყველებდა: „ერთპირი იყო მთელი ქვეყანა და ერთ ენაზე მეტყველი. როცა დაიძრნენ აღმოსავლეთიდან, ჰპოვეს ველი შინყარის ქვეყანაში და იქ დამკვიდრდნენ. უთხრეს ერთმანეთს: მოდი, მოვზილოთ თიხა და გამოვწვათ. ქვის მაგივრად აგური ჰქონდთ, კირის მაგივრად ფისი. თქვეს: აბა, ავიშენოთ ქალაქი და გოდოლი, და ცას მივუწვდინოთ მისი თხემი. აღვმართოთ ნიშანსვეტი, რომ არ გავიფანტოთ დედამიწის ზურგზე. ჩამოვიდა უფალი, რომ ენახა ქალაქი და გოდოლი, რომელსაც ადამიანები აშენებდნენ. თქვა უფალმა: აჰა, ერთი ხალხია ეს და ერთი ენა აქვს ყველას; რაკი ეს საქმე წამოუწყიათ, ამიერიდან დაუბრკოლებლივ

გააკეთებენ ყველაფერს, რასაც კი განიზრახავენ. აბა, ჩავალ და ენას ავურევ მათ, რომ ვერაფერი გააგებინონ ერთმანეთს. გაფანტა ისინი უფალმა იქიდან მთელს დედამიწის ზურგზე და მათაც შეწყვიტეს ქალაქისა და გოდლის შენება. ამიტომაც ეწოდა სახელად ბაბილონი, რადგან სწორედ აქ აღრია უფალმა მთელი დედამიწის ენა და აქედან გაფანტა ისინი უფალმა დედამიწის ზურგზე...“ (დაბ. 11.1-9).

მათ შორის ყოფილან ქართველი ერის წინაპრებიც. ქართველთა პირველი წინაპრების სახელებიც დასახელებულია ბიბლიაში და მათ ეწოდებათ თუბალი და მეშექი, რომლებიც იყვნენ ნოეს ვაჟის – იაფეთის შვილები და ისინი მიჩნეულნი არიან ქართველი ერის მამამთავრებად: „ეს არის ნოეს ძეთა მოდგმა – სემის, ქამისა და იაფეთისა. შეეძინათ მათ შვილები წარღვნის შემდეგ. იაფეთის ძენი: გომერი, მაგოგი, მადაი, იავანი, თუბალი, მეშექი და თირასი... ამათგან განიფანტნენ ზღვისპირა ხალხები თავ-თავის ქვეყნებში, თითოეული თავისი ენის მიხედვით, თავისი ტომის მიხედვით, თავ-თავის ხალხში...“ (დაბ. 10.1-5).

ეპისკოპოს ა. ჯაფარიძის აზრით: „...ამჟამად საბოლოოდ დამტკიცებულია, რომ ქართველები წინა აზიის ძველ მკვიდრ მოსახლეობას ეკუთვნიან, ისინი ნათესაურად იყვნენ დაკავშირებულნი მსოფლიოს უძველეს კულტურულ მოსახლეობასთან, უფრო მეტიც „ცნობილ მეცნიერებს ფრ. ომელს, ედ. მაიერს, კიპერტს, ლემან-ჰაუპტს, ლენორმანს, აკად. ნ. მარს, აკად. ტურაევს და სხვებს არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ ქართველი ტომები მემკვიდრენი არიან სუმერების, ხეთების, მიტანელების, ხალდებისა და სხვა, რომლებიც წინა აზიის უძველესი ხალხები იყვნენ და რომლებმაც შექმნეს საკაცობრიო კულტურის ყველაზე ადრინდელი კერები. ამგვარივე მოსაზრება განავითარა და მრავალმხრივი ფაქტიური მასალების მოშველიებით კიდევ უფრო დაასაბუთა თავის შრომებში აკად. ივ. ჯავახიშვილმა...“ (ჯაფარიძე 1994: 19).

აკად. ივ. ჯავახიშვილის სამართლიანი მოსაზრებით ქართველთა წინაპრების – მუსკების, ტაბალებისა და კასკების ძირითად საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრებოდა მცირე აზია, სადაც ისინი ძლევამოსილ ბრძოლებს აწარმოებდნენ ასურელების წინააღმდეგ. ძველი წელთაღრიცხვის მეშვიდე

საუკუნიდან ქართულ ტომებს დაუწყიათ წაწევა ჩრდილოეთისაკენ, რაც განაპირობა მცირე აზიაში კიმერიელთა შემოსევამ: „...XI ს-იდან მოყოლებული მუსკები, ტაბალები და კასკები, რომელნიც მერმინდელ მესხთა, იბერთა და კოლხთა წინაპარი ქართველი ტომები იყვნენ, უკვე პოლიტიკურ ასპარეზზე ჩანან და ხშირად ძლევამოსილ ბრძოლას აწარმოებენ ასურელების წინააღმდეგ. IX ს-იდან მოყოლებული ამ ბრძოლაში უკვე ასურელები იმარჯვებენ, მათ დამორჩილებასაც ახერხებენ და ყმად-ნაფიც სახელმწიფოებადაც ხდიან, ყოველწლიურ ხარკსაც ადებენ. ასურული წარწერებიდან ჩანს, რომ მუსკებს, ტაბალებსა და კასკებს ამის შემდგომაც თავიანთი პოლიტიკური მდგომარეობის გამოსწორება არა ერთხელ უცდიათ, მაგრამ ასურეთის მბრძანებლები კვლავ მათ დაჰპატრონებიან. ამ ბრძოლას კიმერიელთა მცირე აზიაში VII ს-ში შესევამ მოუღო ბოლო: დაამხო მაშინდელი მბრძანებლებიცა და ქართველ ტომთა უკანასკნელი ტალღაც ჩრდილოეთისაკენ წასწია. ამ დროიდან მოყოლებული მუსკებისა, ტაბალებისა და კასკების სახელი მცირე აზიაში ქრება და ქართველთა მოსახლეობის ასპარეზი შავი ზღვის სამხრეთ აღმოსავლეთ სანაპიროთი და ამიერკავკასიით-ღა განისაზღვრებოდა...“ (ჯავახიშვილი 1979: 43).

ქართველთა უძველეს ტომებსაც ჰქონიათ საკუთარი წარმართული ღმერთების პანთეონი, რომელთაც თაყვანს სცემდნენ ქართველთა წინაპრები და ამ ქართული წარმართული პანთეონის მთავარი ღვთაება ყოფილა - მთვარე, რომელსაც აიდეალებდნენ როგორც მამაკაც ღვთაებას და მას ემორჩილებოდნენ ქართულ წარმართულ პანთეონში არსებული ყველა ღმერთები, რომლებსაც ეკავათ იერარქიის სხვადასხვა საფეხურები. ქართულ წარმართულ პანთეონში არსებობდა იერარქიული წყობის პრინციპი და ამ იერარქიის უმაღლეს საფეხურზე იდგა – მთვარე.

საინტერესო არის აგრეთვე ისიც, რომ ქართველთა წინაპრების სხვადასხვა ტომები, როგორც სჩანს, თაყვანს სცემდნენ ერთსა და იმავე ღმერთს და ეს მთავარი ღვთაება ყოფილა მთვარე, რომლის წარმომავლობაც აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ქარანელების ანუ საბიელთა სარწმუნოებიდან უნდა იღებდეს სათავეს: „...მთვარე მთავარ ღვთაებად ასურელებისა და ქარანელების

ანუ საბიელთა სარწმუნოებაში ითვლებოდა, მას „სინ“-ს ეძახდნენ და ქვეყნიერების მბრძანებლადა სთვლიდნენ. საყურადღებოა მეტადრე ის, რომ ამ ორივე ხალხის შეხედულებითაც მთვარე მამაკაცად ითვლებოდა. ეგვიპტელები, ებრაელები, ბერძნები, რომაელები, არაბები და ფინიკიელები მთვარეს ჩვეულებრივ დედაკაცადა სთვლიდნენ ხოლმე. მაშასადამე, მხოლოდ ასურელებს, ქარანელთ და ქართველებს მიაჩნდათ მთვარე მთავარ ღვთაებად და ამასთანავე მამაკაცად...“ (ჯავახიშვილი 1979: 100).

ისტორიკოსი ზ. კოსიდოვსკი თავის წიგნში „ბიბლიური თქმულებანი“ აღნიშნავს, რომ: „...1957 წელს ინგლისელმა არქეოლოგმა დევიდ სთორმ რაისმა სამხრეთ თურქეთში იპოვა ქარანის ნანგრევები. აღმოჩნდა, რომ ქალაქი გაშენებული იყო ურიდან დაახლოებით ხუთასი კილომეტრის დაშორებით, ზემო ევფრატის შენაკად ნარ-ბალიზე. ძველი ბაბილონური ტექსტებიდან ცნობილია, რომ ქარანი იყო ცენტრი მთვარის ღმერთის კულტისა...“ (კოსიდოვსკი 1976: 80).

სწორედ ქარანიდან უნდა შემოსულიყო და გავრცელებულიყო საქართველოში - მთვარის კულტი, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს აკად. ივ. ჯავახიშვილი თავის კვლევებში.

ჩვენ მივედით წინამდებარე ნაშრომის ერთი ძირითადი საკითხის ქართული წარმართული მთვარის კულტისა და წმინდა გიორგის კულტის ურთიერთობის საკითხის გარკვევამდე. ქრისტიანული რელიგიის სწავლების თანახმად, წმინდა გიორგის კულტი არის მისი ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი და მას როგორც წმიდანს, ერთ-ერთი გამორჩეული და საპატიო ადგილი უკავია ქრისტესათვის წამებულ წმინდანებს შორის და მისი კულტი და პოპულარობა განსაკუთრებით საქართველოშია გავრცელებული და აღიარებული..

ცნობილი ფაქტია, რომ წმინდა გიორგი იყო ისტორიული პიროვნება, წარმოშობით კაბადოკიიდან. იგი ყოფილა დიდგვაროვანი წარმოშობის, რომელსაც მაღალი თანამდებობა ეკავა რომის იმპერატორის სამეფო კარზე. იგი ყოფილა სამხედრო პირი და ეკავა მხედართმთავრის თანამდებობა რომის იმპერიაში. შემდეგ წმინდა გიორგის მიუღია ქრისტიანული სარწმუნოება. მას უარი უთქვამს სამხედრო კარიერაზე და მთლიანად ქრისტიანული

სარწმუნოებისათვის მიუძღვნია საკუთარი სიცოცხლე. სწორედ იესო ქრისტესა და ქრისტიანული სარწმუნოების ერთგულების გამო იგი სასტიკად აწამეს. ხოლო გარდაცვალების შემდეგ თქმულების თანახმად ღმერთმა - იესო ქრისტემ - წმინდა გიორგი მკვდრეთით აღადგინა და ზეცაში აღამაღლა, სადაც იგი შეუერთდა ქრისტესათვის წამებულთა სულებს და საკუთარი გამორჩეული ადგილი დაიკავა ქრისტიანული წმინდანების ზეციურ იერარქიაში (ე. გაბიძაშვილი).

სწორედ ამ თქმულებას ემყარება წმინდა გიორგის ის ტრადიციული კულტი, რომელიც ქრისტიანულ სარწმუნოებაში არის საყოველთაოდ მიღებული და აღიარებული. უნდა აღინიშნოს ის მართლაც განსაკუთრებული როლი, რომელიც წმინდა გიორგის კულტს უკავია ქართველი ერის ცხოვრებაში. სწორედ თეთრ ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი, რომელიც შუბით გმირავს დრაკონს, იქცა ქართველი ერის სიმბოლოდ. წმინდა გიორგის სახეში იქნა გამოხატული ის საუკეთესო საბრძოლო სულისკვეთება, რომელიც ისტორიულად ახასიათებდა ქართველ ერს. წმინდა გიორგი წინ მიუძღოდა ქართულ მხედრობას და ხშირად რიცხობრივად მასზე ბევრად უფრო მეტი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, განაპირობებდა ქართული ლაშქრის გამარჯვებებს. იგი აღაფრთოვანებდა და მოსისხლე მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის განაწყობდა ქართველთა მხედრობას, რომლებიც მზად იყვნენ იესო ქრისტესა და სამშობლოსათვის საკუთარი სიცოცხლეც კი შეეწირათ. წმინდა გიორგი იყო ქართველი ერის მფარველი წმინდანი საუკუნეთა განმავლობაში და წარმართავდა მის ისტორიულ ბედს, მის გამარჯვებასა თუ დამარცხებას გარეშე მტრებთან დაუნდობელ ბრძოლაში, რომელიც ისტორიულად არასოდეს მოკლებია ქართველ ერს.

მკვლევარი ე. გაბიძაშვილი თავის წიგნში „წმინდა გიორგი ძველ ქართულ მწერლობაში“ სამართლიანად მიანიშნებს, რომ: „...თეთრ ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი, სიმართლისა და გამარჯვების სიმბოლო, ქართველი კაცის სანუკვარი იდეალების გამოხატულებად იქცა. ამიტომ არის მოფენილი საქართველოს ყველა კუთხე წმ. გიორგის სახელზე აშენებული რამდენიმე

ასეული ეკლესია-ტაძრით, რომელთა კედლებს ამშვენებენ მისი ცხოვრებისა და სასწაულების გამომსახველი უძველესი ფრესკები, ოქრო-ვერცხლით მოჭედილი მისი ხატები და უნიკალური ჯვრები...“ (გაბიძაშვილი 1991: 3).

პროფესორი რამაზ ხალვაში თავის წიგნში „ტბელ აბუსერიძის სახისმეტყველება“ სავსებით მართებულად მიიჩნევს, რომ: „საქართველოში წმ. გიორგის თაყვანისცემა ადრეულ პერიოდში უნდა დამკვიდრებულიყო. იგი ქართველთა განმანათლებლის, წმ. ნინოს თანამედროვე და თანამემამულე იყო. ტრადიციის მიხედვით, წმ. გიორგის სახელს ატარებდა თხოთის მთაზე აგებული ერთ-ერთი უძველესი ქართული ქრისტიანული ტაძარი. წმ. გიორგის თაყვანისცემის ახალი ეტაპი იწყება ასურელ მამათა ქართლში შემოსვლის შემდეგ, როცა იოანე ზედაზნელის მოწაფემ, იოსებ ალავერდელმა ალავერდის წმ. გიორგის ტაძარი ააგო... საქართველოში წმ. გიორგის თაყვანისცემა ძლიერდება X-XI საუკუნეებში, რასაც ფეოდალური მონარქიის აღმავლობას და სამხედრო იდეოლოგიის დამკვიდრებას უკავშირებენ. XI საუკუნეში ლიტერატურულად ფორმდება ტრადიცია, რომლის მიხედვითაც წმ. გიორგი საქართველოს ზეციურ მფარველად გვევლინება...“ (ხალვაში 1998: 40-42).

მკვლევარ ზ. გამსახურდიას საინტერესო მოსაზრებით: „...საქართველოში სწორედ მეცხრე საუკუნიდან იწყება წმ. გიორგის კულტის გაძლიერება ოფიციალური ეკლესიის წიაღშივე. „მოქცევაი ქართლისაი“, რომელშიც გამოხატულია ეკლესიის ოფიციალური თვალსაზრისი საქართველოს გაქრისტიანებაზე, წმ. გიორგის კულტი უკვე საცნაურია. ამავე პერიოდის ჰაგიოგრაფია და ჰიმნოგრაფია ივსება წმ. გიორგის საგალობლებით, მისი ცხოვრებისა და მარტვილობათა აღწერის თარგმანებით. ამასთან წმ. გიორგის კულტი, ღვთისმშობლის კულტთან ერთად, უდიდეს როლს ასრულებს ქართველი ტომების ეროვნული კონსოლიდაციის საქმეში...“ (გამსახურდია 1991: 170).

როგორც ე. გაბიძაშვილი აღნიშნავს: „...ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში დამკვიდრებულია აზრი, რომ წმინდა გიორგის უდიდესი პოპულარობა საქართველოში შედეგია იმისა, რომ მისმა კულტმა და დღესასწაულებმა

ქრისტიანულ საქართველოში დაიკავა ის ადგილი, რომელიც წარმართობის ეპოქაში ეჭირა უმაღლეს წარმართულ მთვარის ღვთაებას (ივ. ჯავახიშვილი). ხოლო მისი გამოსახულების ფრესკული და ჭედური გამოსახულების ძირითადი არსი – მხედარი შუბით ხელში - არის მთვარის ღვთაების გამოხატულება, დადასტურებული არქეოლოგიური მონაცემებით (ი. გაგოშიძე), ე. ი. წმინდა გიორგის გამოსახულებაში დამატებითი დეტალი – გიორგი შუბით კლავს დიოკლეტიანე იმპერატორს, ხოლო მოგვიანებით – გველეშაპს, მხოლოდ წმ. გიორგის გამოსახულების გვიანდელი, დამატებითი ნიუანსია...“ (გაბიძაშვილი 1991: 11).

წმინდა გიორგის კულტის კვლევისას ქართველი ისტორიკოსი ივ. ჯავახიშვილი წააწყდა ერთ უაღრესად საინტერესო და შეიძლება ითქვას, რომ მართლაც საკვირველ ფაქტს. ქართულ წარმართობის დროინდელ თქმულებებში თავისი ძლიერებითა და შესაძლებლობებით, აგრეთვე უბრალო ხალხის მხრიდან სიყვარულის გამოვლენით - წმინდა გიორგი აღემატება არა მხოლოდ ელია წინასწარმეტყველს, არამედ თავად ღმერთს - სამყაროს შემოქმედს.

ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით: „...თვით ცხოვრებაშიაც ქართველი ერი მას ყველაზე მეტად თაყვანსა სცემს. არც ღმერთისა და იესო ქრისტეს, არც ერთი წმიდანის სახელობაზე არ მოიპოვება იმდენი ტაძარი საქართველოში, რამდენიც წმიდა გიორგის სახელობაზეა აშენებული..." (ჯავახიშვილი 1979: 88).

პატივცემული მეცნიერის აზრით: „...როგორც სახალხო თქმულებების შესწავლა, ისე დღეობებისა და ხატობის დაკვირვება, ცხადად ამტკიცებს, რომ ქართველი ერის სარწმუნოებრივ წარმოდგენაში უფროსობითა და ძლიერებით პირველი ადგილი - წმიდა გიორგის უკავია, მეორე - ღმერთს შემოქმედს, მესამე – ელიას...“ (ჯავახიშვილი 1979: 89).

ეს მართლაც საკვირველი ფაქტი ქრისტიანული სარწმუნოებით ვერ აიხსნება. როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „...ამ შეხედულებას და წმიდა გიორგის განსაკუთრებულ, შემოქმედზე უმეტესს, პატივისცემას ქრისტიანობასა და საეკლესიო მოძღვრებასთან არაფერი აქვს საერთო; პირიქით, იგი პირდაპირ არღვევს მას. უეჭველია, მაშასადამე, რომ ჩვენი ხალხის წარმოდგენაში წმიდა

გიორგის ძველი, წარმართობის დროინდელი, მთავარი ღვთაების ადგილი უნდა ეკავოს. რა ღვთაება უნდა ყოფილიყო მერე ის ღვთაება, რომლის ადგილიც ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ჩვენი ხალხის წარმოდგენაში წმიდა გიორგიმ დაიჭირა?..." (ჯავახიშვილი 1979: 89).

საბოლოოდ დიდი მეცნიერი დაასკვნის, რომ: „...ქართველი ხალხის აზროვნებაში წმიდა გიორგის ძველი წარმართობის დროინდელი ქართველების მთავარი ღვთაების, მთვარის ადგილი უკავია...“ (ჯავახიშვილი 1979: 90).

ამრიგად, აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის მოსაზრების თანახმად, წმინდა გიორგის კულტს საქართველოში ქართული წარმართული პანთეონის მთავარი ღვთაების – მთვარის კულტის ადგილი უჭირავს, ეს საინტერესო მოსაზრება ძირითადად გაზიარებულ იქნა ქართულ მეცნიერებაში. ჩვენთვის ეს საყურადღებო მოსაზრება იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც წმინდა გიორგის, იგივე - მთვარის კულტი ვრცლად აისახა ქართველი მწერალის კონსტანტინე გამსახურდიას რომანებსა და ნოველებში, რომელთა კვლევა წინამდებარე ნაშრომის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს.

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მკვლევარი სოსო სიგუა თავის წიგნში „მარტვილი და ალამდარი“ ეხება წმინდა გიორგის თემას კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში და აღნიშნავს, რომ: „სავარსამიძის, ტაია შელიას, ხარბედიების მფარველია სუჯუნის წმ. გიორგი; ფოტოგრაფი ხალხს წმ. გიორგის მადლს აფიცებს; ჯენეტი დედამ წმ. გიორგის ჩააბარა; „მთვარის მოტაცების“ პერსონაჟები (კაც, თარაში, თამარი, ლუკაია, გვანჯ აფაქიძე, ლომკაც ესვანნჯია...) ილორის წმ. გიორგის უკავშირდებიან; გიორგი I სიკვდილის წინ ამბობს, რომ უწია „გველისფერი წმ. გიორგის რისხვამ“; შორენასა და კონსტანტინეს იფარავთ წყაროსთვალის წმ. გიორგი; „ბელადში“ იხსენიება გორისჯვრის წმ. გიორგი; „ვაზის ყვავილობაში“ მოხუცებული ხალხი ქვაკაცას წმ. გიორგის ევედრება...

მწერალი ეყრდნობა ივანე ჯავახიშვილის დებულებას, რომლის თანახმადაც „თითქმის ყველა უმთავრესი ეკლესიები და დღეობები საქართველოში წმინდა გიორგის სახელობაზეა“; ქართველთა სარწმუნოებრივ წარმოდგენაში „პირველი

ადგილი წმინდა გიორგის უკავია, მეორე – ღმერთს – შემოქმედს, მესამე – ელიას“; „ყველგან, სადაც ქართველებს უცხოვრიათ, მთვარის თაყვანისცემის კვალი შერჩენილია; ამის გამო მთვარის ვითარცა მთავარ-მეუფისა და ღვთაების პატივისცემა ყველა ქართველი ტომების უუძველეს რწმენად უნდა ჩაითვალოს“.

ქართულ წარმართულ პანთეონში მზე მდედრობითი სქესის ღვთაებაა, მთვარე – მამრობითისა. მთვარის კულტის ადგილი დაიკავა წმ. გიორგიმ. ორშაბათს ძველქართულ, მეგრულ-ჭანურ და სვანურ კალენდარში „მთვარის დღე“ ეწოდება. სავარსამიძე ტაია შელიას გაზრდილია. მას მუდამ შველის სუჯუნის წმ. გიორგი, სჯერა მისი ძალმოსილებისა. ამიტომ თაყვანს სცემს მთვარის დღეს: „რადგან ორშაბათობით მე არსად მივდივარ, ამიტომ სამშაბათს წავედით ალბანოში“ (V, 767); „ორშაბათობით საქმეს არასოდეს დავიწყებ, არც სადმე წავალ“ (V, 677).

ასევე იქცევიან კაც ზვამბაია, თარაში, ძიძამისი – ხათუნა, გვანჯ აფაქიძე, ანტონ ქუთათელი, გიორგი II, მახარა, ლიპარიტ ორბელიანი.

ორშაბათს გადმოლახეს თურქებმა კახეთ-ჰერეთის საზღვარი და ერწუხის ბრძოლაში დამარცხდნენ კიდეც; დამფრთხალი სტრატიგი ნოტარი წუხს, ორშაბათია და გზას როგორ დავადგეო (IV, 551).

„მთვარის ეშინიათ რატომღაც ძიძასაც და მორდუსაც. ამიტომ, მთვარის დღეს – ორშაბათს, მორდუ სამგზავროდ არ წავა, ძიძა თავს არ დაიბანს, არც არავინ სვამს ოქუმის წყალს ამ დღეს, რადგან მთვარე ამ დღეს გაკაპასებულია, ვეშაპებს, გველებს, ჯოჯოებსა და ხვლიკებს მოაწამლვინებს წყლებს“ (I, 82; არზაყანს დედა აფრთხილებს, ორშაბათს ნურსად წახვალო. ჭაბუკმა არ შეისმინა დედის ვედრება და გზაში სიკვდილს ძლივს გადარჩა; ორშაბათს დაეკარგა ნუნუს ბავშვი – პატარა მიქელა, რომელიც ტყეში გველისთვის მიეგდოთ.

ტრადიციისამებრ, დღევანდელ ქართველსაც ორშაბათი თარს და კვიმატიან დღედ აქვს მინიშნებული. გაუცნობიერებლად მჟღავნდება მთვარის დღისადმი შიში და კრძალვა, რომლის დარღვევა პიროვნებას ხიფათს შეამთხვევდა. ქართველთა უქმი დღე ორშაბათი უნდა ყოფილიყო (ი. ჯავახიშვილი). ასე

გაჩნდა მისი საკრალური მნიშვნელობა და ეს კ. გამსახურდიას პროზაში აისახა...“ (სიგუა 1991: 159-160).

აღნიშნული დებულება თავის შრომებში წამოყენებული და დასაბუთებული აქვს დიდ ქართველ მეცნიერს - ივანე ჯავახიშვილს, რომლის მოსაზრების თანახმადაც: „...დასავლეთ საქართველოშიაც მთვარის თაყვანისცემისა და მსახურების კვალი წმიდა გიორგის ხატობაში არის შენახული... ნაციხურობა ნააღდგომევს, მეოთხე კვირას, ორშაბათობით არის ხოლმე და სამი კვირის განმავლობაში ყოველ ორშაბათობით „ნაციხურობას“ უქმობენ... ნაციხურობასაც თეთრი-გიორგის ხატობასავით ღამით უქმობენ, იმიტომ რომ მთვარის მსახურება და თაყვანისცემა მხოლოდ ღამით შეიძლებოდა. სამი სწორისა და თავი ნაციხურობის უქმობის ჩვეულებაც აგრეთვე მთვარის მეოთხედის თაყვანისცემაზეა დამყარებული. გერისთობას მხოლოდ ორი სწორი იცის, ნაციხურობას სამივეა შენახული; მაშასადამე, თავი ნაციხურობა – ახალმთვარის თაყვანისცემის ნაშთი იქნება, პირველი, მეორე და მესამე სწორი კიდევ – პირველი, მეორე და უკანასკნელი მეოთხედის უქმეს უდრის. განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ნაციხურობა, თავიცა და სამივე სწორიც, მხოლოდ კვირა ღამესა და ორშაბათობით იცის ხოლმე. ეს გარემოება ცხადად ამტკიცებს, რომ მრავალძალის წმინდა გიორგის ხატობა, „ნაციხურობა“, მთვარის ძველი თაყვანისცემისა და მსახურების ნაშთია, იმიტომ რომ წარმართობის დროს ორშაბათს ქართულად მთვარის დღე უნდა ჰრქმეოდა, მაშასადამე, მთვარის თაყვანისცემისათვის იყო განკუთვნილი. ახლაც კი ორშაბათს მეგრულად - თუთაშხა, სვანურად – დოშდიშ ჰქვია და ორივე სიტყვა „მთვარის დღესა“ ნიშნავს; მხოლოდ ქრისტიანობის გავლენის გამო ძველი სახელის მაგიერ ქართულ მწერლობაში „ორშაბათი“ შემოიხიზნა. ამგვარად, სწორედ ის გარემოება, რომ თავი ნაციხურობა და სამი სწორი კვირა-ღამიდან დაწყებული ორშაბათობით იცის, საუცხოოდ ამტკიცებს, რომ ეს მრავალძალი წმიდა გიორგობა მთვარის მსახურების ნაშთს წარმოადგენს...“ (ჯავახიშვილი 1979: 95-96).

საქართველოში მთვარის კალენდარული სისტემის არსებობას თავის კვლევებში ასაბუთებს მკვლევარი რ. პატარიძე, რომელიც თავის წიგნში

„ქართული ასომთავრული“ იმოწმებს აკად. კ. კეკელიძის მოსაზრებას: „ეჭვი არ არის, თავდაპირველად ქართველთა მოდგმის ტომები, მსგავსად სხვებისა, წელიწადს მთვარის მიმოქცევაზე აგებდნენ, ამიტომ უძველესი ქართული წელიწადი უნდა ყოფილიყო მთვარის წელიწადი. ეს იქიდან ჩანს, რომ მთვარე უძველეს ხანაში მთავარი ღვთაება ყოფილა ქართველებისა, რომელთაც მისი სახელით (თუთა) თვეც (თთუე) აღუნიშნავთ. მთვარის წელიწადი ძირითადად ჩვენშიც იმავე ბაბილონურ-სემური სისტემისა უნდა ყოფილიყო. ის შემოსული უნდა იყოს ჩვენში მთვარის კულტთან ერთად **ქარანიდან** (ძველი ცენტრი მთვარის კულტისა). ამას გვაფიქრებინებს ცნობილი დღეობა „გერისთობა“, რომელიც სამი სწორისა და თავ-უქმობით გამოიხატება. ქარანელები მთვარის თვის მე-27 დღეს დღესასწაულობდნენ ახალმთვარის დღეობას, როდესაც ისინი მთვარეს მსხვერპლსა სწირავდნენ...“ (პატარიძე 1980: 367).

აკად. კ. კეკელიძე მსგავსად აკად. ივ. ჯავახიშვილისა იზიარებს მოსაზრებას, რომ საქართველოში მთვარის კულტი შემოსული უნდა იყოს ქარანიდან, მთვარის კულტის ძველი ცენტრიდან.

აღნიშნულ მოსაზრებას, იზიარებს და დამატებითი არგუმენტებით თავის კვლევებში ასაბუთებს ქართველი მეცნიერი რ. პატარიძე, რომლის მოსაზრებითაც ქართული ასომთავრული ანბანის სახელდებასა და გრაფიკაში წარმოდგენილია ქართული წარმართული მთვარის კალენდარული სისტემა, ხოლო ქართული ასომთავრული ანბანის „ან“ ასო-ნიშანი - მთვარის ღმერთისა და მთვარის იდეოგრაფიული გამოხატულებაა და ორშაბათი დღეა.

მკვლევარი თავის წიგნში „ქართული ასომთავრული“ გამოთქვამს მახვილგონივრულ მოსაზრებას, რომ: „...ქართული ასომთავრული ანბანის „ან“-ასო-ნიშანი პირველი შვიდეულის პირველი დღეა: „ან“ - იდეოგრაფიულად მთვარეა, იდეოგრაფიულად „ან“ ასო-ნიშანი დღე-ღამის დასაწყისის – შუაღამის აღმნიშვნელია და შესაბამისად პირველი საათია დღე-ღამისა... „ან“, ვითარცა პირველი დღე კვირისა და პირველი საათი დღე-ღამისა, მთვარის დღეა და ორშაბათი დღეა. ქართული წარმართული კალენდრით შვიდდღიან კვირას მთვარის დღე იწყებს...“ (პატარიძე 1980: 404-405).

ასე უკავშირდება ერთმანეთს ქართული წარმართული პანთეონის მთავარი ღვთაების – მთვარის კულტი, წმინდა გიორგის კულტი და ქართული ასომთავრული ანბანის „ან“ ასო-ნიშანი, რომლის სახელდება და გრაფიკა - მთვარის ღმერთისა და მთვარის იდეოგრაფიული გამოხატულებაა და ორშაბათი დღეა.

მკვლევარ რ. პატარიძის მოსაზრების მიხედვით: „...ძველ საქართველოში მთვარის კალენდარული სისტემის არსებობის დამადასტურებელია მთვარის ხატობის რელიგიური დღესასწაულები. როგორც ივანე ჯავახიშვილმა გამოარკვია, ეს დღესასწაულები იმართებოდა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. მთვარის ხატობის რელიგიურ დღესასწაულთაგან აღსანიშნავია „გერისთობა“, რომელსაც ქართლში უქმობენ და „ნაციხურობა“, რომელსაც დასავლეთ საქართველოში უქმობენ. „გერისთობამ“ სამი უქმე იცის: თავი გერისთობისა, სწორისა და მეორე სწორისა. ივანე ჯახახიშვილის აზრით, ეს უქმეები მთვარის 7-დღიან ფაზებზეა დაფუძნებული. „ნაციხურობამ“, თავი ნაციხურობის გარდა, კიდევ სამი სწორი იცის. ივანე ჯავახიშვილის აზრით, სამი სწორისა და თავი ნაციხურობის უქმობაც მთვარის მეოთხედების თაყვანისცემაზეა დამყარებული...“ (პატარიძე 1980: 366).

თუ სიმართლეს შეესაბამება მოსაზრება, რომ წმინდა გიორგის კულტს ქართულ მითოლოგიასა და თქმულებებში ქართული წარმართული პანთეონის მთავარი ღვთაების მთვარის ადგილი უკავია, მაშინ გამოდის, რომ წმინდა გიორგის კულტში ქართული წარმართული მთვარის კალენდარული სისტემა ყოფილა განხორციელებული. ამ მოსაზრებას ადასტურებს წმინდა გიორგის დღესასწაულები - „გერისთობა“ და „ნაციხურობა“, რომლებიც ორშაბათობით აღინიშნება და ამ დღესასწაულების არსებობას – მთვარის ფაზები განსაზღვრავს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, თუ წმინდა გიორგის კულტს კონსტანტინე გამსახურდიას რომანებსა და ნოველებში ქართული წარმართული პანთეონის მთავარი ღვთაების – მთვარის ადგილი უკავია, მაშინ გამოდის, რომ წმინდა გიორგის კულტის სახით მწერლის რომანებსა და ნოველებში ქართული წარმართული მთვარის კალენდარული სისტემა ყოფილა განხორციელებული.

როგორც კ. გამსახურდია თავის ბიოგრაფიულ რომანში - „ლანდებთან ლაციცში“ აღნიშნავს, ყველაფერი რაც მას თავის რომანებში აქვს მოთხრობილი მთვარის მოქცევისა და პაგანისტური, წარმართული ამბების შესახებ, აღებული აქვს თავისი გადიის ეკაიას შეგონებებიდან: „...მთვარის მოქცევის ამბები იცოდა კარგად და ყველაფერი, რაც მე დავწერე „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენაში“ და „მთვარის მოტაცებაში“ მთვარის მოქცევისა და პაგანისტური, წარმართული ამბების გამო, ეს ყოველივე ეკაიას შეგონებებიდან მაქვს აღებული. მისგან მაქვს განაგონი უამრავი კოლხური ლეგენდები, ზღაპრები, შელოცვები... მას უცნაურად ეშინოდა ქუხილისა. როცა ელვათატეხა ატყდებოდა, ძაღლებს გარეთ აგდებდა, პირქვე დაემხობოდა სოხანეზე და წმიდა გიორგის ევედრებოდა გადაარჩინეო ჩვენი საქრისტიანო...“ (გამსახურდია 1967: 76).

მკვლევარ ს. სიგუას აზრით: „...თარაშ ემხვარის სულში წარმართული ლხენაა ჩაჭრილი. ის ეტრფის წმ. გიორგის – ძველქართული მთვარის ღვთაებას, რომლის ირგვლივ შეიკრიბა წარმართობის გადმონაშთები. წმ. გიორგი იყო გამოსახული ფეოდალური საქართველოს დროშებზე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გერბზე. მთვარის მოტაცება იმასაც ნიშნავს, რომ ენგურმა (ერთის მხრივ – რევოლუცია, მეორეს მხრივ – აქერონტი) ჩანთქა მთვარე – წმ. გიორგი...“ (სიგუა 1991: 160-161).

აკად. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, საკმარისია სტრაბონის აღწერილობის ერთი ნაწყვეტი, რომელიც ალბანელთა სარწმუნოებას ეხება, კახეთის განთქმულ თეთრ-გიორგობას შევადაროთ, რომ ცხადი და ჭეშმარიტი გახდება აზრი, რომ ქართველი ხალხის აზროვნებაში წმინდა გიორგის ძველი წარმართობის-დროინდელი, ქართველების მთავარი ღვთაების - მთვარის ადგილი უკავია: „...შევადაროთ ეხლა სტრაბონის ზემომოყვანილი ცნობა თეთრ-გიორგობას. სოფ. აწყურში 14 აგვისტოს საღამოთი ქართლიდან, კახეთიდან, ქიზიყიდან, თუშ-ფშავ-ხევსურეთიდან დიდძალი მლოცავი მოიყრის ხოლმე თავს... საღამოს ზარს დაარისხებენ თუ არა, ხალხი ეკლესიისაკენ გაეშურება ხოლმე. ამ დროს ერთი თეთრი-გიორგის მონათაგანი დაეცემა ეკლესიის დასავლეთის კარის ბჭესთან თავით ჩრდილოეთისაკენ, ისე რომ საყდარში შესვლა არ შეიძლებოდეს, თუ რომ

კაცი ან ზედ არ გადააბოტებს, ან ზედ არ შესდგება. მღვდელმა და ხალხმა მონაზე უნდა გადაიაროს; რაც უნდა ძალიან დაადგან ფეხი, იგი მაინც ცდილობს კრინტი არ დასძრას. ეკლესიას რომ შემოუვლიან, გალავანში შეკრებილი ხალხი ქუდმოხდილი ირგვლივ დგას და მოწიწებით ერთ-ერთს თეთრებში შემოსილს მოთამაშე მონა ქალს შესცქერის. მოცეკვავე შეუწყვეტლივ, გატაცებით უვლის. იგი თეთრი-გიორგის ხატის მონაა და ხატი აცეკვებს...“ (ჯავახიშვილი 1979: 91).

სუჯუნის წმინდა გიორგის კულტში ქართული წარმართული მთვარის კალენდარული სისტემაა განხორციელებული, რადგანაც იგი ქართულ წარმართულ მთვარის კულტს წარმოადგენს. ეს კულტი ხშირადაა გამოყენებული კონსტანტინე გამსახურდიას რომან „დიონისოს „ღიმილში“, სადაც აღწერილია შავი ზღვიდან გადმოვარდნილი შავი ვეშაპისა და თეთრი გიორგის სისხლიანი დუელი: „...ქუხილი მაინც ნამდვილი წარმოდგენა იყო (ახლა რომ ვიგონებ, უფრო ტრაგედია!), შიშისაგან ვკანკალებდით ძიძის გარშემო კერასთან დამსხდარი ბავშვები, მაგრამ ინტერესი მით უფრო დიდი იყო, გულის ფანცქალით ყურს ვუგდებდი, რითი გათავდებოდა შავი ზღვიდან გადმოვა-რდნილი შავი ვეშაპის და თეთრი გიორგის სისხლიანი დუელი. როცა მეხი სადმე დაეცემოდა გრიალით, ყველანი პირჯვარს ვიწერდით. ძიძა მკერდში ხელს იცემდა. „ვენაცვალე შენს მადლს“. ბუტბუტებდა. ჩვენ გვიხაროდა. „რა იქნება მაშინ, გველეშაპმა რომ აჯობოს სუჯუნის წმიდა გიორგის?“ ვეკითხები ძიძას. „ო, ღმერთმა ნუ ქნას შვილო, ჩვენი საქართველო და მთელი საქრისტიანო დაიღუპება...“ (გამსახურდია 1976: 384-385).

„დიონისოს ღიმილში“ აღწერილია თეთრი-გიორგის კულტის ანალოგიური რიტუალი, რომელიც კოხტა თელიას მხატვრულ სახეს უკავშირდება. კოხტა თელია წმინდა გიორგის ქადაგია და მისმა ენაარეულმა, ქაჯურმა ბოდვამ და თეთრად მოსილმა, ჟანგიანი ჯაჭვებით დატვირთულმა, წმინდა გიორგის მონებმა მძიმე შთაბეჭდილება დატოვა პატარა კონსტანტინეს ცნობიერებაზე: „...გიორგობას სუჯუნას წაგვიყვანა მორდუმ. ფარდაგებით გადახურულ ურემში ვიჯექით მუთაქებზე. ბავშვებს ჩვენი საყვარელი ბატკნის მეთვალყურეობა მოგვანდეს.

ამდენი ხალხი ერთაად არ მენახა. წმ. გიორგის ღამეს უთევდნენ. ათასგვარი ხმა დადიოდა: ვიღაც ქადაგმა მეორედ მოსვლა იწინასწარმეტყველაო. იმ ღამეს წმ. გიორგის ცხენის ნალი იპოვნესო.

მოხუცებული კოხტა თელია ეკლესიაში უნდა დაემწყვდიათ. გარედ ბოქლომს დაადებდნენ საყდარს. წმ. გიორგი უნდა გამოცხადებოდა, ქვეყნის მომავალი გაემჟღავნებინა... საშინელი, გარდაუვალი შთაბეჭდილება დასტოვეს ჩემზე თეთრად მოსილმა, ჟანგიანი ჯაჭვებით დატვირთულმა, წმიდა გიორგის მონებმა. თეთრებში ჩაცმული ქალები და კაცები ლიტანიობდნენ საყდრის გარშემო. დორბლმორეული როკავდნენ. გაუგონარ სიტყვებს როშავდნენ. დასაკლავი ბატკნების ბღავილი, გამოსალოცად მოყვანილი ბავშვების ღნავილი. გალავანის გარშემო დაბმული ცხენების ჭიხვინი, ურიცხვი მლოცველების ტაშფანდურა. ყველაფერი ეს კოშმარული სიზმრის შთაბეჭდილებას ჰქმნიდა. მეორე დილას ურემზე გამომეღვიძა. დიდხანს გონს ვერ მოველი, სად მოვსულიყავი? როცა კოხტა თელიამ ენაარეული ბოდვა დაიწყო. ასე მეგონა ქაჯების ენაზე ლაპარაკობდა. განაგონი მქონდა წმ. გიორგის საქართველოსა და საქრისტიანოს მფარველია, გველეშაპების, ცუდკაცების, ქაჯებისა და ჭინკების მტერიო. ეს ვერ გამეგო, თუ რათ აწვალებდა ამდენ ხალხს, რა საჭირო იყო ის ღამის თევა, ამდენი ბატკნების დახოცვა. რად ესაჭიროებოდა ღმერთს ამდენი უცოდველი სისხლი?... ერთხელ მორდუ მარტოკა დავიხელთე. კისერზე ვაკოცე და ვკითხე: „რომელია უფრო ძლიერი, ქრისტე თუ წმიდა გიორგი?“ „რა თქმა უნდა, წმიდა გიორგი!“ ამბობდა მორდუ. „რატომ“? „ქრისტე მუდამ ჯვარზე ჰკიდია, ხელები დაჭედილი აქვს. წმიდა გიორგი რაშზე ზის, ხელში ბოძალი უჭირავს და ჩვენს ქვეყანას იფარავს“. მე ისიც მინდოდა მეკითხა, რატომ უნდა ყოფილიყო ქრისტე მუდამ ჯვარზე გაკრული, ან წმიდა გიორგის ვინ მისცა ასეთი ძალა, რომ გველეშაპებს, ქაჯებსა და ადამიანებს მისი ეშინიათ, მაგრამ თავი შევიკავე...“ (გამსახურდია 1976: 389-391).

სუჯუნის წმინდა გიორგის ქადაგის კოხტა თელიას გაიგივება თეთრი-გიორგის ხატის მონებთან ადასტურებს მოსაზრებას, რომ „დიონისოს ღიმილში“ ქართული წარმართული – მთვარის კალენდარული სისტემაა გამოყენებული.

კონსტანტინე სავარსამიძეს ხელნაწერებში პატარა წერილი ჰქონდა „სუჯუნის წმიდა გიორგის თეთრი მონები“, რომელიც ერთ ფრანგულ ჟურნალის რედაქციაში მიიტანა დასაბეჭდად: „...მე მქონდა ძველ ხელნაწერებში პატარა წერილი: „სუჯუნის წმიდა გიორგის თეთრი მონები“. წერილი გადავთარგმნე. ერთ ფრანგულ ჟურნალის რედაქციაში წავიღე. რედაქტორი ლეგენდების მოყვარული ყოფილა. მეკითხება: „მართალია ყველაფერი ეს, რაც აქ სწერია?“ „არა, ლეგენდაა“. „მართალი რომ იყოს, გახვრეტილ დრაჰკანად არ ეღირებოდა“. 45 ფრანკის ჩეკი გადმომცა. კიდევ სუჯუნის წმ. გიორგიმ მიშველა...“ (გამსახურდია 1976: 409).

ამ წერილმა სუჯუნის წმინდა გიორგიზე და მის თეთრ მონებზე კონსტანტინე სავარსამიძე შიმშილით სიკვდილს გადაარჩინა. სუჯუნის წმინდა გიორგის კულტის თეთი მონების გაიგივება – თეთრი-გიორგის ხატის მონებთან ადასტურებს მოსაზრებას, რომ „დიონისოს ღიმილში“ გამოყენებულ - სუჯუნის წმინდა გიორგის კულტში ქართული წარმართული - მთვარის კალენდარული სისტემაა წარმოდგენილი.

ილორის წმინდა გიორგის კულტში ქართული წარმართული მთვარის კალენდარული სისტემაა განხორციელებული, რადგანაც იგი ქართული წარმართული პანთეონის მთავარ ღვთაებას – მთვარეს წარმოადგენს.

ამ მოსაზრებას ადასტურებს კონსტანტინე გამსახურდიას რომან „მთვარის მოტაცებაში“ აღწერილი ილორის წმინდა გიორგის რელიგიური რიტუალები: „...თარაში და არზაყანი მთელი დღე ფეხშიშველა დატოპავენ თხრილებსა და ჭაობებში, კიბოების დარანებს მიაგნებენ, ღორჯოებს იჭერენ ლოდებს ქვეშ, გველებს და ხვლიკებს ქვით უსრესენ თავს და ესენი გველები როდია, არამედ უშველებელი ურჩხულები; ხოლო ერთსაც და მეორესაც ურჩხულების მმუსვრელ წმინდა გიორგად მოაქვთ თავი. „ნან, ეხვეწება თარაში ძიძას: „რამხელაა ილორის ეკლესიის ზარა?“ „რომელი ზარა?“ „დიდი ზარა“. ძიძა ხელს აჩვენებს: „ამხელა!“ „არა, ამხელა“. „მაინც?“ „წისქვილის გელაზის ოდენა“. „ნან“, შეევედრება თარაში ძიძას. „წმიდა გიორგი რაფერ ცხენზე ზის?“ „თეთრზე, სქან სანთელო, სულ თეთრ ცხენზე“.

„ნან, კიდევ შეევედრება თარაში ძიძას: გიორგობას დადია რატომ დაჰკეტავს ილორის ჭიშკარს?“... „დადია ჭიშკარს დაჰკეტავს, რომ ეზოში არავინ შეუშვან, ვიდრემდის წმიდა გიორგი არ მოვა და სამსხვერპლო ხარს არ მოიყვანს“. „მერმე, მერმე?..“ „მერმე, დავენაცვლე იმის მადლს, წმიდა გიორგი მოიყვანს ხარს“. „მერმე?“ „მერმე დადია მოვა მეორე დღეს. ეკლესიას გახსნის და მსხვერპლს დაუკლავს ილორის წმიდა გიორგის“. „ნან, ილორში მართლა თუ არის წმიდა გიორგის მშვილდი?“ „როგორ არა, შვილო, მე მინახავს“. „მორდუსაც უნახავს?“ „ყველას უნახავს“. „ნან, ვის ესროლა ბოძალი წმიდა გიორგიმ?“ „ვეშაპს ესროლა სქან სანთელო“. „მერმე მოჰკლა, ნან?“ „მოჰკლა, აბა რას იზამდა“. ამოვა ახალი მთვარე. კაც ზვამბაია ხელს წამოავლებს არზაყანს და თარაშს, ჯერ მთვარეს უჩვენებს, მერმე სატევარს იძრობს და გაოცებული ბალღები მისჩერებიან გაშიშვლებულ სატევარს მთვარის შუქზე მოვარვარეს. მთვარის ეშინიათ რატომღაც ძიძასაც და მორდუსაც. ამიტომაც მთვარის დღეს ორშაბათს, მორდუ სამგზავროდ არ წავა, ძიძა თავს არ დაიბანს, არც არავინ სვამს ოქუმის წყალს ამ დღეს, რადგან მთვარე ამ დღეს გაკაპასებულია, ვეშაპებს, გველებს, ჯოჯოებს და ხვლიკებს მოაწამლვინებს წყლებს...“ (გამსახურდია 1973: 136-137).

ილორის წმინდა გიორგის რელიგიური რიტუალები, რომლებიც რომან - „მთვარის მოტაცებაშია“ აღწერილი, იმავე ქართული წარმართული პანთეონის მთავარი ღვთაების მთვარის წარმართული რელიგიური რიტუალებია. მთვარის წმინდა ცხოველს წარმოადგენდა ხარი, რომელიც ქართულ წარმართულ - მთვარის კალენდარულ სისტემას უკავშირდება. „მთვარის მოტაცებაში“ ხარი ილორის წმინდა გიორგის წმინდა ცხოველადაა გამოცხადებული: „...ილორის წმიდა გიორგი უძლიერესი ფეოდალი იყო მთელს აფხაზეთსა და საჭყონდოში. დღესაც მოდიან მლოცველები, ურმებსა და ცხენებს ხომ ხედავ ეგერ, ცაცხვებს ქვეშ დაბანაკებულ ხალხს, ის ციკნებიც ახლადმოყვანილია... ილორის წმიდა გიორგი მთელს ქვეყანას თავზარსა სცემდა. ფორთხვით ეცემოდნენ მის ფერხთით ათასები და ათიათასები, იგი იყო მთელი ოდიშისა და აფხაზეთის ჯოგების მტაცებელი, პირსისხლიანი და მრისხანე ბატონი ამა ქვეყნისა... ყოველ გიორგობისთვის, 23 აპრილის წინა ღამეს საქართველოს უშორეს კუთხიდან

მოვაყვანინებდით ხარს, რათა არავის ეცნო ილორის წმიდა გიორგის მიერ მოყვანილი ხარი. ზღვაში ვაბანავებდით, ზღვის ქვიშას მოვაყრიდით, მერმე გამოვიდოდა ქადაგი და ყველას დააჯერებდა წმიდანმა ზღვიდან ამოიყვანაო ხარი...“ (გამსახურდია 1973: 255). ეუბნება გვანჯ აფაქიძე თარაშ ემხვარს და ცხადი ხდება, რომ რომან „მთვარის მოტაცებაში“ - ილორის წმინდა გიორგის კულტის სახით ქართული წარმართული მთვარის კალენდარული სისტემაა წარმოდგენილი.

„მთვარის მოტაცებაში“ ხშირადაა აღწერილი ილორის წმინდა გიორგის რელიგიური რიტუალი და იგი ნაწარმოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პერსონაჟს – ლუკაია ლაბახუას უკავშირდება, რომლის სახეშიც შერწყმულია წარმართული და ქრისტიანული რელიგიური ტრადიციები.

ლუკაია ლაბახუა ილორის წმინდა გიორგის ხატს შეწირული მონაა და იგი აღასრულებს როგორც ძველ ქართულ წარმართულ, ასევე ქრისტიანულ რელიგიურ რიტუალებს. ამ საკითხზე ესაუბრება თარაშ ემხვარი ლუკაია ლაბახუას: „...ისევ შეეცოდა თარაშს მარტოხელა, დარდიანი მოხუცი და კიდევ გადაუგდო სავსებით უსაზმნო კითხვა. ილორში თუ ყოფილხარო? ეკითხებოდა. „ილორში თუ ვყოფილვარო, შურიგე? ილორში შვიდი წელიწადი მნათედ ვიყავი, შურიგე. ჩემი ბატონი აქ სწირავდა წინათ, ვიდრე დეკანოზობას მიიღებდა. ვინ იცის, რამდენ ათას კაცს გადაუვლია ჩემს ზურგზე გიორგობის დღეს“. „როგორ თუ გადაუვლია. რას ამბობ, ბეჩა, ლუკაია?“ „რას ვამბობ, შურიგე? მე ილორის შეწირული ვიყავი მაშინ. თავქვე დავემხობოდი ტაძრის შესავალთან, დიდი და მცირე გადამჯეგავდა და ისე შედიოდა ილორში“. თარაშ ემხვარმა კარგად იცოდა, ასეთი რამ თეთრი გიორგის კულტში რომ შედიოდა, მაგრამ განგებისად გამოკითხავდა ლუკაიას, რათა გაეგო, როგორ განიცდიდა იგი ძველ წამებას ამ ახალ დროში...“ (გამსახურდია 1973: 264).

რომან „მთვარის მოტაცებაში“ აღწერილი ილორის წმინდა გიორგის ხატის შეწირული მონის ლუკაია ლაბახუას გაიგივება თეთრი-გიორგის ხატის მონებთან ადასტურებს მოსაზრებას, რომ „მთვარის მოტაცებაში“ მსგავსად „დიონისოს

ღიმილისა“ ქართული წარმართული მთვარის კალენდარული სისტემაა წარმოდგენილი.

რომან „დიდოსტატის მარჯვენაში“ ხშირად ვხვდებით გველისფერი წმინდა გიორგის კულტს. ფხოვში ყოფნისას ვიღაც მწითური სახედაჩეხილი ფხოველი წარამარა უჭვრეტდა მეფე გიორგის ხმალს და თავაზიანად ჰკითხავდა: ჩვენი ხატების საჭვრეტად ხომ არ ხარ მოსული და მეფე გიორგის მსტოვარი ხომ არ ხარო ფხოვს წარმოგზავნილი: „...ვიღაც წითური, სახედაჩეხილი ფხოველი მიეკედლა გიორგის, მხარბეჭიანი, ჟღალთვალება ვაჟკაცი, ქალუნდაური გოდერძი. წარამარა უჭვრეტდა მის ხმალს. ჰკითხავდა ვინაობას, სადაურობას. ეგეც უთხრა თავაზიანად: ჩვენი ხატების საჭვრეტად ხომ არა ხარო მოსული? ან მსტოვარი თუ ხარო, მეფე გიორგის მიერ წარმოგზავნილი ფხოვს? მეფე გიორგის ხსენებაზე ვითომც აილეწა ავშანისძე გლახუნა. წმ. გიორგიც შეაჩვენებსო მეფე გიორგის და მის მსტოვრებს, მღვდელი შემომაკვდაო უფლისციხეში ერთი, ამიტომაც სამ წელს ვიჯექიო დილეგში... გველისფერი წმ. გიორგი – იახსარი მტრად მოიკიდაო გიორგიმ, ვერ გადაურჩებაო წმინდანის რისხვას, წელს მოსწყვეტსო გველისფერი წმ. გიორგი მას...“ (გამსახურდია 1976: 226-228).

მეფე გიორგის აზრით, სწორედ გველისფერი წმ. გიორგის რისხვამ უწია მას: „...არა, ჩემი დღენი დათვლილია უკვე. მიწია გველისფერი წმიდა გიორგის რისხვამ, მე მივდივარ ამ სოფლიდან, პიპა. უამბე ჩემი ნათხრობი ვინც მომიკითხოს. ყველას, ბაგრატ უფლისწულსა და უკანასკნელ მეხამლესაც უამბე, პიპა...“ (გამსახურდია 1976: 226-228). ეუბნება სიკვდილის წინ მეფე გიორგი პიპას.

გველისფერი წმინდა გიორგის კულტში, მსგავსად სუჯუნის წმინდა გიორგის კულტისა და ილორის წმინდა გიორგის კულტისა ქართული წარმართული მთვარის კლენდარული სისტემაა წარმოდგენილი, რადგანაც იგი ქართული წარმართული პანთეონის მთავარი ღვთაების მთვარის წარმართულ კულტს წარმოადგენს.

წმინდა გიორგის კულტი ქართულ წარმართულ პანთეონში უკავშირდება მუხის კულტს. წმინდა გიორგი წარმოდგენილია მუხის სახით და იგი სიცოცხლის ხეს წარმოადგენს (ნიკო მარი). მუხის კულტთანაა დაკავშირებული

დიდი ჭყონი, რომლის ადგილზეც შუა საუკუნეებში ქრისტიანული საკათედრო ტაძარი დაარსდა.

აქედან წარმოსდგება საეკლესიო თანამდებობა ჭყონდიდელი, რომელიც ერთ-ერთ გავლენიან სასულიერო პირს წარმოადგენდა ქართული ეკლესიის სასულიერო იერარქიაში.

კონსტანტინე გამსახურდიას რომანებში ხშირადაა აღწერილი ქართული წარმართული ღვთაების მუხის კულტის თაყვანისცემის რიტუალები. მუხის კულტი გამოყენებულია რომან „დავით აღმაშენებელში“ და იგი გიორგი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის სახელს უკავშირდება. როცა გიორგის მესტუმრეთუხუცესმა მოახსენა, რომ მისი ძუძუმტე ბესა და შავი ღვთისმშობლის ხუცესი, ექვთიმე, სასადილო დარბაზში სხედანო, მათთან საუბარში გიორგი ჭყონდიდელმა საჭყონდიდლოს დიდი ჭყონი მოიკითხა: „...ეხლა საჭყონდიდლოს დიდი ჭყონი მოიკითხა ვაზირთა უპირველესმა, რომლის ჩეროში ბაგრატ მესამეს, ბაგრატ მეოთხეს და ორივე უკანასკნელ გიორგის პური უჭამიათ. დიდებულად არისო დიდი ჭყონი, საუკუნეთა გრიგალებსა და მეხთატეხას გადარჩენილი...“ (გამსახურდია 2013: 397-398).

ეს მუხა, დიდი ჭყონი იდგა ჭყონდიდში მის მამა-პაპათა ნასახლარზე და მას ათასი წლის მანძილზე თაყვანს სცემდნენ მისი მამა-პაპანი. ამ მუხის, დიდი ჭყონის შემუსვრა გიორგი ჭყონდიდელის აღსასრულსას მოასწავებს, რადგანაც მისი სული სწორედ ამ მუხის, დიდი ჭყონის თანაზიარია: „...განა მე არა ვყოფილვარ ჭაბუკი, განა არა მქონია კაცური ვნებანი, მაგრამ ზვარაკი ზვარაკია, შვილო. ღმერთი რჩეულთაგან რჩეულს მოითხოვს ერის ჭირთა მეურვედ. ჭყონდიდში ერთადერთი მუხა იდგა ჩემს მამა-პაპათა ნასახლარზე. იმ მუხას ათასი წლის მანძილზე თაყვანსა სცემდნენ მამა-პაპანი ჩემნი. თაყვანსა სცემდნენ და თაფლის სანთლებს მიადნობდნენ ხოლმე მის გოლიათურ ტანს. ამას წინად მაცნობეს, იმ მუხას მეხი დასცემია და შეუმუსრავს. ეგ იყო ერთადერთი ხე, რომელიც ატარებდა ჩემს სახელს საქართველოში...“ (გამსახურდია 2013: 650).

მუხის ანუ დიდი ჭყონის კულტი წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქართულ წარმართულ ღვთაებას, რომლის კულტისა და თაყვანისცემის

რიტუალები მწერალს აღწერილი და გამოყენებული აქვს თავის რომანებში და იგი წარმოადგენს სინთეზური სახის რელიგიურ კულტს, რომლის თაყვანისცემაშიც გაერთიანებულია წარმართული და ქრისტიანული რელიგიური რიტუალები. მუხის ანუ დიდი ჭყონის წარმართული კულტი დაუკავშირდა ჭყონდიდელის ქრისტიანულ სასულიერო თანამდებობას და ამ მოვლენამ მხატვრული ასახვა ჰპოვა კონსტანტინე გამსახურდიას რომან „დავით აღმაშენებელში".

საღვთო მუხის კულტის რელიგიური რიტუალი აღწერილია კონსტანტინე გამსახურდიას რომან „მთვარის მოტაცებაში": „...აპრილის დამდეგს ამშაპის დღესასწაული იწყებოდა. 16 დღეს თარაში და არზაყანიც კი მარხულობდნენ. წინა ღამით მთელი სოფელი აიშლებოდა და უხუცესის მეთაურობით ტყისაკენ მიეშურებოდა. სამღვთო მუხის ძირში დაბანაკდება ხალხი. უხუცესი ლოცვას წარმოსთქვამს, ლოცვის შემდეგ ნაბადს წამოისხამს თავზე და დაიმალება. ქალები და ვაჟები რიგრიგობით უახლოვდებიან მუხას, თვითეული მათგანი ჯერ აკოცებს და მერმე ხანჯალს მიარჭობს. შემდეგ ლოცულობს და ემთხვევა მუხას. ყველანი სათითაოდ იჩოქებიან მოხუცის წინაშე და აღსარებას გაანდობენ. სამაგიეროდ სანთლის ნაჭერს ღებულობენ მისგან..." (გამსახურდია 1976: 137-138).

მუხის კულტის წარმართული რელიგიური რიტუალი აღწერილია რომან „დიდოსტატის მარჯვენაში" და იგი ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი გმირის - კონსტანტინე არსაკიძის სახელს უკავშირდება, რომელიც წითელ მამალს შესწირავს წარმართულ ღვთაებას, როცა ყვავილს მოიხდის: „...მაშ თუ სიმხდალეს არ შემწამებ, გლახუნა, ახლა გიამბობ წვრილად. საღამო ჟამს ცხენს მოვაჭენებდი ხერკიდან. როცა ღართისკარს ერთი ეჯის მანძილზე მოეახლები, წიფლნარი არის ერთი, სავსებით მეჩხერი. ჰოდა, იმ წიფლნარის პირად ვეებერთელა მუხა დგას ერთი. შენც ხომ შეგინიშნავს ეს მუხა, გლახუნა?" „შემინიშნავს, როგორ არა, გაბრიელ"... სწორედ იმ ადგილამდის მივაღწიე, ვხედავ, ვხედავ და რას ვხედავ? წითელ-ყვითელით მორთული ვაჟი გამოვიდა ერთი, წითელი მამალი გამოეჩრა იღლიაში. სამჯერ შემოუარა იმ ყმაწვილმა მუხას, სამგზის აკოცა ხეს, შემდგომ ამისა თავი წააცალა მამალს, სისხლი აპკურა გარშემო მუხას, მამალი წაიღო და

გაუჩინარდა ტყეში“... გიორგი არსაკიძეს მიუბრუნდა: „ახლა ეს მითხარი, ჭაბუკო, მამალი რად დაგიკლავს მუხის ძირას იმ დღეს?“ „ყვავილი მოვიხადე გასულ კვირას, ბატონო, ამადაც შევსწირე წითელი მამალი ღვთაებას...“ (გამსახურდია 1976: 97-101).

რომან „დიდოსტატის მარჯვენის“ ამ ეპიზოდითაც დასტურდება, რომ წარმართული რიტუალები კონსტანტინე გამსახურდიას რომანებში გაერთიანებული და სინთეზირებულია ქრისტიანულ რიტუალებთან. კერძოდ, ქრისტიანი არსაკიძე არ ივიწყებს და აღასრულებს წარმართულ რიტუალს და წითელ მამალს შესწირავს წარმართულ მუხის ღვთაებას.

„დიონისოს ღიმილში“ აღწერილია ვენახის გამოლოცვის წარმართული რიტუალი, რომელსაც თავისი ვენახის ავი თვალისა და სეტყვისა და გვალვისაგან დასაცავად - სუჯუნის წმინდა გიორგი სახელზე აღავლენს კონსტანტინე სავარსამიძის მორდუ - ტაია შელია, რომელიც ასევე – სუჯუნის წმინდა გიორგის ქადაგია: „...განსაკუთრებით ვენახის გამოლოცვა მიყვარდა! ნების კვირას ძიძა კვერებს დააცხობდა ოჯახის როგორც ცოცხალ, ისე მიცვალებულ წევრებისათვის. კვერებს, კაკალს, თაფლის სანთლებს, ფეტვის მარცვლებს მორდუ ხონჩაზე დაალაგებდა. ძიძა სახლში დარჩებოდა. მორდუს ვენახში მივყავდით. აქ ვაზის ძირში დაიჩოქებდა. სუჯუნის წმიდა გიორგის შეავედრებდა თავის ვენახს. „შენ დაიფარე, წმიდაო გიორგი ჩემი ვენახი ავი თვალისა, სეტყვისა და გვალვისაგან. შენ დაიფარე წმიდაო გიორგი“. მე გაოცებული შევჰყურებდი მის ლიტანებს. ოცვის შემდეგ, რომელიმე ჩვენგანი მიწას შემოათხრიდა ვაზს. ფეტვსა და კაკალს ჩავყრიდით. ისევ მიწას დავაფარებ...“ (გამსახურდია 1976: 383).

რომან „მთვარის მოტაცებაში“ აღწერილია გაცხენების წარმართული რიტუალი, რომელსაც ასრულებს - ლუკაია ლაბახუა: „ლუკაიამ იმავე საღამოს თერდობის ლოცვა გამართა. გააკეთებინა პურის ცომისაგან პაწია ქანდაკებანი: ცხენისა, უნაგირისა, სადავისა, მოსართავისა და მათრახისა. ეს ყოველივე ხონჩაზე დაელაგებინა, შემდეგ ღვინო გადაასხა, ხონჩა კერის აღმოსავლეთით დადგა. ძგიდეებზე თაფლის სანთლები მიამაგრა და აანთო. ჩაბალახით პირი

შეიბურა, ხელები წაიკარწახა, დაოთხდა, რამდენჯერმე ჭიხვინითა და ხვიხვინით გარს შემოუარა ხონჩას, პირით იღებდა ცხენის მოდელს, კარისაკენ მიდიოდა და წიხლებს უშენდა კარს და ნაბუქოდონოსორ მეფესავით ოთხზე შემდგარი ტლინკებს ისროდა და ხონჩიდან ღვინოს სვამდა...“ (გამსახურდია 1973: 123).

ასე ასრულებს გლახაკი ლუკაია ლაბახუა წარმართულ რიტუალებს, რაც წარმართული და ქრისტიანული კულტურების სინთეზზე მიანიშნებს კონსტანტინე გამსახურდიას რომანებში.

„მთვარის მოტაცებაში“ აღწერილია წაბლისფერთმიან წყლის დედისა და მონადირის ამბავი, რომლებსაც არზაყანი, თარაში და ძაბული ასრულებენ და ხშირად ცილობა მოუდით, ვინ უნდა იქნეს წყლის დედა და ვინ მონადირე: „...და საღამოს ჟამს, როცა გრძელი ლანდები აიტუზებიან კაც ზვამბაიას ფაცხის კუთხეებში, არზაყანი და თარაში უკვე წვანან, შიშისაგან ცახცახებენ და ურთიერთს ეხუტებიან. ძიძა რძეს აუდუღებს ბალღებს და დაძინების წინ უამბობს წაბლისფერთმიან წყლის დედის ამბავს. და წყლის დედას თურმე წინ ტაბლა უდგას. ტაბლაზე სარკე და სანთელი შვიდი. დაინახავს თუ არა მონადირეს, ათ თითს უჩვენებს, ათი წელი ერთად დავწვეთო. ვინ უნდა იქნეს წყლის დედა? ვინ მონადირე? არზაყანსა და თარაშს ცილობა მოუვათ ამის გამო. ბოლოს განჩინებას გამოიტანენ: არც ერთი. ძაბული უნდა გახდეს წყლის დედა, რადგანაც ძაბულისაც წაბლისფერი თმა აქვს...“ (გამსახურდია 1973: 135).

რომან „დიდოსტატის მარჯვენაში“ აღწერილია თუ როგორ შემუსრა კვეტარის ერისთავმა თალაგვა კოლონკელიძემ ეკლესიები და ხატები და სამრეკლოებზე თოკით ჩამოჰკიდა ხუცები და ბერები. ფხოველებს არაგველებიც შეერთებიან და ბორცვებზე კვლავ აღუმართავთ ბომონები და სამი დღე როკავდნენ კერპების წინაშე და გამარჯვებას ზეიმობდნენ ლუდით გალეშილი ბრბოები: „...შემდგომ ამისა, შესევია თურმე კოლონკელიძე თავის ლაშქრით არაგვის ხეობას, ეკლესიები გადაუბუგავს, ხატები შეუმუსრავს, ხუცები და ბერები სამრეკლოებზე დაუკიდნია თოკით, ბორცვებზე ბომონები აღუმართავთ კვლავ, არაგველებიც შეერთებიან ფხოველთა და მათთა მიმყოლთა, ღამეები უთევიათ კერპებისათვის, ძენი და ასულნი შეუწირავთ უძველესს წესისამებრ.

სამი დღე და ღამე როკავდნენ თურმე ბომონების წინაშე და გამარჯვებას ზეიმობდნენ ლუდით გალეშილი ბრბოები...“ (გამსახურდია 1976: 17-18).

კონსტანტინე გამსახურდიას რომანებში უამრავი წარმართული რეალიაა გამოყენებული, რომელთაგან მთავარი – წმინდა გიორგის კულტი ანუ ქართული წარმართული პანთეონის მთავარი ღვთაების – მთვარის კულტია. ეს ნიშნავს, რომ წმინდა გიორგის რელიგიურ რიტუალებს კონსტანტინე გამსახურდიას რომანებში მთვარის ფაზები განსაზღვრავს და წმინდა გიორგის კულტის სახით მწერლის რომანებში ქართული წარმართული – მთვარის კალენდარული სისტემაა წარმოდგენილი.

კონსტანტინე გამსახურდიას ნოველაში „ტაბუ“, აღწერილია სუჯუნის წმინდა გიორგის რელიგიური რიტუალი. ეს რიტუალი სოფლელებმა ჩაატარეს 23 აპრილს გიორგობა დღეს. მოხუცებული ხახუ ხარბედია ჩაჰკეტეს საღამოს საყდარში, რომელსაც წმინდანი გამოეცხადა და დაარიგა. ხოლო მეორე დღეს ქადაგად დავარდნილმა ხახუ ხარბედიამ ხალხს აუწყა წმინდანის ნება: „...ყველა მოუთმენლად მოელოდა 23 აპრილს. მოაწია გიორგობამ. აიყვანეს სოფელში დარჩენილები. საქონელი სუჯანს წაასხეს. სულზე ცხრა ხარი დაიკლა იმ ღამეს, უმაგალითო ღამისთევა გაუმართეს წმინდანს. ხახუ ხარბედია ჩაჰკეტეს საღამოს საყდარში და, ვენაცვალე მის ძალას და მადლს, წმინდანი გამოეცხადა და დაარიგა. მეორე დღეს ქადაგად დავარდა ხახუ ხარბედია და აუწყა ნაჭყვედელებს წმინდანის ნება. მლოცველები ნაჭყვედში დაბრუნდნენ. ხელფეხი შეუკრეს ხვარამზეს და მორევში გადააგდეს. წყალმა არ მიიღო ეშმაკის თანაზიარი. ხვარამზე სამგზის დადაღეს. დაანგრიეს ხვარამზეს სახლი. ბალავერში მორგვისოდენა შავი მორიელი იპოვნეს. სუჯუნის გიორგის ბოძალზე ააგეს მორიელი და ეკლესიის ცაცხვზე ლურსმანით მიაჭედეს სამგზის...“ (გამსახურდია 1980: 286).

ამის შემდეგ ხახუ ხარბედიამ წარმოსთქვა ლოცვა ქრისტიანული წმინდა ერთარება სამებისა და სუჯუნის წმინდა გიორგის სახელზე. აქედან ნათელი ხდება, რომ ნოველაში „ტაბუ“ სუჯუნის წმინდა გიორგის კულტს გააჩნია

სინთეზური სახე, რომელშიც შერწყმულია წარმართული და ქრისტიანული რელიგიური კულტები.

ნოველაში აღწერილი - სუჯუნის წმინდა გიორგის რელიგიური რიტუალი იგივე - თეთრი-გიორგის რელიგიური რიტუალია. სუჯუნის წმინდა გიორგის ქადაგის - ხახუ ხარბედიას გაიგივება - თეთრი-გიორგის ხატის მონებთან ადასტურებს მოსაზრებას, რომ ნოველაში „ტაბუ“, ისევე როგორც კონსტანტინე გამსახურდიას რომანებში - „დიონისოს ღიმილში“ და „მთვრის მოტაცებაში“ ქართული წარმართული მთვარის კულტის ელემენტებია წარმოდგენილი.

კონსტანტინე გამსახურდიას რომანებში „დიონისოს ღიმილსა“ და „მთვარის მოტაცებაში“ გამოყენებულია, აგრეთვე, ბერძნული მითოლოგიის ღმერთის - დიონისოს კულტი, რომელსაც გერმანელი ფილოსოფოსისა და მოაზროვნის – ნიცშეს რელიგიურ-ფილოსოფიურ ნააზრევში – ქრისტეს კულტთან ერთად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ ნიცშეს ნააზრევიდან აქვს ნასესხები მწერალს ზეკაცისა და „მარადიული დაბრუნების“ რელიგიურ-ფილოსოფიური კონცეფციები, რომლებიც მის რომანებში - „დიონისოს ღიმილში“ და „მთვარის მოტაცებაშია“ ასახული და ეს კონცეფციები წარმართული ბერძნული მითოლოგიის ღმერთის - დიონისოს კულტს უკავშირდებიან (ს. სიგუა).

მომავალი მწერალი კლასიკურ ევროპულ განათლებას ეზიარა ევროპაში, სადაც იგი გაემგზავრა სასწავლებლად და სწავლის პროცესში ბევრს მოგზაურობდა და ევროპის უნივერსიტეტების ცნობილი პროფესორებისაგან ისმენდა ლექციებს.

კონსტანტინე გამსახურდიას მიერ ევროპაში გატარებული წლების შესახებ მწერლის ვაჟი ზ. გამსახურდია აღნიშნავს, რომ ამ წლებში განსწავლამ და მოგზაურობამ ევროპის სხვადასხვა ქალაქებში მწერლის სულშიც ასახა ესთეტიზმის, ნიცშეანიზმის და დიონისიზმის სამსალა, რაც შემდეგ მის პირველ რომანში „დიონისოს ღიმილში“ აისახა: „...შემდეგ დადგა განსწავლისა და მოგზაურობის წლები. ბერლინში, რომში, პარიზში მწერალი სწავლობს კათოლიკურ თეოლოგიას და ფილოსოფიას, კულტურასა და ხელოვნებას, ეწაფება ქრისტიანულ მისტიკას, სვედენბორგისა და შტაინერის მოძღვრებებს.

თუმც, ამავე დროს, მასაც შეეხო ეპოქის სენი, ესთეტიზმის, ნიცშეანიზმის და დიონისიზმის სამსალა მასაც ჩაეწვეთა სულში. ამ ეპოქიდან იწყება მასში გაორება, რაც აირეკლა მის პირველ რომანში „დიონისოს ღიმილი“, როგორც გმირის გაორება ქრისტე-დიონისოს შორის. ეს გაორება ტრადიციულია და ამავე დროს, ეს არის მისი თანამედროვე ევროპული კულტურის სახე. ესაა გაორება იულიანე აპოსტასისა, გოეტესი, ვაგნერისა, ნიცშესი...“ (გამსახურდია 1991: 378).

მწერალი თავის ბიოგრაფიულ რომან - „ლანდებთან ლაციცში“ აღნიშნავს, რომ შტაინერისა და სვედენბორგის ნაწერებით დაინტერესებამ გამოუნელა ფრიდრიხ ნიცშესადმი სიყვარული, რომლითაც გატაცებამ მას პირველი ბიძგი მისცა გერმანული ენის შესწავლის საქმეში: „...რუდოლფ შტაინერისა და სვედენბორგის ნაწერებით დაინტერესებამ ერთი სიკეთე მომიტანა: მე უკვე გამომინელდა ფრიდრიხ ნიცშესადმი სიყვარული. არ დამავიწყდეს და ნიცშეთი გატაცებამ მომცა პირველი ბიძგი გერმანული ენის შესწავლის საქმეში. მე უკვე ქუთათურ ქართულ გიმნაზიაში ყოფნის დროს ისე კარგად ვიცოდი ეს ენა, „აგრე იტყოდა ზარატუსტრას“-ს პირველი თავები იმ ხანებში ვთარგმნე...“ (გამსახურდია 1967: 97).

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების რელიგიურ-ფილოსოფიური ნააზრევის ცნობილი მკვლევარი ს. სიგუა თავის წიგნში „მარტვილი და ალამდარი“ მიიჩნევს, რომ ისტორიული ქრისტიანობა უფრო პროგრესული რელიგიაა, ვიდრე წარმართობა. კ. გამსახურდიას გმირებმა ეს ყველაფერი კარგად იციან, მაგრამ მაინც ებრძვიან ქრისტეს მოძღვრებას: „ითვლება, რომ ისტორიული ქრისტიანობა უფრო პროგრესული რელიგიაა, ვიდრე წარმართობა. ისიც ნათელია, რომ ქრისტეს რჯულმა მნიშვნელოვანწილად დაიცვა ქართველი ხალხი აღმოსავლური აგრესიისაგან. ქართველმა ხალხმა შექმნა მდიდარი რელიგიური ხელოვნება და მწერლობა, ერთ-ერთმა პირველმა მიიღო და აღიარა ქრისტიანული რწმენა...

კ. გამსახურდიას გმირებმა ეს ყველაფერი კარგად იციან და მაინც ებრძვიან ქრისტეს მოძღვრებას. მწერლის თვალსაზრისის თეორიული საფუძველი ფრიდრიხ ნიცშეს კონცეფციაა, ხოლო ამოსავალი წერტილი – ქართული

სინამდვილე – მეფის რუსეთმა ხომ ქრისტეს სახელით მოახდინა საქართველოს ანექსია. პასტორის შვილმა ფრ. ნიცშემ მოგვცა გამანადგურებელი კრიტიკა ეკლესიისა, ქრისტიანული ზნეობისა, ქრისტიანული სიკეთის მრწამსისა. ის თაყვანს სცემდა ელინურ კულტურას, როგორც კაცობრიობის გონის უმაღლეს მიღწევას (ათი წელი იყო ბაზელის უნივერსიტეტში კლასიკური ფილოლოგიის პროფესორი). ამიტომ ქრისტიანობას უპირისპირებს ბერძნულ წარმართობას, დიონისოს კულტს, რომელიც ჯამრთელობის, სიჯანსაღის აპოლოგიაა. დიონისო ქადაგებს შვებას, ბედნიერებას, სიცოცხლეს. ხოლო ქრისტეს ემბლემაა ჯვარცმა. იგი ადამის მოდგმას ასუსტებს და აავადებს, მარტვილობისა და განდგომისაკენ მოუწოდებს, ეკლის გვირგვინს ადგამს... კ. გამსახურდიამ ეს კონცეფცია მიიღო, პირველ რიგში, ნაციონალურ ასპექტში. ქრისტიანობა უდაბნოს რელიგიაა, ხოლო წარმართობა – მშობლიური, რომლის მონათესავეა ბერძნული დიონისოს კულტი...“ (სიგუა 1991: 52-53).

თავის მეორე წიგნში „კონსტანტინე გამსახურდიას პროზის სტრუქტურა“ მკვლევარი ს. სიგუა გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ნიცშე ერთდროულად იყო დეკადენტიცა და მისი ანტიპოდიც. კ. გამსახურდიამ მიიღო ეს თვალსაზრისი. ამიტომაც, ასევე გაორებულია სავარსამიძისა და თარაშის ხასიათები: „...ნიცშე ერთდროულად იყო დეკადენტიცა და მისი ანტიპოდიც. სავარსამიძისა და თარაშის ხასიათები ასევე გაორებულია...

„ზარატუსტრას“ ავტორმა არა მხილოდ წარმართობა აღიარა, როგორც ადამიანური ცხოვრების სრულყოფილი და ჯანსაღი რელიგია, არამედ მისი კონკრეტული სახეც მოიაზრა. მან დიონისოს კულტი და რიტუალები დააყენა ყურადღების ცენტრში, რომელიც სხეულებრივი სიძლიერისა და სილამაზის ზეიმია. გამოჰყო კულტურის ორი ფორმა – დიონისური და აპოლონური. დიონისური სწრაფვა ნგრევისა და შენების, მარადიული დუღილის, მძაფრ ვნებათა მიმოქცევის მისტერიაა. ხოლო აპოლონური სული განასახიერებს სინატიფეს, ჰარმონიას, მოქანცულობას. პირველი მძვინვარე სტიქიონია, მეორე – არტისტული მშვენიერება. მათ ბრძოლაში ჩნდება ოპოზიციური წყვილები – სხეული და სული, თრობა და სიზმარი, ბოროტი და კეთილი, ბნელი და

ნათელი, ცხოვრების სტიქიური საწყისი და გონება. სინამდვილეს აწონასწორებს დიონისურ და აპოლონურ ძალთა მუდმივი შეტაკება და მონაცვლეობა. მათში ვლინდება სიცოცხლის სტიქიური რიტმი და წესრიგი.

კ. გამსახურდიამ მიიღო ეს თვალსაზრისი. მსგავსი ორმაგობა, როგორც დაპირისპირებულ ძალთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონი, ცხოვრების საზრისად აღიარა, მოპირისპირე წყვილეულთა არსებობა განვითარებისა და მოძრაობის საწინდრად ჩათვალა. ეს ორმაგი ხასიათი გადმოვიდა შემოქმედებაშიც. დიონისურ-აპოლონური დუალიზმი მოწყდა კონკრეტულ ფილოსოფიურ კონცეფციას, მხატვრულ სამყაროში მოექცა და ილუზიური სწრაფვის სახე მიეცა. ამიტომ წარმოადგენს კ. გამსახურდია წარმართობის და ქრისტიანობის ბრძოლას, როგორც სიმბოლურ, ისე ცხოვრების სფეროში. მისი სტილის განმსაზღვრელია ექსპრესიონისტული (დიონისური) და იმპრესიონი-სტული (აპოლონური) საწყისის ერთიანობა, პიროვნების ბუნების გამოკვეთილი პასივიზმი და აქტივიზმი, რაც სულიერ გაორებას იწვევს...“ (სიგუა 1980: 47-48).

კონსტანტინე გამსახურდიას რომანების მკვლევარი ე. შუშანია წიგნში „კონსტანტინე გამსახურდია“ სამართლიანად აღნიშნავს, რომ მწერლის თვალსაზრისით დიონისოს კულტში იხატება წამება და აკუწვა, ხოლო ბოლოს მისი მკვდრეთით აღდგომა – ხელმეორედ შობა: „...ვიდრე შევეხებოდეთ საკითხს, თუ რა ადგილი უჭირავს დიონისოს კონსტანტინე გამსახურდიას რომანში და რისი სიმბოლოა იგი, საჭიროა მოვიგონოთ, თუ როგორ წარმოედგინათ დიონისო ანტიკური ეპოქის ადამიანებს. ანტიკური კულტურის ცნობილი მკვლევარი, პროფესორი ვ. ლატიშევი წერდა: „ეჭვი არ არის, რომ დრამა წარმოიშვა რელიგიური სიმღერებიდან, რომლებსაც ასრულებდნენ დიონისოს დღესასწა-ულებზე. დიონისო იყო ღმერთი, რომელიც განაგებდა ბუნების წარმომქმნელ ძალებს. ბუნების მიძინება და კვდომა შემოდგომით და აღორძინება გაზაფხულის დაწყებასთან ერთად, უკვე ადრევე დაუკავშირეს თვით ამ ღმერთის სახეცვლილებებს, მის ბრძოლას, ტანჯვას, სიკვდილს და მკვდრეთით აღდგომას“. თავის ადრინდელ წერილში „თეატრი და ექსპრესიონიზმი“ კონსტანტინე გამსახურდია აღნიშნავდა: დიონისოს კულტში იხატება წამება და

აკუწვა. ბოლოს მისი მკვდრეთით აღდგომა – ხელმეორედ შობა...“ (შუშანია 1976: 51-52).

კონსტანტინე გამსახურდიას რომან - „დიონისოს ღიმილის“ შესახებ განსხვავებულ მოსაზრებას გვთავაზობს მკვლევარი ბ. ჟღენტი, რომელიც ამ ნაწარმოებს განიხილავს მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიური მოძღვრების საფუძველზე და მიიჩნევს, რომ ეს რომანი მეოცე საუკუნის ევროპული მოდერნისტული მხატვრული პროზის წიაღშია წარმოშობილი, გამსჭვალულია ბურჟუაზიული ცივილიზაციის ხრწნისა და ლპობის მამხილებელი პათოსით, მაგრამ ეს კრიტიკა მოკლებულია სოციალურ გააზრებას და რაიმე ჯანსაღ, პროგრესულ საზოგადოებრივ იდეალს. მკვლევარ ბ. ჟღენტის აზრით: „...კ. გამსახურდიას „დიონისოს ღიმილი“ ჩვენი საუკუნის ევროპული მოდერნისტული მხატვრული პროზის წიაღშია წარმოშობილი. მართალია, იგი გამსჭვალულია ბურჟუაზიული ცივილიზაციის ხრწნისა და ლპობის, მისი ამორალიზმისა და განუკურნებელი დაძაბუნების მამხილებელი პათოსით, მაგრამ რომანის ეს კრიტიციზმი მოკლებულია სოციალურ გააზრებას და რაიმე ჯანსაღ, პროგრესულ საზოგადოებრივ იდეალს. იგი უფრო იმ სულიერი კრიზისისა და დეპრესიის გამოხატულებაა, რომელმაც დასავლეთის ბურჟუაზიული ინტელიგენციის გარკვეული წრეები მოიცვა პირველი მსოფლიო ომის მომდევნო წლებში და რომელმაც ნაირსახეობრივი გამოვლინება ჰპოვა ჯერ გერმანელი ექსპრესიონისტების შემოქმედებაში, ხოლო უფრო გვიან ფრანგი მწერლის ლუი სელინის რომანში „მოგზაურობა ღამის პირად“, ხოლო უფრო ახლახან – ფრანგი ეგზისტენციალისტების რომანებსა და დრამებში...“ (ჟღენტი 1967: 30).

„დიონისოს ღიმილის“ რელიგიურ-ფილოსოფიური ასპექტის ამგვარი ინტერპრეტაცია მიუღებელია ნაწარმოების დღევანდელი მკვლევარისათვის.

გასაზიარებელია მკვლევარ ჯ. ღვინჯილიას მოსაზრება, რომელიც დადებითად აფასებს კონსტანტინე გამსახურდიას განსაკუთრებულ უნარს სიახლის გრძნობა მიიტანოს მკითხველამდე და აღძრას სევდა, ძველთან გამოთხოვებას რომ დაუნთია ადამიანთა სულში: „...როდესაც კითხულობთ „დიონისეს ღიმილსა“ და „მთვარის მოტაცებას“ თქვენ გრძნობთ ავტორის

განსაკუთრებულ უნარს, სისავსით მოიტანოს მეოცე საუკუნის რიტმი თქვენამდე – სიახლის გრძნობა თითქოს ყველაფერს ადნობს ირგვლივ, რასაც პატრიარქალური იერი ჯერ კიდევ შემორჩენია, ამ სიახლის გარდუვალობის, შეუჩერებელი სვლის ფორმები გიზიდავთ, როგორ ამჟღავნებენ ისინი სევდას ძველთან გამოთხოვებას რომ დაუნთია ადამიანთა სულში. რას ამსხვრევს ახალი, რას ვერ გუობს იგი, რატომ ხდებიან შეუთავსებელნი ქვეყანაზე და პატიოსნებაზე ერთნაირად შეყვარებული ადამიანები...“ (ღვინჯილია 1987: 38-39).

მკვლევარ ვ. ჯიბუტის აზრით, კონსტანტინე გამსახურდია დიდი ერუდიციისა და დიდი ინტელექტუალური გაქანების პროზაიკოსია, რომლის შემოქმედებაშიც მხატვარი როდი უპირისპირდება მოაზროვნეს, ან პირიქით, მოაზროვნე მხატვარს.

ეს მოსაზრება სავსებით მისაღები და გასათვალისწინებელია და გამოხატავს მწერლის შემოქმედების ძირითად არსს: „...კ. გამსახურდია დიდი ერუდიციის მწერალია, დიდი ინტელექტუალური გაქანების პროზაიკოსი. მაგრამ მის შემოქმედებაში მხატვარი როდი უპირისპირდება მოაზროვნეს, ან პირიქით, მოაზროვნე მხატვარს. იგი არ ღალატობს არა მარტო შემოქმედებითს უშუალობას, არამედ სინამდვილის მართლად და ობიექტურად გამოხატვის დიდ პრინციპსაც. ამიტომ ცხოვრებისეული სინამდვილის არავითარ დამახინჯებად არ მიგვაჩნია, რომ „მთვარის მოტაცებაში“ უხვად ვხვდებით უარყოფით პერსონაჟებს. ისინი თითქმის უკლებლივ მარცხდებიან. ეს ხდება არა ავტორის მიერ წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, არამედ სიმართლის კარნახით, სიმართლისა, რომლის ერთგულიც იგი ბოლომდე რჩება...“ (ჯიბუტი 1969: 161).

მითოლოგიური აზროვნების შესანიშნავი მკვლევარი ზ. გამსახურდია განიხილავს დიონისოს კულტის მითოლოგიური კვლევის საერთო თვალსაზრისს და აღნიშნავს, რომ დიონისო არის სიმბოლო ადამიანის უმაღლესი „მე"-სი, რომელიც დამკვიდრებულია ქვენა ბუნებაში და იღვიძებს სულში. მისტიური დიონისო, როგორც უმაღლესი „მე", შეესაბამება ქრისტიანობის პირველქმნილ, ზეციურ ადამს და კაბალის ადამ კადმონს: „თანამედროვე მითოლოგიური კვლევის საერთო თვალსაზრისით, დიონისე არის სიმბოლო ადამიანის

უმაღლესი „მე"-სი, რომელიც დამკვიდრებულია ქვენა ბუნებაში და იღვიძებს სულში. „ღვინო" სიმბოლურად არის დაკავშირებული „ცხოვრების ხესთან" (ვაზთან), რომელიც განტოტილია არსთა და საგანთა სამყაროდ. „ღვინო", „ყურძნის სისხლი“ არის სიმბოლო სულიერი ჭეშმარიტებისა და ცხოვრებისა, რომელიც ბანგავს და აუძლურებს ქვენა ბუნებას. აღსანიშნავია, რომ ზევსმა თავისი პირმშო დიონისე გადასარჩენად მიაბარა ნისას მთის ნიმფებს, რომელთაც იგი აღზარდეს გამოქვაბულში (სულის არაცნობიერ სიღრმეში). ამასთან ზაგრევსი ანუ მისტიური დიონისე, როგორც უმაღლესი „მე", არის სიმბოლო არქეტიპული კაცისა, რომელიც შეესაბამება ქრისტიანობის პირველქმნილ, ზეციურ ადამს, და კაბალის ადამ კადმონს..." (გამსახურდია 1991: 47).

ამ თვალსაზრიით, ღმერთი - დიონისო შეესაბამება – ქრისტეს, რომელიც თავად არის გამოვლინება ადამიანის უმაღლესი „მე“-ს, ქრისტიანობის პირველქმნილი, ზეციური ადამის.

კონსტანტინე გამსახურდიას რომან „დიონისოს ღიმილში" ვრცლადაა აღწერილი ბერძნული მითოლოგიის წარმართული ღვთაების დიონისოს კულტი, რომელსაც ნაწარმოებში მირზა ხანისა და ჯენეტის შვილი ფარვიზი წარმოადგენს.

მწერლის შემოქმედების დიდებული მკვლევარი ა. ბაქრაძე სამართლიანად აღნიშნავს, რომ კონსტანტინე სავარსამიძეს რომელმაც ვერც ერთ სიყვარულს ვერ უერთგულა, საოცარი ერთგულებით უყვარს ჯენეტის შვილი - ფარვიზი იმიტომ, რომ ფარვიზი - დიონისოა. ფარვიზის სიკვდილით, რომელიც ცხენმა უფსკრულში გადაჩეხა კონსტანტინე სავარსამიძისათვის მოკვდა მეორედ მოსული ღმერთი დიონისო: „...კონსტანტინე სავარსამიძეს, რომელმაც ვერც ერთ სიყვარულს ვერ უერთგულა, საოცარი ერთგულებით უყვარს ფარვიზი. ფარვიზი ჯენეტის შვილია და შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ქალისადმი ტრფობა შვილზეც გავრცელდა. მაგრამ სავარსამიძეს მაშინაც თავდადებით უყვარს ფარვიზი, როცა ჯენეტისადმი მიჯნურობა გაუნელდა და გაუქრა. ეს იმიტომ, რომ ფარვიზი დიონისეა. რომანში ამას მკაფიოდ ადასტურებს ხალილ ბეის სურათი „დიონისოს მეორედ მოსვლა“. ამ სურათზე დიონისედ ფარვიზია გამოსახული.

სხვაგანაც მრავალგზის ადარებს სავარსამიძე ფარვიზს დიონისეს. ფარვიზისა და დიონისეს იგივეობა იმას მოწმობს, რომ კონსტანტინე სავარსამიძე ფარვიზის სახით დიონისეს ეტრფის. მერე სავარსამიძემ ფარვიზი გაუხედნავ ცხენზე შესვა და ცხენმა ყმაწვილი უფსკრულში გადაჩეხა. მითოლოგიაში ცხენი მრავალგვარი ფუნქციის შემსრულებელია. ერთ-ერთი ფუნქცია ისიც არის, რომ ხტონური ღვთაებების თანამგზავრია და მიცვალებულთა სულია. დიონისეც ხტონური ღვთაებაა. ე.ი. ფარვიზი-დიონისე მისივე სულმა და თანამგზავრმა მოკლა, რაკი დიონისე ერთდროულად მსხვერპლიც არის და ქურუმიც. ფარვიზის სიკვდილით კონსტანტინე სავარსამიძისათვის მოკვდა მეორედ მოსული ღმერთი დიონისე...“ (ბაქრაძე 2004: 231).

გამოთქმულია მოსაზრება, რომ „დიონისოს ღიმილში“ დიონისო - წარმართობას განასახიერებს, ხოლო ქრისტე ქრისტიანობას. ადამიანის სულში ორივე არსებობს - წარმართული დიონისო, ანუ წარმართობა და ქრისტე, ანუ ქრისტიანობა. ადამიანში იმარჯვებს ერთ-ერთი მათგანი: ან – დიონისო, რომელიც მატერიალური საწყისის გამომხატველია, ან – ქრისტე, რომელიც სულიერ საწყის წარმოადგენს. ამ შემთხვევაში გაიმარჯვა ქრისტემ და დამარცხდა რომანის მთავარი გმირის საყვარელი ღმერთი - დიონისო. ეს ნაწარმოებში გაორებული ადამიანის გამთლიანების, ცოდვითდაცემულის გასრულყოფილების სიმბოლური, ალეგორიული გამოხატულებაა. ნაწარმოების მთავარ გმირში - კონსტანტინე სავარსამიძეში იმარჯვებს ავტორის სიტყვებით, რომ ვთქვათ, „უდაბნოს ღმერთი“ - ქრისტე, რომლის ალეგორიულ სახესაც თავად კონსტანტინე სავარსამიძე წარმოადგენს.

რომან „დიონისოს ღიმილის" დედააზრი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანში უნდა დამარცხდეს დიონისო, ანუ წარმართობა და გაიმარჯვოს ქრისტემ ანუ ქრისტიანობამ. ადამიანი უნდა განთავისუფლდეს წარმართული, ცოდვილი მიდრეკილებებისაგან და გამთლიანდეს, მიაღწიოს სრულყოფილებას.

წარმართულ ღმერთ დიონისოსა და ქრისტიანულ ღმერთ ქრისტეს დაპირისპირება სახარებაში შემდეგი სიტყვებითაა გამოხატული: „მაშ მოაკვდინეთ თქვენი მიწიერი ასოები: სიძვა, უწმინდურობა, ვნება, ბოროტი

გულისთქმა და ანგარება, რაც კერპთაყვანისმცემლობაა. რომელთა გამოც ღვთის რისხვა მოდის, რომელთა შორისაც თქვენც დადიოდით, როცა მათ შორის ცხოვრობდით. ახლა კი განიშორეთ ყოველივე ეს, რისხვა, მძვინვარება, ბოროტება, გმობა, თქვენი ბაგეების ბილწსიტყაობა. ნუ იცრუებთ ერთიმეორის მიმართ, რადგან შემოძარცული გაქვთ ძველი ადამიანი მისი საქმეებითურთ. და შეიმოსეთ ახალი, რომელიც განახლებულია შემეცნებით მისი შემოქმედის ხატისამებრ, სადაც არ არის არც ბერძენი, არც იუდეველი, არც წინადაცვეთა, არც წინადაუცვეთლობა, არ არის ბარბაროსი, სკვითი, მონა და თავისუფალი, არამედ ქრისტეა ყოველივე და ყოველივეში...“ (კოლას. 3.5-11).

კონსტანტინე გამსახურდიას ვაჟის ზ. გამსახურდიას სამართლიანი მოსაზრებით, ადამიანის გაორების ტრაგედიაა მოცემული „დიონისოს ღიმილში“ და „მთვარის მოტაცებაში“. თუ ღრმად ჩავუკვირდებით ამ რომანების დედააზრს, მივალთ დასკვნამდე, რომ ისინი ანტიდიონისური, ანტიპაგანური ქმნილებებია. აქ წარმართობის კრიზისი, დიონისიზმის კრიზისია აღწერილი. ამიტომაც უნდა ჰქონოდა „დიონისოს ღიმილს“ ლოგიკური გაგრძელება: „კონსტანტინე სავარსამიძის სერაფიმული ღამე“, სადაც გმირის სულიერი აღორძინება იქნებოდა აღწერილი, მაგრამ მწერალს ეს აღარ დასცალდა, ვინაიდან იგი სოლოვკის არქიპელაგზე გადაასახლეს: „...აი, ამ გაორების ტრაგედიაა მოცემული „დიონისოს ღიმილსა“ და „მთვარის მოტაცებაში“. არსებობს თვალსაზრისი, თითქოს ისინი ანტიქრისტიანული ნაწარმოებებია, მაგრამ თუ ღრმად ჩავუკვირდებით, ისინი უფრო ანტიდიონისური, ანტიპაგანური ქმნილებებია. ამ დასკვნამდის მივა ყველა, ვინც ღრმად ჩაუკვირდება მათ დედააზრს, როგორც, მაგალითად, აკაკი ბაქრაძე, რომელმაც „დიონისოს ღიმილს“ უძღვნა ბრწყინვალე გამოკვლევა „დიონისოს თვითმკვლელობა“. რომანში მართლაც, რომ გმირის სულიერი თვითმკვლელობაა აღწერილი, რაც გამოიწვია მასში დიონისური თრობის ექსტაზმა. აქ წარმართობის კრიზისი, დიონისიზმის კრიზისია აღწერილი. ამიტომაც უნდა ჰქონოდა ამ რომანს ლოგიკური გაგრძელება: „კონსტანტინე სავარსამიძის სერაფიმული ღამე“, სადაც გმირის სულიერი აღორძინება, მისი კვლავ ქრისტეს გზისკენ მოქცევა იქნებოდა აღწერილი, მაგრამ მწერალს ეს აღარ

დასცალდა, ვინაიდან იგი ამასობაში სოლოვკის არქიპელაგზე გადაასახლეს. სამაგიეროდ, სულიერი ტენდენცია ამ ნაწარმოებისა გაგრძელდა „დავით აღმაშენებელში“, სადაც ჩანს ქრისტეს გზის ტრიუმფი, წმინდა გიორგის რაინდის, ქრისტეს რაინდის დავით აღმაშენებლის ცხოვრებისა და მოქალაქობის აღწერით...“ (გამსახურდია 1991: 379).

მკვლევარი ზ. გამსახურდია თავის წიგნში „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“ ასევე აღნიშნავს, რომ წარმართული ბერძნული მითოლოგიის ღმერთ დიონისოს კულტთანაა კავშირში ვეფხის ტყავთან დაკავშირებული ინიციაციური რიტუალები: „...ვეფხის დაწინწკლული ტყავით, რომელსაც მრავალი ლაქა აქვს, ისევე როგორც ბროწეულის ათასმარცვლიანი გულით, სიმბოლიზებულია მრავლობითობის, წარმავლობის სფერო, ამსოფლიური ყოფა, ვეფხი, პანთერა, ქალღმერთ დემეტრეს ძალაა, მრავლობითობაში შემოსული. ასეთივე აუცილებელი ატრიბუტია ვეფხი დიონისესეული პროცესებისათვის...“ (გამსახურდია 1991: 49).

ზ. გამსახურდიას მოსაზრებით, დიონისო ვეფხისტყაოსანია: „...დიონისეს პროცესიებს, სხვათა შორის, მიუძღვის ვეფხვი. თავად დიონისეც ვეფხისტყაოსანია...“ (გამსახურდია 1991: 203).

ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში საინტერესო იქნებოდა პარალელის გავლება შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანთან“, სადაც ასევე აღწერილია ვეფხის ტყავის სიმბოლიკასთან დაკავშირეული რიტუალები, რომელიც ნაწარმოების მთავარი გმირის – ტარიელის ვეფხის ტყავის კაბით შემოსვას და ვეფხის ტყავის ნატებზე დაჯდომას უკავშირდება.

ამ საკითხის შესახებ, ჩვენს წიგნში „საღვთო სახეთა სიმბოლიკა“ გამოვთქვით მოსაზრება, რომ ვეფხის ტყავთან დაკავშირებული რიტუალები რომლებიც „ვეფხისტყაოსანშია“ აღწერილი ქრისტიანულ სარწმუნოებას უნდა უკავშირდებოდეს. აქ მოვიყვანთ მხოლოდ ერთ მაგალითს აღნიშნული გამოკვლევიდან, სადაც ავღნიშნავდით, რომ: „...ბიბლიურ-ქრისტიანულ საღვთისმეტყველებო იდეას წარმოადგენს იესო ქრისტეს ნათლისღება (მათე 3.13-17); რომელიც „ვეფხისტყაოსანში“ სიმბოლიზებულია ტარიელის მიერ ვეფხის

ტყავის შემოსვით (ტარიელი – იესო ქრისტე; ვეფხის ტყავი – ნესტან-დარეჯანი, ეკლესია, სასუფეველი, „ხელახლა შობა“);

„რომე ვეფხი შვენიერი სახედ მისად დამისახავს,

ამად მიყვარს ტყავი მისი, კაბად ჩემად მომინახავს;

ესე ქალი შემიკერავს, ზოგჯერ სულთქვამს, ზოგჯერ ახავს,

რადგან თავი არ მომიკლავს, ხრმალი ცუდად მომიმახავს“. (662); (ღლონტი 2008: 26).

აქედან გამომდინარე იბადება მოსაზრება, რომ ვეფხის ტყავთან დაკავშირებული ინიციაციური რიტუალები, რომლებიც ღმერთ - დიონისოს პროცესებისათვის იყო დამახასიათებელი, ქრისტიანული ნათლისღების წინასახეს წარმოადგენდა.

წარმართული ბერძნული მითოლოგიის ღმერთი - დიონისო ინიციაციაქმნილი, „ხელახლა შობილი“ ღვთაებაა და ამიტომაც უკავშირდება მას ვეფხის ტყავის სიმბოლიკა, რომელიც ფიგურირებს - დიონისოს რელიგიურ რიტუალებში: „...ლუვრში ვუჩვენე იშვიათი დიონისოს კოლლექციები: ყრმა დიონისოს ფერიები ოქროს აკვანს ურწევენ. მარმარილოს ჰერმესს ხელში აჰყავს ყრმა დიონისო და უჩვენებს მომღიმარ ლაჟვარდს, უსაზღვრო სინათლეს. ღვინისფერ მარმარილოს სატირს ყრმა დიონისო უჭირავს ხელში. იგი შუა გადაჭრილ ხის ტანს მიჰყრდნობია, ხის ტანზე ვეფხის ტყავია გადაკიდებული, ყრმა დიონისო ყურძნის მტევანს სწოვს. „ამას რაფაელის მადონა შორს სჯობია, ჩჩვილი იესო რომ უკავია ხელში", ამბობს ჯენეტი. დიონისოს, ზეაწეულ მარჯვენა ხელში, ქალის ძუძუს მაგვარი ღვინის თასი უჭირავს. მის გვერდით, მათხოვრის ძონძებში შემოსილი ტანმორჩილი ეროსი დგას. დიონისო - ბერძნულ ვაზებზე, დიონისო ფერად-ფერადი მარმარილოს რელიეფებზე, დიონისო - ძველ ბერძნულ ფულებზე და მედალებზე ამოჭრილი. ტრიუმფით მიმავალ დიონისოს ხელში სპილოს ძვლის კვერთხი უპყრია. მოცეკვავე არიადნე ტანზე ეხუტება აზიიდან ახლად მოსულ ღმერთს..." (გამსახურდია 1976: 439-440).

რომან „დიონისოს ღიმილში“ ხშირადაა აღწერილი ღმერთ დიონისოსთან დაკავშირებული მისტერიები, სადაც იგი ყოველ პოზაში, ყოველ

მდგომარეობაშია გამოყვანილი: მოწყენილი, აღტაცებული, შეზარხოშებული, ტრიუმფით მიმავალი, მეომარი და მდუმარე. მაგრამ, როგორც კონსტანტინე სავარსამიძე იტყოდა: არსად მომღიმარი დიონისო მას არ შეხვედრია: „...კვირას ვნახე ვილლა ალბანოში: დელფინზე მჯდომარე დიონისო. იქვე ენდროსფერ მარმარილოს დიონისო, - თეთრად მოსილი ქალები დიონისოს მისტერიების ზიარებას მოელიან, ჭაბუკ ღმერთს ოდნავ ქალური ძუძუები აქვს. სხეულის კომპოზიციაში ქალურ-ვაჟური ელემენტებია არეული. ქალური ნაკვთების სირბილე და ელასტიურობა. შუა დარბაზში ბრტყელ ლოდზე მწოლარე, იქვე სახედარზე გადამჯდარი დიონისოს შეზარხოშებული სატირი ადევნებია. ურცხვად იღრიჭება. ერთი კედლის რელიეფიც: დიონისო ველურ ცხენებს ხედნის. ზემელე საიქიოდან შესცქერის, თუ როგორ ეხვევა ყრმა დიონისო თავის დედას, დიონისო ვერძისრქებიანი, დიონისო ლომის სახისა, მრისხანე, შეუბრალებელი, გამძვინვარებული ღმერთი.

კაპიტოლის მუზეუმში დიონისოს მოყვითალო მარმარილოს ქანდაკება: აქაც ქალური დიონისო. შუბლზე ორი თითის სიგანე ლენტი აქვს შემოვლებული. ხუჭუჭი, ზღვის ჭავლივით მოლივლივე თმა მხრებამდის სწვდება. ყურები არ უჩანს. ბაგე სანახევროდ გაღებული. თავი ოდნავ მარცხნით გადახრილი, ნელი მელანქოლია იხატება ამ თვალებში, ისინი კაპიტოლის ვენერის გამოხედვას მაგონებენ. ვატიკანში, კაპიტოლში, ვილლა ბორგეზეში, ვილლა ალბანოში, ყოველ პოზაში, ყოველ მდგომარეობაში ვნახე ჩემი საყვარელი ღმერთი, მოწყენილი, აღტაცებული, შეზარხოშებული, ტრიუმფით მიმავალი, მეომარი და მდუმარე. მთელი კვირა მხოლოდ დიონისოს კოლლექციებს ვათვალიერებდი, მაგრამ არსად მომღიმარი დიონისო მე არ შემხვედრია“ (გამსახურდია 1976: 492-493).

რომან „დიონისოს ღიმილის“ მთავარი გმირი კონსტანტინე სავარსამიძე შეყვარებულია ღმერთ - დიონისოზე. იგი მისი ცხოვრების იდეალს წარმოადგენს. სამაგიეროდ, რომანში უარყოფილი და დაგმობილია „უდაბნოს ღმერთი" - ქრისტე. ნაწარმოების მთავარ გმირს სძულს ქრისტე. იგი ხელჯოხს მოუქნევს და დაანგრევს ჯვარცმას, ფეხით გათელავს წაქცეულ ჯვარს და უშვერი სიტყვებით ჰგმობს ქრისტეს: „...ფიქრში წასული მთავარ შარას გადავცდენივარ. ვიწრო

ბილიკზე უშველებელი შავი ძელის ჯვარზე გაკრული ქრისტე! უდაბნო შემომცქერის მის განაწამებ, დაღრეჯილ სახიდან. მისმა შეხედვამ ისეთივე უსიამოვნო ჟრუანტელი მომგვარა, როგორც ბავშვობაში, როცა პირველად ვნახე. მოვუქნიე ჩემი ხელჯოხი ამ სმარაგდისფერ სამოთხეში აღმართულ უდაბნოს ღმერთს. დაინგრა ჯვარცმა. ნაფშვენებად იქცა გიპსის ხატება, ფეხით გავთელე წაქცეული ჯვარი და უშვერი სიტყვებით ვგმე ქრისტე...“ (გამსახურდია 1976: 530).

მაგრამ სინამდვილეში, თავისი ჭეშმარიტი არსით „დიონისოს ღიმილი" ანტიდიონისური ნაწარმოებია, სადაც მოცემულია - დიონისური, წარმართული გზის კრიზისი, რომელმაც ნაწარმოების მთავარი გმირი სულიერ თვითმკვლელობამდე მიიყვანა.

ნაწარმოებში გაკრიტიკებულია - დიონისური ექსტაზისა და თრობის, ბოჰემის გზა, რომელსაც სულიერ თვითმკვლელობამდე მიჰყავს ადამიანი. წარმართული დიონისური კულტის მსხვრევისა და განადგურების ფინალი მოცემულია - ფარვიზის სიკვდილით, რომელიც რომანში ღმერთ - დიონისოს ალეგორიულ სახე-სიმბოლოს წარმოადგენს. ეს თავად ნაწარმოების მთავარ გმირში - კონსტანტინე სავარსამიძეში განხორციელდა ღმერთ დიონისოს სიკვდილი. თავად მის სულში მოხდა მისი გაორებული პიროვნების იმ ნაწილის სიკვდილი და განადგურება, რომლის სათაყვანებელ საგანსაც წარმართული ბერძნული მითოლოგიის ღმერთის - დიონისოს კულტი წარმოადგენდა.

დიონისური საწყისის განადგურების, მისი ალეგორიული სახე-სიმბოლოს - ფარვიზის სიკვდილის შესახებ საუბარია ნაწარმოების ფინალში, სადაც ნაჩვენებია თუ როგორ გადაიჩეხა კლდეზე ცხენზე მჯდომი ფარვიზი, რამაც დამღუპველად იმოქმედა ნაწარმოების მთავარი გმირის - კონსტანტინე სავარსამიძის ცხოვრებაზე, რადგანაც - ფარვიზი ანუ ღმერთი დიონისო წარმოადგენდა მისი ცხოვრების მთავარ მიზანს: „...ფარვიზის ტრაგიკულ დაღუპვის ამბავს მიუბრუნდა, იგონებს თავის გაზრდილის ბავშვობას. „იგი სხვა ბავშვებს არა ჰგავდა, იგი უცილოდ ღმერთის წილი იყო... შვენიერსა და ღვთაებრივს, მაინც არ შეუძლია დიდხანს დავანება ამ წყეულ წუთისოფელში. მიტომაც ასე უდროოდ გაგვშორდა" - მოსთქვამს საბრალო მოხუცი. ფარვიზის

სურათს შესცქერის თვალცრემლიანი. არც მე ვაშორებ თვალს ამ სურათს, ვწყევლი იმ ნისლიან საღამოს, როცა ხალილ ბეიმ მირზა-ხანის კაბინეტში ეს ქაჯისებური სიტურფე მაჩვენა პირველად და მთლად ააფორიაქა ჩემი ბობოქარი სული. ახლა კი ვხედავ... ეს ყოფილა თვითონ ფათერაკი...

სმარაგდის ტალღებიდან ამოდის ნორჩი, პირშიშველი ჭაბუკი. მისი ფეხები – ორი სვეტი სპილოს ძვლით ნაკვეთი, მისი მუცელი – მარმარილოს დაფა, შვენიერების ათი მცნების ზედ წასაწერი. მისი ტანი – ძველი სპილოს ძვლისფერი ქანდაკი.

მისი ყურები – ორი თეთრი სადაფი. მისი პატარა, მოგრძო თავი – უკეთილშობილეს რასსას ამჟღავნებს. შავ წარბებს ქვეშ ირიბულად გაჭრილ ქუთუთოებიდან იმზირებიან მისი მუქლურჯი თვალები.

მკვდრეთით აღმდგარი ღმერთი დიონისო ამოდის ისევ ხმელზე, ელემენტებისაგან ახლადშობილი, ექსტაზი ისახება მის ტუჩების გახსნაში და შვებისა და თრობის ღმერთი უღიმის საშემოდგომოდ მოღუშულ აბასთუმნის ბუნებას და ჰპირდება მარადიულ გაზაფხულსა და უკვდავებას..." (გამსახურდია 1976: 678-679).

კონსტანტინე გამსახურდიას რომანებში გამოყენებულია ზეკაცისა და „მარადიული დაბრუნების“ იდეები.

მწერლის რომანებში ზეკაცისა და „მარადიული დაბრუნების“ იდეის საკითხებს, სხვა საკითხებთან ერთად იკვლევდა მწერლის შემოქმედების ცნობილი მკვლევარი ს. სიგუა, რომელიც თავის კვლევებში აღნიშნავს, რომ სიცოცხლე დროსა და სივრცეში მარადიული განმეორებაა, რაც ერთხელ იყო, ის აღარ დაბრუნდება, მაგრამ მეორდება მისი არსი. ყოველი წინსვლა ამავე დროს უკუსვლაცაა. მარადიული დარუნება შეგვახვედრებს ზეკაცს. ღმერთი დიონისო ყოფიერების მუდმივ ცვლას ასახავს და, როგორც ყოველი მითი, მარადიული დაბრუნების ნიშნითაა აღბეჭდილი: „...კონსტანტინე, თარაში, არზაყანი და გიორგი ერთდროულად არიან როგორც ბოროტი, ისე კეთილი ნების ადამიანები ანუ ბოროტისა და კეთილის მიღმა მდგარი ზეკაცები... დიონისური, წყნარი და მძვინვარე ღვთაებრივი ძალა სამყაროში უსასრულოდ მეორდება, იღუპება და

კვლავ აღდგება... სიცოცხლე დროსა და სივრცეში მარადიული განმეორებაა, რაც ერთხელ იყო, ის აღარ დაბრუნდება, მაგრამ მეორდება მისი არსი. ნიცშეს აზრით, ყოველი წინსვლა ამავე დროს უკუსვლაც არის. მარადიული დაბრუნება შეგვახვედრებს ზეკაცს. თვით დიონისო, როგორც კვდომადი და გაცოცხლებადი ბუნების სიმბოლო, ყოფიერების მუდმივ ცვლას ასახავს და, როგორც ყოველი მითი, მარადიული დაბრუნების ნიშნითაა აღბეჭდილი...

მას შემდეგ, რაც გაქრა შიში ხილული სამყაროს მიღმა მდგარი უნივერსისადმი, ფრ. ნიცშემ იმედი გადაიტანა ბედისაგან რჩეულ ინდივიდზე – ზეკაცზე, რომელიც უმაღლესი ადამიანის ხატებაა... ზეკაცის მითი სწრაფად გავრცელდა ლიტერატურასა და ცხოვრებაში და რაც ყველაზე საბედისწერო აღმოჩნდა – პოლიტიკაშიც; ჰიტლერმა და სტალინმა აღასრულეს ფილოსოფოსის ბესტიალური ოცნება (საინტერესოა, რომ „ზეკაცისა“ და „მარადიული დაბრუნების“ იდეა ნიცშემდე გვხვდება დოსტოევსკისთან). იგი საგრძნობლად აირეკლა კ. გამსახურდიას მე-2 პერიოდის პროზამ და „დიდოსტატის მარჯვენამ“. ოღონდ როგორც წერილებთან შეპირისპირება, თავად ნაწარმოებების განხილვა ცხადყოფს, ნიცშეს იდეები, რომელსაც „თანამედროვეობის შეუდარებელ ჰეროლდს“ უწოდებდა, თავისებურად ესმოდა და მასში ჯანსაღი, ნამდვილი ცხოვრების დამკვიდრების ნებას ხედავდა...“ (სიგუა 1991: 57-60).

აქ მოყვანილ ეპიზოდს კარგად თუ გავიაზრებთ დავინახავთ, რომ ზეკაცისა და „მარადიული დაბრუნების“ იდეები სხვა არაფერია, თუ არა სამყაროს წრეზე ბრუნვა. სხვა გალაქტიკების მსგავსად ჩვენი მზის სისტემაც წრეზე ბრუნავს. რაც ერთხელ იყო ის აღარ დაბრუნდება, მაგრამ მისი არსი მარადიულად მეორდება.

აქედან გამომდინარე, ზეკაცისა და „მარადიული დაბრუნების“ იდეები ჩვენი აზრით, ბიბლიას უნდა უკავშირდებოდეს.

იდეა ზეკაცისა - ღვთაებრივი ადამიანისა, რომელიც სძლევს ყოველგვარ ადამიანურ სისუსტეს და ღმერთს უტოლდება, ქრისტიანობიდან, იესო ქრისტეს პიროვნებიდან გამომდინარე იდეაა და არა მხოლოდ გერმანელი ფილოსოფოსის - ნიცშეს მიერ შექმნილი ფილოსოფიური ნააზრევი, რომელიც მის შემოქმედებაში აისახა.

ბიბლია იცნობს მესიის ორ სახეს - დამცირებულს, კაცთაგან უარყოფილსა და დაწუნებულს - რომელიც ისტორიულ იესო ქრისტეში განხორციელდა, რომელმაც საკუთარი სიცოცხლის ფასად გამოისყიდა ადამიანთა მოდგმა ცოდვითდაცემისაგან და მეორე სახეს - ძლიერებით მომავალს ღრუბლებსა ზედა თავის ზეციურ ანგელოზებთან ერთად, რომელმაც უნდა განიკითხოს ცოდვილი კაცობრიობა. აპოკალიფსური სახე მესიისა, მხსნელისა, ზეციური უფლისა - რომელმაც მისი პირიდან გამომავალი ბასრი მახვილით უნდა განიკითხოს კაცობრიობა - წმინდანებს სასუფეველი დაუმკვიდროს, ხოლო ცოდვილები ჯოჯოხეთში ჩაყაროს, არის საფუძველთა-საფუძველი ზეადამიანურობისა, ადამიანის ზებუნებრივი ძალისა და ძლიერების გამოვლენისა, ზეკაცისა.

ეს იდეა იოანეს გამოცხადებიდან იღებს სათავეს: „ვიხილე ცა გახსნილი, და თეთრი ცხენი და მისი მხედარი იწოდება ერთგულად და ჭეშმარიტად, და სიმართლით განიკითხავს და იბრძვის. მისი თვალები ცეცხლის ალსა ჰგავდა, მას თავზე მრავალი ჯიღა ედგა და ზედ ეწერა სახელი, რომელიც მის მეტმა არავინ იცის. ემოსა სისხლში ამოვლებული სამოსელი. მისი სახელია: „ღვთის სიტყვა“. ციური ლაშქარი მისდევდა მას თეთრ ცხენებზე, თეთრი და წმიდა ბისონით შემოსილი. მისი პირიდან გამოდიოდა ბასრი მახვილი, რომელიც შემუსრავს ერებს, და იგი დამწყემსავს მათ რკინის კვერთხით; იგი წურავს ყოვლისმპყრობელი ღვთის რისხვის მძვინვარების ღვინის საწნახელს. მის სამოსელზე და მის თეძოზე აწერია სახელი: „მეფეთა მეფე და უფალთა უფალი“. (იოანეს გამოცხ. 19.11-16).

ბიბლიიდან, კერძოდ „დაბადებიდან“ უნდა იღებდეს სათავეს „მარადიული დაბრუნების“ იდეა. „დაბადებაში“ აღწერილია ღმერთის მიერ - მზის, მთვარის და ვარსკვლავების შექმნის სურათი, როცა შეიქმნა ეკლიპტიკის ზოდიაქური სარტყელი, დიდი წრე. ეს საკითხი უკავშირდება კალენდარული აღრიცხვის სისტემას, რომელიც დღის განმგებლის – მზის და ღამის განმგებლის – მთვარის შექმნას უკავშირდება. ეს მნათობები სწორედ იმიტომ შეიქმნა, რომ განეგოთ დღე და ღამე. მათი მოძრაობით აღერიცხათ დღეები და წელიწადები (დაბ. 1.14-19).

სწორედ, მთვარის ბრუნვა დედამიწის გარშემო და დედამიწის ბრუნვა მზის გარშემო ანუ მთვარე-მზის კალენდარული სისტემა უნდა წარმოადგენდეს ჩვენი აზრით, „მარადიული დაბრუნების“ იდეის ამოსავალ წერტილს, რომელიც ნიცშეს შემოქმედებით ნააზრევშია წარმოდგენილი.

„მარადიული დაბრუნების“ იდეა ერთდაიმავე მოვლენის განმეორებას გულისხმობს დროისა და სივრცის სხვადასხვა მონაკვეთში. ეს არის ეკლიპტიკის დიდ წრეზე ანუ ზოდიაქოს თორმეტ თანავარსკვლავედზე მთვარის და მზის ბრუნვა, რომელიც ხორციელდება მთვარის ფაზების და მზის წელიწადის კალენდარული პრინციპით და ქმნის მთვარე-მზის კალენდარულ სისტემას.

ეს საკითხები შესწავლილი ჰქონდათ ჯერ კიდევ ძველ ბაბილონელებს, რომელთა შესახებაც ასიროლოგიის ცნობილი მკვლევარი ლ. ლიპინი თავის წიგნში „თიხის წიგნები“ სამართლიანად აღნიშნავს, რომ: „...ეკლიპტიკას – დიდ წრეს, რომელზეც წარმოებს მზის ხილული მოძრაობა წლის განმავლობაში – ბაბილონელები „მზის გზას“ უწოდებდნენ. მათ იცოდნენ „მთვარის გზაც“ - მთვარის ორბიტა. ხოლო ზოდიაქოს თორმეტ თანავარსკვლავედს ბაბილონელები იმდენად კარგად იცნობდნენ, რომ უკვე ძვ. წ. XIII საუკუნეში ზოდიაქოს ნიშნების გამოსახულება გვხვდებოდა მიჯნის ქვებზე. მათი ძველი სახელწოდებები (მორიელი, ლომი, კუ, ტყუპები და სხვ.) თითქმის უცვლელადაა შემორჩენილი ჩვენს დრომდე. უფრო გვიან ეკლიპტიკა წლის 12 თვის შესაბამისად დაყვეს 12 თანაბარ ნაწილად, თვითეული ნაწილი – 30 გრადუსად...“ (ლიპინი 1970: 277).

ჩვენი აზრით, ეკლიპტიკის დიდი წრე, ზოდიაქოს თორმეტი თანავარსკვლავედი, რომლებსაც გარს უვლიან მთვარე და მზე და მათი მოძრაობით ქმნიან დღეებისა და წელიწადების აღრიცხვის მთვარე-მზის კალენდარულ სისტემას, უნდა წარმოადგენდეს ნიცშეს „მარადიული დაბრუნების“ იდეის რეალურად არსებულ საფუძველს.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ზეკაცისა და „მარადიული დაბრუნების“ იდეები, რომლებიც წარმართული ბერძნული მითოლოგიის ღმერთს დიონისოს კულტს უკავშირდება და კონსტანტინე

გამსახურდიას რომანებშია ასახული თავის საფუძველს მთვარე-მზის კალენდარულ სისტემაში პოულობს.

რაც შეეხება მესიის აპოკალიფსურ სახეს, ის გამოხატულებაა ყველა იმ დადებითი ემოციისა და ადამიანის სულიერი აღმაფრენისა, რომელიც კი ოდესმე განუცდია ადამიანის სულსა და ცნობიერებას. სწორედ ამ კუთხიდან სჩანს ყველაზე უკეთესად კონსტანტინე გამსახურდიას სულიერი სამყაროს, მისი ნაწარმოებების მთავარი პერსონაჟების ზნეობრივი ნათესაობა ქრისტიანულ სამყაროსთან, იესო ქრისტეს პიროვნებასთან.

კონსტანტინე გამსახურდიას რომანების - „დიონისოს ღიმილის“ და „მთვარის მოტაცების“ მთავარი მოქმედი გმირები - კონსტანტინე სავარსამიძე და თარაშ ემხვარი აპოკალიფსური მხედრებია. ისინი ზეკაცები არიან - მატარებელნი ღვთაებრივი ძალისა და ძლიერებისა. ამით ისინი იესო ქრისტეს პიროვნებას კი არ ეწინააღმდეგებიან და ებრძვიან, არამედ პირიქით, ალეგორიულად განასახიერებენ იესო ქრისტეს, როგორც ზეციურ უფალსა და აპოკალიფსურ მხედარს.

ამ თვალსაზრისის დასტურია მკვლევარ ს. სიგუას მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომლის თანამადაც კონსტანტინე სავარსამიძე და თარაშ ემხვარი აპოკალიფსურ მხედრებს წარმოადგენენ: „...უკვე იყო ნათქვამი, რომ კონსტანტინე სავარსამიძის სახის ჰიპოსტასებია დიონისო, ქრისტე, აპოკალიპსის მხედარი, წმ. გიორგი, წმ. კონსტანტინე;

თარაშ ემხვარისა – ერამხუტი, ამირანი, უძღები შვილი, რომეო, აპოკალიპსის მხედარი, აბელი, ბეთქილი, ბატონები; ეროსი;

არზაყანისა – კაენი, ოიდიპოსი, იულიუს კეისარი...“ (სიგუა 1991: 357).

კონსტანტინე სავარსამიძეში და თარაშ ემხვარში სწორედ მესიის, მხსნელის, მაცხოვრის მეორე – აპოკალიფსური, ძალისმიერი ბუნებაა გამოვლენილი. ეს პერსონაჟები ზებუნებრივი ძალის მატარებელნი არიან. ისინი კი არ უპირისპირდებიან იესო ქრისტეს პიროვნებას, არამედ განასახიერებენ და წარმოადგენენ მას.

კონსტანტინე სავარსამიძე და თარაშ ემხვარი აკრიტიკებენ ქრისტიანულ სარწმუნოებას არა იმიტომ, რომ უარყონ იგი, არამედ რათა იესო ქრისტეს ღვთაებრივი მოძღვრება აღადგინონ მის ღვთაებრივ ჭეშმარიტებაში.

მკვლევარი ბ. ჟღენტი მიიჩნევს, რომ: „...მთვარის მოტაცებით“ მწერალი გაბედულად და აქტიურად შეიჭრა ოცდაათიანი წლების დამდეგის გართულებული სოციალური ვითარების სიღრმეში და როგორც იტყვიან, მოვლენათა კვალდაკვალ წარმოსახა საბჭოთა საზოგადოების ისტორიის ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი მწვავე სოციალური კონფლიქტები, მძაფრი კლასობრივი ბრძოლები. და ასეთ აქტუალურ ცხოვრებისეულ მასალას, მის მახვილ იდეურ გააზრებას, ცხოვრების მღელვარე მდინარებასთან ასე უშუალოდ დაკავშირებას არათუ არ დაუზიანებია მწერლის მხატვრული ოსტატობა, მისი ხელოვნების ესთეტიკური ჟღერა, არამედ პირიქით, სწორედ ამ ნაწარმოებში გამოვლინდა განსაკუთრებული სისრულით და სიღრმით კ. გამსახურდიას მხატვრული ინდივიდუალობის სპეციფიკური ნიშან-თვისებანი, მისი, როგორც მხატვრისა და მომთხრობელის იშვიათი, ღრმად თავისებური ნიჭიერება...“ (ჟღენტი 1967: 39-40).

მკვლევარი ა. ბაქრაძე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ 1921 წლის თებერვალში დამარცხებული ეპოქა საბოლოოდ სულს ღაფავდა, მეორედ შებრძოლების თავი და ენერგია მას უკვე აღარ ჰქონდა. ერთადერთი რაც მას დარჩენოდა, სიკვდილი იყო და ისიც კვდებოდა: „კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცებაში“ აღწერილი ამბები ძირითადად ერთი წლის მანძილზე ხდება – 1931 წლის აპრილიდან 1932 წლის აპრილამდე... მართალია, ამ დროს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობა ათ წელს ითვლიდა, მაგრამ დამარცხებული ეპოქის სიკვდილი გრძელდებოდა. დამარცხებულს, თუკი მას სასიცოცხლო ენერგია კიდევ აქვს შენარჩუნებული, ისევ შეუძლია ძალა მოიკრიბოს და გამარჯვებულს ხელმეორედ შეებას. ვინ იცის, ამ მეორედ შერკინების დროს, დამარცხებულმა გაიმარჯვოს და გამარჯვებული დამარცხდეს. მაგრამ 30-იან წლებში საქმე ასე საჭოჭმანოდ უკვე აღარ იყო: 1921 წლის თებერვალში დამარცხებული ეპოქა საბოლოოდ სულს ღაფავდა, მეორედ შებრძოლების თავი

და ენერგია მას უკვე აღარ ჰქონდა. ერთადერთი, რაც დამარცხებულ ეპოქას დარჩენოდა, სიკვდილი იყო და ისიც კვდებოდა...“ ბაქრაძე 2004: 232).

ეს მართლაც რთული ეპოქა, შეიძლება ითქვას, რომ მითოლოგიური სამოსელით არის შემოსილი კონსტანტინე გამსახურდიას რომანებში – „დიონისოს ღიმილსა“ და „მთვარის მოტაცებაში“. აქ მითოლოგიურ ელემენტებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ და ისინი რეალურ ცხოვრებაზეა მორგებული.

რელიგიური და მითოლოგიური აზროვნება და ცნობიერება, რომლებიც ამ რომანების პერსონაჟებს გააჩნიათ, არ ეტევა აზროვნების ვიწრო არტახებში, რასაც მათგან საბჭოთა წეს-წყობილება მოითხოვდა. ამიტომაც გვევლინებიან ეს პერსონაჟები „ზედმეტ ადამიანებად“ და ერთი შეხედვით მარცხდებიან კიდეც მატერიალისტური აზროვნებით დამძიმებული ადამიანების წინააღმდეგ ბრძოლაში და მათგან განიცდიან სერიოზულ დევნასა და შევიწროებას. აქ ერთადერთ მხსნელად გვევლინება ძველი მითოლოგიური აზროვნება და მითოლოგიაში არსებული პერსონაჟები, რომლებიც თითქოს გაცოცხლებულან და კონსტანტინე გამსახურდიას პერსონაჟების სახით მოვლენიან ქვეყნიერებას.

ერთ-ერთი ასეთი გაცოცხლებული და ქვეყნიერებას მოვლენილი მითოლო-გიური პერსონაჟია წარმართული ბერძნული მითოლოგიის ღმერთი დიონისო, რომლის კულტიც მსგავსად „დიონისოს ღიმილისა", ვრლადაა აღწერილი კონსტანტინე გამსახურდიას რომან „მთვარის მოტაცებაში“, რომლის მთავარი პერსონაჟი თარაშ ემხვარი თავად არის ღმერთი დიონისო - ახალ დროში წარმოდგენილი.

თარაშ ემხვარის პიროვნებაში ორი დაპირისპირებული საწყისია წარმართული და ქრისტიანული. მასში, ისევე როგორც კონსტანტინე სავარსამიძის პიროვნებაში, ღმერთი დიონისო უპირისპირდება ქრისტეს. სწორედ ქრისტესა და დიონისოს დაპირისპირება განსაზღვრავს არა მხოლოდ თარაშ ემხვარის გაორებულ ბუნებას, არამედ მთელი ნაწარმოების დედააზრს. ეს არის დაპირისპირება სულისა და ხორცისა, ზეციურისა და მიწიერისა, ღვთაებრივისა და ადამიანურისა, ნათლისა და ბნელისა.

რომან „მთვარის მოტაცებაში“ ღმერთი დიონისო გარდაიქმნება ქრისტედ და ეს მოხდება თარაშ ემხვარის პიროვნებაში. ის ჯვარს ეცმება როგორც ღმერთი დიონისო და აღდგება როგორც ქრისტე. თარაშ ემხვარის პიროვნებაში წარმოიშვება ახალი ქმნილება. მასში მარცხდება ღმერთი დიონისო და იმარჯვებს ქრისტე.

ეს გარდაქმნა შემდეგი სიტყვებითაა აღწერილი სახარებაში: „ნუთუ არ იცით, რომ ყველანი, ვინც მოვინათლეთ ქრისტე იესოში, მის სიკვდილში მოვინათლეთ? ამიტომ დავიმარხეთ მასთან სიკვდილში ნათლისღებით, რათა როგორც მამის დიდებით მკვდრეთით აღდგა ქრისტე, ჩვენც ვიაროთ სიცოცხლის განახლებით. ვინაიდან, თუ დავენერგეთ მას სიკვდილის მსგავსებაში, ასევე ვიქნებით მისი აღდგომისას. რადგან ვიცით, რომ მასთან ერთად ჯვარს ეცვა ჩვენი ძველი კაცი, რათა გაუქმდეს ცოდვის სხეული და აღარ ვიყოთ ცოდვის მონები“ (რომ. 6.3-6).

„ძველი კაცი“ ღმერთი დიონისოა, რომელიც ამქვეყნიურ ცხოვრებას წარმართავს, ხოლო „ახალი კაცი“, ახალი ქმნილება მკვდრეთით აღმდგარი იესო ქრისტეა, რომელიც მარადიულ საწყის წარმოადგენს და თავისუფალია ამქვეყნიური ცოდვებისაგან. სწორედ ამ მოვლენის მხატვრულ ასახვასთან გვაქვს საქმე კონსტანტინე გამსახურდიას რომანებში „დიონისოს ღიმილსა“ და „მთვარის მოტაცებაში“.

„მთვარის მოტაცებაში“ ღმერთ დიონისოს კულტი „ანგელოზთბატონის" სახითაა წარმოდგენილი. თარაშ ემხვარს ზოსიმიას წისქვილში „ანგელოზთ-ბატონის" სახით სწორედ ღმერთი დიონისო შეეყრება.

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების თვალსაჩინო მკვლევარი ს. სიგუა გამოთქვამს მოსაზრებას, რომ: „...ანგელოზთბატონში" დიონისოა გაცხადებული რადგან დიონისო ქვესკნელში გველის სახით დადის...“ (სიგუა 1991: 349).

ამ საკითხის შესახებ თარაშ ემხვარს ლუკაია ლაბახუა ესაუბრება: „...ამ საუბრიდან ისიც გამოარკვია თარაშ ემხვარმა: გველი ჰყოლია თურმე ზოსიმიას ამ წისქვილში - „ანგელოზთბატონს“ უძახისო. გველების შემლოცველი ყოფილა ზოსიმია და ქვეწარმავალთა გულის მესაიდუმლე. „რას აჭმევს მერმე იმ გველს

ზოსიმია?“ შეეკითხა ლუკაიას თარაშ ემხვარ. „სუ, არ ახსენო ის უსახელო!“ ეუბნება ჩურჩულით ლუკაია. „რა უნდა აჭამოს უხსენებელს, რძეს ასმევს თუ სადმე იშოვნა“ - ამბობდა ლუკაია. „მეჯოგეები ჩამოივლიან და თითო ჭიქა რძეს ვინ არ დაუტოვებს...“ (გამსახურდია 1973: 313).

ეს „ანგელოზთბატონი“ ანუ ღმერთი დიონისო გამოეცხადება ზოსიმიას წისქვილში ლოგინზე წამოწოლილ თარაშ ემხვარს, მაგრამ თარაშმა არ მოკლა - „ანგელოზთბატონი“, ანუ ღმერთი დიონისო, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან შეეშინდა. იგი მითოლოგიურ სამყაროსთან იყო თანაზიარი და ღმერთი დიონისო თავად მასში არსებობდა.

თარაშს ისევ შემოესმა მცირედი სისინი სკამლოგინის ქვეშ, გაბედულად ასწია თავი და დაინახა, თუ როგორ დაუწყო სვრეპა ქვეწარმავალმა ქოთანში ჩარჩენილ თხის რძეს: „...და ადგა ამ დუმილში შიში და თარაშ ემხვარს ესმოდა თუ როგორ ხმაურობდა სისხლი, მუთაქაზე მდებარე ყურში. კიდევ შემოესმა ამგვარი სისინი და გულისწამღები წრიპინი ვირთხისა. მერმე დადუმდა ირგვლივ ყოველივე. თითქოს რაღაცამ ნელა, სულ ნელა დაისტვინაო; წყლის ლასლასი იყო თუ ჩალის შარიშური? ეს ვერ გაარჩია. დაინახა მხოლოდ: სარკმელიდან შემოჭრილ შუქზე თუ როგორ წამოვიდა მის საწოლისაკენ უშველებელი გველი. იგი მთელი წყრთის სიმაღლეზე წამოწეულიყო მიწიდან და მოდიოდა მისკენ კისერგაშეშებული და სისინებდა ისე, როგორც ნოემბრის ამაზრზენი ქარი ჩალაში გავლებული.

თავი წამოსწია თარაშმა და მოეჩვენა: ისე დაეღო პირი ამ ქვემძრომს, თითქოს იქედნურად იცინის და ისე მოდისო. მშვიდად, უხმოდ და მდორედ მოემართებოდა გველი (იდუმალებას შეუსხამსო ხორცი), ნელი სისინი მოუძღოდა წინ ამ მშვენიერს, მოხატულ ცხოველს, ცივი, ამაზრზენი და შემზარავი. ისევ ჩამოვარდა სიჩუმე და თარაშ ემხვარს ესმოდა, თუ როგორ სცვივოდა სხვენიდან წისქვილის მჭვარტლი. გაუნძრევლად იწვა. თარაშმა იგრძნო: დაპატარავდა მისი სხეული ცხვრის ტყაპუჭში გამოხვეული და შეიცნო იმ წუთში გველის სუნი, რომელიც თაგვის სუნს წააგავს ოდნავ. თარაში ტანზე გაუხდელად იწვა ლოგინზე ახალოხის ამარად, ამიტომაც ახალოხის ჯიბისაკენ

გააპარა ხელი და ბრაუნინგის საკეტი გადასწია ცერით. მიხვდა: ვერას უშველიდა რევოლვერი, ამაოდ ეძია ასანთი. ისევ ამოიღო ჯიბიდან ხელი და იწვა ისე გულგრილად და შესცქეროდა თუ როგორ მოდიოდა მისკენ ეს საშინელი, ზანტი მცურავი.

კრინტიც არ დაუძრავს თარაშ ემხვარს და მოემზადა მყისვე სიკვდილისათვის, რადგან ხედავდა: პირდაპირ მისკენ მიდიოდა ქვეწარმავალი და ვერაფერი უშველიდა მას ამ სიბნელეში. უკვე აღარ სისინებდა იგი. არც სხვაგვარ ხმას იღებდა შრიალის მაგვარს და ეს უხმო, წყლისებრი მდინარება ტალღისებრ მოძრავი გველის სხეულისა, მომეტებულ შიშსა და ძრწოლას ჰგვრიდა საწოლზე განაბულს. ასე ფეხაკრებით და უხმოდ მოდისო ალბათ სიკვდილი ამ უცნაურ მიწაზე და მისი ფიქრი თამარს მისწვდა ამ მძიმე წუთებში. ბედისწერა ყოფილაო ჩემი, თამარის შეხვედრაც და მისი ჯვარის დაკარგვაც და იამა საყვარლისაგან სასიკვდილოდ წარგზავნა...

მერმე კიდევ შემოესმა მცირედი სისინი, მაგრამ არა სკამლოგინზე, არამედ სკამლოგინის ქვეშ და მაშინ გაბედულად ასწია თავი, ძირს დაიხედა და დაინახა თუ როგორ ჩაჰყო ქოთანში ქვეწარმავალმა თავი და შიგ ჩარჩენილ თხის რძეს დაუწყო სვრეპა“ (გამსახურდია 1973: 317-318).

რომან „მთვარის მოტაცებაში“ გამოყენებულია მეზირის კულტი, რომელიც სვანეთში ღვთაებად ითვლება და ოჯახის მფარველადაა მიჩნეული. ამიტომაც არ შეიძლება მისი ხელის ხლება და მოკვლა, რადგანაც ეს დიდ უბედურებას მოიტანს და ამას ოჯახის დაქცევა მოჰყვება.

სწორედ ამას უხსნის თარაშ ემხვარი არზაყანს. თარაშმა ეს ყველაფერი იცის, რადგანაც იგი ძველი მითოლოგიური სამყაროს წარმომადგენელია. მაგრამ ეს ყველაფერი გაუგებარია არზაყანისათვის, რომელიც ახალი დროების უღმერთო საზოგადოებას წარმოადგენს. ამიტომაც, ცდილობს იგი ქორა მახვშის ოჯახის მფარველი ღვთაების მეზირის მოკვლას: „...ვერ ხედავთ, ვერ ხედავთ?“ ამბობს ათრთოლებული არზაყან. გავოცდი. ალბათ მასაც ემხვარსავით უსაზმნოდ დაღვრილი სისხლის ქენჯნა აწუხებს მეთქი. ვაშოშმინებ, ვამშვიდებ. „გველი, გველი, ეგერ, შეხედეთ, შეხედეთ“. მეჩურჩულება არზაყან. „დამშვიდდით, რას

ამბობთ, სადაა გველი, თქვენ გეჩვენებათ“. ვეუბნები. „როგორ თუ მეჩვენება. მე არ მძინებია, მან ზედ ჩვენ თავზე გადაიარა ლასტზე, მერმე ძირს დაეკიდა მარყუჟულად და ემანდ დაეცა“. თვალი მოვიფშვნიტე და მართლაც...

ვხედავ თავაწეული გველი სწორედ იქითკენ მიისწრაფოდა, სადაც მახვში და თარაშ ემხვარ ისხდნენ წეღან საკარცხლულებზე. ჯოკია იწვა იქვე დაგდებულ ნამორზე. არზაყანს უკვე შეემართა მაუზერი, უნდოდა საწოლიდანვე ესროლა, მაგრამ მე მივხვდი. „ეს სვანური მეზირია, - ვეუბნები არზაყანს, - ალბათ ამ ოჯახის მფარველადაა იგი მიჩნეული. არ ესროლოთ არზაყან. მეზირის მოკვლა დიდ უბედურებად ითვლება სვანის ოჯახში, ესეც არ იყოს ჯოკიას არ ასცდება ტყვია“. დიდხანს მარწმუნებდა არზაყან, ავდგეთ, დავეწიოთ და მოვკლათო გველი. თუ ღვთაებად მიაჩნიათ, მით უმეტეს უნდა მოვკლათო...“ (გამსახურდია 1973: 568).

მაგრამ თარაშ ემხვარის საუბარმა და დარწმუნებამ ვერანაირი ზეგავლენა ვერ მოახდინა არზაყანზე, რომელმაც მაინც განახორციელა თავისი ჩანაფიქრი და მოკლა მეზირი, რომელიც ღვთაებას წარმოადგენდა სვანი კაცის ცნობიერებაში. მეზირის მოკვლამ დიდი უბედურება მოიტანა. ამას მოჰყვა ქორა მახვშის სიკვდილი და მისი ოჯახის დაქცევა.

არზაყანის სახით ახალმა უღმერთო სამყარომ გამოიწვია ქორა მახვშის ძველი მითოლოგიური სამყაროს დანგრევა. სწორედ ამგვარი ალუზიებითაა დატვირთული „მთვარის მოტაცებაში“ არზაყანის მიერ ღვთაება - მეზირის მოკვლის ეპიზოდი: „...გურანდუხტი იჩოქებდა, არყის ნამორებისაკენ ზურგშექცეული, ლოცულობდა გურანდუხტ, საწყალობელი ხმით წარმოსთქვამდა წელში მოდრეკილი: „მეზირ, ლემეზირ, შენი სტუმარი ვარ, შემიხვეწიე, შემიბრალე, ტანი მრთელი მომეცი, გული მხიარული, შენი წყალობით გამახარე, შენი სტუმარი ვარ, შემიხვეწიე. დიდო უფალო მეზირ. ბოროტი და ვნებიანი ამაშორე, დამიცევი ყოველ ვნებისაგან, ყოველ ბოროტებისაგან, ავი თვალისაგან და ხარბისაგან, დიდო ბატონო, უფალო მეზირ“.

მერმე ხმას დაუწია გურანდუხტმა, სავსებით უაზრო ლექსებზე გადავიდა. „ღერმეთ, ამმარჯვ, დიდაბ!..“ . . . . . ანსალა, მანსალა, მიწი

ბაძგარი, მიწი გარგარიტა, ასთი ორჯაო, მიწი ასკალი, მიწი გარჯანა. . . . . „ღერმეთ, ამმარჯვ, დიდაბ...“ ხმა გაკმინდა.

დიდხანს იყო ასე დაჩოქილი და თარაშ ემხვარ ხედავდა მიწას დასჩერებოდა გურანდუხტ, აცმაცურებდა ნაზამთრალ უნაბსავით დამჭკნარ ტუჩებს. ხელს იფარებდა ხანდახან პირზე, მიწას დასჩერებოდა და ისევ იმეორებდა თავის უცნაურ „ანსალა, მანსალას“. მერმე წამოდგა, კაბის კალთები დაიბერტყა კვერები მიწაზე დასტოვა, ვარცლს ხელი წამოავლო და შინისკენ წაფოხრიკდა.

არზაყან და თარაში მიწაზე გართხმულნი შესცქეროდნენ ამას ყოველივეს, დაწინაურდნენ, არყის ნამორები მოისაფრეს. ახლა არზაყანიც დაინტერესებულიყო თუ რა მოხდებოდა. მეზირის პაწია საკურთხევლიდან ძერასფერი გველი გამოსრიალდა, თავკისერი მოიღერა, იქვე დაგდებულ კვერს წასწვდა, ასავსავებდა ორკაპიან ენას, მზეზე აციმციმდა ორი, გამხვრეტი თვალი. „აჰა ეს არის ქორა მახვშის მეზირი? მე და საურს გვინდოდა გუშინწინ მისი მოკვლა. კინაღამ ჯამში ჩამიძვრა ის ოხერი“. ესა სთქვა არზაყანმა და მაუზერის ტყვიით თავი წააწყვიტა მეზირს...“ (გამსახურდია 1973: 682).

არზაყანმა მეზირის მოკვლით წერტილი დაუსვა ძველ დროებას. მაგრამ, ამან ქორა მახვშის ოჯახის დაღუპვა გამოიწვია. ახალ დროებას არზაყანის სახით გამოვლენილს, აღარაფერში სჭირდებოდა ქორა მახვში და სვანეთის ძველი მითოლოგიური სამყარო. ამიტომაც, ახალი დროის დადგომას ძველი სამყაროს დანგრევა მოჰყვა, რაც „მთვარის მოტაცებაში“ ქორა მახვშის გარდაცვალებითაა სიმბოლიზებული: „...ქორა მახვში მთელი ღამე უგუნებოდ იყო, სწორედ იმ ღამეს წამოტორტლა საურმა: ლაღუმების სროლა ნაწისქვილართან ისმისო უკვე. ახლა მეზირის მოკვლა რომ გაიგო, ერთი წამოვარდა საწოლზე, ოთხით ზედ შედგა, დაიჩოქა, ხელები ცისკენ აღაპყრო, მერმე თავპირში დაიშინა: დაიღუპაო ჩემი ოჯახი, დაიგმინა და მისი უზარმაზარი სხეული დაეცა ისევ საწოლზე... სულ ხუთიოდე წუთის შემდეგ ამაოდ ეძებდა საური მაჯისცემას მის მარცხენაზე...“ (გამსახურდია 1973: 683-684).

რომანის დასასრულს აღწერილია მესეფეთა ზღვიდან ამოსვლის ეპიზოდი. მესეფენი ქვეწარმავალთა ღმერთებია და ზღვაში ცხოვრობენ. გაზაფხულის წვიმები ამოჰყვებიან ზღვიდან მესეფეებს, აიყოლიებენ ძაღლებს, დადიან ტყე და ტყე, სოფელ-სოფელ, ხარკს ჰკრეფენ, მიწაზე წვიმები მოჰყავთ და არასოდეს ბერდებიან მესეფენი: „...ლუკაია, თავი ნუ მოგიკვდება, წვიმების ამბავი მითხარი, ბოსტანი მაქვს დათესილი, შენ სამთვარიოს ამბავიც იცი, თავი ნუ მოგიკვდება, სანამდის იქნება წვიმები?“ - ეკითხება ცირუნია ლუკაიას.

„წვიმები? წვიმები, ჰნი, წვიმები დიდხანს იქნება სულე. – ამბობს ლუკაია. – მესეფენი ამოდიან ზღვიდან, ამას მოყვება გაზაფხულის წვიმები სულე“. „მესეფენი ვინაა შე დაღუპულო?“ მესეფენი არ გაგიგონია? ზღვაში ცხოვრობენ მესეფენი, შურიგე. ქვეწარმავლების ღმერთებია მესეფენი. გაზაფხულის წვიმები ამოყვებიან ზღვიდან მესეფეებს“. მერმე აიყოლიებენო ძაღლებს, დადიან ტყე და ტყე, სოფელ-სოფელ, ხარკს ჰკრეფენ, მიწაზე წვიმები მოჰყავთო და არასოდეს ბერდებიანო მესეფენი, განმარტა ლუკაიამ...“ (გამსახურდია 1973: 729-730).

კონსტანტინე გამსახურდიას რომან „მთვარის მოტაცებაში“ წარმართული ბერძნული მითოლოგიის ღმერთ დიონისოს კულტი „ანგელოზთბატონის" სახითაა წარმოდგენილი, რომელიც ზოსიმიას წისქვილში ბინადრობს.

რომანში აღწერილია სვანური ღვთაება მეზირის კულტი, რომელიც ოჯახის მფარველ ღვთაებად იყო მიჩნეული და მისმა მოკვლამ ქორა მახვშის სიკვდილი და მისი ოჯახის დანგრევა გამოიწვია.

რომანში ასევე, აღწერილია მესეფეთა ზღვიდან ამოსვლა, რომლებიც ქვეწარმავალთა ღმერთებია და რომლებსაც ზღვიდან გაზაფხულის წვიმები ამოყვებიან, დადიან ტყე და ტყე, სოფელ-სოფელ, ხარკს ჰკრეფენ და მიწაზე წვიმები მოჰყავთ.

ამ კულტების არსებობა რომანში გვარწმუნებს, რომ გველის კულტს სხვა წარმართულ კულტებთან ერთად კონსტანტინე გამსახურდიას რომან „მთვარის მოტაცებაში“ უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

გველის კულტი გამოყენებულია კონსტანტინე გამსახურდიას რომან „დიონისოს ღიმილში“, რომელშიც აღწერილია კონსტანტინე სავარსამიძის

მორდუს ტაია შელიას მხატვრული სახე. ტაია შელია გველის შემლოცველია და მან ასწავლა კონსტანტინე სავარსამიძეს შელოცვა. ფრინველების გამოჯავრება. გათვალვის, გათოფვის და დანამსვის ძალა და მის თვალწინ ახია ბუნების შვიდბეჭდიანი წიგნის პირველი ფურცელი: „...ტაია შელიამ ახია ჩემს თვალწინ ბუნების შვიდბეჭდიანი წიგნის პირველი ფურცელი. მან მასწავლა კვანძის გამოსკვნა. ანკესებზე ჭიების აგება. ქაშქვილის და ქასაგანის გამართვა. სასროლის გადაგდება. ნოთაობა და უბელო ცხენზე ჯდომა. პირველად მან მაჩვენა, თუ სად იკეთებდნენ ფრინველები ბუდეს. მან მიმაგნებინა გველების, ხვლიკების, თხუნელების და წავების სოროებისათვის. მან მიმასწავლა კიბოების, ცხრაფეხების და თევზების დარანისათვის. მან მასწავლა შელოცვა. ფრინველების გამოჯავრება. გათვალვის, გათოფვის და დანამსვის ძალა...“ (გამსახურდია 1976: 381-382).

ტაია შელია თევზაობისა და ნადირობის დროს გველს თუ შეეფეთებოდა შეულოცავდა, წელმოტეხილ ქვემძრომს კისერში ხელს წაავლებდა, თოკივით დახეშავდა და ახალუხის ჯიბეში ჩაიდებდა. ხოლო ჯარობისა და ხატობის დროს მიწაზე ცხვირსახოცის ნაცვლად გველს დააგდებდა და ისე დაუვლიდა, როგორც შეპყრობილი სუჯუნის წმ. გიორგის მონა. ამიტომაც მას არავინ ანდობდა არც რძალს და არც სასძლოს: „...თევზაობის და ნადირობის დროს გველი თუ შეგვეფეთებოდა, შეჩერდებოდა. ნება-ნებას მიუშვებდა. ორ თითს ტუჩზე მიიდებდა. შეულოცავდა. უნდა გენახათ წელმოტეხილი ქვემძრომი უმწეო სხმარტალს რომ დაიწყებდა. დაიხრებოდა. კისერში ხელს წაავლებდა. თოკივით დახეშავდა და ახალუხის ჯიბეში ჩაიდებდა.

ჯარობისა და ხატობის დროს, როცა ჩვენი სოფლის გლეხები ეკლესიის მოედანზე ღრეობდნენ, ჯირითობდნენ და ცეკვავდნენ, ტაია შეუმჩნევლად ბრბოში გაერეოდა (ტაიას არასოდეს უცეკვნია ქალთან). გაშლიდა ხელებს, ერთს ჩაუვლიდა. ცხვირსახოცის ნაცვლად გველს დააგდებდა მიწაზე და ისე დაუვლიდა, როგორც შეპყრობილი სუჯუნის წმ. გიორგის მონა. ვინ ანდობდა მას ან რძალს, ან სასძლოს!...“ (გამსახურდია 1976: 391).

რომან „დიონისოს ღიმილის“ მთავარი პერსონაჟი კონსტანტინე სავარსამიძე გველის მგეშავის გაზრდილია. მისი გამზრდელის ტაია შელიას ისლის სახლსაც ჰყავს თავისი მფარველი გენია. ეს გველი ტაია შელიას ლოგინის ქვეშ იწვა დღენიადაგ. მას ბავშვებიც არ ერიდებოდნენ და რძეს ასმევდნენ და უვლიდნენ. „ანგელოზბატონს“ ეძახოდნენ.

ტაია შელიას და გველების კულტის წარმოშობის შესახებ უამბობს კონსტანტინე სავარსამიძე ბიანკას, რომელიც გაუგონარ ამბებს მოუთხრობს მას: „...გაუგონარ ამბებს მომითხრობს ეს ქალი: „თქვენ ხომ გახსოვთ, დოტორე, პირველად რომ მოხვედით. ლარების საკურთხეველი... ბარონესამ გამაფრთხილა, თქვენთვის ეს არ მეთქვა. თქვენ რას ფიქრობთ, აბა რატომ მიდის ბარონესსა ალბანოდან, როცა მისი ქმარი ზღვიდან დაბრუნდება?“ გაოცებისგან ენას ვერ ვიბრუნებ. „ის ორი გველი, - განაგრძო ბიანკამ, - ლარების საკურთხეველში რომ გიჩვენეთ, მარცხნიდან მომავალი სავარცხლიანი, მარჯვნიდან უსავარცხლო, ოჯახის უძველესი მფარველი სულებია. ოთხი ოთახი გადაკეტილია. იქ დედალი გველი მოჰკლა ბარონის მამამ. იმავე წელს მომკვდარა ბარონის დედა. ამის შემდეგ გაქარჩხულია ის ოთახები, წეღან იქ საშინელი კაკუნი და ქვის სროლა ისმოდა. ბარონმაც შესცოდა...

ბარონესსამ არ იცოდა თუ რა ცოდვა ტრიალებდა ამ ოჯახში. მას ძლიერ უნდოდა ძველი რომაელი პატრიციის სახლში ეცხოვრნა. თვითონ რომაელ მატრონად მოაქვს ახლაც თავი. მოხუცმა მსახურმა მიამბო: პირველ ღამესვე ახლად ჯვარდაწერილების სანთიობოში შავი გველი შეიპარა, ბარონმა ხელი არ ახლო გველს. იმ დღესვე ნეაპოლს წასულან თურმე... „თქვენ არ გეშინიათ გველების, დოტორე?“ „მე გველის მგეშავის გაზრდილი ვარ, სინიორინა. არ გახსოვთ, ჩემი გამზრდელის ტაია შელიას შესახებ რომ გიამბობდით? ტაია შელიას ისლის სახლსაც ჰყავს თავისი მფარველი გენია. ის გველი ჩემი გამზრდელის ლოგინს ქვეშ იწვა დღენიადაგ. ჩვენ ბავშვებიც კი არ ვერიდებოდით, რძეს ვასმევდით და ვუვლიდით. ანგელოზბატონს ვეძახოდით“...

„მაშ, თქვენს საწოლზე რომ გველი ამოვიდეს, თქვენ რაღას უზამთ, დოტორე?“ „ორ თითს ტუჩზე მივიტან და შევულოცავ“. ბიანკა გაოცებული

შემომცქერის“. „ნუ გეშინია ჩემო, პატარა სინიორინა“, ვეუბნები. მის კოჟრიან, პაწია თითებს ვკოცნი“. „თქვენ ნასწავლი კაცი ხართ, დოტორე. ვერ ამიხსნით საიდან მოდის ამ გველების ამბავი?“ „თავდაპირველად არც მე ვიცოდი ეს, სინიორინა ბიანკა. ამას წინად მუსიო შარტრიეს ნაჩუქარ წიგნში ამოვიკითხე: ამ გველების კულტის შესახებ თითქმის არაფერი იცის მეცნიერებამ. ესენი ძველი რომაული ოჯახის მფარველი გენიებია, ლარესს, ანუ ლაზესს ეძახდნენ მათ. ზოგან ეს ახლაც დარჩა, ჩემს სამშობლოში დღესაც არის გველების კულტი. ამ ლაზესს მისტიკოსები ინდოელების გველღმერთებს – ლაშას უკავშირებენ. ეს ძლიერ ბნელი ამბავია. მე მინდა პატარა წიგნი დავწერო. ჩემის აზრით, რომაელებს ჩემი წინაპრების – ლაზებისგან უსწავლიათ გველების თაყვანისცემა, ამის მეტი არც მე ვიცი“, „სხვა რა იციან მეცნიერებმა რომ ეს იცოდნენ?!“ ამბობს გულდაწყვეტილი ბიანკა...“ (გამსახურდია 1976: 521-523).

კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ღიმილის“ ბოლო თავი „ჯოჯოხეთად ჩასვლა კონსტანტინე სავარსამიძისა“ იოანეს „გამოცხადებით“ არის შთაგონებული. სხვა ქრისტიანულ პარადიგმებთან ერთად ნაწარმოების ამ თავში აღწერილია ჯოჯოხეთში ჩასული კონსტანტინე სავარსამიძის შეხვედრა უშველებელ დახრახნილ გველთან.

სავარსამიძემ შეულოცა გველს რომელიც გაბრუნდა, ფრთა აისხა და შხუილით გაფრინდა ჩრდილოეთისაკენ: „...რბილად ვწევარ ისლიან ველზე და მეზარება ადგომა. უცებ გაისმა ისლის შრილი. ვხედავ, უშველეელი დახრახნილი გველი მოისწრაფის ჩვენსკენ. გასაოცარი ფერადებით მოხატულია მისი ზურგი. მომიახლოვდა, ხახა დააბჩინა, თითქოს რაღაც უნდოდა ეთქვა. ისევ დამუწა პირი. წითელი, გამხვრეტი თვალი შემომაჩერა და ჩემს სულში ჩამოსთოვა უდაბნოს სისინმა. და გამეყინა სისხლი, მამაჩემის კეთილშობილი სისხლი, და გამაჟრჟოლა...

პირველად წავივლე ხელი არგვეთის მთავრის ხმალზე და წამოვდექი, წელში გავიმართე. შევულოცე: „ირანგი, ჩირანგი, არასარანგი, უშანდული, ურანგი“. გველი გაბრუნდა, ფრთა აისხა და შხუილით გაფრინდა ჩრდილოეთისაკენ...“ (გამსახურდია 1976: 669-670).

კონსტანტინე გამსახურდიას რომან „დიონისოს ღიმილში“ აღწერილია ტაია შელიას და მისი გაზრდილის კონტანტინე სავარსამიძის მხატვრული სახეები, რომლებიც რომანში გველის კულტს უკავშირდებიან.

ტაია შელია წარმართი მოგვი და გველის შემლოცველია, რომელმაც თავისი საქმე ასწავლა და შეაყვარა თავის აღზრდილს კონსტანტინე სავარსამიძეს. ნაწარმოებში ხშირადაა გამოყენებული გველის კულტთან დაკავშირებული წარმართული მისტერიები. ეს კი იმ მოსაზრების ფაქტობრივი მტკიცებულებაა, რომ სხვა წარმართული კულტების მსგავსად, გველის კულტს კონსტანტინე გამსახურდიას რომან „დიონისოს ღიმილში“ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

თუ გავავლებთ პარალელს მითოლოგიიდან რელიგიასთან დავინახავთ, რომ გველის კულტს მნიშვნელოვანი როლი აკისრია ბიბლიურ-ქრისტიანულ პარადიგმატიკაში. გველი აღწერილია ჯერ კიდევ ედემის ბაღში, როგორც ყველაზე ცბიერი ველურ ცხოველთა შორის, რომლებიც უფალმა გააჩინა და რომელმაც თავისი მზაკვრობით აცდუნა ადამი და ევა და სამოთხე და მარადიული სიცოცხლე დააკარგვინა მათ (დაბ. 3.1-7).

გველის რელიგიური პარადიგმა უარყოფით ფერებშია აღწერილი იოანეს „გამოცხადებაში“: „გამოჩნდა ცაში დიდი ნიშანი – დედაკაცი, რომელსაც ემოსა მზე; მის ფერხთით იყო მთვარე და მის თავზე გვირგვინი თორმეტი ვარსკვლავით. ფეხმძიმედ იყო და ყვიროდა, იტანჯებოდა მშობიარის ტკივილებით. სხვა ნიშანიც გამოჩნდა ცაში – აჰა, დიდი წითელი გველეშაპი, რომელსაც ჰქონდა შვიდი თავი და ათი რქა, და მის თავებზე შვიდი ჯიღა. მისმა კუდმა ციდან წამოათრია ვარსკვლავების მესამედი და მოისროლა დედამიწაზე; გველეშაპი კი დადგა დედამიწის წინ, რომელსაც უნდა ემშობიარა, რათა როგორც კი შობდა, გადაეყლაპა მისი ბავშვი... შეიქმნა ცაში ომი: მიქაელი და მისი ანგელოზები ებრძოდნენ გველეშაპს; შეებრძოლნენ გველეშაპი და მისი ანგელოზები, მაგრამ ვერ გაუძლეს და აღარც ადგილი აღმოჩნდა მათთვის ცაში. გადმოგდებულ იქნა დიდი გველეშაპი, ძველი გველი, რომელსაც ეშმაკი და სატანა ჰქვია, მთელი წუთისოფლის მაცდუნებელი, და მისი ანგელოზებიც გადმოყრილ იქნენ მასთან ერთად...“ (იოანეს გამოცხ. 12.1-9).

წარმართული ბერძნული მითოლოგიის ღმერთის დიონისოს ერთი ჰიპოსტასი გველი, ბიბლიურ-ქრისტიანულ პარადიგმატიკაში უარყოფით პერსონაჟს სატანა-ეშმაკს (გველეშაპს) განასახიერებს და ქრისტეს და მის ანგელოზებს უპირისპირდება.

კონსტანტინე გამსახურდიას რომანებში „დიონისოს ღიმილსა" და „მთვარის მოტაცებაში" ქრისტიანული ღმერთის ქრისტესა და წარმართული ბერძნული მითოლოგიის ღმერთის დიონისოს შორის დაპირისპირება ქრისტესა და სატანა-ეშმაკის (გველეშაპის), სულისა და ხორცის, სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირების სახითაა წარმოდგენილი. თავისი არსით სულში ქრისტე იგულისხმება და ხორცში დიონისო.

სულისა და ხორცის დაპირისპირება მოცემულია კონსტანტინე სავარსამიძისა და თარაშ ემხვარის პიროვნებებში. მათი ფიქრები და აზრები ხორციელი საქმეებია.

ეს პარადიგმა შემდეგი სახითაა მოცემული სახარებაში: „ამიტომ, ძმებო, ჩვენ ხორცის მოვალენი არა ვართ, რომ ხორციელად ვიცხოვროთ; ვინაიდან თუ ხორციელად ცხოვრობთ, სიკვდილი არ აგცდებათ, ხოლო თუ სულით აკვდინებთ ხორციელ საქმეებს, იცოცხლებთ. რადგან ისინი, ვისაც ღმერთის სული წარმართავს, ღვთის შვილები არიან. ვინაიდან არ მიგიღიათ მონობის სული, რათა კვლავ შიშით იყოთ, არამედ მიღებული გაქვთ შვილობის სული, რომლითაც ვღაღადებთ: „აბბა, მამაო!“ სწორედ ეს სული ემოწმება ჩვენს სულს, რომ ღვთის შვილები ვართ...“ (რომ. 8.12-16).

კონსტანტინე სავარსამიძისა და თარაშ ემხვარის პიროვნებაში მოცემულია ხორცის კვდომისა და წარმავლობის და სულის აღორძინებისა და მარადიულობის იდეა. ამიტომაც მარცხდებიან ისინი ხორციელად, მაგრამ იმარჯვებენ სულიერად. მათში ხორციელდება წარმავლობის დაძლევისა და მარადიულობასთან ზიარების ქრისტიანული იდეა.

კონსტანტინე გამსახურდიას რომანების „დიონისოს ღიმილის“ და „მთვარის მოტაცების“ მთავარი გმირები კონსტანტინე სავარსამიძე და თარაშ ემხვარი წარმოადგენენ როგორც წარმართული ბერძნული მითოლოგიის ღმერთს

დიონისოს, ასევე, ქრისტიანულ ღმერთს ქრისტეს. მათში შეიმუსრება ხორციელი საწყისი დიონისო და აღორძინდება სულიერი საწყისი ქრისტე.

სული „დიონისოს ღიმილისა" და „მთვარის მოტაცებისა" ქრისტიანულია. „დიონისოს ღიმილსა“ და „მთვარის მოტაცებაში" წარმართული კულტურა ერწყმის ქრისტიანულ კულტურას. ეს წარმოადგენს ორივე რომანის ალეგორიულ დედააზრს, მის ჭეშმარიტ საზრისს.

თავი 2. ბიბლიურ-ქრისტიანული სახე-სიმბოლოები კონსტანტინე გამსახურდიას რომანებსა და ნოველებში

ქრისტიანული სარწმუნოების არსის შემეცნება უპირველესად ბიბლიას უკავშირდება. ბიბლია არის წიგნი, რომელშიც მოცემულია ძირითადი მცნებები ქრისტიანული სარწმუნოების შესახებ. ეს ეხება უმთავრესად ქრისტიანული სარწმუნოების ფუძემდებლის - იესო ქრისტეს ამქვეყნიურ ცხოვრებასა და მოღვაწეობას. მაგრამ საქმე ისაა, რომ მხოლოდ ახალი აღთქმით, რომელიც ბიბლიის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია, არ შემოიფარგლება იესო ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრებისა და მოღვაწეობის ასახვა.

ჯერ კიდევ ძველი აღთქმა სავსეა წინასწარმეტყველებით მესიის, მსხნელის ამქვეყნად მოვლინების შესახებ, რომელმაც თავისი ჯვარცმითა და აღდგომით ცოდვილი კაცობრიობა უნდა გამოისყიდოს: „...ნამდვილად კი, მან იკისრა ჩვენი სნებები და იტვირთა ჩვენი სატანჯველი; ჩვენ კი გვეგონა, ღვთისგან იყო ნაცემ-ნაგვემი და დამცირებული. მაგრამ ის ჩვენი ცოდვებისთვის იყო დაჭრილი, ჩვენი უკეთურობებისთვის დალეწილი; მასზე იყო სასჯელი ჩვენი სიმრთელისთვის და მისი წყლულებით ჩვენ განვიკურნეთ. ყველანი ცხვრებივით დავეხეტებოდით, თითოეული ჩვენ-ჩვენ გზას ვადექით, უფალმა კი მას შეჰყარა ყოველი ჩვენგანის უკეთურება. ევნო და ეწამა, მაგრამ არ დაუძრავს ბაგე; კრავივით დასაკლავად მიიყვანეს და, როგორც ცხვარი დუმს მპარსველთა წინაშე, მასაც არ დაუძრავს ბაგე. საპყრობილედან და სამსჯავროდან იქნა წაყვანილი და ვინ იფიქრებდა მის მოდგმაზე, როცა ცოცხალთა მიწიდან მოიკვეთა; ჩემი ხალხის ცოდვებისთვის დაისაჯა. მიეცა სამარხი ბოროტეულთა გვერდით და მდიდართან ერთად თავის სიკვდილში, რადგან სიავე არ ჩაუდენია და მის ბაგეში სიცრუე არ ყოფილა. უფალმა ინება მისი ტანჯვა და სნება შეჰყარა. როცა გასწირავ მის სიცოცხლეს ცოდვის გამოსასყიდ მსხვერპლად, იხილავს იგი თავის ნაგრამს, გაუხანგრძლივდება დღეები, უფლის ნება მისი ხელით წარიმართება. თავის სულისკვეთების ნაყოფს იხილავდა და დაამდებოდა; მისი სიბრძნით ბევრს გაამართლებს მართალი, ჩემი მორჩილი, და ცხვათა შეცოდებებს იტვირთავს. ამიტომ მრავალში მივცემ მას წილს და ძლიერებთან ერთად გაინაწილებს

ნადავლს, რადგან სასიკვდილოდ გაწირა თავი და ცოდვილთა შორის შეირაცხა; მრავალთა ცოდვები ჰქონდა ტვირთად და ცოდვილებს ესარჩლებოდა“ (ესაია 53.4-12).

ახალი აღთქმის მიხედვით ცნობილია, რომ ეს მხსნელი და მესია არის იესო ქრისტე, რომელიც იუდეის ბეთლემში დაიბადა. ქრისტეს დაბადებით აღსრულდა ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებანი მესიის, მხსნელის შესახებ: „...დიდძალი ხალხი მისდევდა მას და ყველა განკურნა, და აუკრძალა მათ ამის გახმაურება. რათა აღსრულდეს ესაია წინასწარმეტყველის ნათქვამი, რომელიც ამბობს: „აჰა, მსახური ჩემი, რომელიც მე ამოვირჩიე, საყვარელი ჩემი, რომელიც მოიწონა ჩემმა სულმა; ჩემს სულს დავდებ მასზე და ის აუწყებს სასჯელს წარმართებს. არ იდავებს და არც იყვირებს, და ქუჩებშიც ვერავინ გაიგონებს მის ხმას. გადატეხილ ლერწამს არ დალეწავს და მბჟუტავ პატრუქს არ ჩააქრობს, ვიდრე განკითხვას გამარჯვებამდე არ მიიყვანს და მის სახელს მიენდობიან ხალხები“ (მათე 12.15-21).

იესო ქრისტე რეალურად არსებული ისტორიული პიროვნებაა, რომელიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში. მან თავისი ამქვეყნიური სიცოცხლე ჯვარზე დაასრულა - თავისი ადამიანური სიცოცხლე მსხვერპლად შესწირა და გამოისყიდა ცოდვილი კაცობრიობა. ქრისტეს ჯვარცმა ისტორიულად მოხდა იუდეაში. იესო ქრისტე თავისი ფეხით ავიდა გოლგოთაზე, თანაც ისე, რომ მას არავითარი დანაშული არ მიუძღოდა. იგი იმდენად უცოდველი იყო მისმა მტრებმა - იუდეური რელიგიის წარმომადგენლებმა - რეალურად არსებული დანაშაული რომ ვერ უპოვეს, დასჯის მიზეზი ისევ თავიანთ რელიგიაში - იუდაიზმში მოიძიეს. მათ იესო ქრისტეს მკრეხელობაში დასდეს ბრალი, რომელმაც გაბედა და თავი ღმერთს გაუტოლა: „იესოს შემპყრობლებმა კი წაიყვანეს იგი მღვდელმთავარ კაიაფასთან, სადაც თავი მოეყარათ მწიგნობრებსა და უხუცესებს. ხოლო პეტრე შორიახლო მიჰყვებოდა მას მღვდელმთავრის ეზომდე; შევიდა შიგნით და მსახურებთან დაჯდა, რათა ენახა რით დამთავრდებოდა ეს ამბავი. მღვდელმთავარნი და მთელი სინედრიონი ეძებდნენ ცრუმოწმობას იესოს წინააღმდეგ, რათა

სიკვდილით დაესაჯათ იგი. და ვერ პოულობდნენ, თუმცა ბევრი ცრუმოწმე მოდიოდა. ბოლოს მოვიდნენ ორნი და თქვეს: „ეს ამბობდა: შემიძლია ღვთის ტაძარი დავანგრიო და სამ დღეში ავაშენოო...“ (მათე 26.57-61).

იუდეური რელიგიის წარმომადგენლებმა დაინახეს, რომ იესო ქრისტე თავის ახალი მოძღვრებით ანგრევდა იუდეური მოძღვრების ძირითად საფუძველთა-საფუძველს. კერძოდ იმას, რომ ქრისტეს მოძღვრების თანახმად, იესო ქრისტე იყო არა მარტო ებრაელთა მესია, რომელსაც უნდა გამოესყიდა თავისი პატარა და მართლაც ტანჯული ერი და გაემეფებინა იგი მთელს კაცობრიობაზე, არამედ იესო ქრისტე იყო საკაცობრიო მესია, რომელსაც უნდა გამოესყიდა მთელი ცოდვილი კაცობრიობა და მიეყვანა იგი უფალთან შერიგების გზაზე: „მაგრამ არა ისე, რომ ღვთის სიტყვა დაეცა, ვინაიდან ვინც ისრაელისაგა არის, ყველა ისრაელიანი როდია. და ყველა, ვინც აბრაამის თესლია, როდია მისი შვილი, ვინაიდან ნათქვამია: „ისაკში იქნება წოდებული შენი თესლი“. ესე იგი, არა ეს ხორციელი შვილები არიან ღვთის შვილები, არამედ აღთქმის შვილები ითვლებიან თესლად...“ (რომ. 9.6-8).

ქრისტიანული მოძღვრების თანახმად, ქრისტეში აღსრულდა სჯული: „ადრინდელი მცნება კი გაუქმდა უსუსურობისა და უსარგებლობის გამო. ვინაიდან რჯულმა ვერაფერი სრულყო, მაგრამ შემოდის უკეთესი იმედი, რომლის მეშვეობითაც ვუახლოვდებით ღმერთს. და ეს არ მომხდარა ფიცის გარეშე, - ვინაიდან ისინი გახდნენ მღვდლები ფიცის გარეშე, ეს კი ფიცით მის მიერ, რომელმაც უთხრა მას: „დაიფიცა უფალმა და არ შეინანებს: „შენ ხარ მღვდელი უკუნისამდე მელქისედეკის წესით“. ესოდენ უმჯობესი აღთქმის თავდებიც იესო გახდა...“ (ებრ. 7.18-22).

იესო ქრისტეს შემდეგ ღმერთისათვის ისევე რჩეული გახდა ყოველი წარმართი ერი, ვინც მოინანიებდა და აღიარებდა ერთადერთ ჭეშმარიტ ღმერთს - სამყაროს შემოქმედსა და მის ერთადერთ ჭეშმარიტ ძეს - იესო ქრისტეს, როგორც ებრაელი ერი, რომელიც მან მართლაც ამოარჩია თავის რჩეულ ერად კაცობრიობის ისტორიის გარკვეულ მონაკვეთზე: „...ვინაიდან უთხრა მათ ყვედრებით: „აჰა, დადგება დღეები, ამბობს უფალი, და დავუდებ ახალ აღთქმას

ისრაელის სახლს და იუდას სახლს. ისეთ აღთქმას კი არა, რომელიც მათ მამებს დავუდე იმ დღეს, როცა ხელი მოვკიდე, რომ ეგვიპტის ქვეყნიდან გამომეყვანა; ვინაიდან ისინი არ დარჩნენ ჩემს აღთქმაში და მე უგულებელვყავი ისინი, ამბობს უფალი...“ (ებრ. 8.8-9). მაგრამ იესო ქრისტეს ამქვეყნიურ მოვლინებასთან ერთად ეს რჩეულობაც დასრულდა. ამის შემდეგ რჩეული იყო ყოველი ერი, ვინც ირწმუნებდა და აღიარებდა იესო ქრისტეს, როგორც ჭეშმარიტ ღმერთსა და მესიას.

ეს კი სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა ებრაული სარწმუნოების წარმომადგენლებისათვის. ისინი როგორ მიიღებდნენ მესიად უბრალო ადამიანს, როცა ელოდნენ ყოვლისშემძლე მესიას, რომელსაც ებრაელი ერი მთელს კაცობრიობაზე უნდა გაებატონებინა და გამოსავალიც მოიძებნა - იესო ქრისტე ჯვარს აცვეს და ამით თითქოსდა პრობლემაც გადაიჭრა. უნდა ითქვას, რომ იესო ქრისტეს მოწინააღმდეგენიც კი ხედავდნენ ქრისტეში ჭეშმარიტებას, მაგრამ მათთვის სრულიად მიუღებელს. ამიტომაც გასწირეს იგი და ჯვარს აცვეს. მაგრამ ამით არა თუ გადაიჭრა პრობლემა, არამედ იგი უფრო გაღრმავდა და საკაცობრიო სახე მიიღო. იესო ქრისტეს ჯვარცმით დასაბამი დაედო რელიგიას, რომლის მსგავსიც მეორე არ შექმნილა კაცობრიობის ისტორიაში. ჭეშმარიტება ნელ-ნელა გაღვივდა და მან უდიდესი შედეგი გამოიღო. ქრისტიანული სარწმუნოება, მიუხედავად უდიდესი წინააღმდეგობისა, გავრცელდა და განვითარდა ყველა მიმართულებით და ეს პროცესი დღესაც არ შეწყვეტილა. ჭეშმარიტება არ დაეტია ვიწრო არტახებში. მან დაიწყო გავრცელება მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ასე შეიქმნა და ჩამოყალიბდა ქრისტიანული სარწმუნოება.

მაგრამ ქრისტეს პიროვნება და მისი სარწმუნოება არ მიიღეს მის სამშობლოში: „იგავები რომ დაასრულა იესომ, იქაურობას გასცილდა. მივიდა თავის სამშობლოში და ასწავლიდა მათ თავიანთ სინაგოგაში, ისე რომ, უკვირდათ და ამბობდნენ: „საიდანა აქვს მას ეს სიბრძნე და სასწაული? განა ეს ხუროს ძე არ არის? დედამისს განა მარიამი არა ჰქვია, მის ძმებს კი იაკობი და იოსე, სიმონი და იუდა? განა მისი დები, ყველანი ჩვენს შორის არ არიან?

საიდან აქვს ამას ყოველივე ეს? და შებრკოლდნენ მის გამო. იესომ კი უთხრა მათ: „წინასწარმეტყველი არსად არ არის უპატივოდ, გარდა თავისი სამშობლოსი და საკუთარი სახლისა.“ არ მოუხდენიათ იქ ბევრი სასწაული მათი ურწმუნოების გამო“ (მათე 13.53-58). სამაგიეროდ, იგი დიდი პატივით მიიღეს გალილეაში: „...როცა გალილეაში მივიდა, გალილეველებმა მიიღეს იგი, რაკი ყველაფერი ნახეს, რაც მოიმოქმედა იერუსალიმში დღესასწაულზე, რადგან ისინიც ესწრებოდნენ დღესასწაულს...“ (იოანე 4.4).

ასე თანდათან ბრძოლითა და წინააღმდეგობებით აღსავსე გზაზე იკვლევდა გზას ახალი სარწმუნოება, რომელსაც თავიდანვე უფრო მეტი მტერი ჰყავდა, ვიდრე მოყვარე. აქ აღსანიშნავია ის ფანატიკური რწმენა თავისი მოძღვრისადმი, რომელსაც ქრისტეს მოციქულები და მათი მოწაფეები იჩენდნენ ქრისტიანობის ფუძემდებლის - იესო ქრისტეს პიროვნების, მისი ჯვარცმისა და მკვდრეთით აღდგომის მიმართ. მხოლოდ ფანატიზმით ვერ აიხსნება ეს თავდადება, საკუთარი სიცოცხლის არად ჩაგდება და პირდაპირი გზით ქრისტეს ჯვარცმის საკუთარ თავზე განმეორება. ეს ყველაფერი რეალური, ისტორიული ფაქტებია. ქრისტეს თითქმის ყველა მოციქულმა (იოანე მახარებლის გარდა) მოწამეობრივი აღსასრულით დაასრულა საკუთარი ამქვეყნიური სიცოცხლე. იგივე გაიმეორეს მათმა მოწაფეებმა და შემდგომმა თაობებმაც. ისინი რეალურად ხედავდნენ იმ ჭეშმარიტებას, რის გამოც იესო ქრისტემ საკუთარი სიცოცხლე შესწირა. აღსავსე სულიწმიდის მადლით, როგორც სახარებაშია აღწერილი, ქრისტეს მოციქულებად შემდეგში კი მათ მიმდევრებად გაიზარდნენ, სრულყოფილები გახდნენ: „მეორმოცდამეათე დღე რომ სრულდებოდა, ყველანი ერთად იყვნენ. მოულოდნელად იყო ხმაური ზეციდან, თითქოს ძლიერმა ქარმა დაჰბერაო, და აავსო მთელი სახლი, სადაც ისინი ისხდნენ. და ეჩვენათ მათ გაყოფილი ენები, თითქოს ცეცხლისანი და სათითაოდ მოეფინა ყოველ მათგანს. ყველანი აღივსნენ სულიწმიდით და იწყეს ლაპარაკი სხვადასხვა ენებზე, როგორც სული ამეტყველებდა მათ...“ (საქ. 2.1-4).

მათთვის აღარ წარმოადგენდა დაფარულს, რომ იესო ქრისტე რეალურად იყო მაცხოვარი, რომელმაც საკუთარი სიცოცხლე მსხვერპლად შესწირა და

გამოისყიდა ცოდვილი კაცობრიობა. მათი აზრით, ამაზე უკეთესი ქვეყანაზე არაფერი იყო. არ ღირდა ცხოვრება და წვალება წარმავალი წუთისოფლისათვის, როცა აშკარა იყო ნამდვილი საუნჯე. ეს იყო ქრისტეს ჯვარცმა, რომელიც მარადიულ სასუფეველს აღუთქვამდა მათ: „ცათა სასუფეველი წააგავს საუნჯეს, მინდორში დაფარულს, რომელსაც იპოვის კაცი და დამალავს, სიხარულით მიდის და ყიდის ყოველივეს, რაც აბადია და ყიდულობს იმ მინდორს. კიდევ: ცათა სასუფეველი წააგავს ვაჭარს, რომელიც ლამაზ მარგალიტებს ეძებს; როდესაც იპოვის ერთ ძვირფას მარგალიტს, წავა, გაყიდის ყოველივეს, რაც აბადია, და იყიდის მას“ (მათე 13.44-46).

ისინი მიჰყვებოდნენ ქრისტეს გზას, იღებდნენ თავიანთ ჯვარს და გოლგოთის გზაზე ასრულებდნენ სიცოცხლეს. ასეთი მიმართულებით მიიკვლევდა გზას ქრისტიანული სარწმუნოება სამი საუკუნის განმავლობაში. ამა ქვეყნისაგან უარყოფილი ქრისტეს სარწმუნოება მხოლოდ მის მიმდევართა გულებსა და რწმენაში არსებული, უნერგავდა მათ იმის რწმენას, რომ თავად ღმერთი, სამყაროს შემოქმედი ჩამოვიდა ამ ქვეყნად ადამის მოდგმის გადასარჩენად. ამ რწმენასთან დაპირისპირებაში კი ყველაფერი აზრსა და ელფერს კარგავდა და ასე მივიდა ქრისტიანული სარწმუნოება მეოთხე საუკუნემდე, როცა რომის იმპერატორმა - კონსტანტინემ „მილანის ედიქტის“ მიღებით ქრისტიანული სარწმუნოება ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა მთელი რომის იმპერიის მასშტაბით. ეს იყო ქრისტიანობის დიდი გამარჯვება.

მანამდე კი, კერძოდ, პირველივე საუკუნეში დაიწყო ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელება მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ქადაგება ხდებოდა სხვადასხვა ქვეყნებში, იმისდა მიხედვით, თუ რომელ მოციქულს რომელ ქვეყანაში ერგო წილად ქრისტიანობის ქადაგება. როცა მოციქულებმა კენჭი ჰყარეს, საქართველოში ქრისტიანობის ქადაგება წილად ხვდა ღვთისმშობელს. საქართველო გახდა ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანა. მაგრამ, რადგანაც მოახლოებული იყო ღვთისმშობლის გარდაცვალების პერიოდი, ამიტომაც ის ვეღარ წამოვიდოდა მის წილხვედრ ივერიაში ქრისტეს სჯულის საქადაგებლად

და გასავრცელებლად. მის მაგივრად საქართველოში ქრისტიანობის ქადაგებისა და გავრცელების მისია წილად ერგო ქრისტეს მოციქულს - ანდრიას, რომელმაც პირველად იხილა იესო ქრისტე და ამის გამო ის მოციქულებს შორის ცნობილი იყო როგორც ანდრია პირველწოდებული.

როგორც მკვლევარი რ. ხალვაში აღნიშნავს, წმ. ანდრია მოციქულს საქართველოში ქადაგებისას თან ახლდა ქრისტეს სხვა მოციქული სიმონ კანანელი, რომელიც დაკრძალულია აფხაზეთში, კერძოდ, ნიკოფსში: „...ანდრია პირველწოდებულმა საქართველოში იქადაგა სიმონ კანანელთან ერთად, რომელიც აქვე, აფხაზეთში, კერძოდ, ნიკოფსში განისვენებს...“ (ხალვაში 2011: 26-27).

მანამდე კი მოხდა ქრისტეს კვართის ჩამოსვენება საქართველოში და მცხეთაში მისი დაფვლა, რომლის ჩამოტანა მცხეთელი ებრაელის – ელიოზისა და ლონგინოზ კარსნელის სახელს უკავშირდება. როგორც ცნობილია, მათ არ მიუღიათ მონაწილეობა მაცხოვრის წამებაში, ხოლო როცა წილი ჰყარეს ქრისტეს სამოსელზე, კვართი წილად სწორედ ელიოზსა და ლონგინოზს ხვდათ. როგორც კი დაინახა ელიოზის დამ - სიდონიამ იესო ქრისტეს კვართი, გულში ჩაიკრა და მასთან ერთად გარდაიცვალა. ვერ მოახერხეს მისი მკერდიდან ქრისტეს კვართის მოცილება, ამიტომაც ქრისტეს კვართთან ერთად სიდონიაც დაასაფლავეს. იმ ადგილზე სადაც ქრისტეს კვართი დაასვენეს აღიმართა სვეტიცხოველი, ანუ ცოცხალი სვეტი, რომელიც არის იგივე ხე სიცოცხლისა და ამ ადგილზევე აშენდა სვეტიცხოვლის უკვდავი ტაძარი. სვეტიცხოვლის ტაძრის საძირკველში მარხია იესო ქრისტეს კვართი. მცხეთა იქცა მეორე იერუსალიმად, ხოლო სვეტიცხოვლის ტაძარი - იესო ქრისტეს მეორე საფლავად.

მკვლევარი ზ. გამსახურდია აღნიშნავს, რომ სვეტიცხოველი არის ტაძარი, რომელშიც ყველაზე ღრმადაა არეკლილი საქართველოს სულიერი მისია და ქართული სულიერება: „...სვეტიცხოველი არის ტაძარი, რომელშიც ყველაზე უფრო ღრმად და ყოველმხრივ არის არეკლილი საქართველოს სულიერი მისსია, ქართული სულიერება, ქართული ქრისტიანობა. თქვენ იცით, რომ ეს უჩვეულო ტაძარია. არც ერთ ქრისტიანულ ტაძარში, ყოველ შემთხვევაში მე ასე მგონია, არ

არსებობს საკულტო სვეტი. სვეტი, უფრო სწორედ, ორი სვეტი არსებობდა იერუსალიმის ტაძარში, სოლომონის ტაძარში. ხოლო აქ ქრისტიანული ტაძარია აგებული სვეტთან დაკავშირებით. თავდაპირველად საფუძველი ამ ტაძრისა იყო სვეტი. მისი აგების ისტორია უკავშირდება სვეტის აღმართვის ისტორიას. ხოლო ეს სვეტი სიმბოლურად განასახიერებს ცხოვრების ხეს. ისტორიულადაც ამ ადგილზე იზრდებოდა კედარი, რომელიც არის ცხოვრების ხის სიმბოლო, რომელიც მოიჭრა და შემდეგ ეს მოჭრილი კედარი ანგელოზებმა წმინდა ნინოს ლოცვით აღმართეს და ამ ადგილას აშენდა პირველი ტაძარი, პირველი ეკლესია წმინდა ნინოსი, ხოლო შემდეგ უფრო გვიან აშენდა სვეტიცხოველი...

ცნობილია, რომ მცხეთაში იყო ებრაული თემი, რომელიც თავიდანვე გაქრისტიანდა, ვინაიდან ხედავდნენ ერთობას ეზოტერულ იუდაიზმსა და ქრისტიანობას შორის. ერთ-ერთი მათგანი ესწრებოდა ქრისტეს ჯვარცმას და მან მიიღო წილად კვართი, ანუ სამოსი უფლისა და წამოიღო მცხეთაში, რომელიც დამარხულია სვეტის ქვეშ მის დასთან, სიდონიასთან ერთად....“ (გამსახურდია 1991: 208-209).

ქრისტეს კვართი მცხეთაშია დასაფლავებული, ხოლო კვართის დაკრძალვის ადგილას სვეტიცხოველია აგებული: „...ქრისტეს კვართი საქართველოში, მცხეთაშია დასაფლავებული. დაკრძალვის ადგილს აგებულა სვეტიცხოველი. მატიანე გვიამბობს, რომ ორი კაცი, ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი, საქართველოდან იერუსალიმს გაემგზავრა. ისინი მაშინ ჩავიდნენ იერუსალიმში, როცა იქ იესო ქრისტე ჯვარს აცვეს. უფლის კვართი, თურმე, მცხეთელ მოქალაქეებს ხვდათ წილად. „ხოლო კვართი იგი უფლისა წილით ხუდა მცხეთელთა: წარმოიღო ელიოზ და მოიღო მცხეთას“ („ქართლის ცხოვრება“, ტ. 1, 1955 წ., გვ. 98-99)...“ (ბაქრაძე 2004: 457-458).

ცნობილია, რომ სვეტიცხოვლის ტაძარს ქართველ მწერალთაგან ნამდვილი ძეგლი დაუდგა დიდმა ქართველმა მწერალმა კონსტანტინე გამსახურდიამ, რომელმაც სწორედ ამ ტაძარს უძღვნა თავისი უკვდავი რომანი - „დიდოსტატის მარჯვენა" და ეს ისედაც უკვდავი ტაძარი, სიტყვაში განსხეულებული კიდევ ერთხელ უკვდავყო. ხოლო თუ გავიხსენებთ, რომ სვეტიცხოვლის ტაძარს

საფუძველში ხე სიცოცხლისა უდევს, ცხადია რომ იგივე ხე სიცოცხლისა უდევს საფუძვლად კონსტანტინე გამსახურდიას უკვდავ რომანს - „დიდოსტატის მარჯვენას". ამ გენიალური ნაწარმოების ძირითადი დედააზრი სწორედ ხელოვანი ადამიანის მარადიულობასთან და უკვდავებასთან ზიარებაა.

ნაწარმოების მთავარმა გმირმა კონსტანტინე არსაკიძემ სვეტიცხოვლის ტაძრის აგებით დასძლია სიკვდილი და იგი ეზიარა მარადიულობას და უკვდავებას, სასუფეველს. სვეტიცხოველი რომ უკვდავების სიმბოლოდაა მიჩნეული კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაში" კარგად იკითხება ამ სიტყვებში: „ხელოვნებაა თავად უკვდავება, მხოლოდ ოსტატს ვერ ეწევა სიკვდილი... ათასეული წლები წალეკავენ ირგვლივ ყოველივეს. მხოლოდ სვეტიცხოველი დარჩება როგორც ღმერთთან და სიკვდილთან მებრძოლი იაკობი" (გამსახურდია 1976: 125).

ნათელი ხდება, რომ სვეტიცხოველის ამგები დიდოსტატის პირით თავად ნაწარმოების ავტორი გვესაუბრება. აქედან დასკვნა, სვეტიცხოველის საკულტო სვეტი ქრისტეს ჯვარცმის მისტერიას უკავშირდება და ეს მოტივი სიმბოლურ-ალეგორიულად აისახა კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაში“.

გასაზიარებელია აკადემიკოს თ. გამყრელიძის მოსაზრება, რომელიც მიიჩნევს, რომ ქრისტიანობას მნიშვნელოვნად უნდა შეეწყო ხელი ეროვნული ლიტერატურული ტრადიციების სწრაფი განვითარებისათვის საქართველოში: „...ქრისტიანობა იმთავითვე იყო მწიგნობრული რელიგია, ამიტომ ხალხი, რომელიც ამ სარწმუნოებას ეზიარებოდა, საკუთარ მწიგნობრობას ქმნიდა და ივითარებდა. ამასთანავე, განსხვავებით დასავლური ქრისტიანობისაგან, აღმოსავლური ქრისტიანობა ხელს უწყობს მწიგნობრობისა და მწერლობის განვითარებას საკუთარ ეროვნულ ენაზე, ეროვნული ენისათვის ახალი დამწერლობის შექმნას და ნათარგმნი თუ ორიგინალური ძეგლების შეთხზვას. ქრისტიანობას მნიშვნელოვნად უნდა შეეწყო ხელი ეროვნული ლიტერატურული ტრადიციების სწრაფი განვითარებისათვის საქართველოში. სწორედ ამ სარწმუნოების საფუძველზე იქმნება ახალი ქართული კულტურა და

მწიგნობრობა, ყალიბდება ქართველთა ეროვნული ერთიანობის შეგნება...“ (გამყრელიძე 1990: 197).

ქრისტიანული სარწმუნოების საფუძველზე საუკუნეთა განმავლობაში შეიქმნა და ჩამოყალიბდა ქართული სასულიერო მწერლობის ორი ძირითადი დარგი: ჰაგიოგრაფია და ჰიმნოგრაფია, რომელთა ძირითად დანიშნულებას ქრისტიანული სარწმუნოებისათვის წამებულ პირთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ასახვა წარმოადგენდა.

აკადემიკოს კ. კეკელიძეს აზრით, ჩვენშიც შექმნილა ყველა ის პირობა, რომელმაც ხელი შეუწყო ორიგინალური აგიოგრაფიის აღმოცენებასა და განვითარებას: „როგორც ყველა ქრისტიან ერებს, ქართველებსაც გამოუჩნდათ თავისი საკუთარი წმინდანები; ამათი „ცხოვრებანი“ და „მოქალაქობანი“ აღუწერიათ თვით ქართველებს, აგრეთვე თხრობანი ამა თუ იმ ქართული დღესასწაულის შესახებ. ასე რომ, ჩვენშიაც შექმნილა ყველა ის პირობა, რომელმაც ხელი შეუწყო ორიგინალური აგიოგრაფიის აღმოცენებასა და განვითარებას...“ (კეკელიძე 1980: 507).

ცნობილია, რომ ქრისტიანული სარწმუნოების ძირითადი არსი გამოხატულია მის დოგმატიკაში.

ქრისტიანული სარწმუნოების ძირითადი დოგმატია სწავლება ქრისტიანული წმინდა ერთარსება სამების შესახებ, რომელიც სხვა ქრისტიანულ დოგმატებთან ერთად შემუშავებულ და დამტკიცებულ იქნა მსოფლიოს საეკლესიო კრებებზე და მოკლე, მაგრამ ჭეშმარიტი სიტყვებით გადმოცემულია „სარწმუნოების სიმბოლოში": „მრწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქვეყნისა, ხილულთა ყოველთა და არახილულთა; და ერთი უფალი იესო ქრისტე, ძე ღმრთისა, მხოლოდშობილი, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი, ღმრთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი, თანაარსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა; რომელი ჩვენთვის, კაცთათვის, და ჩვენისა ცხოვრებისათვის გარდამოხდა ზეცით და ხორცნი შეისხა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა განკაცნა; და ჯვარს ეცვა ჩვენთვის პონტოელისა პილატეს ზე, და ივნო და დაეფლა; და

აღდგა მესამესა დღესა მსგავსად წერილისა; და ამაღლდა ზეცად, და მჯდომარე არს მარჯვენით მამისა; და კვალად მომავალ არს დიდებით, განსჯად ცხოველთა და მკვდართა, რომლისა სუფევისა არა არს დასასრულ; და სულიწმიდა, უფალი და ცხოველსმყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს, მამისა თანა და ძისა თანა თაყვანისიცემების და იდიდების, რომელი იტყოდა წინასწარმეტყველთა მიერ; ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია. აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა მოსატევებელად ცოდვათა; მოველი აღდგომასა მკვდრეთით და ცხოვრებასა მერმისსა მის საუკუნისასა, ამინ".

ქრისტიანული წმინდა ერთარსება სამების შესახებ სწავლება მოცემულია ჯერ კიდევ სახარებაში: „...მაშინ გალილეიდან იორდანეს მოვიდა იესო იოანესთან რათა მის მიერ მონათლულიყო. ხოლო იოანე წინაღუდგა და უთხრა: „მე ვსაჭიროებ შენგან მონათვლას, შენ კი ჩემთან მოდიხარ? მაგრამ იესომ მიუგო პასუხად: „ასე იყოს, ვინაიდან ასე გვმართებს ჩვენ მთელი სიმართლის აღსრულება.“ მაშინ იოანემ მიუშვა იგი. ნათელღებული იესო მაშინვე ამოვიდა წყლიდან და აჰა, გაიხსნენ ცანი, და მან იხილა ღვთის სული, მტრედივით გარდმომავალი, მასზე რომ ეშვებოდა. აჰა, ხმა ციდან მეტყველი: „ეს არის ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მოვიწონე მე“ (მათე 3.13-17).

ქრისტიანული „მისტიკურ-ალეგორიული" თეორია, ანუ ქრისტიანული „საღვთო მიჯნურობის" იდეა, წარმოადგენს ქრისტიანული სასულიერო მწერლობის - ჰაგიოგრაფიის და ჰიმნოგრაფიის და მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში შექმნილი ქართული საერო პოეზიის ძირითად საფუძველს.

აკადემიკოს კ. კეკელიძეს სამართლიანად მიაჩნია, რომ საერო მხატვრულმა ლიტერატურამ იმთავითვე მოგვცა ორი მთავარი ჟანრი, რომელიც დამკვიდრებული იყო საეკლესიო მწერლობაში: „...ეპოსი, საგმირო და სამიჯნურო თხრობებით წარმოდგენილი, და ლირიკა, სახოტბო პოეზიაში მოცემული. განვიხილოთ ჯერ ეპოსი: საეკლესიოსი – აგიოგრაფია და საეროსი – საგმირო-სამიჯნურო პოემები. აგიოგრაფიის „სულიერი“ გმირი პოემებში საერო, ამქვეყნიურ გმირად ქცეულა. მართლაც, როგორია აგიოგრაფიული თხრობის კომპოზიციური შაბლონი? ის ოთხი ელემენტისაგან შედგება: ა) „წმიდანი“ ჯერ

კიდევ ბავშვობაში იჩენს სულიერ სიმშვენიერეს და ისეთ თვისებებს, რომელნიც განასხვავებენ მას ამხანაგებისაგან და მოასწავებენ მის სულიერ გმირობას მომავალში. ასევეა პოემებშიც: ესა თუ ის პირი არაიშვიათად ჯერ კიდევ ბავშვობაში იჩენს არაჩვეულებრივ თვისებებს, რომელნიც გვიჩვენებენ, რომ ის მომავალში მართლაც რაჩვეულებრივი გმირი იქნება...

ბ) დავაჟკაცებული „წმიდანი“ ნამდვილი „სულიერი გმირია“ და „ზეკაცი“. ის იბრძვის და სძლევს ხორცსა და სხვადასხვა ხასიათის ცთუნებას ამ ქვეყნად... ასევეა პოემებშიც. ტარიელი ამბობს: „მოვიწიფე, დავემსგავსე მზესა თვალად, ლომსა ნაკვთად“ (319). მისი გმირობა, პოემით, ხომ ყველასათვის ცნობილია...

გ) „წმიდანის“ ამქვეყნიური ცხოვრება წარმოადგენს განუწყვეტელ „სამსახურს“ ღვთისადმი და შეუნელებელ ერთგულებას, მისი სიყვარულისათვის ის ითმენს და იტანს ათასგვარ ასკეტურ ღვაწლსა და შრომას, ის ნამდვილი „მიჯნურია“ ღვთისა... მოვიგონოთ „ვეფხისტყაოსნისა“ და „ამირანდარეჯანიანის“ გმირები, მათი მიჯნურობა, რაინდული „სამსახური“ და თავდადება სატრფოსათვის...

დ) „სულიერი გმირი“ - წმიდანი ან მსხვერპლად ეწირება თავის მიზანს, მოწამებრივ სიკვდილს ითმენს, ანდა ხანგრძლივი გაჭირვებულ-შევიწროებული ასკეტური ცხოვრების შემდეგ ბუნებრივი სიკვდილით კვდება, მაგრამ ორივე შემთხვევაში ის კეთილს ბოროტზე ამარჯვებინებს. ასევეა პოემებშიც: როგორიც არ უნდა იყოს გმირების ბოლო, ისინი მიზანს აღწევენ და, ბოლოს და ბოლოს, ამბობენ: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“. ვისაც საფუძვლიანად შეუსწავლია აგიოგრაფიული ლიტერატურა და მუშტრის თვალით წაუკითხავს ჩვენი საგმირო-სამიჯნურო პოემები, მისთვის უდავოა აღნიშნული ოთხი ელემენტის ერთობა...“ (კეკელიძე 1981: 6-7).

პროფესორ მ. თოდუას დაკვირვებით სხვის მიერ დამუშავებული ამბავი უძევს საფუძვლად უკლებლივ ყველა საერო და სასულიერო ქართულ ეპიკურ თხზულებას დასაბამიდან მოკიდებული XIX საუკუნემდე.: „...სხვის მიერ დამუშავებული ან ისტორიული, ან სხვისგან გაგონილი, ან ავტორის თვალწინ მომხდარი, ყოველ შემთხვევაში, არა თვითონ ნაწარმოების ავტორის მიერ

შეთხზული ამბავი უძევს საფუძვლად უკლებლივ ყველა, როგორც საერო, ასევე სასულიერო ქართულ ეპიკურ თხზულებას დასაბამიდან მოკიდებული XIX საუკუნემდე...“ (თოდუა 1998: 26).

პროფესორი რ. თვარაძე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ქართული მწერლობის განყოფას ორ დარგად - „საეროდ“ და „სასულიეროდ“ დიდი ხნის ტრადიცია აქვს, რომელიც შეიქმნა შუა საუკუნეებში: „...მსგავს მოვლენასთან გვაქვს აგრეთვე საქმე, როდესაც „ძველ“ ქართულ მწერლობას, თავის მხრივ, ყოფენ კიდევ ორ დარგად - „საეროდ“ და „სასულიეროდ“ („საეკლესიოდ“). ამგვარ განყოფას დიდი ხნის ტრადიცია აქვს. ეს ტრადიცია შეიქმნა შუა საუკუნეებში, როდესაც კულტურულ ცხოვრებას ძირითადად ეკლესია წარმართავდა და კულტურის ყოველგვარი მოვლენა იმისდაკვალობაზე ფასდებოდა, თუ რამდენად შეესატყვისებოდა გაბატონებული იდეოლოგიის ინტერესებსა და საეკლესიო პრაქტიკას. ამგვარ ვითარებაში მოხდა სწორედ „საღვთო“, „სასულიერო“ შინაარსის მქონე მწერლობის მკვეთრი გამიჯვნა „საერო“, „საერისკაცო“ მწერლობისაგან...“ (თვარაძე 1985: 5).

ცნობილია, რომ ქართულ მეცნიერებაში, კერძოდ, რუსთველოლოგიაში ქრისტიანული „მისტიკურ-ალეგორიული" თეორია, ანუ ქრისტიანული „საღვთო მიჯნურობის" იდეა პირველმა შემოიტანა და დანერგა მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეების ქართველმა მეფემ და მეცნიერმა ვახტანგ მეექვსემ, რომელმაც ეს თეორია გამოიყენა „ვეფხისტყაოსნისა" და მისი ავტორის შოთა რუსთაველის დასაცავად იმ ადამიანების მხრიდან თავდასხმისაგან, რომლებიც „ვეფხისტყაოსანს" განიხილავდნენ, როგორც არაქრისტიანულ ნაწარმოებს, ხოლო თავად ავტორს შოთა რუსთაველს უწოდებდნენ სარწმუნოებისაგან განდგომილს, რომელმაც მათი სიტყვებით გარყვნა ქრისტიანობა.

ვახტანგ მეექვსემ თავისი ეს მოსაზრება „თარგმანის“ სახით დაურთო სტამბური სახით დაბეჭდილ „ვეფხისტყაოსანს“, რომელიც დიდებულად აღადგინა აკადემიკოსმა აკაკი შანიძემ, რომელიც მართებულად მიიჩნევს, რომ ვახტანგის „თარგმანში“ მთავარი პოემის იდეოლოგიური მხარეა, რომელსაც კომენტატორი რამდენჯერმე ეხება: „...ვახტანგის „თარგმანში“ მთავარი მაინც

სხვა არის. ეს გახლავს პოემის იდეოლოგიური მხარე, რომელსაც კომენტატორი რამდენჯერმე ეხება; ეხება კი იმიტომ, რომ მის დროს ეს უკვდავი ნაწარმოები ისე იყო გავრცელებული და ისეთი გავლენა ჰქონდა მოპოვებული მკითხველ-მსმენელებზე, რომ ეკლესიის მესვეურები შეშფოთებულები იყვნენ. ხალხი პოემას ხარბად ეწაფებოდა, ბევრ ადგილს ზეპირად სწავლობდა, საამაყოდ მიაჩნდათ მისი მზითევში გატანება გასათხოვარი ქალისთვის და სხვ...

ვახტანგი რამდენჯერმე უბრუნდება ამ საკითხს და ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი, რომ „ვეფხის ტყაოსანი“ სამღვთო წიგნიც არის. მაგ., მეათე სტროფი მისი გამოცემისა („ხამს მიჯნური ხანიერი“ მას საბაბს აძლევს, რომ ეს სტროფი ისე ახსნას, თითქოს შიგ ასეთი აზრი იყოს გამოთქმული: „საეროდ და სამღვდელოდ ამბობს და ბოზობას უშლის; გმართებთ, რომ სასუფევლის მიჯნურნი იყვნეთ ხან-გრძლად და არ მეძაობდეთ და ბილწობდეთ: „მოყვარე კაცისა“ კაცივ არის და ამას ამბობს: რა რომ კაცს მოსცილდეთ, სასუფევლისათვის სულთქმა და უში გქონდესთო“...

იგი მოგვაგონებს ღვთისმეტყველთა ცდას, იმგვარად ახსნან ძველი ებრაული მხატვრული ლიტერატურის მშვენება „ქებათა ქება“ (რომელიც ქალისა და ვაჟის სიყვარულის ხოტბას წარმოადგენს), რომ თითქო შიგ ჩაქსოვილი იყოს ქრისტიანული აზრები...“ (შანიძე 1986: 67-68).

ვახტანგ მეექვსის წყალობით შესაძლებელი გახდა ისეთი მხატვრული ნაწარმოების, როგორიც „ვეფხისტყაოსანია", ბიბლიასთან და ქრისტიანულ სარწმუნოებასთან დაკავშირება. ჩვენი აზრით, ასეთივე წარმატებითაა შესაძლებელი კონსტანტინე გამსახურდიას რომანებისა და ნოველების ბიბლიასთან და ქრისტიანულ სარწმუნოებასთან დაკავშირება.

გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ „ვეფხისტყაოსანში“ აღწერილი – ბიბლიურ-ქრისტიანული პარადიგმების ანუ სახე-სიმბოლოების გაშიფვრა წარმოადგენს „გასაღებს“ კონსტანტინე გამსახურდიას რომანებსა და ნოველებში აღწერილი ბიბლიურ-ქრისტიანული პარადიგმების ანუ სახე-სიმბოლოების გაშიფვრის საკითხში.

მკვლევარი ზ. გამსახურდია გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ვახტანგ მეექვსე არ შემცდარა თავის ძირითად დებულებაში, რომ „ვეფხისტყაოსანი“, როგორც სოლომონის „ქებათა ქება“, ამსოფლიური, ადამიანური მიჯნურობის შესახებ თხრობით ალეგორიულად ასახავს საღვთო მიჯნურობის დრამას: „...პირველი რუსთველოლოგის, ვახტანგ მეექვსის „თარგმანში“ გამოთქმული კერძო შეხედულებები პოემის ავტორის იდეურ-მხატვრულ ჩანაფიქრზე დავას იწვევდა ყოველ ეპოქაში, მაგრამ მეფე-პოეტი არ შემცდარა თავის ძირითად დებულებაში, კერძოდ იმაში, რომ ვეფხისტყაოსანი, ისევე როგორც სოლომონის „ქებათა ქება“, ამსოფლიური, ადამიანური მიჯნურობის შესახებ თხრობით ალეგორიულად ასახავს საღვთო მიჯნურობის დრამას, რასაც გვიცხადებს თავად ავტორი პოემის პროლოგში:

მას ერთსა მიჯნურობასა ჭკვიანნი ვერ მიჰხვდებიან,

ენა დაშვრების, მსმენლისა ყურნიცა დავალდებიან,

ვთქვნე ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცთა ჰხვდებიან,

მართ მასვე ჰბაძვენ, თუ ოდეს არ სიძვენ შორით ბნდებიან. (21).

ამ სტროფში ავტორი გვესაუბრება ალეგორიული საღვთო პოეზიის დანიშნულებაზე...

ამაზე ნათლად და გასაგებად პოეტი ვეღარ გადმოგვცემდა თავის იდეურ და მხატვრულ ჩანაფიქრს...“ (გამსახურდია 1991: 6-7).

ასევე, ყოველ ეპოქაში დავას იწვევდა სოლომონის „ქებათა ქების“ მხატვრული ინტერპრეტაციის საკითხი.

ბიბლიის მკვლევარი ზ. კოსიდოვსკი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ იერუსალიმის ტაძრის აგებისათვის სოლომონს იდეალურ მეფედ მიიჩნევდნენ და ეთაყვანებოდნენ. ამიტომ, მისთვის ეროტიკული პოემის ავტორობის მიწერა მკრეხელობად მიიჩნიეს და ბიბლიის შემდგენლებმა იფიქრეს, რომ – „ქებათა ქებაში“ სატრფიალო კი არა, რელიგიური გრძნობებია გადმოცემული: „...იერუსალიმის ტაძრის აგებისათვის სოლომონს იდეალურ მეფედ მიიჩნევდნენ და ეთაყვანებოდნენ. ამიტომ მისთვის ეროტიკული პოემის ავტორობის მიწერა მკრეხელობა იქნებოდა. მაშასადამე – ასე იფიქრეს ბიბლიის შემდგენლებმა –

ქებათა ქებაში სატრფიალო კი არა, რელიგიური გრძნობებია გადმოცემული. ავტორმა მას სატრფიალო ალეგორიის ფორმა მისცა მხოლოდ იმიტომ, რომ პოემა უფრო ადვილად გასაგები ყოფილიყო ერთმორწმუნეთათვისო... ქებათა ქება შევიდა ებრაულ ლიტურგიაში და პასექის დღესასწაულის პირველ დღეს სრულდება. მას კითხულობენ, როგორც მისტიკურ დრამას და ყოფენ მონოლოგებად, დიალოგებად და გუნდის პარტიებად. პოემის შინაარსი თითქოს გამოხატავს უფალ იაჰვესადმი ისრაელიტელთა დამოკიდებულების თანმიმდევრობით ცვლილებებს ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ, სანამ ხალხი თავს დააღწევს მიწიერ ტანჯვას და ღმერთს შეუერთდება...“ (კოსიდოვსკი 1976: 342).

ასეთივე კამათს იწვევდა „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ინტერპრეტაციის საკითხიც. ჩვენი აზრით, მსგავს კამათს იწვევს კონსტანტინე გამსახურდიას რომანების და ნოველების მხატვრული ინტერპრეტაციის საკითხი.

მკვლევარ ზ. გამსახურდიას მოსაზრებით „ვეფხისტყაოსნის“ სიტყვები - „სამთა ფერთა საქებელთა...“ სამების ანარეკლი, სამსახოვანი წმ. გიორგია, რომელიც პოემის სამ გმირშია განპიროვნებული: „...წარმოუდგენელი იქნებოდა აგრეთვე რომ პოეტს „სულთა ლხენა“ ე. ი. სულის ხსნა, ცოდვათაგან განწმენდა თავის სამ გმირთან დაეკავშირებინა, თუ ისინი მართლაც ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ მისთვის. პროლოგში ნათლად არის ნათქვამი, რომ მხოლოდ ხორცთა დაწვა კი არ არის საკმარისი სულთა ლხენისათვის, არამედ „სამთა ფერთა“ ლექსად ქებაა საჭირო ამისათვის:

მიაჯეთ ვინ, ხორცთა დაწვა კმა არს მისცეს სულთა ლხენა?

სამთა ფერთა საქებელთა ჰლამის, ლექსთა უნდა ვლენა.

ვინ არიან ეს „სამნი ფერნი“? ეს არის სამება უწინარეს ყოვლისა, სამი „ფერი“ ანუ პირი, ჰიპოსტასი, სახე (ფერისცვალება“ - „სახისცვალება“) და სამების ანარეკლი, სამსახოვანი წმ. გიორგი, რომელიც პოემის სამ გმირშია განპიროვნებული...“ (გამსახურდია 1991: 185).

ჩვენს წიგნში - „საღვთო სახეთა სიმბოლიკა“ გამოვთქვით მოსაზრება, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სამი მთავარი გმირი – ფრიდონი, ტარიელი და ავთანდილი –

ქრისტიანულ წმინდა ერთარსება სამებას წარმოადგენს და მათ მიერ ნესტან-დარეჯანის გამოხსნა ქაჯეთის ციხიდან – იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის ალეგორიული ასახვაა: „...ბიბლიურ-ქრისტიანულ საღვთისმეტყველებო იდეას წარმოადგენს იესო ქრისტეს მეორედ მოსვლა დედამიწაზე (იოანეს გამოცხადება 19.11-21), რომელიც „ვეფხისტყაოსანში“ სიმბოლიზებულია ფრიდონის, ტარიელის და ავთანდილის მიერ ნესტან-დარეჯანის ქაჯეთის ციხიდან გამოხსნით (ფრიდონი – ბიბლიური მამა ღმერთი; ტარიელი – იესო ქრისტე, ძე ღმერთი; ავთანდილი – სულიწმიდა; ნესტან-დარეჯანი – იესო ქრისტეს ეკლესია, სიცოცხლის ხე; ქაჯეთის ციხე – ბიბლიური გველი, სატანა-ეშმაკი);

„მაშინ ქაჯეთს მოიწია უსაზომო რისხვა ღმრთისა:

კრონოს, წყრომით შემხედველმან, მოიშორვა სიტკბო მზისა:

მათვე რისხვით გარდუბრუნდა ბორბალი და სიმრგვლე ცისა,

ველნი მკვდართა ვერ იტევდეს, გადიადდა ჯარი მკვდრისა“. (1423); (ღლონტი 2008: 32-33).

სახარების მიხედვით იესო ქრისტეს მეორედ მოსვლისას, როცა მაცხოვარი განიკითხავს ცოცხლებსა და მკვდრებს ხორციელდება იესო ქრისტესა და ეკლესიის ანუ სიძის და სასძლოს საკრალური ქორწინება. ამის შესახებ საუბარია იოანეს გამოცხადებაში: „...გავიხაროთ და ვიმხიარულოთ და დიდება მივაგოთ, ვინაიდან მოვიდა კრავის ქორწილი, და მისმა სასძლომ თავი გაიმზადა. მიეცა მას, რომ ჩაეცვა ნათელი და წმიდა ბისონი, ვინაიდან წმიდა ბისონი წმიდანთა სამართლიანობაა“. მითხრა მე: „დაწერე: ნეტარნი არიან კრავის საქორწინო სერობაზე მიწვეულნი“. მითხრა: „ეს ჭეშმარიტი სიტყვებია ღვთისა...“ (გამოცხ. 19.7-9).

კონსტანტინე გამსახურდიას რომანებსა და ნოველებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება – იესო ქრისტეს მეორედ მოსვლისა და კაცობრიობის განკითხვის ბიბლიურ პარადიგმას, რომელსაც მოსდევს ქვეყნიერების ნგრევა და ახალი სამყაროს შექმნა, სადაც ხორციელდება საკრალური ქორწინებანი, ანუ ქვეყნიერებაზე მყარდება ცათა სასუფეველი.

იოანეს გამოცხადებაში აღწერილია ზეციური ქალაქი - ახალი იერუსალიმი, როგორც თავისი ქმრისათვის მორთული სასძლო: „...ვიხილე წმიდა ქალაქი ახალი იერუსალიმი, რომელიც ღვთისაგან ეშვებოდა ციდან გამზადეული, როგორც თავისი ქმრისათვის მორთული სასძლო... წამიყვანა სულით დიდსა და მაღალ მთაზე. მიჩვენა წმიდა ქალაქი იერუსალიმი, რომელიც ციდან ეშვებოდა ღვთისაგან: მქონე ღვთის დიდებისა; მისი შუქი მსგავსი იყო პატიოსანი თვლისა, როგორც იასპის ქვა, ბროლივით გამჭვირვალე... მისი გალავანი იასპით იყო ნაგები, ხოლო ქალაქი იყო წმიდა ოქრო, მსგავსი წმიდა მინისა. ქალაქის გალავნის საძირკვლები მოპირკეთებული იყო ყოველნაირი ძვირფასი ქვებით; პირველი საძირკველი იყო იასპი, მეორე – საფირონი, მესამე ქალკედონი, მეოთხე – ზურმუხტი; მეხუთე – სარდონიქსი, მეექვსე – სარდიონი, მეშვიდე – ქრიზოლითი, მერვე – ბივრილი, მეცხრე – ტოპაზი, მეათე – ქრისოპრასი, მეთერთმეტე – იაკინთი, მეთორმეტე – ამეთვისტო. თორმეტი კარიბჭე თორმეტი მარგალიტი იყო: ყოველი კარიბჭე თითო მარგალიტი, ხოლო ქალაქის ქუჩა სუფთა ოქრო იყო, როგორც გამჭვირვალე მინა...“ (გამოცხ. 21.2-21).

იოანეს გამოცხადებაში ზეციურ იერუსალიმს ეწოდება „სასძლო, კრავის ცოლი“ და მას უკავშირდება თორმეტი თვალი პატიოსანი.

ამ თორმეტ თვალ პატიოსანს დიდი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული კონსტანტინე გამსახურდიას რომანებსა და ნოველებში იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის პარადიგმასთან ერთად. ეს კი ადასტურებს მოსაზრებას, რომ კონსტანტინე გამსახურდიას რომანებში და ნოველებში რეალურად დასტურდება ქრისტიანული „მისტიკურ-ალეგორიული“ თეორია ანუ ქრისტიანული „საღვთო მიჯნურობის“ იდეა.

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების საინტერესო მკვლევარი ს. სიგუა გამოთქვამს მოსაზრებას, რომ: „კონსტანტინე გამსახურდია ბიბლიური მითებიდან ყველაზე ხშირად აპოკალიფსს ესესხება („იოვანეს გამოცხადება“). ეს წიგნი დაწერილია 67 წლის ივნისსა და 68 წლის აპრილს შუა და წინ უსწრებს სახარება ოთხთავსა და ეპისტოლეებს. პატმოსის ჭალაკში იოანე ღვთისმეტყველს გამოეცხადა იესო ქრისტე – ალფა და ომეგა, პირველი და უკანასკნელი, თეთრი

თმებით, შვიდი სასანთლეთი, შვიდი ვარსკვლავით, მახვილის სახით, ბუკის ხმით.

მთელი ტექსტი ფანტასმაგორიაა, რომელშიც ერთმანეთს ენაცვლება საკრალური შვიდი, ოთხი ცხოველი – მსგავსი ლომისა, კუროსი, კაცისა და არწივისა. სამყაროს იდუმალება დაბეჭდილია „ბეჭდითა შვიდითა“...

თითო ბეჭდის ახსნაზე გამოდის თითო ცხენი, ჯერ „სპეტაკი“, შემდეგ „წითელი“, „შავი“, „მწვანე“ და ქვეყნისათვის მოაქვთ ნგრევა და ცეცხლი, სისხლისღვრა და სიკვდილი. მაგალითად, მეექვსე ბეჭდის ახსნას მოჰყვება მიწისძვრა, ქარიშხალი, ვარსკვლავთცვენა და წარღვნა: „და ცა წარიგრაგნა, ვითარცა წიგნი წარგრაგნილი და ყოველნი მთანი ბორცვნი ადგილთა თვისთაგან შეიძრნეს“. ოთხ ანგელოსს ცვლის შვიდი ანგელოსი შვიდი ბუკით. ისინი რიგრიგობით დასცემენ ბუკს, რასაც თანმიმდევრულად მოსდევს კაცთა, ხეთა, ცხოველთა, მზის, მთვარის, ვარსკვლავების მესამედის მოსპობა. ზეცაში მიქაელი და ანგელოსები ებრძვიან დრაკონს – სატანას. მერმე ზღვიდან გამოდის საზარელი მხეცი, რომელსაც დრაკონმა თავისი ძალა და ტახტი გადასცა. მას ათი რქა და შვიდი თავი აქვს. სახით ვეფხსა ჰგავს, ფეხებით – დათვს, პირით – ლომს. მიწიდან ამოდის ორრქიანი, დრაკონის ხმით მოლაპარაკე მეორე მხეცი. მისი რიცხვია 666, რაც უნდა ნიშნავდეს ნერონს. „იოვანეს გამოცხადება“ არის ხილვა ქრისტეს მეორედმოსვლისა, იმ რისხვისა, რაც წარმართებს თავს დაატყდებათ, გადატანით კი ყოველგვარი კატასტროფის არქეტიპია. კ. გამსახურდიას ნაწარმოებთა სიუჟეტში ხშირად ერთვის ამ წიგნის სახეები...

თავად ავტორი შედარების საგნებად იყენებს 12 თვალი პატიოსანს, რომელთაც „იოვანეს გამოცხადება“ ასახელებს ზეციური იერუსალიმის აღწერის დროს: სარდიონი, პაზიონი, გიაცინტი, იასპი, საფირონი, სმარაგდი, ბივრიტი, იაკინთი, ქრიზოლითი, ამეთვისტო, აქატი, ქრიზოპრასი, რომლებიც 12 მოციქულის სიმბოლოა...

ეს საკრალური 12 ეგვიპტელებისაგან წამოვიდა, რომლებიც 12 თვალი პატიოსანით ზეცის თანავარსკვლავედებს და მათი შესაბამისი თვის სახელებს აღნიშნავდნენ. კ. გამსახურდიას (ისევე როგორც არაერთ თანამედროვე

შემოქმედს) მსოფლიო, რევოლუციური და სამოქალაქო ომები წარმოდგენილი აქვს იოვანეს ნაწინასწარმეტყველებ მეორედ-მოსვლად. ზოგჯერ ამ წიგნის სახეები რომანის ქვეთავების სათაურებად არის გამოტანილი: „პატმოსის ჭალაკი“, „აპოკალიპსური კურო“ („დიონისოს ღიმილი“), „მწვანე ცხენი“ („მთვარის მოტაცება“). ხანაც უშუალო თხრობაშია გაბნეული...“ (სიგუა 1991: 251-253).

ბიბლიურ-ქრისტიანული „მისტიკურ-ალეგორიული“ თეორია ანუ ქრისტიანული „საღვთო მიჯნურობის“ იდეა სახარებაში შემდეგი სიტყვებითაა აღწერილი: „...საყვარელნო! გვიყვარდეს ერთმანეთი, რადგან ღვთისგანაა სიყვარული, ხოლო ყოველი, ვისაც უყვარს, ღვთისგან არის შობილი და იცნობს ღმერთს. ვისაც არ უყვარს, მას არ შეუცვნია ღმერთი, ვინაიდან ღმერთი სიყვარულია. ღმერთის სიყვარული იმით გამოგვეცხადა, რომ ღმერთმა მოავლინა წუთისოფელში თავისი მხოლოდშობილი ძე, რათა მის მიერ ვიცოცხლოთ. ამაშია სიყვარული, რომ ჩვენ კი არ შევიყვარეთ ღმერთი, არამედ მან შეგვიყვარა და მოავლინა თავისი ძე ჩვენი ცოდვების მისატევებლად. საყვარელნო! თუკი ასე შეგვიყვარა ღმერთმა, ჩვენც გვმართებს ერთმანეთის სიყვარული. ღმერთი არასოდეს არავის არ უხილავს. თუ ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს, ღმერთი ჩვენში რჩება და მისი სრულყოფილი სიყვარული ჩვენშია. ჩვენ რომ მასში ვრჩებით და ის - ჩვენში, იმით ვგებულობთ, რომ მან თავისი სულისგან მოგვცა. ჩვენ ვიხილეთ და ვამოწმებთ, რომ მამამ მოავლინა ძე წუთისოფლის მაცხოვრად. ვინც აღიარებს, რომ იესო არის ძე ღვთისა, ღმერთი მასში რჩება, ის კი - ღმერთში. ჩვენ ვცანით და ვიწამეთ სიყვარული, რომელიც ჩვენდამი აქვს ღმერთს. ღმერთი სიყვარულია, ხოლო სიყვარულში დარჩენილი ღმერთში რჩება, ხოლო ღმერთი - მასში.

სიყვარულმა ჩვენში მიაღწია ისეთ სრულყოფას, რომ ჩვენ სითამამე გვაქვს განკითხვის დღეს, რადგან როგორიც ისაა, ჩვენც ისეთივე ვართ ამ წუთისოფელში. სიყვარულში არ არის შიში, ხოლო სრულყოფილი სიყვარული სდევნის შიშს, ვინაიდან შიშში ტანჯვაა, ხოლო მშიშარა სრულყოფილი არ არის სიყვარულში. ჩვენ გვიყვარს იმიტომ, რომ პირველად მან შეგვიყვარა. თუ ვინმე

ამბობს, ღმერთი მიყვარსო, თავისი ძმა კი ეჯავრება, იგი ცრუა, ვინაიდან, ვისაც არ უყვარს თავისი ძმა, რომელსაც ხედავს, როგორღა ეყვარება ღმერთი, რომელსაც ვერ ხედავს? და ასეთი მცნება გვაქვს მისგან, რომ ღვთის მოყვარულს თავისი ძმაც უნდა უყვარდეს" (1 იოანე 4.7-21).

ჩვენს წიგნში - „ქრისტიანული მსოფლმხედველობა კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში“ გამოვთქვით მოსაზრება, რომ ქრისტიანული „მისტიკურ-ალეგორიული“ თეორია, ანუ ქრისტიანული „საღვთო მიჯნურობის“ იდეა კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს: „...ვახტანგ მეექვსის წყალობით შესაძლებელი გახდა ისეთი მხატვრული ნაწარმოების, როგორიც „ვეფხისყაოსანი“ იყო ბიბლიასთან და ქრისტიანულ სარწმუნოებასთან დაკავშირება. ეს იმას ნიშნავდა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ თავისი ჭეშმარიტი არსით ლეგორიული ნაწარმოებია და მას საფუძვლად ქრისტიანული „მისტიკურ-ალეგორიული“ თეორია, ანუ ქრისტიანული „საღვთო მიჯნურობის“ იდეა უდევს. ესე იგი „ვეფხისტყაოსანში“ გადმოცემული „მიჯნურობა“ ქრისტიანული „საღვთო მიჯნურობის“ ალეგორიული ასახვაა. ვახტანგ მეექვსის დამსახურებით ასე დამკვიდრდა ქართულ მეცნიერებაში, კერძოდ რუსთველოლოგიაში ქრისტიანული „მისტიკურ-ალეგორიული“ თეორია, ანუ ქრისტიანული „საღვთო მიჯნურობის“ იდეა, რომელიც ჩემი აზრით, უახლესი ქართული ლიტერატურის, კერძოდ, კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს...“ (ღლონტი 2007: 54).

ქრისტიანული სარწმუნოების პოზიციიდან გამომდინარე განიხილავდა კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებას მისი ვაჟი ზ. გამსახურდია, რომელიც მიიჩნევდა, რომ არსებობს ორგვარი სახეობა რელიგიურობისა: რელიგიურობა რჩეულთა, ფილოსოფოსთა და სულიერ არისტოკრატთა და რელიგიურობა ჩვეულებრივი ადამიანებისა: „...ვინც რელიგიის ისტორიას კარგად იცნობს, მისთვის ცნობილია, რომ არსებობს ორგვარი სახეობა რელიგიურობისა: რელიგიურობა რჩეულთა, ფილოსოფოსთა და სულიერ არისტოკრატთა და რელიგიურობა ჩვეულებრივი ადამიანებისა, ე.ი. მასსებისთვის მისაწვდომი ფორმა

რელიგიურობისა, რაც გოეტემ შემდეგნაირად განმარტა ეკერმანთან საუბრებში: „ბიბლიის საკითხების განსახილველად არსებობს ორგვარი თვალსაზრისი. პირველია ის, რომ არსებობს ე. წ. პირველრელიგია და რომ ბუნება და სული თავიანთ წმინდა ყოფაში ღვთაებრივი წარმოშობისანი არიან. ეს თვალსაზრისი მარად უცვლელი დარჩება და იარსებებს მანამ, სანამ დედამიწაზე ღვთის მადლის მატარებელი არსებები მკვიდრობენ. მაგრამ იგი მხოლოდ რჩეულთათვისაა განკუთვნილი. იგი იმდენად კეთილშობილია და აღზევებული, რომ საყოველთაო ვერასოდეს გახდება. არსებობს აგრეთვე ეკლესიის თვალსაზრისიც, რომელიც უფრო ახლოს დგას ჩვეულებრივ ადამიანურ ყოფასთან...“ (გამსახურდია 1991: 383-384).

აქ განვითარებული მოსაზრება იმდენად არის საინტერესო, რომ იგი მიმართულია იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც - კონსტანტინე გამსახურდიას – რომანების და ნოველების „არაქრისტიანულ" ხასიათზე მიუთითებდნენ და ცდილობდნენ მწერლის - რომანების და ნოველების ძირითადი პერსონაჟები „არაქრისტიანებად" და წარმართებად წარმოეჩინათ.

კონსტანტინე გამსახურდიას – რომანების და ნოველების „არაქრისტიანული" ხასიათი იმავე სიბრტყეზე უნდა იქნეს განხილული, როგორც - შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ „არაქრისტიანული" ხასიათი. ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს უაღრესად ქრისტიანული სულისა და მსოფლმხედველობის მატარებელ შემოქმედთან, რომელთა შრომებშიც სრული სისავსით ასახულია ქრისტიანული სული და მსოფლმხედველობა. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ - შოთა რუსთაველი შუასაუკუნეების ღვიძლი შვილია და მისთვის დამახასიათებელია ყველა ის რწმენა თუ ცრუ რწმენა, რომელიც მაშინ იყო გაბატონებული, ხოლო - კონსტანტინე გამსახურდია ახალი დროის ორფეოსია და ქრისტიანულ რელიგიას მისთვის მხოლოდ სარწმუნოებრივი მნიშვნელობა აღარ აქვს, როგორც ეს შუასაუკუნეების მსოფლმხედველობისთვის იყო დამახასიათებელი.

კონსტანტინე გამსახურდია უფრო თამამად საუბრობს წარმართული კულტების შესახებ თავის რომანებსას და ნოველებში, ვიდრე ამას შოთა

რუსთაველი თავის „ვეფხისტყაოსანში“ გაბედავდა, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ მიუხედავად ქრისტიანული პარადიგმების სიმრავლისა, წარმართული მოტივების ნაკლეობა არც „ვეფხისტყაოსანში“ შეინიშნება.

ბიბლიურ-ქრისტიანული პარადიგმები სიმბოლურ-ალეგორიული სახით აისახა დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის კონსტანტინე გამსახურდიას რომანებსა და ნოველებში.

მწერლის რომანების და ნოველების უბადლო მკვლევარი ს. სიგუა გამოთქვამს მოსაზრებას, რომ „მთვარის მოტაცებაში“ მოცემულია წარმართული, ქრისტიანული და კომუნისტური იდეები: „რომანში იტოტება წარმართობა, ქრისტიანობა და კომუნისტური იდეები. თარაში წარმართია, თამარი – ქრისტიანი, ხოლო არზაყანი – კომუნისტი. თამარი ლალებითა და ბრილიანტებით შემკულ ოქროს ჯვარს ატარებს, რომელიც მას დედამ აჩუქა. დედის ანდერძი ჯვარში განივთდა, რომელიც ქრისტიანული რწმენის სიმბოლოა. თამარი ხომ ხუცესის ქალიშვილია. ჯვარი უბრალო დედისეული სამახსოვრო ნივთი როდია. დედის სახით ამ ანდერძს მას ძველი საქართველო აბარებს. ჯვარის ფორმაში მოქცეულია გვაროვნული, ფეოდალური სიყვარული, რომელიც დედასავით მშობლიური და ზვირფასია„„ ჯვარი დედისაგან განუყრელია. თამარს მიცვალებული დედა მუდამ ჯვრით ხელში ეცხადება... ჯახანა და ჯვარი იმიტომაც არის განუყრელი, რომ ჯახანას სახე ღვთისმშობელთან არის გაიგივებული. ხოლო ღვთისმშობელი, როგორც ვიცით, ქრისტიანული საქართველოს მფარველია, მისი წილხვედრია ქართლოსიანთა მიწა...“ (სიგუა 1991: 244-245).

მკვლევარი ს. სიგუა მიიჩნევს, რომ .როგორც სავარსამიძის, ისე ემხვარის სიკვდილში ძევს ხელმეორედ აღორძინება-განახლების მოტივი, რაც მათი მითიურობის ნიშანია: „...როგორც სავარსამიძის, ისე ემხვარის სიკვდილში ძევს ხელმეორედ აღორძინება-განახლების მოტივი, რაც მათი მითიურობის ნიშანია. ამას ერთგან თარაშიც აცხადებს, ხოლო სიკვდილი და კვლავ გაცოცხლება ყველა მითის განუყრელი, სპეციფიკური თვისებაა, რომლისგანაც მომდინარეობს ქრისტეს ჯვარცმისა და აღდგომის მისტერია: ამ იდეის მხატვრული

ხორცშესხმით მწერალი მიგვითითებს თავისი გმირების განსაკუთრებულ ბუნებაზე...“ (სიგუა 1991: 261).

იესო ქრისტეს ჯვარცმის ბიბლიური პარადიგმა წარმოდგენილია „დიონისოს ღიმილში“, რომელსაც სიმბოლურად კონსტანტინე სავარსამიძის ჯვარცმა განასახიერებს: „...მე ქრისტეს წარმოვადგენდი, ვითომ ქრისტე ვარ, ჩემი ძიძიშვილები ურიების როლს თამაშობდნენ. დაბალ ძეწნის ხეზე - ჯამლეთმა ჯვარედინად მიაჭედა ფიცარი. მე გამიყვანეს და გამაკრეს. ეს წარმოდგენა იმით გათავდა, რომ ცალი ხელი ძეწნის ტანსა და ფიცარს შორის დამრჩა; ძიძა რომ არ შეგვსწრებოდა და დროზე არ ჩამოვეღეთ „ჯვარიდან", ალბათ ხელი მომტყდებოდა: მთელი თვე შეხვეული მქონდა მკლავი და ამის შემდეგ ჯვარცმის წარმოდგენაც აღარ მოგვიწყვია" (გამსახურდია 1976: 389).

იესო ქრისტეს ჯვარცმის ბიბლიური პარადიგმა „დიონისოს ღიმილში“ აღწერილია ბიანკას სურათში, სადაც იესო ქრისტეს ჯვარცმა წარმოდგენილია კონსტანტინე სავარსამიძის ჯვარცმით: „...ბიანკა ადგა. წიგნების თაროდან ყვითელ ტილოში შეხვეული სურათი ჩამოიღო, მუხლზე დამიდო: ჩემი გალურჯებული სხეული შავი ძელის ჯვარზე გაკრული, წელზე უშველებელი გველი მარტყია. ტანში ჟრუანტელმა დამიარა. „თქვენ, როგორ გეზმანათ, სინიორა ბიანკა, რომ მე 25 წლის წინად ჯვარს მაცვეს ჩემმა ძიძაშვილებმა!“ ბიანკა დადუმდა. რაღაც უნდოდა ეთქვა, ვეღარ დაათავა. „რაც თქვენ ალბანოში, მოხვედით, დოტორე, - განაგრძო ბიანკამ, - დღედღეზე ვრწმუნდებოდი, რომ თქვენ იყავით ახალი ქრისტე. მიტომაც ახალი გოლგოთა დავარქვი ამ სურათს. მე მახრჩობდა ეს აზრი. სურათი რომ დავასრულე, ამოვისუნთქე“. „ქრისტესაც დაძლეული ჰქონდა შიში. აკი თქვენ მიტომაც არ გეშინიათ გველების. როცა ადამიანი სიკვდილის შიშს დასძლევს, უკვე ღმერთია“ (გამსახურდია 1976: 524).

კონსტანტინე გამსახურდიას რომანებსა და ნოველებში ქრისტიანულ პარადიგმებს ერწყმის წარმართული იდეები და მოტივები. სინთეზი იმდენად ღრმაა და სახისმეტყველება იმდენად მრავალფეროვანი, რომ რეალურად ჭირს იმ კონკრეტული ქრისტიანული წყაროს დადგენა, საიდანაც აღებულია ესა თუ ის პარადიგმა.

მწერლის რომანებსა და ნოველებში ქრისტიანული პარადიგმები ხშირ შემთხვევაში იცვლება წარმართული სახეებით. ხშირად, მწერლის თანამედროვე ადამიანები და მის მიერ გამოგონილი და შექმნილი მისი ნაწარმოების ცალკეული პერსონაჟები ალეგორიულად განასახიერებენ იმ აპოკალიფსურ პარადიგმებს, რომლებიც იოანეს გამოცხადებაშია გამოყენებული.

იესო ქრისტეს ჯვარცმის ბიბლიური პარადიგმაა აღწერილი კონსტანტინე სავარსამიძის ჯოჯოხეთში მოგზაურობისას, როცა იგი მარმარილოს ტახტზე მჯდომარე მონღოლს (სლანსკის) გამოჭრის ყელს, რომელიც ნაწარმოებში აპოკალიფსური დრაკონის (იოანეს გამოცხ. 12.1-3) პარადიგმაა.

ამ დროს მას თავად ჯვარცმული – იესო ქრისტე გამოეცხადება, რომელიც სათნო თვალებით უცქერის მას და კონსტანტინე სავარსამიძე იცნოს მის დაღრეჯილ სახეს და ფერდებზე და ხელის გულებზე მოლიბრო ნამსჭვალებს. ეს ის კაცი იყო, რომელიც სულ პირველად ნახა მისი სოფლის ეკლესიაში ჯვარზე გაკრული: „...ერთ ტყეში ერთი კოშკი იდგა. კოშკის გარშემო ძონძებიანი ქაჯები ფერხულს უვლიდნენ. ავედი ჭანდარზე და შევრისხე ბნელეთის მოციქულები: გრიაიი, გრიიი, გრიაიიი, გრიი. კოშკს მივადექი ქაჯები გაჰქრნენ. „შენ დასავლეთით მოუარე", ვეუბნები ჰერბერტს, „მე და ხალილი სამხრეთიდან შევუტევთ". სამჯერ შემოვუარეთ კოშკს, ვერ მივაგენით. ერთ ადგილას ფეხი ვჰკარი და კარი შევაღე. სპირალურ კიბეს ავყევით. უშველებელი მარმარილოს დარბაზი. მარმარილოს ტახტზე ღაწვმაღალი, ყვითელეპოლეტებიანი მონღოლი იჯდა. ფართე, განზე გამდგარი ყვითელი ყურები. ყურებიდან თელგამი მოსდიოდა. თავჩაქინდრული ყვინთავდა. შევდექით. ორი შუბს დაყრდნობილი რაინდი ტალად უდგა მარცხნით და მარჯვნით. მარჯვენას შავი ეცვა, მარცხენას ენდროსფერი. „სლანსკი!" დავუყვირე მე და ჩემსავე ხმაში ფოლადისებური წკრიალი გავიგონე...

ვიძახი, ვყივი, ხმა აღარა მაქვს, გაჭირვების ოფლი მასკდება. მაშინ სლანსკის თვალებში შევხედე და შევულოცე ისევე, როგორც გველს ულოცავდა ტაია შელია. სლანსკის დაეძინა. ავდექი, არგვეთის მთავრის ხრმალი ავიღე ისევ. ისევ გაიღვიძა. ხრმალი რომ დაინახა, შემეშინდა, ნუ მომკლავ და შენს მიჯნურს

გასწავლიო. შევპირდი. „ირბინე აქედან მზის დასავლისკენ, იქ ვენახია ყვავილოვანი ლაპის ლაზული და სმარაგდი ასხია ლერწებს და იქ დაგხვდება ღმერთების მიჯნური". მეც ისევე ავუსრულე პირობა, როგორც მან...

ყელი გამოვჭერი და სისხლი დავლიე. უცებ ისევ აჭრიალდა ჩემი ძვლები, ცივი, ამაზრზენი ხელები ვიგრძენი კისერზე. გაფითრებული კაცი თავზე წამომადგა და მეუბნება: „თქვენ სააქაოს ანგარიშები საიქიოს გინდათ გაასწოროთ?". ახლა ამ კაცს ვეცი გაცოფებული და წავაქციე. მან წინააღმდეგობაც არ გამიწია. სათნო თვალებით მიცქერის და ვიცანი მისი დაღრეჯილი სახე. ფერდებზე და ხელის გულებზე მოლიბრო ნამსჭვალები. ეს იყო ის კაცი, სულ პირველად რომ ვნახე ჩემი სოფლის ეკლესიაში ჯვარზე გაკრული" (გამსახურდია 1976: 671-673).

სისხლისმსმელი წარმართი სიზმარში ცნაურდება, მაგრამ იმავე სიზმარში შემოდის ქრისტიანული სული, სათნო თვალებითა და სიკეთით აღსავსე. ეს სიზმარი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მასში მოჩანს გაორებული სულის ყივილი, წარმართისა და ქრისტიანის თვით ერთ პიროვნებაში ჭიდილი.

მკვლევარი ა. ბაქრაძე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ კონსტანტინე სავარსამიძე გულზვიადი და ამაყი კაცია, რომელსაც არ ერიდება ღმერთთან თავის გატოლებაც კი: „...ეს უბრალო ბავშვური თამაში არ არის. იგი კონსტანტინე სავარსამიძის შინაგანი სულიერი ლტოლვის სურათია. მისი ეს სულიერი მისწრაფება – ღმერთს ჰგავდეს და ღმერთს გაუტოლოს თავი – სხვა შემთხვევაშიაც ბევრჯერ დასტურდება. იგი ბიანკამაც ჯვარცმული დახატა...

ამ მოტივს აგრძელებს და აძლიერებს პერუჯას გზაზე მომხდარი ამბავიც. აქ მორწმუნეთა მრავალრიცხოვან ბრბოში ერთი მათხოვარიც ერია, რომელიც ეტლში იჯდა და ცრუს თავი ქრისტედ მოჰქონდა. მათხოვარი ეტლიდან ჩამოვიდა და ბრბოში გაერია. როცა კონსტანტინე სავარსამიძემ ცარიელი ეტლი დაინახა, თვითონ ჩაჯდა შიგ. აღტკინებული ბრბო ეტლს გამოეკიდა ყვირილით – ჯესუ, ჯესუ, ჯესუ!.. ამის გამგონე კონსტანტინე სავარსამიძე აღიარებს - „მე წამიერად გამეხარდა, რომ, თუმცა მასხრობით, მაგრამ მაინც ქრისტეს სახელს რომ მიწოდებდნენ“ (გვ. 805).

მერე ეტლის პატრონი მათხოვარი მოვიდა. გაბრაზებულმა სილა აჭამა სავარსამიძეს: „-ვინ მოგცათ ნება ღმერთის ეტლში ჩამჯდარიყავით? მეორე ყბა მივუშვირე და ვეუბნები: - მე თვითონა ვარ ღმერთი“... (გვ. 80).

აქაც სულიერი წყურვილის გამოვლენაა, რაც თუ ნამდვილად არა, მოჩვენებითად მაინც აკმაყოფილებს კონსტანტინე სავარსამიძის პატივმოყვარეობას და უზენაესის მაძიებელ სულს. ღმერთთან კავშირი მას სიზმარშიაც არ აძლევს მოსვენებას. სავარსამიძემ ერთხელ სიზმრად ნიანგისტყავიანი კაცი და თევზისთვალიანი ქალი ნახა. ნიანგისტყავიანმა უთხრა თევზისთვალიანს: „ამ კაცს ღმერთივით სული ჰქონია, სამ წილად ღმერთია, ერთ წილად კაცი“ (გვ. 943)...“ (ბაქრაძე 2004: 215).

კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ღიმილში“ ხშირადაა გამოყენებული ბიბლიურ-ქრისტიანული პარადიგმები, რომლებიც მჭიდრო კავშირში არიან ერთმანეთთან და ქმნიან ერთიან სისტემას.

აი ეს სისტემა „დიონისოს ღიმილში“:

1. აპოკალიფსის შვიდი ოქროს სასანთლე (იოანეს გამოცხ. 1.12-20), „დიონისოს ღიმილში" სიმბოლიზებულია ალი-მირზა ხანის სალონში მოლაპლაპე შვიდსანთლიანი შანდალით: „...რგვალ, მაჰაგონის შავ მაგიდას უსხდნენ: ჯენეტ ხანუმ, მადამ ფან სტაუნ, ანგელოზის სახის მადამ დეჟარდინიე, მადამ შენიე, მადმუაზელ დელა როშ, შოტლანდიელი ქალი, მადმუაზელ ტორინო, შუაში მადმუაზელ ლორენც... მადმუაზელ ლორენცს სახეზე ეტყობოდა - ოპიუმი მიეღო წინასწარ. გაუნძრევლად იჯდა, თვალზე მიბნედილი ნისლი გადაჰკროდა. მის მახინჯ სახეს რაღაც მისტიური ელფერი მისცემოდა. გარინდებული მისჩერებოდა სალონის ბნელ კუთხეში მოლაპლაპე შვიდსანთლიან შანდალს...“ (გამსახურდია 1976: 375).

2. ბიბლიურ-ქრისტიანულ პარადიგმას წარმოადგენს იესო ქრისტეს მიერ სამარიტელი დედაკაცისათვის წყლის თხოვნა (იოანე 4.1-30), რომელიც „დიონისოს ღიმილში" სიმბოლიზებულია შვიდი თვალი პატიოსანით: „მაცხოვარმა ჩვენმა, იესო ქრისტემ წყალი სთხოვა სამარიტელ დედაკაცს". დაიწყო ქადაგად დავარდნილმა. „დედაკაცმა მოიღო, სამაგიეროდ იესომ აჩუქა

შვიდი პატიოსანი თვალი. სამარიტელ ქალს უნდა გაენაწილებინა წყალი ცხოვრებისა ისრაელის დედათა შორის. რადგან ეს პატიოსანი თვლები ქრისტეს ცრემლები იყვნენ" (გამსახურდია 1976: 375).

3. აპოკალიფსის შვიდი ბეჭდით დაბეჭდილი წიგნი (იოანეს გამოცხ. 5.1-9), „დიონისოს ღიმილში" სიმბოლიზებულია ტაია შელიას მიერ ბუნების შვიდბეჭდიანი წიგნის პირველი ფურცლის ახევით: „ტაია შელიამ ახია ჩემს თვალწინ ბუნების შვიდბეჭდიანი წიგნის პირველი ფურცელი" (გამსახურდია 1976: 381).

4. აპოკალიფსის მხედარი (იოანეს გამოცხ. 6.7-8), „დიონისოს ღიმილში" სიმბოლიზებულია მწვანე ცხენზე მჯდარი წითელჩაბალახიანი, ახოვანი, თმაწითური მონღოლით: „აჰა, ეს უნდა იყოს ჩინგის-ხანის შემოსევა". მეუბნება ჯენეტი. მისის ბლუტ და კაპიტან დოაზანი უკვე ამ სურათის წინ იდგნენ. ხალილი არსად სჩანდა. ყვითელი ლელით, წითელი ყაყაჩოებით შემოსილი სტეპი. მონღოლების შუბოსანი კავალერია გრიგალივით მიჰქრის აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. უბელო, დაუჭედავ ცხენებზე შუბლ-ბრტყელი, დიდთავა, ღაწვმაღალი, ცხვირჩაჭყლეტილი ყვითელი რასსა... და ამ აპოკალიპსურ მხედრებს წინ მიუძღვება მწვანე ცხენზე მჯდარი წითელჩაბალახიანი, ახოვანი, თმაწითური მონღოლი..." (გამსახურდია 1976: 413-414).

5. პატმოსის ჭალაკში იოანე ღვთისმეტყველისათვის იესო ქრისტეს გამოცხადება (იოანეს გამოცხ. 1.9-20), „დიონისოს ღიმილში" სიმბოლიზებულია ნოტრდამში მოხატული აპოკალიფსური მოტივებით: „...პატმოსის ჭალაკი, ზეწრით შესუდრული ძე კაცის მსგავსის თოვლივით სპეტაკი თავი, ალისებური ბრწყინვალე თვალები. მისი პირიდან ორპირ აღლესული მახვილი ამოდის. ხელთ უპყრია კლიტენი სიკვდილისა და ჯოჯოხეთისანი. მარჯვნით ვარსკვლავი შვიდი და შვიდი სასანთლენი ოქროისანი. ნაირ-ნაირი აპოკალიპსური ცხოველი: ლომის მსგავსი, კუროს მსგავსი, არწივის მსგავსი, მეოთხესაც პირი კაცისა. თითოეულს წინ და უკან ორ-ორი თვალი და ფრთა ექვს-ექვსი..." (გამსახურდია 1976: 419).

6. აპოკალიფსის კურო (იოანეს გამოცხ. 4.6-8), „დიონისოს ღიმილში" სიმბოლიზებულია ტაია შელიას ჯოგის წაბლა კუროთი: „...ერთბაშად საშინელი ბღავილი შემომესმა, გადაღმა თხემიდან გადმოდგა ღვინისფერი კურო... წაბლისფერი მოზვერი გამოეყო ჯოგს, დაიბღავლა, შეიკუნტრუშა და გაექანა. ღვინისფერმა უკან დაიხია, ჩლიქებით დაიწყო ბუღრაობა და სილიან მიწის თხრა. წაბლისფერმა თავი ასწია, შეუბღვირა, შეკუნტრუშდა, განზე გაიწია, მიწას დააცქერდა, მანაც დაიწყო ბუღრაობა და ადგა მტვერი. ლანდის სისწრაფეზე გამოჰქანდა ღვინისფერი და გაისმა რქების რახუნი. ისევ დაიხია უკან ღვინისფერმა, ისევ ბუღრაობა დაიწყო. ახლა წაბლისფერმა შეუტია, თავისი მოვარვარე წვეტიანი გიშრის რქები მიუშვირა ღვინას გამოქანებულ რქებს, ააცდინა და მკერდში ამოსდო ცალი რქა. დაიხია უკან ღვინამ, ასწია მაღლა თავისი უშველებელი თავი, მოგრიხა ამაყად. დაეძგერა მტერს. ზედიზედ იხევდნენ უკან. სცემდნენ ერთმანეთს წვეტიან რქებით, იხევდნენ, ბუღრაობდნენ, მიწას სთხრიდნენ, ისევ ეძგერნენ ერთიმეორეს და ქედმაღალმა ზორბა ღვინამ მოუქნია ტანმოჩრილ წაბლას და თვალის დახამხამებაზე გამოშიგნა თავისი ბასრი რქებით..." (გამსახურდია 1976: 640).

7. აპოკალიფსის მხედრები (იოანეს გამოცხ. 6.1-8), „დიონისოს ღიმილში" სიმბოლიზებულია ხალილი ბეით, ჰერბერტ შტუდერსით და კონსტანტინე სავარსამიძით: „...მე ხმალი მიწაში გამოვავლე და გადავიარე სამი მინდორი ისლიანი, სამი ველი გვიმრიანი, სამი მთა დაფნიანი. ერთ ტყეში ტაფობი იყო, ტაფობზე კარავი იდგა. კარავში კუბო იყო. კუბოში რაინდი ესვენა პირგამურული. კარავიდან გამოვედი. სამი ცხენი პალოზე ება: ერთი შავი, ერთი თეთრი და ერთიც ენდროსფერი... ხალილი თეთრაზე შეჯდა, ჰერბერტი შავზე და მე ენდროსფერ ულაყს მოვახტი..." (გამსახურდია 1976: 670-671).

8. იესო ქრისტეს ჯვარცმა (მათე 27.27-37), „დიონისოს ღიმილში" სიმბოლიზებულია კონსტანტინე სავარსამიძისათვის ჯოჯოხეთში ჯვარცმული ქრისტეს გამოცხადებით: „...უცებ ისევ აჭრიალდა ჩემი ძვლები, ცივი, ამაზრზენი ხელები ვიგრძენი კისერზე. გაფითრებული კაცი თავზე წამომადგა და მეუბნება: „თქვენ სააქაოს ანგარიშები საიქიოს გინდათ გაასწოროთ?". ახლა ამ კაცს ვეცი

გაცოფებული და წავაქციე. მან წინააღმდეგობაც არ გამიწია. სათნო თვალებით მიცქერის და ვიცანი მისი დაღრეჯილი სახე. ფერდებზე და ხელის გულებზე მოლიბრო ნამსჭვალები. ეს იყო ის კაცი, სულ პირველად რომ ვნახე ჩემი სოფლის ეკლესიაში ჯვარზე გაკრული" (გამსახურდია 1976: 673).

კონსტანტინე გამსახურდიას რომან „დიონისოს ღიმილის“ განხილვა გვიჩვენებს, რომ ამ ნაწარმოებში ხშირადაა გამოყენებული ბიბლიურ-ქრისტიანული პარადიგმები. ერთ-ერთი ასეთი ბიბლიურ-ქრისტიანული პარადიგმაა შვიდი თვალი პატიოსანი, რომელიც ღმერთის სასუფევლის სიმბოლოა. მათ შორისაა სმარაგდი, რომელიც მარადიულ სიყვარულს განასახიერებს. არ არის შემთხვევითი, რომ ალი-მირზა ხანის სალონში სმარაგდის ბეჭედი სწორედ ჯენეტ ხანუმს შეხვდა. ჯენეტისა და კონსტანტინე სავარსამიძის სიყვარული მისტიკას, ირაციონალურს უკაშირდება. ნაწარმოებში ასახული მისტიკური მოვლენები და იდეები ჯენეტისა და კონსტანტინეს გარშემო იყრიან თავს და მათ პიროვნებებს აერთიანებენ. მომავალში ჯენეტ ხანუმმა სმარაგდის ბეჭედი მოიხსნა და კონსტანტინე სავარსამიძეს აჩუქა, როგორც მათი მარადიული სიყვარულის სიმბოლო. ამით მან თავის კანონიერ მეუღლეს უღალატა, მაგრამ მარადიულ სიყვარულს ეზიარა. ჯენეტ ხანუმისა და კონსტანტინე სავარსამიძის სიყვარული სმარაგდის ბეჭდით არის დაბეჭდილი.

ასეთივე სიმბოლური და მისტიური დატვირთვა გააჩნია ყველა იმ აპოკალიფსურ პარადიგმებს, რომლებიც კონსტანტინე გამსახურდიას რომანებსა და ნოველებშია აღწერილი. ასევე, აღსანიშნავია სახელი „ჯენეტი“, რომელიც სამოთხის მნიშველობას შეიცავს.

იესო ქრისტეს ჯვარცმის ბიბლიური პარადიგმა დასტურდება კონსტანტინე გამსახურდიას რომან „მთვარის მოტაცებაში", რომელიც თავისი არსით ქრისტიანული ნაწარმოებია. რომანს მსჭვალავს წარმართობის დაძლევისა და ქრისტიანობის აღორძინების იდეა. თარაშ ემხვარის სიკვდილში გამოყენებულია სიკვდილით სიკვდილის დაძლევისა და მკვდრეთით აღდგომის ქრისტიანული პარადიგმა.

რომანში წარმართობა გარდაიქმნება ქრისტიანობად. გაორებული თარაშ ემხვარის სული გამთლიანდება და იგი ქრისტიანულ საწყისს უერთდება. თარაშ ემხვარი მდინარე ენგურში ჯვართან ერთად იღუპება. ჯვარი იესო ქრისტეს ჯვარცმის სიმბოლოა. თარაში შესაწირავ მსხვერპლს წარმოადგენს. იგი იღუპება როგორც წარმართი და აღდგება როგორც ქრისტე, როგორც სამყაროს ქრისტიანული საწყისი.

მკვლევარ ა. ბაქრაძის მოსაზრებით, თარაშ ემხვარის პიროვნებაში სიკვდილის საშუალებით ხელმეორედ აღორძინება-განახლების აზრია გატარებული: „...მიუხედავად გარეგნული მოლხენილობისა, თარაშ ემხვარი მუდამ სიკვდილზე ფიქრობს. ამ ფიქრისაგან გათავისუფლება არ შეუძლია...

სიკვდილის გზით აღორძინების მოტივს აგრძელებს თარაშის სურვილი: „თუ თავის მოკვლა გადავწყვიტე, ჩემს საყვარელ სტიქიონს – წყალს უნდა მივაკითხოო“ (ტ. 2, გვ. 89). რაღა მაინცა და მაინც წყალს? თვითონ თარაში უბრალო და მკაფიო პასუხს იძლევა - „მე მდინარის პირად ვარ გაზრდილი. განუზომლად მიყვარდა წყალი“ (ტ.2, გვ.89). მართალია, მერე თარაშ ემხვარმა წყალში თვითმკვლელობაზე უარი თქვა და ამ აქტის შესასრულებლად რევოლვერი ამჯობინა, მაგრამ მაინც მისი თავდაპირველი „ოცნება“ ასრულდა: იგი ენგურში დაიხრჩო. ე.ი. წყალში სიკვდილს ვერ გაექცა. ახლა თუ გავიხსენებთ, რომ ქართულ მითოლოგიაში წყლის ღმერთი იგრი სიცოცხლის საწყისია, რომ მდინარე ენგურის სახელი ამ წარმართული ღმერთის სახელიდან არისო წარმოებული, რომ იგრის სადიდებელი თვე იგრიკა, საბა ორბელიანის განმარტებით, აპრილია და, რომ თარაშ ემხვარი ენგურში სწორედ აპრილში დაიხრჩო, მაშინ უსაფუძვლო არ იქნება დასკვნა: აქაც სიკვდილის საშუალებით ხელმეორედ აღორძინება-განახლების აზრია გატარებული, რადგან თარაშის სიკვდილი იმ ღმერთის სახელთან არის დაკავშირებული, რომელსაც, მართალია ხანდახან სიკვდილი მოჰქონდა (იგრის გამოჩენას წყალდიდობაც და ქარიშხალიც მოჰყვებოდა), მაგრამ მაინც სიცოცხლის საწყისი იყო. უიმისოდ ვერაფერი იხარებდა...“ (ბაქრაძე 2004: 273-274).

თარაშ ემხვარი მდინარე ენგურში თამარის ჯვართან ერთად იღუპება.

მკვლევარი ს. სიგუა გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ეს ჯვარი თარაშისათვის ხელოვნების სიმბოლოა, ძველი ქართული ოქრომჭედლობის ნიმუში, ხოლო არზაყანისათვის ჩვეულებრივი ლითონია: „...ამ ჯვარს სხვადასხვაგვარად უყურებენ არზაყანი, თარაში და კაროლინა. თარაშისათვის ის ხელოვნების სიმბოლოა, ძველი ქართული ოქრომჭედლობის ნიმუში, ხოლო არზაყანისათვის ჩვეულებრივი ლითონია. თამარმა ჯვარის დაკარგვა მაშინ შეიცნო, როცა სივრცეში ილორის გუმბათის ჯვარი დალანდა: ყოფიერმა სიმბოლური გაახსენა. თამარს ყელსაბამი არზაყანმა გაუწყვიტა და ჯვარიც მან დაუმალა. ესეც ერთი საინტერესო ნიუანსია, სწორედ კომუნისტმა დააკარგვინა შარვაშიძის ქალს ჯვარი, რომელიც მისთვის სიცოცხლის მტარებელი მაგიური ნივთი იყო. არზაყანმა ბოლოს თარაშს გადასცა ჯვარი, რათა სნეული ქალისათვის დაებრუნებინა. ას ძაბული ჰყავდა უკვე შერთული, მაგრამ მისოუსტი ენგურში დაიხრჩო და ჯვარმა პატრონამდე ვერ მიაღწია. ქრისტიანული რწმენა თამარს კომუნისტმა ზვამბაიამ მელანქოლიად უქცია, სნეულება გაურთულა და სიკვდილი დააჩქარა. და ის მხოლოდ მაშინ დააბრუნა, როცა რწმენა და რწმენის მტარებელი გარდაცვლილი იყო. ამგვარადაც არის გააზრებული ახალი იდეოლოგიის ბრძოლა ქრისტიანობასთან, რადგან ბევრს ეს შეჯახება რელიგიურ შინაომად წარმოედგინა“ (სიგუა 1991: 245).

თამარის ჯვარი იესო ქრისტეს ჯვარცმის ბიბლიურ პარადიგმას განასახიერებს. აქედან დასკვნაც, თარაშ ემხვარის მდინარე ენგურში თამარის ჯვართან ერთად დაღუპვა იესო ქრისტეს ჯვარცმის ბიბლიური პარადიგმის სიმბოლურ-ალეგორიულ ასახვას წარმოადგენს. არზაყან ზვამბაიას მიერ თარაშ ემხვარისათვის თამარის ჯვარის გადაცემის ეპიზოდი აღწერილია „მთვარის მოტაცების“ ფინალში: „...ხუთიოდე წუთის მანძილზე ხმისამოუღებლად კაზმავდნენ ორივენი არაბიას და არც ერთს კრინტი არ დაუძრავს. ბოლოს გავაზე ხელი მოუტატუნა არზაყანმა ცხენს და თარაშს შეესიტყვა: „ბორანი რომ არ იქნეს, მისოუსტ, რა იზამ?" „გავალ როგორმე". „ჯანაბასაც წასულხარ". გაიფიქრა არზაყანმა და მის გულში იმედი ჩაისახა: ეგებ სასიკვდილოდ შევუკაზმეო ცხენი ამ დაწყევლილ ემხვარს. არაბიაც არ ენაღვლებოდა ამ წუთში,

მისი საყვარელი არაბიაც, თუ კი იგი იკისრებდა თარაშ ემხვარის სიკვდილის დემონად გახდომას. თარაში არაბიას მოახტა, ორიოდე ნაბიჯიც არ ჰქონდა ცხენს გადადგმული, არზაყანი გამობრუნდა, გულდაწყვეტილად შეხედა თავის საყვარელ ულაყს. ცოტა მომიცადეო, სთხოვა და სახლში შევიდა, კარგახანს აცდევინა მაგნოლიის ქვეშ ცხენოსანს. მერმე ქაღალდში გახვეული ნივთი მოუტანა თარაშს და ეს უთხრა: ეს თამარს გადაეციო, შარშან ვიპოვნეო ეს ჯვარი ილორში, მაგრამ არ ვუმხელდიო განზრახ. თარაშმა თამარის ჯვარი იცნო" (გამსახურდია 1973: 748-749).

კონსტანტინე გამსახურდიას რომანების ბრწყინვალე მკვლევარი ა. ბაქრაძე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ თარაშ ემხვარი საკუთარ რწმენას ეზიარა და ისე გადავიდა არყოფნაში: „...რომანში თარაშ ემხვარის სიკვდილს წინ უსწრებს მესეფეთა მოსვლა. ლუკაია ლაბახუა მესეფეთა ვინაობას ასე განმარტავს: „ზღვაში ცხოვრობენ მესეფენი, შურიგე. ქვეწარმავლების ღმერთებია მესეფენი. გაზაფხულის წვიმები ამოყვებიან ზღვიდან მესეფეებს“ (ტ. 3, გვ. 206)...

საქმე ის არის, რომ მესეფენი რასაც შეჭამენ, მერე ისევ აცოცხლებენ. ე.ი. მესეფეთაგან მონიჭებული სიკვდილი თავისთავში განახლება-აღორძინებას შეიცავს. ამ მითოლოგიურ ამბავშიც იგივე მოტივია, რაც პერსეფონესა და იგრის თქმულებებში. აქაც სიკვდილით ხდება აღორძინება...

ძველ რომაელთა პერსეფონე, ქართველთა იგრი და მესეფე სიკვდილის გზით ანიჭებენ ადამიანს განახლება-აღორძინებას. თარაშ ემხვარსაც ასე სჯეროდა – მხოლოდ სიკვდილით შეიძლებაო მკვდრეთით აღდგომა. ამრიგად იგი საკუთარ რწმენას ეზიარა და ისე გადავიდა არყოფნაში...“ (ბაქრაძე 2004: 274-275).

იესო ქრისტეს ჯვარცმის ბიბლიური პარადიგმის შესახებ ჩვენს წიგნში „ქრისტიანული მსოფლმხედველობა კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში“ გამოვთქვით მოსაზრება, რომ იესო ქრისტეს ჯვარცმას „დიონისოს ღიმილში“ წარმოადგენს კონსტანტინე სავარსამიძის ჯოჯოხეთში ჩასვლა, ხოლო „მთვარის მოტაცებაში“ თარაშ ემხვარის ენგურში დახრჩობა: „...შეგვიძლია მოვიყვანოთ კონკრეტული ფაქტები კონსტანტინე გამსახურდიას - „დიონისოს ღიმილიდან“ და „მთვარის მოტაცებიდან“, რომელიც სწორედ სიკვდილით სიკვდილის

დაძლევისა და მარადიულ სიცოცხლესთან ზიარების ალეგორიულ, სიმბოლურ სახეებს წარმოადგენენ და რომლებიც თავის თავში იესო ქრისტეს მიერ სიკვდილით სიკვდილის დაძლევისა და მკვდრეთით აღდგომის შინაარსის შემცველები არიან. ამგვარ მოტივებს ჩემი აზრით - „დიონისოს ღიმილში“ წარმოადგენს კონსტანტინე სავარსამიძის ჯოჯოხეთში ჩასვლა, ხოლო - „მთვარის მოტაცებაში“ თარაშ ემხვარის ენგურში დახრჩობა...“ (ღლონტი 2007: 19).

კონსტანტინე გამსახურდიას რომან „მთვარის მოტაცებაში" აღწერილია ბიბლიურ-ქრისტიანული პარადიგმები.

თარაშ ემხვარი ენგურში იღუპება როგორც წარმართი და აღდგება როგორც ქრისტე, როგორც სამყაროს განმაახლებელი ღვთაებრივი საწყისი. ეს არის ის ძირითადი პარადიგმა, ის მისტიკური საზრისი, რომელიც საფუძვლად უდევს რომან „მთვარის მოტაცებას", როგორ მხატვრულ ნაწარმოებს.

„მთვარის მოტაცებაში" გამოყენებულია ბიბლიურ-ქრისტიანული პარადიგმები, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში არიან და ქმნიან ერთიან სისტემას.

აი ეს სისტემა „მთვარის მოტაცებაში“:

1. ბიბლიურ-ქრისტიანულ პარადიგმას წარმოადგენს აპოკალიფსის ვეშაპი (იოანეს გამოცხ. 13.1-8), რომელიც „მთვარის მოტაცებაში" სიმბოლიზებულია ლუკაია ლაბახუას სადღეგრძელოთი: „...არ იქნა და თავი ვერ მოაბა შარდინ ალშიბაიამ ლუკაიას სადღეგრეძლოს... აქ აპოკალიფსური ვეშაპი მოიხსენია და დაიწყო ცნობილი ადგილი: „და მიეცა მას ხელმწიფება ყოფად ბრძოლისა ორმეოც და ორთუე: და აღაღო პირი თვისი გმობად ღუთისა მიმართ და გმობად სახელისა მისისა და სამკუდრებლისა მისისა და მიეცა მას ბრძოლისა ყოფად წმინდათა მიმართ და ხელმწიფება ყოველსა ზედა ტომსა: და ერსა: და ენასა: და წარმართთასა: და თაყუანი სცეს მას: ყოველთა მკუიდრთა ქუეყანისათა, რომელთა სახელები არ დაწერილ არს..." (გამსახურდია 1973: 119).

2. ბიბლიურ-ქრისტიანულ პარადიგმას წარმოადგენს აგრეთვე ნაბუქოდონოსორის სიზმარი (დანიელი 2.1-47), რომელიც „მთვარის მოტაცებაში“ სიმბოლიზებულია ლუკაია ლაბახუას სადღეგრეძლოთი: „...უცებ ბიბლიური

ხრმალი იქცევისი მოიგონა და ძილისშორისი ნაბუქოდონოსორ ბაბილონის მეფისა ახსენა... მრავალგზის დაიწყო ეს ადგილი: „...და იძილისშორისა ნაბუქოდონოსორმან ძილისშორისი და განკრთა სული მისი და ძილი მისი განიქმნა მისგან და ბრძანა მაშინ მეფემან ხმობა მსახურალთა მოგვთა, მეწამლეთა, დაფარულთა მიმთხრობთა და ქალდეველთა მითხრობად მისდა ძილის შორისასა მისისა. და მოვიდეს და დადგეს წინაშე მეფისა და ჰრქვა ნაბუქოდონოსორმა ძილისშორისი მისი" (გამსახურდია 1973: 119-120).

3. აპოკალიფსის ზღვა (იოანეს გამოცხ. 21.1), „მთვარის მოტაცებაში" სიმბოლიზებულია ნამრუდისფერი ზღვით: „...სადღა იყო ზღვა, ზღვა უკვე აღარ სჩანდა და მოაგონდა მას აპოკალიფსის სიტყვები: ზღვა უკვე აღარ იყოვო, რომ დაწერილა" (გამსახურდია 1973: 265).

4. აპოკალიფსის თორმეტი თვალი პატიოსანი (იოანეს გამოცხ. 21.9-21), „მთვარის მოტაცებაში" სიმბოლიზებულია თამარ შარვაშიძისადმი მიძღვნილი პატიოსანი თვლებით: „...მიელულა თამარს ცნობიერება ნელინელ... ხედავს: მოვიდა დედა, დაიჩოქა მის თავთან, გაიხსნა კალთა დედისა და გადაეყარა თავზე თამარს სარდიონი და პაზიონი, საპფირონი და იასპი და კიდევ ურიცხვი პატიოსანი ქვა..." (გამსახურდია 1973: 363-364).

5. აპოკალიფსის ანგელოზი (იოანეს გამოცხ. 8.1-6), „მთვარის მოტაცებაში" სიმბოლიზებულია ლუკაია ლაბახუათი: „...ისევ აიღო ლუკაია ლაბახუამ ბუკი და კინოოპერატორმა დაატკაცუნა. შემდეგ ხატი დაჰკიდეს მკერდზე ლუკაიას (მღვდელი ეკლესიის ეზოდან გავიდა წესისამებრ). მოზიმზიმე ბრბო გარს შემოერტყა ლუკაია ბალახუას. „ოისა", შესძახა ლუკაიამ. „გაისა". დაიქუხა მრევლმა. „ოისა", „გაისა", ისმოდა გრიალი. ვერცხლის ხატით მკერდდამშვენე-ბული ლუკაია წინ მიუძღოდა ხალხს და „ოისა-გაისას" ძახილით სამჯერ შემოუარეს ეკლესიას" (გამსახურდია 1973: 527-528).

6. აპოკალიფსის მხედარი (იოანეს გამოცხ. 6.7-8), „მთვარის მოტაცებაში" სიმბოლიზებულია თარაშ ემხვარით: „...ახლა ხმა აღიმაღლა დიაკონმა და უკვე მკაფიოდ მისწვდა თამარის სმენას საკითხავის გახუნებული სიტყვები. ...„და რაჟამს აღაღო მეოთხე ბეჭედი, მესმა ხმა მეოთხისა ცხოველისა, რომელი

იტყოდა: მოვედ და ვიხილე და ვიხილე აჰა, ცხენი მწვანე და ზედა მჯდომარესა მას ზედა სახელი მისი სიკვდილი". და სიტყვა „ცხენის" გაგონებამ თამარის ცნობიერება თარაშ ემხვარის სახეს დაუკავშირა და ცრუმორწმუნე ქალმა ეს ყოველივე მომდევნო სიტყვას „სიკვდილს" გადაასკვნა" (გამსახურდია 1973: 629).

7. აპოკალიფსის შვიდი ოქროს სასანთლე (იოანეს გამოცხ. 1.12-20), „მთვარის მოტაცებაში" სიმბოლიზებულია დევის ქვაბში ანთებული შვიდი კვარით: „...კერასკენ გავიხედე და რას ვხედავ? ცეცხლი გაუჩაღებია ვიღაცას, ცეცხლიც გაუჩაღებია და შვიდი კვარიც აუნთია. ანთია ქვაბში შვიდი ლაპლაპა კვარი, როგორც შვიდნი სასანთლენი ოქროისანი... შევცქერი ამ ცეცხლს. ვინ გააჩაღა ნეტავი იგი? შევცქერი შვიდ სასანთლეს, ვინ აანთო ნეტავი იგინი?..." (გამსახურდია 1973: 636).

8. აპოკალიფისის მხედრები (იოანეს გამოცხ. 6.3-5), „მთვარის მოტაცებაში" სიმბოლიზებულია თარაშ ემხვარით და არზაყან ზვამბაიათი: „...და ეზმანება: ტრამალზე მიაგელვებს ყორნისფერ ცხენს. ზღვასავით მოვარდნილი ტრამალები ეგებიან ფეხქვეშ, უკაცრიელი, უდაბური, ურწყული ველები და ჰქრის არავი საშინელი, გულშემზარვი, ქვიშა სამკერდემდის მისწვდენია ცხენს. შეტოკდა ანაზდეულად ცხენიცა და მხედარიც... თვალის დაფახულებაც ვერ მოასწრო თარაშ ემხვარმა და გამოქანდა წითელ მერანზე მჯდარი არზაყან ზვამბაია, ლეკურით წააცალა თავი მეზირს, საშინელი ბუღი დააყენეს გაქანებული ცხენის ფლოქვებმა და გადაყვა ალისფერ არავს ცხენიცა და მხედარიც" (გამსახურდია 1973: 739-740).

9. აპოკალიფსის ანგელოზი (იოანეს გამოცხ. 8.1-6), „მთვარის მოტაცებაში" სიმბოლიზებულია ლუკაია ლაბახუათი: „...აჰა, გადმომდგარა ზედაზენის მთაზე ლუკაია ლაბახუა. ოქუმის ეკლესიის ბუკი გაურჭვია სისხლმორეულ პირში და აზანზარებს ბუკისცემა ცასა და მყარს..." (გამსახურდია 1973: 740).

საინტერესოა იესო ქრისტეს ჯვარცმის ბიბლიური პარადიგმა და მისი მხატვრულად ასახვა დიდი ქართველი მწერლისა და შემოქმედის კონსტანტინე გამსახურდიას რომანებსა და ნოველებში, სადაც აღწერილია სიკვდილის სიკვდილით დაძლევისა და მარადიულ სიცოცხლესთან ზიარების ქრისტიანული

პარადიგმა, რომელსაც ეზიარებიან კონსტანტინე არსაკიძე, კონსტანტინე სავარსამიძე, თარაშ ემხვარი და კონსტანტინე გამსახურდიას - რომანებისა და ნოველების სხვა პერსონაჟები.

მართალია, თარაშ ემხვარი იღუპება, მაგრამ ამით თავად სიცოცხლე არ სრულდება. თარაშ ემხვარის დაღუპვაში თავიდანვე დევს სიცოცხლის ხელახლა დაბადების იდეა.

ნაწარმოების ძირითადი არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ, მართალია, ადამიანი კვდება და ქრება, მაგრამ ამით თავად სიცოცხლე არ ისპობა და არ ნადგურდება. თავად ბუნებაში დევს როგორც ამოუხსნელი კოდი სიცოცხლისა და სიკვდილის ცვალებადობის პროცესი. თარაშ ემხვარის სახით კვდება სულიერად გაორებული ადამიანი, რათა შემდეგში კვლავ დაიბადოს იგი, როგორც ერთიანი და სრულყოფილი.

ეს ბიბლიური პარადიგმა შემდეგი სიტყვებითაა აღწერილი სახარებაში: „რაღა ვთქვათ? დავრჩეთ ცოდვაში, რათა მადლი გამრავლდეს? არამც და არამც. ჩვენ, რომელნიც მოვუკვდით ცოდვას, როგორღა ვიცხოვროთ მასში? ნუთუ არ იცით, რომ ყველანი, ვინც მოვინათლეთ ქრისტე იესოში, მის სიკვდილში მოვინათლეთ? ამიტომ დავიმარხეთ მასთან სიკვდილში ნათლისღებით, რათა როგორც მამის დიდებით მკვდრეთით აღდგა ქრისტე, ჩვენც ვიაროთ სიცოცხლის განახლებით. ვინაიდან, თუ დავენერგეთ მას სიკვდილის მსგავსებაში, ასევე ვიქნებით მისი აღდგომისას. რადგან ვიცით, რომ მასთან ერთად ჯვარს ეცვა ჩვენი ძველი კაცი, რათა გაუქმდეს ცოდვის სხეული და აღარ ვიყოთ ცოდვის მონები; ვინაიდან, ვინც მოკვდა, ცოდვისაგან თავისუფალია. და თუ ჩვენ ქრისტესთან დავიხოცენით, გვწამს, რომ მასთან ვიცოცხლებთ კიდეც. რადგან ვიცით, რომ მკვდრეთით აღმდგარი ქრისტე აღარ კვდება და სიკვდილი აღარ უფლობს მასზე. ვინაიდან, ის რომ მოკვდა, ცოდვისათვის მოკვდა ერთხელ, ხოლო რომ ცოცხლობს, ღვთისათვის ცოცხლობს. თქვენც ასევე ჩასთვალეთ თქვენი თავი ცოდვისათვის მკვდრებად და ღვთისათვის ცოცხლებად ქრისტე იესოში“ (რომ. 6.1-11).

კონსტანტინე არსაკიძე, კონსტანტინე სავარსამიძე, თარაშ ემხვარი და კონსტანტინე გამსახურდიას რომანებისა და ნოველების სხვა გმირები ის პერსონაჟებია, რომლებმაც: „...ჯვარს აცვეს თავიანთი ხორცი ვნებებთან და გულისთქმებთან ერთად“ (გალ. 5.24). და შეიმოსეს: „...ახალი, რომელიც განახლებულია შემეცნებით მისი შემოქმედის ხატისამებრ, სადაც არ არის არც ბერძენი, არც იუდეველი, არც წინადაცვეთა, არც წინადაუცვეთლობა, არ არის ბარბაროსი, სკვითი, მონა და თავისუფალი, არამედ ქრისტეა ყოველივე და ყოველივეში“ (კოლ. 3.10-11).

ბიბლიურ-ქრისტიანული პარადიგმები გამოყენებულია კონსტანტინე გამსახურდიას რომან „დიდოსტატის მარჯვენაში“. ნაწარმოებში აღწერილია სცენა, სადაც შურითა და ბოღმით აღვსილმა რომანის ერთ-ერთმა პერსონაჟმა ფარსმან სპარსმა, ვერ აიტანა სვეტიცხოველის კურთხევა და კონსტანტინე არსაკიძის დიდოსტატად აღიარება, მეფე გიორგისთან დააბეზღა სვეტიცხოვლის ამგები დიდოსტატი, რომ მის დახატულ სურათზე სადაც იაკობისა და ღმერთის შერკინებაა გამოსახული, ღმერთს მელქისედეკის თვალები აქვს, ხოლო იაკობს – დამხატველისა: „...გაიღიმა ფარსმანმა. „მეფეებს არც უტოლებს იგი თავს. მიწისძვრის მეორე დღეს შევუარე, ავადმყოფი მეგონა, შინ არ დამხვდა ფხოვს გაქცეული. ერთი სურათი ვნახე მის მიერ ნახატი, იაკობისა და ღმერთის რკინებაა ზედ გამოსახული. თანაც იცოდე, ღმერთს მელქისედეკის თვალები აქვს, ხოლო იაკობს – დამხატველისა...“ (გამსახურდია 1976: 323).

იგივე ბიბლიურ-ქრისტიანული პარადიგმა დასტურდება რომანის ფინალში, სადაც აღწერილია სვეტიცხოვლის ამგები დიდოსტატის – კონსტანტინე არსაკიძის გარდაცვალების ეპიზოდი: „...უზარმაზარი ლანდი ჩამოვიდა კედლიდან, მგლისებრმა თვალებმა გაიელვეს ბნელში. და ერკინებოდა მხატვარს გრძელწვერა მოხუცი, მერმე მისწვდა იგი ჭრილობიან ბარკალს და დაუბუშა ვრცელი ბარკლისაი...“ (გამსახურდია 1976: 338).

ეს ბიბლიური ეპიზოდები ნასესხებია ძველი აღთქმის იმ თავიდან, სადაც აღწერილია ღმერთისა და იაკობის შერკინების სურათი: „...მარტო დარჩა იაკობი და ერკინებოდა მას ვიღაც კაცი გათენებამდე. როცა შეატყო, რომ ვერ ერეოდა,

შეეხო მის თეძოს სახსარს და ეღრძო იაკობს თეძოს სახსარი მასთან შერკინებისას. უთხრა: გამიშვი, უკვე თენდება. უთხრა: არ გაგიშვებ, სანამ არ მაკურთხებ. უთხრა: რა გქვია? მიუგო: იაკობი. უთხრა ამიერიდან აღარ ითქვას შენს სახელად იაკობი, არამედ ისრაელი, რადგან ღმერთს და ადამიანებს შეებრძოლე და სძლიე. ჰკითხა იაკობმა: მითხარი შენი სახელი. უთხრა: რისთვის მეკითხები სახელს? და იქვე აკურთხა. უწოდა იაკობმა იმ ადგილს სახელად ფენუელი, რადგან თქვა: პირისპირ ვიხილე ღმერთი და გადავრჩი. ამოუბრწყინდა მზე, როგორც კი გასცდა ფენუელს; და კოჭლობდა იგი ცალი თეძოთი. ამიტომ არ ჭამენ დღემდე ისრაელიანები მენჯის ძარღვს, თეძოს სახსარზე, რომ არის, რადგან შეეხო ის იაკობის მენჯის ძვალს, თეძოს სახსარზე“ (დაბ. 32.24-32).

კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „დავით აღმაშენებელი" იდეოლოგიური თვალსაზრისით ყველაზე უფრო ქრისტიანული ნაწარმოებებია.

რომანში აღწერილია ქრისტიანული სამყარო მთელი თავისი სპეციფიკით. „დავით აღმაშენებელში“ ისე როგორც მწერლის არც ერთ სხვა რომანში დადებით ასპექტში არიან წარმოდგენილნი ქრისტიანული კულტის მსახური სასულიერო პირები, რომლებიც მართალია ჭეშმარიტი რწმენით ემსახურებიან ქრისტიანულ ღმერთს, მაგრამ თუ სამშობლოს ინტერესები მოითხოვს ჯვარს გვერდზე გადადებენ, ხელში იარაღს აიღებენ და მზად არიან სამშობლოს თავიც შესწირონ.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ „დავით აღმაშენებელში, ისვე როგორც რომან „დიონისოს ღიმილში", „მთვარის მოტაცებაში", „დიდოსტატის მარჯვენაში“ და მწერლის ცალკეულ ნოველებში რეალურად არის აღწერილი ბიბლიურ-ქრისტიანული პარადიგმები. ამის ნათელი დასტურია ის კონკრეტული ბიბლიურ-ქრისტიანული პარადიგმები, რომლებიც აპოკალიფსის მწვანე ცხენითაა (იოანეს გამოცხ. 6.7-8), წარმოდგენილი კონსტანტინე გამსახურდიას რომან „დავით აღმაშენებელში“.

აპოკალიფსის მწვანე ცხენი რომან „დავით აღმაშენებელში“ სიმბოლიზებულია ვარაზისეულ გაქარჩხულ სასახლეში ოცი წლის წინათ

კედელზე დახატული ბაგრატისეული საომარი ცხენის აჭიხვინებით: „...უფლისწულის დარბაზიდან ისმოდა პუტუნი ბერისა, ნელი და ქანცმილეული სავსებით: „მოვედ და იხილე და ვიხილე. აჰა, ცხენი მწვანე..." ...ფეხი შესდგა თუ არა, ნახა სასანთლენი წაქცეულიყვნენ, ბნელოდა ირვგლივ, ზღურბლს გადასცდა თუ არა მახარა, ცხენის ჭიხვინი შემოესმა ანაზდად. მიაყურა, კვლავ შემოესმა ჭიხვინი ბნელში, არა მომაკვდავისა, არამედ ლაშქარს მიმავალი საომარი ცხენისა. გაოცდა მახარაი. თავლები გალავანს გადაღმა იყო, ამ დარბაზამდის როგორ მოაღწიაო ცხენის ხმამ?... უკუიქცნენ მეციხოვნენიც, რადგან მათაც ენიშნათ მახარას მტკიცება: აჭიხვინდაო ბაგრატისეული საომარი ცხენი, კედელზე დახატული ოცი წლის წინად" (გამსახურდია 1954: 99-101).

ამ ეპიზოდის საფუძველს წარმოადგენს აპოკალიფისის მწვანე ცხენი, რომელსაც მოაქვს უდებურება, ომები და სისხლი.

ეს სიმბოლო ერთ-ერთ ძირითად როლს ასრულებს მწერლის შემოქმედების სიმბოლურ-ალეგორიულ სახისმეტყველებაში და გამოხატავს დროის სულს, როცა სოციალისტური სისტემა, ვითომდაც ადამიანების კეთილდღეობისათვის შექმნილი, თავად იქცა ადამიანებისათვის ტერორისა და უბედურების სათავედ.

ასე იქცა სოციალისტური სისტემა აპოკალიფსურ მწვანე ცხენად კონსტანტინე გამსახურდიას რომანებსა და ნოველებში. აპოკალიფსის მწვანე ცხენი მწერლის რომანებიდან „დიონისოს ღიმილიდან" და „მთვარის მოტაცებიდან" გადავიდა მწერლის რომან „დავით აღმაშენებელში".

საერთოდ, კონსტანტინე გამსახურდიას რომან „დავით აღმაშენებელში" ყველაზე სრულყოფილად არის გადმოცემული ქრისტიანული სარწმუნოების ძირითადი არსი მწერლის სხვა რომანებთან და ნოველებთან შედარებით.

კონსტანტინე გამსახურდიას ნოველა „ზარები გრიგალში“ ვხვდებით იოანეს „გამოცხადების“ აპოკალიფსურ პარადიგმებს, როგორც რევოლუციურ სიმბოლოებს, რომელსაც გრიგალი წარმოადგენს. რევოლუციამ, როგორც გრიგალმა ისე წალეკა ძველი ცხოვრება. მან დაამსხვრია ადამიანის ძველი რელიგიური წარმოდგენები და როგორც სამრეკლო, ისე დაანარცხა მიწაზე. ასეა

აღიარებული ის გაბატონებული მოსაზრება, რომელიც აღნიშნული საკითხის შესახებ არის გამოთქმული მეცნიერებაში.

ნოველის მთავარი გმირი მნათე ოქროპირი ძველ ცხოვრებაში დარჩა. მან ალღო ვერ აუღო ახალ ცხოვრებას, ამიტომაც რევოლუციის გრიგალს ემსხვერპლა: „...ცაცხვების საფარით მოვარდა გრიგალი, გაშალა მან შავი და სველი ფაფარი. ეძგერა სამრეკლოს და შეარყია შხუილით, გრიგალით, ზათქით და ვიშით მიჰქროდნენ ზარები უსაზღვრო სივრცეში. ცა იღუშებოდა, და მთვარე დნებოდა ანთებულ ღრუბლების ცხელ ნაღვერდალზე. ეს იყო: მოვიდნენ მუზარის საფლავზე ათასი წლების მიცვალებულნი. იტირეს. იგლოვეს. ვინც გლოვად არ ღირდა და ვისი სიცოცხლე მთლად იყო გლოვა. და მთელი ცხოვრება ფიქრობდა ოქროპირ რა იყო, თუ არა ზღაპარი ხანმოკლე? ზარების ჯარები ფოლადის აბჯარში, მდევრები უშიშო, თავგამეტებულნი მისდევენ გრიგალის გაფრენილ მერნებს. მიჰქროდნენ მთვარისაკენ ღრუბლების გემები ალისფერ სისხლით გამურული აფრებით და პირქვე ეკიდა იესო ზეცაში, ღრუბლების ანძაზე, ვით მავნე მეკობრე. გრიგალი მოახტა ცაცხვების ქეჩოს. ვით მალი ფოცხვერი სისხლს მოწყურებული. გადრიკა წელში მძლე გოლიათები. სამრეკლო ტკრციალით შეირყა, გაქანდა, ტორტმანით დაეცა მიწაზე..." (გამსახურდია 1980: 263).

მკვლევარ მ. აბულაძის მოსაზრებით, თავმოდრეკილი და ღვთის გლახა ოქროპირი ღმერთს უჯანყდება და ბიბლიური იაკობის მსგავსად ღმერთთან მორკინალად გადაიქცევა: „...აი, რა საზარელი და მკრეხელური სურათი დაუდგა თვალწინ მართლმორწმუნე საბრალო მნათეს. ეს არის სწორედ ნოველის კულმინაციური წერტილი, როდესაც ექსტაზში მყოფი ოქროპირის აბობოქრებული სულის მშვილდის უკიდურესი დაჭიმვა მოხდა. აქ უბირი მნათე კრიტიკულად შეხედავს ქრისტეს, რომელსაც მთელი სიცოცხლე ემსახურებოდა და სანთელს უნთებდა. ამ მომენტიდან თავმოდრეკილი და ღვთის გლახა ოქროპირი ღმერთს უჯანყდება და ბიბლიური იაკობის მსგავსად ღმერთთან მორკინალად გადაიქცევა...

ასეთი ტრაგიკული აკორდით მთავრდება ეს სიმფონია ადამიანის სულისა, როცა სულიერ ექსტაზში მყოფი მნათე ოქროპირი ზეცამდის ამაღლდა...“ (აბულაძე 1976: 19-20).

ჩვენი აზრით, მნათე ოქროპირის გარდაცვალებაში სიკვდილით სიკვდილის დაძლევისა და მარადიულობასთან ზიარების ქრისტიანული პარადიგმა უნდა იგულისხმებოდეს.

ამ მოსაზრებას ადასტურებს ნოველაში აღწერილი მნათე ოქროპირის გარდაცვალებასთან დაკავშირებული ეპიზოდი: „...სახეზე ეტყობოდა: მის სულს ვნების ქარიშხალი არ მოჰხვედროდა. არ ეკუთვნოდა ოქროპირ ამ ქვეყანას, არც ამ ქვეყანამ დაუდო მას წილი. სოფელში ამბავი დააგდეს: დრო მოვა, გლახაკები ღმერთს გაუტოლდებიან, ძლიერნი ამა ქვეყნისანი შედრკებიან და გლახაკები დიდების პორფირს მოისხამენო...“ (გამსახურდია 1980: 259).

ეს ეპიზოდი გამოძახილია სახარებისეული პარადიგმისა: „...და აჰა. არიან უკანასკნელნი, რომელნიც პირველნი იქნებიან, და არიან პირველნი, რომელნიც უკანასკნელნი იქნებიან...“ (ლუკა 13.30).

ნოველაში აღწერილი სხვა ეპიზოდებიც სახარების ტექსტითაა შთაგონებული: „...ორი ანგელოზი მიფრინავდა ეთერში. „რა მჩატე ყოფილა საბრალო მეზარე!“ „მჩატე რომ ყოფილიყო, ასე მაგრად დაეცემოდა? მიუგო მეორემ. ცის შიკრიკებმა თვალი მოჰკრეს შორეულ ჰაეროპლანს. შეეშინდათ პროპელერის უხეში ფრთებისა. ერთმა მიაშურა განგის ნაპირად მდებარე სამოთხეს, სადაც მარადიული მზე ანათებს და უცოდველი მეოცნებენი მთქნარებისაგან კვდებიან.

მეორემ გასწია სულეთის გადაღმა. სადაც სულის გამყიდველნი და სულწასულნი შანთებზე სხედან, ხელმეორედ ცეცხლში მონათვლას ელიან. არ ვიცი, სად წაიყვანეს მნათე ოქროპირის საბრალო სული...“ (გამსახურდია 1980: 264).

ეს ეპიზოდი გამოძახილია სახარებისეული პარადიგმისა: „...მან კი პასუხად მიუგო: „კეთილი თესლის მთესველი კაცის ძეა. ყანა კი არის წუთისოფელი; კეთილი თესლი სასუფევლის ძენი არიან, ხოლო ღვარძლი – ბოროტის ძენი. ხოლო მტერი, რომელმაც ის დათესა, არის ეშმაკი; მკა კი არის წუთისოფლის

აღსასრული, ხოლო მომკალნი ანგელოზები არიან. ამიტომ, როგორც ღვარძლს აგროვებენ და ცეცხლში წვავენ, ასევე იქნება წუთისოფლის დასასრულს. ვინაიდან მოავლენს კაცის ძე თავის ანგელოზებს და მოაგროვებენ მისი სამეფოდან ყოველი საცდურისა და ურჯულოების მოქმედს, და ჩაყრიან მათ ცეცხლის ქურაში. იქნება იქ ტირილი და კბილთა ღრჭენა. მაშინ მართალნი გაბრწყინდებიან, როგორც მზე, თავიანთი მამის სასუფეველში...“ (მათე 13.37-43).

ნოველაში მოიპოვება სხვა ეპიზოდიც, რომელიც სახარებიდანაა ნასესხები: „...ჩემთვის ეკითხათ. მე ვიტყოდი: ასწიეთ ადამიანი მაღლა, სულ მაღლა და დასვით მნათე ოქროპირ შემომქმედის მარჯვენა მხარეს, რადგან სიბნელეში დაბრმავებულმა ერთხელ მაინც იგრძნო აღტაცება და ექსტაზში დაიღუპა. მე მინდა ვიმღერო ექსტაზში დაღუპულისთვის...“ (გამსახურდია 1980: 264).

ეს ეპიზოდი შეესაბამება სახარებისეულ პარადიგმას: „...რაკი წინასწარმეტყველი იყო და იცოდა, რომ ფიცით შეფიცა მას ღმერთმა, რომ მისი საზარდულის ნაყოფს დასვამდა მის ტახტზე, მან წინასწარხედვით თქვა ქრისტეს აღდგომაზე, რომ მიტოვებული არ არის ჯოჯოხეთში და მის ხორცს არ უხილავს ხრწნა. ეს იესო აღადგინა ღმერთმა, რისი მოწმენიც ჩვენ ყველანი ვართ. ამგვარად ამაღლდა იგი ღვთის მარჯვენით, მამისაგან მიიღო სულიწმიდის აღთქმა და მოჰფინა ის, რასაც თქვენ ხედავთ და ისმენთ. ვინაიდან დავითი არ ამაღლებულა ზეცად და თვითონვე ამბობს: „უთხრა უფალმა ჩემს უფალს: დაჯექი ჩემს მარჯვნივ, ვიდრე შენს მტრებს დავამხობდე შენს ფერხთა სადგამად...“ (საქ. 2.30-35).

კონსტანტინე გამსახურდიას ნოველა „ზარები გრიგალში“ აღწერილი ეპიზოდები, რომლებიც მნათე ოქროპირის გარდაცვალებას უკავშირება, სახარებისეული პარადიგმებით არის ნასაზრდოები. ნოველის მთავარი გმირი მნათე ოქროპირ ავტორის მიერ იესო ქრისტესთან არის იდენტიფიცირებული. მნათე ოქროპირის გარდაცვალებაში „სიკვდილის სიკვდილით დაძლევისა“ და მარადიულობასთან ზიარების ქრისტიანული პარადიგმაა გამოყენებული.

ბიბლიურ-ქრისტიანული პარადიგმა გამოყენებულია ასევე ნოველაში „ქოსა გახუ“, სადაც აღწერილია ნახუცარ იონასა და მისი ცოლის, ძველი კნეინას

ცხოვრების ამსახველი ეპიზოდები. მათ მძიმე დრო დადგომიათ. ახალ ცხოვრებას მძიმე დღეში ჩაუყრია მოხუცებულები, რომლებსაც მხოლოდ ერთი მეწველი თხა და ჩელტის ფაცხა შერჩენიათ, რომელიც ძიძაშვილებმა და ნათლულებმა ჩუმ-ჩუმად მოუღობეს ნალიის ქვეშ და ამ ფაცხაში ცხოვრობდნენ მოხუცი დედაკაცი და მისი ნახუცარი ქმარი იონა.

ნახუცარი იონა მაინც გულს არ იტეხდა და ეფუთში ეძებდა „ბოლშევიკების წასვლის“ თარიღებს, არ იშორებდა ლოცვანებს და წმინდა წიგნებს და დიდი პათოსით კითხულობდა იობის წიგნს: „...ბიბლიური იდილია იღვიძებდა ჩემს გულში ამ მოხუცების საწოლის გასწვრივ პატარა ბაგაზე დაბმულ თხისა და ციკნების შეხედვაზე. ეს ხუთი სული ძლივს ეტეოდა ლასტის ფაცხაში. ნახუცარი იონა მაინც გულს არ იტეხდა. ეფუთში ეძებდა „ბოლშევიკების წასვლის“ თარიღებს, სასთუმალიდან არ იშორებდა ლოცვანებსა და წმინდა წიგნებს: დიდის პათოსით კითხულობდა იობის წიგნს. ხედავდა, ალბათ, რაღაც იდუმალ ანალოგიას განაწამებ ბიბლიურ კაცთან და ეს მხნეობას ჰმატებდა ბერიკაცს...“ (გამსახურდია 1980: 327).

ბიბლიური იობის ისტორია აღწერილია ძველ აღთქმაში: „იყო ერთი კაცი ყუცის ქვეყანაში, სახელად იობი. ალალი, წრფელი, ღვთისმოშიში და ბოროტებას განრიდებული იყო ეს კაცი. ჰყავდა მას შვიდი ვაჟი და სამი ასული. ჰყავდა საქონელი – შვიდიათასი სული ცხვარი, სამიათასი აქლემი, ხუთასი უღელი ხარი, ხუთასი დედალი ვირი, უამრავი მსახური. აღმოსავლელთა შორის ყველაზე სახელოვანი იყო ეს კაცი...“ (იობი 1.1-3).

ნოველა „ქოსა გახუში“ მონათხრობი იობის ისტორია ბიბლიურ-ქრისტიანული პარადიგმითაა ნასაზრდოები.

ნოველაში აღწერილია მაღალი წოდების ორი პერსონაჟი: ქოსა გახუ და ტაგუ სამუგია, რომელთაგან პირველი მანუჩარ ბატონიშვილის კანონიერი მემკვიდრეა, ხოლო მეორე უკანონო.

ნოველაში ასევე აღწერილია ტაგუ სამუგიას დაპირისპირება თემაღმასკომის თავმჯდომარეს რომანოზ ოჩიგავას შორის. ტაგუ სამუგიამ მაზრაღმასკომში უჩივლა „ოჩიგავას ბჟიტს“ თავისი ჩამურისათვის. არ დაუტოვებია ბოლშევიკების

არცერთი სამართლერივი ინსტანცია „ფეხით“ რომ არ შემოევლო, მაგრამ ბოლოს დამარცხდა და სამართალს რომ ვერ მიაღწია გადაწყვიტა „ანგლიაში ეჩივლა ბოლშევიკებისათვის“. ასეთია ამ ნოველის ძირითადი დედააზრი.

ნოველა „ქოსა გახუში“ აღწერილია სხვა ქრისტიანული პარადიგმები. იოანეს „გამოცხადებითაა“ ნასაზრდოები ნოველის შემდეგი ეპიზოდი: „...თუ სიკვდილის შემდეგ სისხლი და ვნება ადამიანს მოეკითხება, მისი სული უთუოდ ვერ ასცდება ქვესკნელის წამებას.

„...ტაგუს რომ არ ცოდნოდა, იგი მანუჩარ ბატონიშვილის შვილია, - განაგრძო იონამ, - შესაძლოა, უფრო ბედნიერიც ყოფილიყო. მაგრამ ტაგუ ხედავდა მისი ძმები რა დიდ პატივში ჰყავდა მამას, იგი სამუგიობას თაკილობდა და მთელ ქვეყანაზე გაბოროტებული მხოლოდ ბოროტებას სთესავდა მიწაზე...

მართლადაც და ქვეყანამ იცის ტაგუ სამუგიას ბნელი წარსული...“ (გამსახურდია 1980: 329).

ჩვენი აზრით, ნოველის ეს ეპიზოდი ნასაზრდოები უნდა იყოს იოანეს „გამოცხადებაში“ აღწერილი პარადიგმით: „...ვიხილე დიდი თეთრი ტახტი და ზედ მჯდომარე, რომლისგანაც გარბოდა ცა და დედამიწა, და არ იპოვებოდა მათთვის ადგილი. ვიხილე მკვდრები, დიდები და პატარები, რომლებიც ტახტის წინ იდგნენ, და გადაშლილი იყო წიგნები; გადაშლილი იყო სხვა წიგნიც, რომელიც სიცოცხლის წიგნია; და განკითხულ იქნენ მკვდრები წიგნებში ნაწერიდან, მათი საქმეებისამებრ. მისცა ზღვამ მასში მყოფი მკვდრები და თითოეული განკითხულ იქნა თავისი საქმეებისამებრ. სიკვდილი და ჯოჯოხეთი ჩაყრილ იქნენ ცეცხლის ტბაში; ეს არის მეორე სიკვდილი, ცეცხლის ტბა. ვინც არ იყო ჩაწერილი სიცოცხლის წიგნში, ცეცხლის ტბაში იქნა ჩაგდებული...“ (გამოცხ. 20.11-15).

ბიბლიურ-ქრისტიანული პარადიგმა დასტურდება ნოველა „ტაბუში“. ამ ნაწარმოების ძირითადი დედააზრი გამოხატულია იმაში, რომ ნოველის პერსონაჟი მიემგზავრება თავის დიდი ხნის უნახავ სოფელში ბაზიერის საძებნელად თავისი ავადმყოფი მიმინოსათვის. გზად მას შემოეყრება

ნათლიმამა მანუჩარი, რომელიც მიასწავლის გზას სოფელ ნაჭყვედისაკენ ნატიე დიაკონთან, რომელიც ბაბუამის უმართავდა მიმინოებს.

მწერალმა ასახა პორტრეტი ნატიე დიაკონისა, რომელიც სიმბოლურად გამოხატავს ტაბუდადებულ სიტყვას, რომელიც იწვევს სულს და სულიერს: „...დიაკონი ჩივის, რომ ჩვენს დროში სიტყვას ფასი დაეკარგა. „ძველად ესმოდათ, რომ თქმა ქმნაზე უფრო დიდია, რომ თქმას დიდი მორიდება უნდა, სიტყვა ბევრ რამეს იწვევს, სიტყვა სულს იწვევს და სულიერს...“ (გამსახურდია 1980: 274-275).

ნოველა „ტაბუს“ პერსონაჟს თან სდევენ ორეულები. ჩოხიანი თავადიშვილი გზაზე თავისსავე ლანდს შეეჩეხა, რომელსაც ნაცრისფერი, ფორეჯიანი, ინგლისური ჰომსპონის კოსტიუმი ეცვა და ცალ თვალზე მონოკლი ჰქონდა (გამსახურდია 1980: 265-275).

ორეულის, მეორე „მე“-ს ქრისტიანული პარადიგმა საფუძველს სახარებიდან იღებს, სადაც აღწერილია დაპირისპირება ადამიანის გაორებულ ბუნებას შორის, რომელიც – იესო ქრისტემ თავისი ჯვარცმით ერთ პიროვნებაში გააერთიანა და შეარიგა: „...ვინაიდან ის არის ჩვენი მშვიდობა, რომელმაც ორი ერთად აქცია და დაანგრია მათ შუა მდგარი ზღუდე. გააუქმა მტრობა თავისი ხორცით, მცნებათა რჯული – მცნებებით, რათა ორისაგან თავის თავში შეექმნა ერთი ახალი კაცი, მშვიდობისმყოფელი. და ერთ სხეულში ორივე შეერიგებინა ღმერთთან ჯვრის მეშვეობით მტრობის მოკვდინებით მასში...“ (ეფეს. 2.14-16).

ის ვინც ქრისტეშია, ის ახალი ქმნილებაა, რომელიც საკუთარ თავში სძლევს ამგვარ გაორებასა და დაპირისპირებას და მისი სული და სხეული ერთიანდებიან ქრისტეში: „...მაშასადამე, ის, ვინც ქრისტეშია, ის ახალი ქმნილებაა; ძველმა განვლო და ახლა ყოველივე ახალია...“ (II კორ. 5.17).

ნოველა „ტაბუში“ მოიპოვება სხვა ეპიზოდი, რომელიც ნასესხებია სახარებიდან: „...პირველთაგანვე იყო მითი. ამქვეყნად ყოველივე მითით შეიქმნა, რაც კი რამ შეიქმნა. მითი წინ უსწრებდა ადამიანის ყოფნას. მითი იყო უპირველესი განზრახვა ღმერთკაცისა და ხელოვნებისა. და როცა ყოველივე არარად იქმნება დარჩება ალბათ: მითი...“ (გამსახურდია 1980: 270).

აქ პერიფრაზირებულია იოანეს სახარების შესავალი: „თავდაპირველდ იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან, და სიტყვა იყო ღმერთი. ის იყო თავდაპირველად ღმერთთან. ყოველივე მის მიერ შეიქმნა, და მის გარეშე არაფერი შექმნილა, რაც კი შექმნილა. მასში იყო სიცოცხლე და სიცოცხლე იყო ადამიანთა ნათელი. ნათელი ბნელში ანათებს და ბნელმა ვერ მოიცვა იგი...“ (იოანე 1.1-5).

ნოველაში აღწერილია ნატიე დიაკონის ნახევრად ბნელი საკანი, სადაც სუფევს ქრისტიანული სული: „...კედლის ჭუჭრუტანები ძველი გაზეთებით დაწებებული. ლურსმნებზე ათას ადგილას დაკონკილი ძონძები, თაროზე ყდაშემოცვეთილი ლოცვანები და საკითხავები... ერთ კუთხეში კიდეშემომწვარი მაცხოვრის ხატი, ძველი საცეცხლური, დამჭკნარი ბზის ტოტები და გახუნებული ოლარი ეკიდა...“ (გამსახურდია 1980: 273).

ქრისტიანული პარადიგმები დასტურდება ნოველა „კლარაში“, რომლებიც „დაბადებიდან“ და იოანეს „გამოცხადებიდან“ არიან ნასესხები.

ნოველის გმირი კაცი შავტანისამოსიან მგზავრ ქალში თავისი სულის შესაძლო ორეულს ამოიცნობს: „...ადამიანებს რაღაც ზრდილობის კანონები გამოუგონიათ, თუ ვინმემ არ გაგვაცნო დიდ ქალაქში ქალი, ისე არ შეიძლება მასთან დალაპარაკება. რა იციან ამ შლეგებმა, ეგებ ჩვენი სულები, ერთხელაც განუკვეთელი ერთეულები იყვნენ, მირიად საუკუნეების სახეცვლაში ისინი გასთიშა სივრცემ, დრომ და გარდაცვალებამ და ახლა ისევ შევხვდით, ერთიმეორეს ამ ბნელ ტონელში...“ (გამსახურდია 1965: 13).

ნოველის ეს ეპიზოდი ანალოგს პოულობს „დაბადებაში“: „...უფალმა ღმერთმა ძილქუში მოჰგვარა ადამს და რა დაეძინა, გამოუღო ერთი ნეკნი და მის ადგილას ხორცი ჩაუდო. ნეკნისაგან, ადამს რომ გამოუღო, დედაკაცი შექმნა უფალმა ღმერთმა და ადამს მიუყვანა. თქვა ადამმა: ეს კი მართლაც ძვალია ჩემი ძვალთაგანი და ხორცი ჩემი ხორცთაგანი. დედაკაცი ერქვას მას, რაკი კაცისგან არის გამოღებული. ამიტომაც მიატოვებს კაცი დედ-მამას და მიეწებება თავის დედაკაცს, რათა ერთხორცად იქცნენ...“ (დაბ. 2.21-24).

ქრისტიანული პარადიგმაა გამოყენებული ნოველის შემდეგ ეპიზოდში: „...ოღონდ შენ მიმითითე და უდაბნოებს გადავლახავ: ლურსმულ წარწერებს გავშიფრავ და თუნდაც ბუნების შვიდბეჭდიან წიგნში ამოვიკითხავ მცენარეთა და პირუტყვთა იდუმალ ენას...“ (გამსახურდია 1965: 13).

ნოველის ამ ეპიზოდის ანალოგი დასტურდება იოანეს „გამოცხადებაში“: „ვიხილე ტახტზე მჯდომარის მარჯვენაში შიგნიდან და გარედან ნაწერი წიგნი, შვიდი ბეჭდით დაბეჭდილი. ვიხილე ძლიერი ანგელოზი, დიდი ხმით მაუწყებელი: „ვინ არის ამ წიგნის გადაშლისა და მისი ბეჭდების ახსნის ღირსი?“ არავის შეეძლო არც ცაში, არც დედამიწაზე, არც მიწის ქვეშ ამ წიგნის გადაშლა ან მასში ჩახედვა. ბევრს ვტიროდი იმის გამო, რომ არ მოიძებნებოდა ამ წიგნის გადაშლის ან მასში ჩახედვის ღირსი. ერთმა უხუცესთაგანმა მითხრა: „ნუ სტირი, გაიმარჯვა ლომმა, იუდას ტომიდან, დავითის ფესვმა, რათა გახსნას წიგნი და მისი შვიდი ბეჭედი...“ (იოან. გამოცხ. 5.1-5).

ამგვარად, კონსტანტინე გამსახურდიას რომანებში „დიონისოს ღიმილში“, „მთვარის მოტაცებაში“, „დიდოსტატის მარჯვენაში“, „დავით აღმაშენებელში“, ნოველებში „ზარები გრიგალში“, „ქოსა გახუში“, „ტაბუში“, „კლარაში“ გამოყენებულია ბიბლიურ-ქრისტიანული პარადიგმები, რომლებიც მჭიდრო კავშირში არიან ერთმანეთთან და ქმნიან ერთიან სისტემას.

თავი 3. სახელმწიფოს მართვის თეორიები კონსტანტინე გამსახურდიას რომანებში

მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეების საქართველო შეიქმნა როგორც ერთიანი სახელმწიფო, რომელსაც გააჩნდა მკაცრად განსაზღვრული სახელმწიფო სტრატეგია და იდეოლოგია, რომელიც ქრისტიანულ სარწმუნოებას ეფუძნებოდა. ქრისტიანობა საუკუნეთა განმავლობაში ქართველი ერის ისტორიულ სინამდვილეში ჩამოყალიბდა, როგორც ერთიანი იდეოლოგიური ფორმა, რომლის საფუძველზეც წარმოიშვა ქართული სახელმწიფოებრიობა, რომლის სიძლიერემაც მწვერვალს მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში მიაღწია. სწორედ ამ ეპოქების ისტორიულ რეალობას ასახავს კონსტანტინე გამსახურდიას შესანიშნავი რომანები - „დიდოსტატის მარჯვენა" და „დავით აღმაშენებელი".

„დიდოსტატის მარჯვენაში" ასახულია ეპოქა, როცა საქართველოს სამეფო ტახტზე იჯდა გიორგი პირველი, ხოლო „დავით აღმაშენებელში", როგორც თავად რომანის დასათაურება მიგვანიშნებს დავით მეოთხე, აღმაშენებელი, რომელიც სწორედ ამ ტიტულით მოიხსენიება ისტორიულ წყაროებში. გიორგი პირველი საქართველოს სამეფო ტახტზე მეფობდა მეთერთმეტე საუკუნის პირველ ნახევარში. ხოლო დავით მეოთხე მეთერთმეტე საუკუნის ბოლოს და მეთორმეტე საუკუნის დასაწყისში.

მკვლევარ ე. შუშანიას მოსაზრებით, გიორგი პირველისა და მისი მამის ბაგრატ მესამის გონივრულმა მმართველობამ ნიადაგი მოუმზადა დავით აღმაშენებლის, და თამარ მეფის დიდ სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას: „...საქართველოს ისტორიის ღირსშესანიშნავი ეპოქები და მისი სულისჩამდგმელი გმირები ბავშვობიდანვე აღძრავდნენ და აღვიძებდნენ მწერლის შემოქმედებითს ფანტაზიას. „ბალღობიდანვე მიყვარდა და მაოცებდა აფხაზთა მეფე გიორგი პირველი. – ამბობს რომანისტი, სიჭაბუკეში მომემატა პატივისცემა მისადმი, როცა გავიგე, თუ რამოდენა ვეშაპს შებმია ეს შესანიშნავი რაინდი...“

გიორგი პირველისა და მისი მამის ბაგრატ მესამის გონივრულმა მმართველობამ ნიადაგი მოუმზადა საქართველოს ისტორიის კლასიკურ

პერიოდს, მკვიდრი საფუძველი დაუდვა დავით აღმაშენებლის, და თამარ მეფის დიდ სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას...“ (შუშანია 1976: 110).

მკვლევარ ა. ნიკოლეიშვილის შეხედულებით, წარსულის პოეტიზირებისას მწერალმა „დიდოსტატის მარჯვენაში“ მთავარი ძალისხმევა წარმართა ფანტაზიით წარმოსახულ მოვლენებსა და პერსონაჟებზე, ხოლო „დავით აღმაშენებელში“ ფაქტების მეცნიერულ სიზუსტესა და დოკუმენტურობაზე: „განსხვავებით „დიდოსტატის მარჯვენისაგან“, რომელშიც მწერლის მთავარი ძალისხმევა წარსულის პოეტიზირების დროს ფანტაზიით წარმოსახულ მოვლენებსა და პერსონაჟებზე იყო გადატანილი, „დავით აღმაშენებელში“ უფრო დიდი ყურადღება მიექცა ფაქტების მეცნიერულ სიზუსტესა და დოკუმენტურობას...“ (ნიკოლეიშვილი 1994: 412).

მკვლევარ გ. კანკავას მართებული მოსაზრებით, მწერალი-ისტორიკოსი ისტორიულ რომანზე მუშაობისას მშრალი ფაქტების ამარა არ უნდა დარჩეს. ეს ფაქტები მის ფანტაზიას უნდა დაეხმაროს, რათა მწერალმა შემდგომ შექმნას მოცემულ „სინამდვილეზე უფრო დამაჯერებელი და მყარი სინამდვილე: „...მწერლისთვის დასაშვებია მისთვის საინტერესო ხანაში გადმოიტანოს ის, რაც ხასიათით მსგავს სხვა ეპოქებში აღიარებული ფაქტია. ეს მეთოდი გამართლებულია, როგორც ვთქვით, მისი შეხედულებებით საერთოდ ისტორიულ რომანზე. მწერლის აზრით, შეუძლებელია პირწმინდად ობიექტური დარჩეს იქ, სადაც მემატიანეთა სუბიექტური აღქმა ისტორიისა მასალის მხრივ დასაყრდენი თუ ამოსავალი წერტილია ყველა ისტორიული რომანისტისთვის. მწერალი მუდამ იტოვებს უფლებას ჰიპოთეზაზე, განზოგადების მოხდენაზე და საკუთარი ისტორიული კონცეფციის შემუშავებაზე ისტორიული მასალის დამუშავების დროს...“ (კანკავა 1969: 157-159).

მკვლევარ ს. ცაიშვილის სამართლიანი მოსაზრებით, კონსტანტინე გამსახურდიას დიდი წვლილი მიუძღვის ქართული იტორიული რომანის აღორძინებაში: „...კონსტანტინე გამსახურდია ასევე ერთი ყველაზე აღიარებული ფუძემდებელთაგანია ქართული ისტორიული რომანისა. ჩვენში ამ ძალზე ტევადი ჟანრის აღორძინებაში მას, როგორც იტყვიან, ლომის წილი უძევს. აქ

კიდევ ერთხელ გამოჩნდა მწერლის განათლების ენციკლოპედიური ხასიათი, ისტორიულ მოვლენათა ღრმა შემეცნების უნარი...“ (ცაიშვილი 1986: 121).

მკვლევარი ე. შუშანია იმოწმებს ილია ჭავჭავაძის მოსაზრებას, რომლის თანახმადაც ქართველი ერი რომ დღეს თავის ბინაზეა, ეს დავით აღმაშენებელის ღვაწლისა და სამსახურის შედეგია (შუშანია 1976: 140-141).

კონსტანტინე გამსახურდიას ისტორიულ რომანებში „დიდოსტატის მარჯვენასა" და „დავით აღმაშენებელში" ვრცლად აისახა მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეების საქართველოში განვითარებული ისტორიული მოვლენები. სწორედ ამ ეპოქაში საქართველო იქცა ამიერკავკასიის ერთ-ერთი უძლიერეს სახელმწიფოდ, რომელსაც გააჩნდა საკუთარი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკური კურსი და რომელსაც სერიოზულ ანგარიშს უწევდნენ მტრები თუ მოყვრები არა მხოლოდ ამიერკავკასიის მასშტაბით. ცნობილია, რომ საქართველოს როგორც ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძირითადად განხორციელდა გიორგი პირველის მამის ბაგრატ მესამის მეფობის დროს, მაგრამ ამ გაერთიანებას წინ უსწრებდა უამრავი ურთულესი სამუშაოების შესრულება და მრავალი მამულიშვილის მცდელობა.

აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებით, იოანე მარუშის ძემ საქართველოს გაერთიანებისათვის თავისი გეგმის განსახორციელებლად დავით კურაპალატი აარჩია: „საქართველოს სამეფოს იმ აშლილობის დროს, რომელიც დამკვიდრდა უსინათლო თეოდოსის მეფობაში, მმართველ მოწინავე წრეში საბედნიეროდ მაინც აღმოჩნდა შეგნებული ჯგუფი, რომელსაც ქვეყნის კეთილდღეობისათვის გული შესტკიოდა. ამ წრის საუკეთესო წარმომადგენელი, მისი სულის ჩამდგმელი და წადიერებათა თავგამოდებული განმახორციელებელი იოანე მარუშის ძე ყოფილა... იოანე მარუშის ძეს საქართველოს გაერთიანების გარკვეული და მტკიცე სურვილი ჰქონდა და ამის განსახორციელებლად საუკეთესო გზაც აარჩია. ტაოს მფლობელს დავით დიდ კურაპალატზე უკეთესად არავის შეეძლო ეს განეხორციელებინა...“ (ჯავახიშვილი 1983: 123).

მეცნიერის დასკვნით: „...იოანე მარუშის ძის გეგმა და ნატვრა, რომ ბაგრატი გაერთიანებული საქართველოს მეფედ გამხდარიყო, მალე განხორციელდა...“ (ჯავახიშვილი 1983: 124).

სწორედ, მეათე საუკუნის ბოლოს და მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისში საქართველოს ისტორიის რეალობაში მომწიფდა სიტუაცია და შეიქმნა სათანადო ისტორიული პირობები, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე შექმნილიყო ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფო, რომლის სათავეშიც იქნებოდა ერთი მეფე და სწორედ მას დაემორჩილებოდა ის ცალკეული ქართული სამთავროები, რომლებიც ცალ-ცალკე არსებობდნენ და რომლებსაც თავისი ცალკეული მეფეები და ერისმთავრები ჰყავდათ. ქვეყნის აღმშენებლობის ამ ისტორიულ პროცესში გადამწყვეტი როლი დაეკისრა ქრისტიანულ სარწმუნოებას.

მკვლევარ ა. გაწერელიას მოსაზრებით, ქრისტიანობა ქართველი ხალხისათვის ეროვნული თავდაცვის დროშას წარმოადგენდა აგრესიულად განწყობილ მუსულმანურ იმპერიათა გარემოცვაში (გაწერელია 1977: 15).

ამ დროს ბიზანტიის იმპერია თავისი პოლიტიკური სიძლიერის მწვერვალზე იდგა და პოლიტიკური და დიპლომატიური ხერხების გამოყენებით ცდილობდა ერთმორწმუნე ქართველი ერის დამონებასა და დამორჩილებას. ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ იმის დამტკიცებას, რომ მართალია ქართველებიც მართლმადიდებელი ქრისტიანები იყვნენ, მაგრამ ისინი არ იმსახურებდნენ დამოუკიდებლობას და ქართული ავტოკეფალური ეკლესია უნდა დამორჩილებოდა ბიზანტიურ ეკლესიას. ეს კი უდიდეს შუღლსა და დაპირისპირებას იწვევდა ქართული და ბიზანტიური ეკლესიების წარმომადგენლებში და ამ ორ ერთმორწმუნე სახელმწიფოს შორის მიმდინარეობდა არა მხოლოდ სამხედრო დაპირისპირება, არამედ სასულიერო დაპირისპირებაც, რომელიც საბოლოოდ ქართული ეკლესიის გამარჯვებით დასრულდა და ბიზანტიურ ეკლესიას თავისი ნების საწინააღდმეგოდ მოუწია იმის აღიარება, რომ ქართული ეკლესია ჭეშმარიტად სამოციქულო ეკლესიაა და იგი იმსახურებს ავტოკეფალიასა და დამოუკიდებლობას.

მკვლევარ ნ. გრიგალაშვილის მოსაზრებით, ბიზანტია თავის დიდ კულტურას იყენებდა ერთმორწმუნეთა დასამორჩილებლად (გრიგალაშვილი 1987: 350).

მკვლევარ ე. შუშანიას მოსაზრებით: „...ერთმორწმუნე ბიზანტია საქართველოს იმედი უნდა ყოფილიყო მუსულმანური გარემოცვის წრეში. მაგრამ იმავე დროს, ხშირად ბიზანტია მტერი იყო საქართველოსი და სრულიად რეალურ საფრთხეს უქმნიდა მის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას...“ (შუშანია 1976: 167-168).

ამას დაემატა საქართველოს სამეფოს სამხრეთის საზღვრებთან ახალი დამპყრობლების - თურქ-სელჩუკების გამოჩენა, რომლებიც მომთაბარე ტომებს წარმოადგენდნენ და ჯიუტად მოიწევდნენ სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. მათ მიზანს წარმოადგენდა არა მხოლოდ ქართული სახელმწიფოს განადგურება და დაპყრობა, არამედ ბიზანტიის უძლიერესი იმპერიის დამხობა და დამორჩილება, რაც მათ ისტორიულად განახორციელეს კიდეც. თურქ-სელჩუკები იყვნენ მაჰმადიანური სარწმუნოების აღმსარებლები. განსხვავებით ბიზანტიელებისაგან, ისინი ქართულ სახელმწიფოს უპირველეს ყოვლისა სწორედ რელიგიური ნიშნით უპირისპირდებოდნენ და ცდილობდნენ არა მხოლოდ ქართული სახელმწიფოს იარაღით დამორჩილებას, არამედ ქართველი საზოგადოების ცნობიერებიდან ქრისტიანობის ამოძირკვასა და მაჰმადიანური სარწმუნოების ჩანაცვლებას, რაც მათ ნაწილობრივ მოახერხეს კიდეც ქართულ სახელმწიფოსთან საუკუნეების დაპირისპირების პირობებში.

მკვლევარ ე. შუშანიას მოსაზრებით, ბიზანტიის იმპერიას აღმოსავლეთის მხრიდან სასიკვდილო საფრთხე ემუქრებოდა – თურქ-სელჯუკთა სახით: „...იმდროინდელ საერთაშორისო ვითარებას, XI საუკუნის მიწურულის ამბებს „ქართლის ცხოვრება“ ასე ახასიათებს: „ძალი ბერძენთაცა შემცირებულ იყო, და რომელნი ქუეყანანი მათ აღმოსავლეთს ჰქონდეს ზღუასა გარეთ, ყოველი თურქთა დაეპყრა“. ასეთ მძიმე პირობებში იყო ბიზანტიის იმპერი...“ (შუშანია 1976: 184-185).

ამას თან სდევდა თავად ქართული სამეფო-სამთავროების ერთმანეთთან დაპირისპირება და შუღლი, რაც კიდევ უფრო უთხრიდა ძირს ქვეყნის ერთიანობასა და მთლიანობას.

მკვლევარ გ. კანკავას მოსაზრებით, განდგომისა და შფოთის მოთავეები მთავრები და დიდნი აზნაურნი იყვნენ, რომლებც ცალ-ცალკე ჭრიდნენ იმ ტოტებს, რომლებზედაც თვითონ ისხდნენ და რომლებიც ერთად ქვეყანას შეადგენდნენ (კანკავა 1969: 141-142).

მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისისათვის შეიქმნა ისტორიული პირობები ქვეყნის გამთლიანებისა და ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის. მაგრამ, ამისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო ქვეყნის გაერთიანებისათვის აუცილებელი იდეოლოგიის შემუშავება, რომელიც ის მტკიცე საძირკველი უნდა გამხდარიყო, რომლის ბალავარზეც აშენდებოდა ერთიანი და განუყოფელი ქართული სახელმწიფო.

ამგვარ საძირკვლად იქცა ქრისტიანული სარწმუნოება, რომელიც ქვეყნისათვის არა მხოლოდ სარწმუნოებას წარმოადგენდა, არამედ უპირველეს ყოვლისა იგი იქცა ქვეყნის იდეოლოგიად, იმ თეორიულ საფუძვლად, რომელსაც უნდა დაემტკიცებინა ერთიანი ქართული სახელმწიფოს არსებობის ისტორიული კანონზომიერება და არა მისი შექმნის შემთხვევითი ხასიათი. სწორედ ქრისტიანულ სარწმუნოებაში მოიძებნა ის ისტორიული წინასწარმეტყველური საფუძვლები, რომლის საფუძველზეც გამოცხადდა, რომ ქართველი ერის ერთიანი სახელმწიფოს შექმნა და ჩამოყალიბება იყო არა ისტორიული შემთხვევითობა, არამედ თავად ღვთის ნება.

შეიქმნა ერთიანი ქართული მესიანისტური იდეა, რომელსაც მრავალი განშტოება ჩამოუყალიბდა. პირველი იყო ის რომ ბაგრატოვანთა სამეფო გვარი, რომელიც დაახლოებით მერვე საუკუნიდან ქართული სახელმწიფოს სათავეში მოექცა და რომლის ხელშიაც შეიქმნა ერთიანი ქართული სახელმწიფო, იყო დავით წინასწარმეტყველისა და თავად უფლის იესო ქრისტეს ნათესავი. შეიქმნა თეორია, რომლის თანახმადაც ამ სამეფო გვარს უნდა ემეფა ღმერთის რჩეულ ქვეყანაში. ქართული სახელმწიფო ღვთისმშობლის წილხვდომილად გამოცხადდა

და ა. შ. რაც მთავარია, ერთი ღმერთის სახე, რომელიც ქრისტიანული სარწმუნოების ძირითადი დოგმატია, სრულიად შეესაბამებოდა ერთი მეფის სახეს, რომელიც ღმერთის ხატად იყო შექმნილი და სწორედ ღმერთის მიერ ცხებული მორჭმით იჯდა ღმერთის სამეფო ტახტზე. ქართულ ლიტერატურულ და საისტორიო წყაროებში აისახა ბაგრატოვანთა ღვთაებრივი წარმოშობის იდეა. ბაგრატოვანთა სამეფო დინასტიას ქართული ტრადიცია უკავშირებდა ბიბლიურ მეფეებს, კერძოდ, დავითს ცხებულ მეფესა და წინასწარმეტყველს, რომლის შტოშიც იშვა მესია, მაცხოვარი, იესო ქრისტე.

ქართული სულიერების დიდებული მკვლევარის აკაკი ბაქრაძის მოსაზრებით, ყოველ ერში არსებობს მესიანისტური იდეა, რომელიც ერის თვითგამტკიცებას, თვითრწმენას, ძლიერებას უწყობს ხელს: „...ყოველ ერში არსებობს მესიანისტური იდეა. იგი აქვთ გერმანელებს, რუსებს, სომხებს, პოლონელებს და სხვებს. ეს იდეა ერის თვითგამტკიცებას, თვითრწმენას, ძლიერებას უწყობს ხელს. ამა თუ იმ ისტორიულ ვითარებაში ეროვნული იმედის საფუძველია და ებრძვის ეროვნულ სასოწარკვეთილებას. ბუნებრივია, რომ მესიანისტური იდეა ქართველმა მოაზროვნეებმაც გამოიმუშავეს და ჩამოაყალიბეს...

რა ნიშნები აქვს ქართულ მესიანისტურ იდეას?

პირველი: ცნობილი ჰიმნით - „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ - ქართული ენა გამოცხადებულია ქრისტეს ენად. მეორედ მოსვლის ჟამს უფალი ამ ენით დაელაპარაკება კაცობრიობას...

მეორე: ქრისტეს კვართი საქართველოში მცხეთაშია დასაფლავებული. დაკრძალვის ადგილს აგებულა სვეტიცხოველი...

მესამე: საქართველო ღმრთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა...

მეოთხე: ბაგრატიონთა სამეფო დინასტია არის იესიან-დავითიან-სოლომონიანი. მოგეხსენებათ, ქართველ მეფეთა ბრძანება-განკარგულებანი, წესისამებრ, იწყება ასე: „ჩვენ იესიან-დავითიან-სოლომონიან-პანკრატიონმან მეფეთ მეფემან...“

ამრიგად, ქართველი ბაგრატიონები ებრაელ მეფეთა შთამომავლად თვლიდნენ თავს. რატომ? იმიტომ, რომ იესეც, ძეც მისი დავით, სოლომონიც ძე

დავითისი სახარებაში მოხსენიებული არიან ქრისტეს წინაპართა შორის. მაშასადამე, ქართველი ბაგრატიონები და ქრისტე ნათესავები არიან. ეს კი ქართული სამეფო დინასტიის განსაკუთრებულობას მოწმობდა.

ამასთან ერთად, გარკვეულ პერიოდში ქართველი მეფეები „მესიის მახვილად“ იწოდებიან. ისინი დამცველნიც არიან და გამავრცელებელიც ქრისტეს მოძღვრებისა.

ქართულ მესიანისტურ იდეას აყალიბებს ქართული საეკლესიო მწერლობა. მისი აზრი მკაფიოა: თუკი საქართველო ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანაა, ქართული ენა ქრისტეს ენაა, რომლითაც უნდა ელაპარაკოს უფალი კაცობრიობას მეორედ მოსვლის ჟამს, ბაგრატიონები კი ქრისტეს ნათესავები არიან, ცხადია, ქართველი ხალხი საგანგებო, განსაკუთრებული მისიის მატარებელია. იგი მოვალეა ეს მისია აღასრულოს. ქართული ეკლესია, ისტორიის ასპარეზზე, ამ იდეით წარმართავს და ამოქმედებს ქართველ ხალხს...“ (ბაქრაძე 2004: 455-458).

მკვლევარ ზ. გამსახურდიას მოსაზრებით, ქართველური მოდგმის ხალხებს წამყვანი როლი დაეკისრათ მიქაელური ქრისტიანობის განვითარებაში: „...რა როლი აქვთ ქართველური მოდგმის ხალხებს ქრისტიანობის განვითარებაში, კერძოდ, მიქაელური ქრისტიანობის განვითარებაში და რატომ ეწოდება გეორგია საქართველოს?...

ჯერ კიდევ ძველბერძნები „გეორგოსებს“ უწოდებდნენ ქართველებს იმის გამო, რომ მიწათმოქმედება იყო ყველაზე მეტად განვითარებული ჩვენს ქვეყანაში. „გეორგოს“ ნიშნავს მიწის დამმუშავებელს, მაგრამ, ამავე დროს, გიორგის კულტი დაკავშირებულია მიწათმოქმედებასთან, კერძოდ, ნაყოფიერების ღვთაებათა დაცვასთან, ამინდთნ, მეტეოროლოგიასთან. ასე იყო ძველ საქართველოში და ამასთან არის დაკავშირებული ქართული ეროვნული ღვთაება – თეთრი გიორგი. ხოლო ქრისტიანული წმინდა გიორგი ისტორიულად არსებული პიროვნებაა და ამავე დროს არის მიწიერი სახე იმავე სულიერი არსებისა, მიქაელ მთავარანგელოზისა, დრაკონის დამთრგუნველი. ეს სახე და ეს კულტი იყო ყველაზე მეტად მახლობელი ქართული მოდგმისათვის.

საქართველოში ქრისტიანობამ მიიღო გიორგიანობის სახე...“ (გამსახურდია 1991: 204-205).

ამგვარი რწმენა ჩამოყალიბდა ქართველი ერის ცნობიერებაში და ეს რწმენა ისტორიული წყაროებით დასტურდებოდა. ეს რწმენა გადაყვა საუკუნეებს და მიაღწია მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე, როცა მეფის რუსეთმა გააუქმა მეფობა საქართველოში. ბაგრატოვანთა სამეფო გვარის ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ ქართული სახელმწიფოს არსებობის ისტორიის მანძილზე საქართველოში არ არსებობდა წარჩინებული გვარი, რომელიც გაბედავდა და პრეტენზიას განაცხადებდა ერთიანი საქართველოს სამეფო ტახტის დაკავებაზე.

დაწყებული მეათე საუკუნიდან, საქართველოში ქვეყნის პროგრესულად მოაზროვნე მმართველების მხრიდან სერიოზული წინააღმდეგობისა და ბრძოლის შედეგად დიდი მნიშვნელობა მიენიჭა ადამიანის განათლებასა და პირად ღირსებებს და არა მხოლოდ ადამიანის გვაროვნულ ჩამომავლობას. როგორც სახელმწიფოებრივ, ისე საეკლესიო თანამდებობებზე დაწინაურდნენ მართალია უბრალო წრიდან გამოსული, მაგრამ საზღვარგარეთ – კერძოდ, ბიზანტიაში, რომელიც იმ დროისათვის მსოფლიო განათლების ცენტრად იყო მიჩნეული განათლებამიღებული ახალგაზრდები, რომლებსაც სპეციალურად აგზავნიდნენ იქ, რათა დაუფლებოდნენ როგორც საერო, ისე სასულიერო განათლებას და სამშობლოში დაბრუნებულები მაღალ სახელმწიფოებრივ თანამდებობებზე ინიშნებოდნენ.

ამ საქმის სულისჩამდგმელი და ორგანიზტორი გახდა გამოჩენილი ქართველი საეკლესიო მოღვაწე გიორგი მთაწმინდელი, რომელიც საქართველოში ბაგრატ VI-ის თხოვნით დაბრუნებულიყო.

აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებით, გიორგი მთაწმინდელმა ქართული ეკლესიის წოდებრივობა დაარღვია, წოდებრივი უპირატესობა საეკლესიო საქმეში უარჰყო და ადამიანის პირადი ღირსება წინ წამოაყენა, თანაც ეცადა ქართული ეკლესიისათვის დემოკრატიული მიმართულება მიეცა (ჯავახიშვილი 1983: 191).

ამგვარად, ერისა და ბერის მონაწილეობით აშენდა და გამთლიანდა ქართული სახელმწიფო, რომელმაც ე. წ. „ოქროს საუკუნე" და ქართული ლიტერატურის დიდება „ვეფხისტყაოსანი" მოგვცა, რომელშიც ასახულია ერთიანი ქართული სახელმწიფოს მოწყობის პრინციპი.

მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეების საქართველოში განვითარებული მოვლენები ისტორიული და მხატვრული თვალსაზრისით აისახა ქართველი კლასიკოსის – კონსტანტინე გამსახურდიას რომანებში „დიდოსტატის მარჯვენასა" და „დავით აღმაშენებელში".

„დიდოსტატის მარჯვენის" ძირითადი კონცეფცია სწორედ იმ ფაქტს ეფუძნება, რომ ქვეყნის ერთიანობა და მთლიანობა თუნდაც ერთი ბოროტი მეფის ხელში უფრო პროგრესული მონაპოვარია, ვიდრე ნაწილ-ნაწილ დაქუცმაცებული ქართული სამთავროები, რომლებსაც ხევისთავები და ხევისბერები უნდა ჩადგომოდნენ სათავეში. ამ სიტყვებს ეუბნება რომან „დიდოსტატის მარჯვენის" მთავარი პერსონაჟი კონსტანტინე არსაკიძე თავის გულისწორს შორენა კოლონკელიძეს, როცა ის სთხოვს, რომ მასთან ერთად სათავეში ჩაუდგეს მოხევეთა აჯანყებას და გაილაშქროს მეფე გიორგის წინააღმდეგ, რასაც უნდა მოჰყვეს მეფის ძალაუფლების დამხობა და ხევისთავებისა და ხევისბერების ძალაუფლების დამყარება.

სწორედ ეს უნდა იგულისხმებოდეს კონსტანტინე არსაკიძის სიტყვებში: „...მაგრამ უმთავრესი მაინც ეგაა, - სხაპასხუპით წამოაწია სიტყვა უკვე თქმულს. - ადამიანებს ასე ჰგონიათ, როცა ერთ უსამართლობას მეორეთი ცვლიან, მდგომარეობის შეცვლა მოუტანდეს თითქოს მათ შვებას. მე არც გიორგი მეფის მეხოტბე ვარ, არც მელქისედეკ კათალიკოსის მგალობელი. მაგრამ არა მგონია, შვიდმა ხევისბერმა უფრო მართებული კანონები შეჰქმნან ამჟამად, ვიდრე თუნდაც ერთმა გულბოროტმა მეფემ. ჩემდა თავად მე ვემორჩილები იმ წყობილებას, რომელიც წილად ერგო ჩემს ხალხს და არც ერთი ერი იმის უკეთესის ღირსი არაა, რაც მას დაუმყარებია თავად. ამიტომაც ხვალ რომ ბერძნები ან სარკინოზები შემოეწყონ საქართველოს ციხეებს, მოქანდაკის საჭრეთელს განზე გადავდებ და ხმლით შევებრძოლები მტერს. ყოველი

კაცისათვის სანატრელი წყობილება ჯერაც არსად დამყარებულა, ჩემო..." (გამსახურდია 1976: 273-274).

როგორც კონსტანტინე არსაკიძის ამ სიტყვებიდან ჩანს, მწერალი ემხრობა იმ აზრს, რომ ქვეყნის ერთიანობისა და მთლიანობისათვის სახელმწიფოს ერთი, თუნდაც გულბოროტი მეფე ესაჭიროება და არა შვიდი ხევისბერი, რომლებიც ქვეყნის მართვის უკეთეს კანონებს ვერ შექმნიან.

მკვლევარ ნ. გრიგალაშვილის მოსაზრებით, არსაკიძეც მეფე გიორგივით ყველა მოვლენას ერთი დიდი გადასახედიდან უყურებს, - რამდენად წაადგება იგი სამშობლოს: „...ხურსისეულ სასახლეში არსაკიძე უნებლიეთ შეესწრო შეთქმული ხევისბერებისა და შურისძიებით ანთებული შორენას საუბარს: „დიაცი ვარ, მაგრამ მამაჩემის თვალების დაწვას მაინც არ შევარჩენ მეფე გიორგის. უჩემოდ ნუ დაიწყებთ ამბოხს... მამისეულ თორს გადავიცვამ, მის მუზარადს დავიხურავ, მის ხმალს შემოვირტყამ, მის საომარ ცხენზე შევჯდები, ლაშქარს გავუძღვები წითელის დროშით. მაშინ გამოჩნდება ქუდოსანთა სიმამაცე ცხოველნო!“. ამ სიტყვების პასუხად მოგვიანებით არსაკიძე ეტყვის შორენას: „მე არც გიორგი მეფის მეხოტბე ვარ და არც მელქისედეკ კათალიკოსის მგალობელი, მაგრამ არა მგონია, შვიდმა ხევისბერმა უფრო მართებული კანონები შექმნან ამჟამად, ვიდრე თუნდაც ერთმა გულბოროტმა მეფემ“. როგორც ვხედავთ, არსაკიძეც მეფე გიორგივით ყველა მოვლენას ერთი დიდი გადასახედიდან უყურებს, - რამდენად წაადგება იგი სამშობლოს...“ (გრიგალაშვილი 1997: 369-370).

მკვლევარ თ. კიკაჩეიშვილის მოსაზრებით, არსაკიძის მიერ ხელოვანისა და ხელოვნების როლი და დანიშნულება ერთიანად ერის კეთილდღეობისა და მისი თავისუფალი არსებობის პოზიციებიდანაა შეფასებული: „...არსაკიძეს შინაკონფლიქტებიც ტრაგიკულ დასასრულს აწვნევინებდა, შესაძლოა. თითქოს საკმარისი არ იყოს! სხვა ძალებიც წინ აღუდგებიან დიდოსტატს! წინააღმდეგობები ასამარებენ ხელოვანს, რომელიც არა მხოლოდ შემოქმედების ნიჭითაა მირონცხებული. იგი უზადო პატრიოტია: „...ჩემდა თავად მე ვემორჩილები იმ წყობილებას, რომელიც წილად ერგო ჩემს ხალხს და არც ერთი ერი იმის უკეთესის ღირსი არაა, რაც მას დაუმყარებია თავად. ამიტომაც ხვალ

რომ ბერძნები ან სარკინოზები შემოეწყონ საქართველოს ციხეებს, მოქანდაკის საჭრეთელს განზე გადავდებ და ხმლით შევებრძოლები მტერს. ყოველი კაცისათვის სანატრელი წყობილება ჯერაც არსად დამყარებულა, ჩემო. თქვენს ხევისბერებს ჯერაც ცხვრის სუნი უდით და შენ ხომ იცი, ფარას თუ ყოჩი არ წარუძღვანე, კბოდეზე გადასცვივა სულელი ცხვარი. შენი სიტყვები მკაფიოდ მესმოდა ღია კარიდან. ჩემისთანანი თუნდაც ათასიც წამოგვეხმარონ და ვაჯობოთ კიდევაც ზვიადის ლაშქარს, მეორე დღესვე იგივე დატრიალდება ფხოვში, რაც კვეტარის ციხეში მოხდა იმ ღამეს. ერისთავი უსინათლოა, შენ ქალი ხარ, ხევისბერები და ხევისთავები დაერევიან ურთიერთს, ამასობაში გზებიც გაიხსნება, ზვიადის ლაშქარი მოვა ხელახლა, დიდსა და მცირეს გაჟუჟავენ, იცოდე.“

კონსტანტინე არსაკიძე ჭკვიანურად აფასებს სიტუაციას, ამჟღავნებს მოვლენათა პერსპექტივაში წვდომის უნარს, იგი ჭვრეტს და ამოიცნობს მოსალოდნელი ძვრების მიზანმიმართულებას. რაც მთავარია, ხელოვანი მზადაა ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლაში ხმლით შეებრძოლოს მომხდურს. აქ ნათელი ხდება, რომ თვით შემოქმედებითი აღმაფრენა არ არის ოსტატისათვის ვიწრო, თვითმიზნური ბუნებისა, ასე ვთქვათ, ავტონომიური არსის შემცველი და გამომხატველი. არსაკიძის მიერ ხელოვანისა და ხელოვნების როლი და დანიშნულება ერთიანად ერის კეთილდღეობისა და მისი თავისუფალი არსებობის პოზიციებიდანაა შეფასებული...“ (კიკაჩეიშვილი 1997: 65-66).

კონსტანტინე გამსახურდიას რომან „დიდოსტატის მარჯვენაში“ ქრისტიანობა ბიზანტიელთა რელიგიადაა მიჩნეული და სწორედ იგი გამხდარა ჩვენი ქვეყნის ყველა უბედურების სათავე: „...ქრისტეს ჯვარი იყო ჩვენი ხალხის უბედურების მიზეზი მთავარი. ამ ბოროტების სათავე ბიზანტიონია, ერისთავთ-ერისთავო. დამპალი ქალაქია ბიზანტიონი. ბასილი კეისრის სასახლეში ბევრი რამ გავიგეთ ჭიაბერმა და მე. თვალების დაბნელება, ადამიანის ცოცხლად დამარხვა, ძელზე გაყვანა, მოწამვლა, ორივე ხელის მოჭრა და მკვლელის მიჩენა. ეს ყოველივე ბიზანტიონში ისწავლეს ჩვენმა მეფეებმა. ბასილი კეისარმა ცეტინიუმთან ბრძოლის მეორე დღეს ხუთმეტ ათას ბულგარელს დასთხარა თვალი. ახლა

უფლისწული ბაგრატი ჰყავთ მანდ ბერძნებს მძევლად, იქ უკეთეს ამბებს ასწავლიან მას და როცა იგი მობრუნდება, მაშინ გვიხაროდეს..." (გამსახურდია 1976: 63-64).

მართალია კონსტანტინე გამსახურიდას რომანების გმირებმა იციან, რომ სწორედ ქრისტიანული სარწმუნოება გახდა ქართული სახელმწიფოს ფიზიკური გადარჩენის ძირითადი საფუძველი საუკუნეების განმავლობაში, მაგრამ მწერლის რომანებში იმ მოვლენასაც აქვს ახდილი ფარდა, რომ სწორედ ქრისტიანობა, როგორც სხვა ქვეყნის იდეოლოგიური ფორმა გამხდარა მრავალი უბედურების სათავე ჩვენი ქვეყნისათვის. აქ უპირველესად იგულისხმება ბიზანტიისა და რუსეთის თვითმპყრობელური რეჟიმების პოლიტიკა, რომელთაც მართლმადიდებლური ქრისტიანობა გამოიყენეს როგორც სატყუარა, რომლის უკანაც ბიზანტიური და რუსული იმპერიების დამპყრობლური პოლიტიკა იმალებოდა. სწორედ ეს არის ძირითადი მიზეზი ქრისტიანული სარწმუნოების კრიტიკისა კონსტანტინე გამსახურდიას რომანებში.

სახელმწიფოებრივი არსებობის თვალსაზრისით უაღრესად სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა საქართველოს სამეფო მეთერთმეტე საუკუნის ბოლოს. ეს ეპოქა ცნობილია როგორც „დიდი თურქობის" ეპოქა საქართველოს ისტორიაში. ამ დროს საქართველოს სამეფო ტახტზე მეფობდა გიორგი მეორე, რომელიც მართალია კარგი ადამიანი, მაგრამ სუსტი ნებისყოფის ხელისუფალი გამოდგა. ქვეყანა თურქ-სელჩუკებს ჰქონდათ დაპყრობილი, თბილისში აგერ უკვე მერამდენე საუკუნეა არაბი ამირა იჯდა.

კონსტანტინე გამსახურდიას რომან „დავით აღმაშენებელში“ გამოყვანილია გიორგი მეორის პიროვნება, რომელმაც ვერ შეძლო თურქ-სელჩუკებთან გამკლავება და იძულებული გახდა ტახტი თავისი თექვსმეტი წლის ვაჟიშვილისათვის დაეთმო, მაგრამ ხანგამოშვებით წამოუვლიდა ბრაზი, გაჰქირდავდა დავით მეფესა და გიორგი ჭყონდიდელს და კვლავ ნადირობას და მოლხენას მიჰყოფდა ხელს: „...გიორგი მეფე საბოლოოდ ჩამოსცილდა სახელმწიფურ საქმეებს. ხანგამოშვებით წამოუვლიდა ბრაზი, გაჰქირდავდა „მოუსვენარ“ დავით მეფესა და გიორგი ჭყონდიდელს, კვლავ ნადირობას და

მოლხენას მიჰყოფდა ხელს. ეხლა უფრო ხშირ-ხშირად იმეორებდა იგი თავის შეგონებას: „ეს სოფელი ბალღის ნიფხავსა ჰგავს, ვეჟო, მასავით დასვრილია და მოკლე“. იმ წელს სვებედნიერად გადაურჩა იხვზე, ბატსა და ტყის ქათამზე ნადირობას, მაგრამ ნაჭარმაგევის ფშანებში ყვითელი კალმახის ჭერისას გაცივდა და ლამის არ იყო გადასახლდა მამა-პაპათა მარადჟამულ სამყოფლოში...“ (გამსახურდია 2013: 376).

ამას თან ერთვოდა ქართველ ფეოდალთა გაუთავებელი შუღლი და ბრძოლა ძალაუფლებისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა ბაღუაშთა საგვარეულო, რომლებიც თავად ერთიანი საქართველოს მეფეებსაც კი არ ეპუებოდნენ და ხშირ შემთხვევაში ამარცხებდნენ კიდეც მათ.

მკვლევარ ე. შუშანიას მოსაზრებით, შინააშლილობა, ერისთავთა ორგულობა და განდგომილება იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ საქართველო მარცხდებოდა თურქებთან ბრძოლაში და მტერს ასე გაედგა ფეხი საქართველოს მიწა-წყალზე: „...დავითის გამეფების დროს კახეთ-ჰერეთი გამდგარი იყო საქართველოს სამეფოსაგან, ხოლო თრიალეთ-კლდეკარის მფლობელი ლიპარიტ IV-ბაღუაშ-ორბელიანი სრულიად დამოუკიდებლად გრძნობდა თავს. მან თავის მამა-პაპათა ძველ კვალზე იწყო სვლა, რომლებიც მუდამ მტრობდნენ და ექიშპებოდნენ მეფეს და სამეფო ტახტის მიტაცებას ლამობდნენ. დავით მეფემ კარგად იცის ეს ყოველივე.

ეს ურჩი ერისთავები ხშირად ბიზანტიის დაქირავებულ ჯარს იყენებდნენ საქართველოს მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში და ქვეყანას უწყალოდ აოხრებდნენ. ამგვარად „ციხე შიგნიდან ტყდებოდა“. დავით მეფე ხედავდა, რომ ეს შინააშლილობა, ერისთავთა ორგულობა და განდგომილება იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ საქართველო მარცხდებოდა თურქებთან ბრძოლაში და რომ მტერს ასე გაედგა ფეხი საქართველოს მიწა-წყალზე...“ (შუშანია 1976: 148).

რომან „დავით აღმაშენებელში“ ვრცლადაა მოთხრობილი ბაგრატოვანთა სამეფო გვარისა და კლდეკარის ერისთავების ბაღუაშთა გვარის საუკუნოვანი დაპირისპირების შესახებ. ამ დაპირისპირებას მხოლოდ დავით აღმაშენებლმა

მოუღო ბოლო. მან შეძლო ბაღუაშთა გვარის საბოლოოდ დამარცხება, მათი განდევნა საქართველოდან და კლდეკარის საერისთავოს გაუქმება.

რომანში ბაგრატოვანთა და ბაღუაშთა დაპირისპირების შესახებ ესაუბრება გიორგი ჭყონდიდელი დავით აღმაშენებელს უფლისციხესთან მიახლოებისას: „...უფლისციხის ზეთავებსა და ბანებზე ალამს აფრიალებდნენ. ციხის ფარებთან თავმოყრილი ხალხი სეფედროშას ესალმებოდა. ხის ჯვრები ეჭირათ მეციხოვნეთ ხელში, აღტყინებულნი ყვიროდნენ: „მზეგრძელი იყოს უფლისწული დავითი!“ როცა მოწინავე ოთხმა მხედარმა ცხენები დაიურვა, ჭყონდიდელმა დაკეცილი მათრახი მიაშვირა უფლისციხეს და უთხრა დავითს: „ამ ციხეს ერთ წელს გარს ადგა პაპაშენი, სულკურთხეული ბაგრატ კუროპალატი, ბოლოს გასტეხა, შეიპყრო მეფემ ლიპარიტისძე ივანე და ლიპარიტ ივანესძე“. „იცვლებიან დრონი, - შენიშნა გვარამ ერისთავმა, - ორბელიანნი ბაგრატოვანთა მოსისხარნი იყვნენ ოდესღაც. ლიპარიტი ივანესძე მეფის თანამდგომია ახლა“. „ასეა, ერისთავთ-ერისთავო, - ჩააკერა სიტყვა მახარამ, - ეს სოფელი ეგეთია, ვითარცა მამლის ბოლო ქარიან დღეში, საითკენაც ნიავი დაუბერავს, იქითკენ პარპალებს იგი“. გაეცინათ გვარამს და დავითს, ჭყონდიდელმა ძლივს შეიკავა ღიმი...“ (გამსახურდია 1954: 12).

როცა დარბაზისერთა საბჭოზე კლდეკარის ერისთავს ლიპარიტ ივანეს-ძე ბაღუაშ-ორბელიანს შჯულის, მამულისა და სამეფო ტახტის მრავალგზისი ღალატის გამო საქართველოდან გაძევება და წოდებისა და მამულების ჩამორთმევა მიესაჯა, ამ განაჩენის გამო თვით წინწყაროელ ეპისკოპოსსაც არ დაუძრავს კრინტი: „...იმავე სხდომაზე მოსმენილი იქნა კლდეკარის ერისთავის ლიპარიტ ივანეს-ძე ბაღუაშ-ორბელიანის საქმე, შჯულისა, მამულისა, სამეფო ტახტის მრავალგზისი ღალატის გამო.

გადაწყდა: მისი გაძევება საქართველოდან და ჩამოერთვა მოღალატეს როგორც ერისთავთ-ერისთავის წოდება, ისე მამული მისი მანგლისსა, ლიპარიტის უბანსა და არგვეთში. როცა ეს განაჩენი გამოტანილი იქნა, თვით წინწყაროელ ეპისკოპოსსაც არ დაუძრავს კრინტი, მხოლოდ გიორგი მეფემ

დაარღვია დუმილი: „კუდი ძაღლისა არ განემართების, არცა კირჩხიბი მართლად ვალს“.

გათენებამდის არ ჩამქრალა რკონის კოშკში ოქროს სასანთლენი, ჩრდილისძვრამდის ძილფხიზლობდა დედისიმედი...“ (გამსახურდია 2013: 299-300).

ეს ყოველივე ქვეყანაში იწვევდა დაქსაქსულობასა და არეულობას. საჭირო იყო მტკიცე ხელი, რომელიც ამ სახელმწიფოებრივ პრობლემებს მოაგვარებდა. პატრიოტულად განწყობილ ქართველ თავადაზნაურთა მხარდაჭერითა და თანხმობით საქართველოს სამეფო ტახტზე ადის თექვსმეტი წლის დავით მეოთხე. ახალგაზრდა, ენერგიული მეფე ახალი ძალით შეუდგა ქვეყნის მართვას. ქვეყანა თითქმის აოხრებული იყო. არ არსებობდა ეკონომიკა. თითქმის ყველგან თურქ-სელჩუკები იყვნენ. ისინი როდესაც და როგორც მოესურვებოდათ ისე აწიოკებდნენ ქართველ გლეხობას. სახელმწიფოში სრული ანარქია სუფევდა. ანარქია სუფევდა ქართულ ეკლესიაში, რომელიც სახელმწიფოს არ ემორჩილებოდა. ამ დროისათვის ქართული ეკლესიის მესვეურთ დავიწყებული ჰქონდათ თავიანთი ძირითადი მოვალეობა ქრისტეს ცოცხალ ეკლესიაზე ანუ უბრალო ადამიანებზე ზრუნვა და ისინი მთელს თავიანთ მეცადინეობას ვერცხლისმოყვარეობასა და საკუთარი სახელის უკვდავყოფისათვის ზრუნვას ახმარდნენ.

ქართული ეკლესია ამ პერიოდისათვის ერთგვარ ფეოდალურ ორგანიზმად ჩამოყალიბდა, სადაც საეკლესიო ძალაუფლება მამიდან შვილზე გადადიოდა. იგივე მდგომარეობა სუფევდა საერო ცხოვრებაშიც. ყველა ქართველი ფეოდალი ფაქტიური მეფე იყო თავის მამულში და სახელმწიფო თანამდებობებიც დიდ ფეოდალებს ჰქონდათ განაწილებული და ეს თანამდებობებიც მამიდან შვილზე გადადიოდა. ყველგან მემკვიდრეობითობის პრინციპი იყო გაბატონებული. ეს ყველაფერი კი პირდაპირ თუ გადატანითი მნიშვნელობით ძირს უთხრიდა ქვეყანაში ერთიანი ცენტრალიზებული ხელისუფლების არსებობას, რომელიც ამ დროისათვის ქართული სახელმწიფოს არსებობის ძირითად გარანტს წარმოადგენდა.

სწორედ ასეთ ვითარებაში ავიდა საქართველოს სამეფო ტახტზე დავით მეოთხე-აღმაშენებელი და შეუდგა ქვეყნის მართვას. ყველაზე დიდი გარდაქმნები, რომლებიც კი საქართველოს ისტორიაში განხორციელებულა, გაატარა დავით მეოთხემ. ეს რევოლუციური გარდაქმნები შეეხო როგორც საეკლესიო, ასევე სახელმწიფო მართვის აპარატს. 1104 წელს დავით მეოთხემ მოიწვია რუის-ურბნისის საეკლესიო კრება და თავისი თანამოაზრე ქართველი სასულიერო პირების დახმარებით ქართული ეკლესია გაწმინდა იმ სასულიერო პირებისაგან, რომლებიც თავიანთი საქმიანობით ძირს უთხრიდნენ ქვეყნისა და ერის მთლიანობას.

ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებით, რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ განახორციელა და დააკანონა ის, რასაც ორმოცი წლის წინათ ჰქადაგებდა გიორგი მთაწმინდელი: „...რუის-ურბნისის საეკლესიო კრებისათვის უმთავრეს გასარჩევ საკითხად წამოყენებული იყო სწორედ წოდებრივობის უპირატესობის მოსპობა ეკლესიაში და პირადის ღირსებისდა მიხედვით ეკლესიისათვის მღვდელმსახურთა არჩევა... იმიტომ, რომ უღირსი ეპისკოპოსები, „მამულობით უფროს ვიდრე ღირსებით“ მჯდომარენი სამღვდელმთავრო საყდარზე, „იყუნეს კაცნი მთავართა და წარჩინებულთა შვილნი, რომელთა უწესოდ დაეპყრნა საყდრები“... რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ, მაშასადამე, გადააყენა უღირსი მღვდელმთავარნი მთავარ-წარჩინებულთა შთამომავლობისანი და ამით გვარიშვილობის მნიშვნელობა ეკლესიის მსახურთათვის უარჰყო, ხოლო პირადს ღირსებას შესაფერისი პატივი და უფლება მიანიჭა...“ (ჯავახიშვილი 1983: 213).

რომან „დავით აღმაშენებელში“ აღწერილია რუის-ურბნისის საეკლესიო რეფორმა, რომელიც ჩაატარა დავით აღმაშენებელმა, სადაც საეკლესიო ცხოვრებაში გაუქმებული იქნა თანამდებობებისა და წოდებების მემკვიდრეობით გადაცემა და მაღალ საეკლესიო თანამდებობებზე აღზევებული იქნენ უგვარონი, ხშირად დიაკვანყოფილნი და მეჯადაგეთა შვილები: „...გიორგი მეფეს არც კი ესმოდა, თუ როგორ გამართა დავითმა რუის-ურბნისის საეკლესიო კრება, ან რად მოუწყო მან პატივისა დაკლებაი და განპატიჟება ქვაბავაზაკებს? არც ამის შედეგად შემოღებულ საეკლესიო რეფორმას დაფიქრებია იგი ოდესმე. პირიქით,

გიორგისათვის სავსებით გაუგებარი იყო, თუ რად წაართვა დავით მეფემ მათ ოდითგანვე „ღვთით მინიჭებული“ სამწყსონი და მონასტერნი, თუნდაც ქუთათელს ანტონის, გოლგოთელს ფილიმონს, ნეკრესელს გედეონს.

როგორც გიორგი მეფე, ისე მოხუცი ერისთავები, პატივდაკლებულნი ძმანი თავადთაგანნი, აღშფოთებულნი იყვნენ იმის გამოც, რომ დავით მეფემ უგვარონი, ხშირად დიაკვანყოფილნი, მეჯადაგეთა შვილები აღაზევა, მონასტრები და საეპისკოპოსო ეპარქიები ჩააბარა მათ და ამით თავის მეისტორიეს საბაბი მისცა დაეწერა: „...რამეთუ წმინდანი ეკლესიანნი, სახლნი ღმრთისანი ქვაბ-ავაზაკთა ქმნილ იყვნენ და უღირსთა და უწესოთა მამულობით უფროს ვიდრე ღირსებითა დაეპყრნეს უფროსნი საეპისკოპოსონი, ვითარცა ავაზაკთა და მათნივე მზგავსნი ხუცესნი და ქორეპისკოპოსნი დაედგინეს, რომელნი ნაცვლად სჯულთა საღმერთოთა, უსჯულებასა აწურთიდეს მათ ქვეშეთა ყოველთა და თვით სახლით უფლისათ და მღვდელთაგან გამოვიდოდა ყოველივე უშჯულობა და ცოდვა...“ (გამსახურდია 2013: 378).

დავით მეოთხემ საეკლესიო ხელისუფლება დაუმორჩილა საერო ხელისუფლებას. მან შემოიღო და გააერთიანა ორი უზარმაზარი თანამდებობა მწიგნობართუხუცესი და ჭყონდიდელი და ამ თანამდებობაზე თავისი გამზრდელი და უერთგულესი თანამებრძოლი გიორგი ჭყონდიდელი დანიშნა. ეს იყო ორი უმნიშვნელოვანესი სახელისუფლებო რგოლის საერო და საეკლესიო ხელისუფლების ერთი ადამიანის ხელში თავმოყრა. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს მიენიჭა უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება. გიორგი ჭყონდიდელი იყო უზენაესი მოსამართლე, რომელსაც ემორჩილებოდა „სააჯო კარი“, ანუ უმაღლესი სასამართლო. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი ყოველ ორშაბათ დღეს განიხილავდა ღარიბ-ღატაკთა საჩივრებს.

რომან „დავით აღმაშენებელში“ განსაკუთრებით აღსანიშნავია გიორგი ჭყონდიდელის მხატვრული სახე. ალბათ ისტორიული კანონზომიერება იყო, რომ დავით აღმაშენებელს სწორედ ისეთი ადამიანი აღმოაჩნდა გვერდით, როგორც გიორგი ჭყონდიდელი იყო, თორემ არავინ იცის როგორ დატრიალდებოდა ცხოვრების ბორბალი საქართველოს თავზე. გიორგი ჭყონდიდელი იყო დავით

მეოთხის უპირველესი მესაიდუმლე და მხარდამჭერი. მისი იდეების განმახორციელებელი. იგი იყო დავით მეფის უპირველესი მრჩეველი რელიგიურ, სახელმწიფოებრივ, პოლიტიკურ, სამხედრო, სოციალურ თუ სხვა საკითხებში. სწორედ გიორგი ჭყონდიდელის დახმარებითა და მხარდაჭერით შეძლო დავით აღმაშენებელმა იმ წარმატებების მიღწევა და ერთიანი, უძლიერესი სახელმწიფოს ჩამოყალიბება, რომელიც შიშის ზარს სცემდა საქართველოს სამეფოს მტრებს.

რომანში დახატულია გიორგი ჭყონდიდელის დიდებული სახე, რომელიც ქართულ სამეფოში თანამდებობრივად პირველ პირს წარმოადგენდა დავით მეფის შემდეგ და მას სხვა სახელმწიფოებრივ ფუნქციებთან ერთად, უზენაესი მსაჯულის ფუნქციაც ჰქონდა მინიჭებული: „მეორე დღეს, ორშაბათს, ჩვეულებისამებრ დაჯდა ჭყონდიდელი „სააჯო კარსა შიგან“, საწოლის მწიგნობარნი გარს უსხდნენ, ზარდახნის მწიგნობრებს აგზავნიდა სასახლის ეზოში მოზღვავებულ მომჩივანთა, მიწისძვრისაგან დაზარალებულთა და ქვრივ-ობოლთა გასაკითხავად. დიდძალი ხალხი დარჩენილიყო ცისქვეშ. ნაშუადღემდის ანაწილებდა ჭყონდიდელი მეფისა, დედოფლისა და უფლისწულის ღარიბთა ქისაკებიდან სამადლოს...“ (გამსახურდია 1954: 112).

რომანში აღწერილია დიდი მამულიშვილისა და პატრიოტის გიორგი ჭყონდიდელის გარდაცვალების ეპიზოდი, რომელმაც დიდი მწუხარება გამოიწვია ქართველი ხალხისა და დავით აღმაშენებლის პიროვნებაში: „...აქ მოხდა საზარელი ამბავი: გიორგი ჭყონდიდელს ცხენი მიართვა ორმა მეჯინიბემ. მან ვერ მოასწრო უზანგში ფეხის ჩადგმა, გალურჯდა, და იქვე განუტევა სული. დავით მეფე, მახარაი, ოვსთა მეფე და ხვახვაი მისცვივდნენ მიცვალებულს, დიდ დარბაზში დაასვენეს...

მთელ თვეს მოდიოდნენ ნაჭარმაგევს გიორგის ძიძაშვილები, მათი შვილთაშვილები, ქვრივ-ობლები, მთელი საქართველოს საერისთავოებიდან, მარიამ დედოფალმა მხოლოდ გიორგი ჭყონდიდელის დამარხვის დღეს შეამჩნია ჭაღარა დავით მეფის დამწუხრებულ სახეზე. როცა მის კუბოს შავი ღვთისმშობლის ტაძარში ასაფლავებდნენ, მხოლოდ ჭყონდიდელის დისწულს, თრიალეთის გამგებელს, თევდორეს, ეყო მხნეობა, ორიოდე სიტყვა ეთქვა:

„ვაგლახ, რა დიდი ხარ და რა მცირე კუბომ იკმარა შენთვის, საქართველოს დიდო მამულიშვილო, მამაო გიორგი. ინებოს უფალმა, საქართველოს ხალხმა შენ მოგბაძოს უკუნითი უკუნისამდე მტერთან ბრძოლაში. მშვიდობით, ჩვენო ხალხის დაუოკებელო და უკვდავო სულო.

შენი ხმალი და შენი ჯვარი მარადის წინ გაუძღვება ჩვენს ერს. შენს სხეულს ვერასოდეს იხილავენ მომავალი თაობანი, მაგრამ შენს სულს, დიახაც, უმღერებენ მომავლის მემატიანენი და მწერალნი. ვგონებ, გეყო მახვილის ქნევა, სამოცდახუთმეტი ჭრილობა თან მიგაქვს მტერთან ომებში მიღებული. ვაი ჩვენ, ვაი ჩვენ უშენოდ, თორემ შენ რა გიშავს, სულმნათო და ვალმოხდილო რაინდო ჩვენო...“

დავით მეფე მუხლმოყრილი ისმენდა ამ სიტყვებს, ლითამი ჩამოეშვა და ბალღივით სტიროდა...“ (გამსახურდია 2013: 664-665).

ამ და სხვა გატარებული რეფორმების შედეგად დავით მეოთხე-აღმაშენებელი უაღრესად მომგებიან პოზიციაში აღმოჩნდა. სახელისუფლებო სტრუქტურების კონტროლი როგორც სახელმწიფო, ასევე სასულიერო სტრუქტურების თვალსაზრისით მის გამზრდელსა და თანამოაზრეს გიორგი ჭყონდიდელს დაევალა, რომელიც სახელმწიფოში მეფის შემდეგ პირველ პირად იქცა.

ივანე ჯავახიშვილის მოსაზრების თანახმად: „...მწიგნობართ-უხუცესი სახელმწიფოს წარმომადგენელი იყო ეკლესიაში და ეკლესიისა მთავრობაში...“ (ჯავახიშვილი 1983: 350).

ამან უზარმაზარი როლი ითამაშა ქვეყნის გაძლიერებისა და გაერთიანების საქმეში. როგორც საერო, ასევე საეკლესიო ხელისუფლების უმნიშვნელოვანეს თანამდებობებზე მეფის ერთგული ადამიანები დაინიშნენ, რამაც ერთბაშად გააძლიერა მეფის ცენტრალიზებული ხელისუფლება და დავით მეოთხეს საშუალება მისცა კონტროლი დაემყარებინა ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე. დავით აღმაშენებელმა შეიპყრო და ქვეყნიდან გააძევა ლიპარიტ ბაღუაში, ხოლო კლდეკარის საერისთავო, რომელიც ბაღუაშთა გვარს ეკუთვნოდა საერთოდ გააუქმა. მან დაამარცხა სხვა ქართველი თავადაზნაურებიც, რომლებიც

წინააღმდეგობას უწევდნენ მეფის ხელისუფლებას, ზოგი კი სახელმწიფო სამსახურში ჩააყენა.

დავით მეოთხემ ნელ-ნელა შეავიწროვა და დაამარცხა თურქ-სელჩუკები საქართველოში. მან ისარგებლა იმ მომენტით, რომ ევროპაში დაწყებული იყო ჯვაროსნული მოძრაობა თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ და მათაც ძირითადი ყურადღება სწორედ ჯვაროსნების წინააღმდეგ ჰქონდათ მიმართული. დავით მეოთხემ დაიწყო ბრძოლა თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე. იგი პატარ-პატარა რაზმებით თავს ესხმოდა სათარეშოდ გამოსულ თურქებს და მუსრს ავლებდა მათ. თურქ-სელჩუკები ძველებურად ვეღარ გრძნობდნენ თავს დაცულად საქართველოს ტერიტორიაზე და იძულებულები იყვნენ მათ ხელში არსებულ ციხე-სიმაგრეებში გამაგრებულიყვნენ. ამით ქვეყანამ ცოტათი ამოისუნთქა და ქვეყანაში ეკონომიკური აღმავლობა დაიწყო.

უნიკალური რეფორმები განახორციელა დავით მეოთხემ სამხედრო სტრატეგიული თვალსაზრისით. იგი როგორც ჭკვიანი დიპლომატი და მმართველი ხედავდა, რომ ქვეყნის ერთიანობისა და მთლიანობის შენარჩუნებისათვის აუცილებელი იყო ქვეყანაში რეგულარული ჯარის შექმნა, რომელიც მუდმივ მზადყოფნაში იქნებოდა და ნებისმიერ დროს შეეძლებოდა ბრძოლა შინაური თუ გარეული მტრების წინააღმდეგ. ეს ჯარი ჩადგებოდა თურქ-სელჩუკებისაგან განთავისუფლებულ ციხე-სიმაგრეებში და დაიცავდა მათ, რადგანაც ძნელი იყო თურქებისაგან განთავისუფლებული ციხე-სიმაგრეების შენარჩუნება, რომლებსაც მეორე წუთში ისევ თურქები იკავებდნენ. ხოლო რეგულარული ჯარის არსებობის პირობებში სახელმწიფოს შესაძლებლობა ექნებოდა არა მხოლოდ განთავისუფლებული ციხე-სიმაგრეების, არამედ ქვეყნის მთელი ტერიტორიის დაცვისა და კონტროლის განხორციელებისათვის.

მხოლოდ ქართული ძალებით ამის გაკეთება შეუძლებელი იყო, რადგანაც ქვეყანას არ შეეძლო მუდმივი ბეგარა ეხადა ქართველი გლეხისათვის, რომელიც მუდმივ ჯარში ჩაეწერებოდა. დავით მეოთხემ გიორგი ჭყონდიდელთან ერთად მიიღო ქვეყნისათვის უაღრესად სარისკო გადაწყვეტილება. მან გადაწყვიტა

საქართველოში უცხო თესლის ჩამოყვანა და მისგან რეგულარული ჯარის ჩამოყალიბება. ამისათვის ზედგამოჭრილები აღმოჩნდნენ ყივჩაღები, რომლებიც უაღრესად მეომარი ტომი იყო, იმ დროისათვის კი დევნას განიცდიდნენ რუსეთის მეფეებისაგან. დავით მეოთხის ცოლიც ყივჩაღების მეფის ასული იყო. ამანაც შეუწყო ხელი ყივჩაღების საქართველოში ჩამოსახლებას. დავით მეოთხემ საქართველოში ჩამოასახლა ორმოცი ათასი ყივჩაღი თავიანთი ოჯახებით და მათგან რეგულარული ჯარი შექმნა, რომელიც მხოლოდ მეფეს ემორჩილებოდა.

ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებით, დავით აღმაშენებელმა ყივჩაღები ნაქირავებ ლაშქარსავით კი არ მოიწვია, არამედ მთელის ოჯახობით გადმოასახლა: „...ყურადღების ღირსია, რომ დავით აღმაშენებელმა ყივჩაყნი ნაქირავებ ლაშქარსავით კი არ მოიწვია, არამედ მთელის ოჯახობით „დედაწულითა მათითა“ გადმოასახლა საქართველოში და დააბინავა, „დააყენნა ადგილთა სამათოდ მარჯუეთა დედაწულითა მათითა“. ხოლო ეს ლაშქრის დაქირავება კი არ არის, არამედ გადმოსახლებაა...“ (ჯავახიშვილი 1983: 215).

რომან „დავით აღმაშენებელში“ საუბარია ყივჩაღების ჩამოსახლებასა და მუდმივი ჯარის შექმნაზე, რომლის შედეგადაც შესაძლებელი გახდა დიდგორის ომში გამარჯვება და თბილისის, როგორც ერთიანი ქართული სამეფოს დედაქალაქის სამშობლოსათვის შემოერთება ოთხსაუკუნოვანი განშორების შემდეგ. ეს ყველაფერი შესაძლებელი გახდა დავით აღმაშენებლის გენიალური სამხედრო სტრატეგიისა და დიპლომატიური ნიჭის მეშვეობით. მაგრამ ყივჩაღთა ჩამოსახლების გეგმა თავის დროზე დიდ რისკებთან იყო დაკავშირებული, რადგანაც ისინი არ იყვნენ ქრისტიანები და მრავალი ველური და პირველყოფილი ჩვევები ახასიათებდათ. ეს კი დიდ რისკებთან იყო დაკავშირებული. მაგრამ, საბოლოო ჯამში დავით მეფისა და გიორგი ჭყონდიდელის ამ რისკიანმა ნაბიჯმა გაამართლა, რადგანაც მოხერხდა თურქ-სელჩუკთაგან ქვეყნის განთავისუფლება, საქართველოს გაერთიანება და ყიფჩაღების გაქრისტიანება და მათი ქართული სახელმწიფოს სამსახურში ჩაყენება.

რომანში აღწერილია ყივჩაღთა საქართველოში ჩამოსახლებისა და ქართულ ჯართან ერთად მათი სელჯუკიანებთან შებრძოლების ეპიზოდები, სადაც ვლინდება ყივჩაღთა პირველყოფილი ინსტიქტები: „...მახარაი, ნიანია ბაკურიანი და გამგეთუხუცესი ვერ აუდიოდნენ ყიფჩაღთათვის კარვების მოწყობას, მათ ულუსში მხოლოდ ასისთავებსა და ათასისთავებს ჰქონდათ კარვები, ისიც ვაგლახად დასვრილნი და დაფხრეწილნი. ყიფჩაღთა სპის ნაწილი და სარდალი, ჰასან საბბაგ, და ათიათასისთავი მუხრანში მოათავსეს...

ერთი თვეც არ გასულა, სელჯუკიანებმა გადმოლახეს საქართველოს საზღვარი ტაო-კლარჯეთში, მეფემ ნიანია ბაკურიანი და ჰასან საბბაგ წარგზავნა, თურქები უბრძოლველად უკუიქცნენ. ბრძოლის ველზე დასტოვეს ათასისთავი – აბდალლაჰ ბენ ისხაკ. ნიანიამ ვერც კი მოასწრო მიხედვა, ისე წამოაჯდა წაქცეულ ცხენოსანს გამხეცებული საბბაგ და თავი მოსჭრა. როცა ეს ნადავლი დავით მეფეს მიართვა მან, პატრონი ვაგლახად მოიღუშა და უთხრა თურქულად: „ამიერიდან ეს არა ქნას ჰასანმა, რადგან ჩვენ ქრისტიანები ვართ და მტრის მოკვლა კი შეგვიძლია, მაგრამ თავის მოკვეთა წესად არა გვაქვს...“ (გამსახურდია 2013: 667-669).

დავით აღმაშენებელის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად ქართველი ფეოდალები ვეღარ ბედავდნენ თავის წამოყოფას და ისინი იძულებულები იყვნენ დამორჩილებოდნენ მეფის ხელისუფლებას. დავით მეოთხემ მთელი თავისი სახელმწიფო გაწმინდა თურქ-სელჩუკებისაგან. მან შემოიერთა კახეთ-ჰერეთის სამეფოც. რჩებოდა მხოლოდ ქვეყნის დედაქალაქი - თბილისი, სადაც უკვე მერამდენე საუკუნეა არაბი ამირები იჯდნენ და თავისი ნება-სურვილის მიხედვით განაგებდნენ საქართველოს დედაქალაქის მცხოვრებელთა სვე-ბედს.

როგორც ისტორიის მსვლელობამ დაადასტურა ყივჩაღების საქართველოში ჩამოსახლება იყო დავით მეოთხის რისკიანი, მაგრამ სახელმწიფოებრივი და სამხედრო სტრატეგიული თვალსაზრისით უაღრესად სწორი გადაწყვეტილება. რეგულარული ჯარის შექმნამ საქართველოში ხელი შეუწყო საქართველოს ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფოს განმტკიცებას, ქვეყნის

ტერიტორიიდან დამპყრობელი თურქ-სელჩუკების მთლიანად განდევნას. თავაშვებული ქართველი ფეოდალებისა და თავადაზნაურობის დამორჩილებას და მათ ქვეყნის სამსახურში ჩაყენებას. ყივჩაღებმა მიიღეს ქრისტიანული სარწმუნოება და ისინი დროთა განმავლობაში მთლიანად გაქართველდნენ. ყივჩაღების საქართველოში ჩამოსახლება იყო დავით მეოთხის უაღრესად გაბედული და სწორი სახელმწიფოებრივი და სამხედრო სტრატეგიული გადაწყვეტილება.

ქვეყანაში გატარებულმა რეფორმისტულმა იდეებმა სახელმწიფო ფეხზე დააყენა და გააერთიანა. საქართველოს სამეფო გახდა ანგარიშგასაწევი ძალა ამიერკავკასიაში. ფეხზე დამდგარი ქართული სახელმწიფო იმდენად მოძლიერდა, რომ ჯვაროსნული ლაშქრობის ორგანიზატორი ევროპელი მმართველები ქართულ სამეფოს მოიაზრებდნენ როგორც მოკავშირეს მაჰმადიანური სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლაში. ყოველივე ამან უაღრესად აღაშფოთა და გააღიზიანა საქართველოს მეზობელი მაჰმადიანური ქვეყნის მმართველები და მათ გადაწყვიტეს ქრისტიანული საქართველოს საშვილიშვილოდ დასჯა. შეიქმნა მაჰმადიანური კოალიცია საქართველოს სამეფოს წინააღმდეგ.

მუსულმანთა გაერთიანებულ კოალიციას სათავეში ედგა სახელგანთქმული სარდალი ელღაზი, რომელსაც სახელი ჯვაროსნების წინააღმდეგ ბრძოლაში მოეხვეჭა. მტრის ეს უზარმაზარი ურდო დიდგორთან დაბანაკდა. მოწინააღმდეგის ამ მრავალრიცხოვან ლაშქარს დავით მეფემ 61000 ლაშქარი დაუპირისპირა, რომელთა უმრავლესობა ქართველები და ყივჩაღები იყვნენ. ქართველთა ლაშქარში ათასამდე ფრანგი ჯვაროსანიც იღებდა მონაწილეობას. ერთი შეხედვით რიცხობრივად ამ უთანასწორო ბრძოლაში აშკარა უპირატესობა თურქ-სელჩუკების მხარეს უნდა ყოფილიყო. მაგრამ, არ უნდა დაგვავიწყდეს ის ტაქტიკური, სტრატეგიული და ოპერატიული მონაცემები, რომელიც დავით მეფეს გააჩნდა მოწინააღმდეგის შესახებ.

ცნობილია, რომ დავით მეფემ შექმნა უაღრესად დახვეწილი და მობილური ჯაშუშური ქსელი ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე, რის შედეგადაც ის საქმის ყურში იყო ქვეყანაში მიმდინარე ყველა მოვლენაზე და ინფორმაციის სიმწირეს

არ უჩიოდა. როგორც ყველა დროსა და ვითარებაში დავით მეოთხის დროსაც განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სწორი და დროული ინფორმაციის მოპოვებას, რის შედეგადაც სახელმწიფოში შეუძლებელი ხდებოდა სახელმწიფოს წინააღმდეგ რაიმე შეთქმულების მოწყობა. ესეც იყო დავით მეოთხის, როგორც სახელმწიფო მოღვაწისა და დიპლომატის ერთ-ერთი ძლიერი თვისება. ის სწრაფად და დროულად ღებულობდა მისთვის საჭირო ინფორმაციას.

დავით მეოთხე ამ ჯაშუშურ ქსელს წარმატებით იყენებდა არა მხოლოდ შიდა პოლიტიკური, არამედ სამხედრო სტრატეგიული თვალსაზრისითაც. ქართველი მეფე საქმის ყურში იყო იმდროინდელ მსოფლიოში მიმდინარე ყველა პოლიტიკურ მოვლენაზე. დავით მეფეს სწორი ინფორმაცია გააჩნდა მტრის ამ უზარმაზარი კოალიციური ლაშქრის შესახებაც. მან იცოდა მტრის ძლიერი და სუსტი მხარეები. ამას ემატებოდა რელიეფის ის არაჩვეულებრივი ცოდნა, რომელიც დავით მეფეს გააჩნდა. ამიტომაც აირჩია მან ბრძოლის ველად დიდგორის ვიწრო ხეობა, სადაც ფიზიკურად ვერ დაეტეოდა და განლაგდებოდა მტრის ეს უზარმაზარი კოალიციური ლაშქარი. დიდგორის ვიწრო ხეობაში ისინი ვერ იბრძოლებდნენ მთელი თავიანთი შესაძლებლობებით და პირიქით ერთმანეთს შეუშლიდნენ ხელს.

დავით მეოთხეს ეს ყოველივე წინასწარ ჰქონდა მოფიქრებული და გაანალიზებული. მან შეიმუშავა ბრძოლის წარმოების შესანიშნავი სტრატეგია, რომელსაც მტერი ძალაუნებრად დაემორჩილა. როცა მოწინააღმდეგე მხარეები ერთმანეთის წინააღმდეგ საბრძოლველად გამწკრივდნენ, ქართველთა ლაშქარს გამოეყო 200 მხედარი და მტრის რიგებისაკენ გაემართნენ. მტერს ეგონა, რომ ისინი დამორჩილებას აპირებდნენ და დაუბრკოლებლივ გაატარეს თავიანთი ლაშქრის შუაგულისაკენ, სადაც ამ ორასმა ქართველმა თუ ყივჩაყმა იშიშვლეს ხმლები და დაიწყეს მტრის აჩეხვა. ეს იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა მტრისათვის, რომ თითქმის ამ ორასი მხედრის გმირობამ გადაწყვიტა დიდგორის ომის ბედი. თავზარდაცემული მტერი უკანმოუხედავად გარბოდა. მას უკან მოსდევდა ქართველთა ლაშქარი და შეუბრალებლად მუსრს ავლებდა. ამ ბრძოლაში თავში დაჭრილა და თავის ქვეყანაში ნახევრად მკვდარი

დაბრუნებულა მტრის კოალიციური ლაშქრის მთავარსარდალი ელღაზი, რომელიც ამ ჭრილობის შედეგად მალე გარდაცვლილა კიდეც (ივ. ჯავახიშვილი).

დიდგორის ბრძოლა იყო დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის გვირგვინი. ქართველმა გვირგვინოსანმა მეფემ ერთი შეხედვით შეუძლებელი შეძლო. მან მოახერხა ჯვაროსანთა მძლეველი მუსულმანთა უზარმაზარი კოალიციური ლაშქრის სრული განადგურება დიდგორის ველზე და ურიცხვი ნატყვევარი საჭურჭლის, კარვებისა და დროშების ხელში ჩაგდება.

რომან „დავით აღმაშენებელში“ აღწერილია ქართველთა ჯარის მიერ მუსულმანური კოალიციის განადგურების სურათი: „...დიდგორის ომის თანადამსწრე არაბი ისტორიკოსი იბნ ალ-აზრაკ მოგვითხრობს, რომ დავით მეფე მთიდან ჩამოსული უტევდაო მტერს, ხოლო უფლისწული დემეტრე ზეგანზე იბრძოდაო. როცა მუსულმანთა კოალიციის ლაშქარი მანგლისის გზით უწესრიგოდ უკან იხევდა, საომარ აქლემებზე, დრომედერებსა და ცხენებზე აღმხედრებული მათი ლაშქარი გზაზე აწყდებოდა დავით მეფის ბრძანებისამებრ გაკეთებულ ჯებირებსა და ხანდაკებს. დიდძალი ტყვე ჩაუვარდა ქართულ ლაშქარს. საოცარის სისწრაფით მისდევდა იგი მტერს. მზვარეში ელავდნენ მუზარადები და ჯაჭვის პერანგები, მეწინავე ცხენოსანთა ათასეულებს ხელშუბებითა და მშვილდებით არჭურვილნი ქვეითი სპაი მისდევდა უკან. სელჯუკები პალანკინებით მიათრევდნენ დაკოდილ ათასისთავებს, ცხენოსნების ორანნზე დაჭრილთა პალანკინებს სტოვებდნენ თურქმენები და კლდე-ღრეში იჩეხებოდნენ. 10 ფარასანგის მანძილზე უკან სდია ქართულმა ჯარმა მტერს. ურიცხვი ნატყვევარი საჭურჭლე, კარვები და დროშები ჩაიგდო ქართულმა ლაშქარმა ხელში...“ (გამსახურდია 2013: 684).

დიდგორის ბრძოლაში გამარჯვება იყო შესანიშნავი გამარჯვება ქართული სამხედრო სტრატეგიისა, რომლის ბადალიც მეორე არ მოიპოვება ქართულ ისტორიაში. ამ ბრძოლაში გამარჯვებით ხერხემალში იქნა გადატეხილი თურქ-სელჩუკების ბატონობა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთლიანად ამიერკავკასიაში და ისინი იძულებული გახდნენ საბოლოოდ ამოეკვეთათ ფეხი

კავკასიიდან. დამტკიცდა ქართული სამხედრო სტრატეგიის სიძლიერე და დაიმსხვრა მითი თურქ-სელჩუკების უძლეველობის შესახებ. საქართველო ამიერკავასიის უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა, ხოლო დავით აღმაშენებელი ამიერკავკასიის უძლიერესი სახელმწიფოს უძლიერეს მეფედ. დიდგორის ბრძოლა მომხდარა 1121 წლის 12 აგვისტოს, ხოლო ერთი წლის შემდეგ მტრის მედგარი წინააღმდეგობის მიუხედავად, დავით მეფემ აიღო ქალაქი თბილისი და ამით საბოლოოდ აღასრულა ქართველი ხალხის საუკუნოვანი ოცნება, შექმნა და გააერთიანა უძლიერესი ქართული სახელმწიფო „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე ოვსეთითგან სპერად და არეგაწამდე“.

როდესაც ერთ დროს უძლიერესი ბიზანტიის იმპერია თანდათან თმობდა პოზიციებს და ზედიზედ განიცდიდა მარცხს თურქ-სელჩუკებისაგან, ქართული სამეფო პირიქით, თანდათან ძლიერდებოდა და შიშის ზარს სცემდა თურქ-სელჩუკებს. ამიტომაც, ის რაც მისაღები იყო ადრეული ქართველი მეფეებისათვის, მიუღებელი აღმოჩნდა დავით მეფისათვის. მან საქართველოს სამეფო კარზე გააუქმა ყველა ის პრივილეგია და სახელმწიფოებრივი წოდებები, რაც ბიზანტიის სამეფო კარისგან მოდიოდა. ამით საბოლოოდ დაუსვა წერტილი ბიზანტიის პოლიტიკურ გავლენას საქართველოში და თუ ბიზანტიელი იმპერატორები ადრე ყოველგვარი ხერხის გამოყენებით ცდილობდნენ საქართველოს სამეფო კარზე პოლიტიკური ზეგავლენის მოპოვებას, ახლა ისინი ისევე როგორც მსოფლიოს უძლიერესი მაჰმადიანური სახელმწიფოები იძულებული ხდებოდნენ შეგუებოდნენ ძლიერ ქართულ სახელმწიფოს და მასთან პოლიტიკური და დიპლომატიური ურთიერთობები ისე ეწარმოებინათ, როგორც სწორი სწორთან და არა როგორც დაბეჩავებულ და დაპყრობილ ქვეყანასთან, რომელსაც არანაირ ანგარიშს არ უწევდნენ.

ეს კი დავით მეოთხე-აღმაშენებლის უდიდესი დამსახურება იყო ერისა და ბერის წინაშე. სწორედ მისმა მრავალწლიანმა დაუღალავმა შრომამ და გამოულევმა ენერგიამ მიაღწევინა ქართველ ერს მანამდე არნახული წარმატებისათვის და სახელი გაუთქვა მას და მის ბრძენ მეფეს მთელს ქვეყანაზე.

ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებით: „...დავით აღმაშენებლის ღვაწლია, რომ მან, ვითარცა სახელმწიფოს ბრძენმა მესაჭემ, საქართველოს სოციალური და სახელმწიფო წესწყობილების შეცვლის აუცილებლობა შეიგნო.

პირველი მისი დიდი სახელმწიფო გეგმიანი ნაბიჯი ქართული ეკლესიის დემოკრატიზაციის განხორციელება იყო: პირადი ღირსებისათვის უპირატესობის მინიჭება წოდებრიობასთან შედარებით. ის, რაც პირველად გიორგი მთაწმინდელმა წამოაყენა და ნაწილობრივ მისი განხორციელებაც კი სცადა, დავით აღმაშენებელმა ქართულ ეკლესიაში მთელი სახელმწიფოს საზომითა და მთელი სახელმწიფოს სივრცეზე განახორციელა.

მეორე მის უდიდეს ღვაწლს საქართველოს წინაშე მუდმივი ჯარის დაწესება შეადგენს. საქართველოს მეფეებს ამან საშუალება მისცა დიდგვარიან აზნაურთა თვითნებობა და ურჩობა აელაგმათ და სახელმწიფო განემტკიცებინათ.

დავით აღმაშენებლის მესამე დიდ ღვაწლად უნდა ის ცვლილება ჩაითვალოს, რომელიც მან საქართველოში მართლმსაჯულების სფეროში შეიტანა. წინათ სასამართლოს უმაღლესი საფეხური, უზენაესი მართლმსაჯულება, მეფის ხელში იყო. ამგვარად, მართლმსაჯულება და მართვა-გამგეობა შეერთებული იყო. სანამ საქართველო შედარებით პატარა სამეფოს წარმოადგენდა, ასეთი შეერთება შესაძლებელი იყო ასე-თუ-ისე უზიანოდ განხორციელებულიყო, მაგრამ მას შემდგომ, რაც დავით აღმაშენებელმა საქართველო ფართო პოლიტიკურ ასპარეზზე გამოიყვანა და მახლობელი აღმოსავლეთის სადარაჯოზე მდგომს იმოდენა საქმეები გაუჩნდა, რომ მას სრულებით საშუალება არ ჰქონდა ამ მნიშვნელოვანი მოვალეობის, უზენაესი მართლმსაჯულების, ასრულებასაც გასძღოლოდა და ქვეყნის მართვა-გამგეობის ყოველდღიური საკითხებისათვისაც ეზრუნა, ამიტომ დავით აღმაშენებელმა გადასწყვიტა უზენაესი სასამართლო შეექმნა და ეს გადაწყვეტილება განახორციელა კიდეც: კოლეგიურ წესზე აგებული, სამი მსაჯულისაგან შემდგარი საქართველოს უზენაესი სასამართლო დააარსა. ეს სასამართლო ყველა იმ საკითხებს არჩევდა და სწყვეტდა, რომელნიც წინათ მომჩივართა მიერ აჯა-მომხსენებლის სახით მეფისათვის იყო ხოლმე წარდგენილი...“ (ჯავახიშვილი 1983: 357-358).

გვინდა გამოვთქვათ მოსაზრება, რომ ხელისუფლების სამად დანაწილების თეორია, რომელიც მსოფლიოში პირველმა შეიმუშავა ფრანგმა განმანათლებელმა შარლ-ლუი მონტესკიემ, სათავეს ბიბლიიდან, სახარებიდან იღებს, სადაც ბიბლიურ-ქრისტიანული წმინდა ერთარსება სამების პირველი წევრი მამა ღმერთი კანონმდებელია: „თქვა ღმერთმა ყველა ეს სიტყვა: მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი, რომელმაც გამოგიყვანეთ ეგვიპტელთა ქვეყნიდან, მონობის სახლიდან. არ გაიჩინოთ ჩემს გარდა სხვა ღმერთები. არ გააკეთო კერპები, არც რამე ხატი იმისა, რაც არის მაღლა ცაში, დაბლა მიწაზე და წყალში მიწის ქვეშ. არ სცე თაყვანი მათ, არც ემსახურო, რადგან მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი, შურისმგებელი ღმერთი, რომელიც მამათა ცოდვას შვილებს მოვკითხავ, ჩემს მოძულეებს, მესამე და მეოთხე თაობაში. ათასწილ სიკეთის მზღველი ჩემს მოყვარულთათვის და ჩემი მცნებების დამმარხველთათვის. არ დაიფიცო ფუჭად უფლის, შენი ღვთის სახელი, რადგან დაუსჯელი არ გადაურჩება უფალს მისი სახელის ფუჭად მოფიცარი. გახსოვდეს შაბათი დღე, რომ წმიდა ჰყო იგი. ექვს დღეს იმუშავე, და აკეთე შენი საქმეები; მეშვიდე დღე კი უფლის, შენი ღვთის შაბათია. არა საქმე არ გააკეთოთ, არც შენ, არც შენმა ვაჟმა, არც შენმა ასულმა, არც შენმა ყმამ, არც შენმა მხევალმა, არც შენმა პირუტყვმა, არც შენმა მდგმურმა, სახლში რომ გყავს. რადგან ექვს დღეში შექმნა უფალმა ცა და მიწა, ზღვა და ყველაფერი, რაც მასშია, და მეშვიდე დღეს შეისვენა; ამიტომაც აკურთხა უფალმა შაბათი დღე და წმიდაჰყო იგი. პატივი ეცი მამას და დედას, რათა დღეგრძელი იყო მიწაზე, რომელიც უფალს, შენს ღმერთს მოუცია შენთვის. არა კლა. არ იმრუშო. არ იქურდო. არ გამოხვიდე ცრუ მოწმედ შენი თვისტომის წინააღმდეგ. არ ინდომო შენი თვისტომის სახლი; არ ინდომო შენი თვისტომის ცოლი, არც მისი ყმა, არც მისი მხევალი, არც მისი ხარი, არც მისი სახედარი, არც არაფერი მისი ქონებიდან...“ (გამ. 20.1-17).

მამა ღმერთი რომ კანონმდებელია, დასტურდება ახალი აღთქმის მიხედვითაც: „...მაშასადამე, იმათი სახეები, რომლებიც ზეცაში არიან, უნდა წმიდავდებოდნენ ამით, თვით ზეციურნი კი ამაზე უმჯობესი მსხვერპლებით. ვინაიდან ქრისტე შევიდა არა ხელთქმნილ წმიდაში, ჭეშმარიტების ანარეკლში,

არამედ თვით ცაში, რათა წარდგეს ახლა ჩვენთვის ღვთის წინაშე...“ (ებრაელ. 9.23-24).

სახარების თანახმად: „...მერე კი დასასრული, როცა მეფობას გადასცემს უფალსა და მამას მას შემდეგ, რაც გააუქმებს ყოველ მთავრობას, ყოველ უფლებასა და ძალას. ვინაიდან მან უნდა იმეფოს, ვიდრე თავის ფეხქვეშ მოაქცევდეს თავის ყველა მტერს. ხოლო უკანასკნელი მტერი, რომელიც განქარდება, სიკვდილია. იმიტომ, რომ ყოველივე დაუმორჩილა მის ფეხქვეშ. ხოლო როცა ნათქვამია, რომ ყოველივე მას დაემორჩილა, ცხადია, გარდა იმისი, რომელმაც მას დაუმორჩილა ყოველივე. და როცა ყოველივეს მას დაუმორჩილებს, მაშინ თვით ძეც დაემორჩილება იმას, ვინც ყოველივე მას დაუმორჩილა, რათა ღმერთი იყოს ყველაფერი ყველაფერში...“ (I კორ. 15.24-28).

ამრიგად, ძველი და ახალი აღთქმის წიგნების თანახმად, ბიბლიურ-ქრისტიანული წმინდა ერთარსება სამების პირველი წევრი მამა ღმერთი კანონმდებელია.

ბიბლიის თანახმად, ბიბლიურ-ქრისტიანული წმინდა ერთარსება სამების მეორე წევრი ძე ღმერთი-იესო ქრისტე აღმასრულებელია: „...მეექვსე თვეს კი წარმოიგზავნა ღვთისაგან ანგელოზი გაბრიელი გალილეის ქალაქს, რომლის სახელია ნაზარეთი, ქალწულთან, რომელიც დანიშნული იყო კაცზე, რომელსაც ერქვა იოსები, დავითის სახლისაგან, ხოლო ქალწულის სახელი იყო მარიამი. შევიდა მასთან და უთხრა: „გიხაროდეს! მომადლებულო, შენთანაა უფალი, კურთხეული ხარ შენ დედათა შორის.“ ის კი შეაძრწუნა ამ ნათქვამმა და ჩაფიქრდა: „რას უნდა ნიშნავდეს ეს მისალმება.“ უთხრა მას ანგელოზმა: „ნუ გეშინია, მარიამ, ვინაიდან მადლი ჰპოვე ღმერთთან. აჰა, დაორსულდები და გაგიჩნდება ძე და სახელად იესოს დაარქმევ. დიდი იქნება ის და უზენაესის ძედ იწოდება. მისცემს მას უფალი ღმერთი მისი მამის, დავითის ტახტს. და უკუნისამდე იმეფებს იაკობის სახლზე და მის მეფობას არ ექნება დასასრული...“ (ლუკა 1.26-33).

ძე ღმერთი-იესო ქრისტე როგორც აღმასრულებელი, კარგად ჩანს სახარების შემდეგი სიტყვებიდან: „...ხოლო თერთმეტი მოწაფე წავიდა გალილეას, იმ მთაზე

რომელიც იესომ დაუთქვა მათ. ნახეს იგი და თაყვანი სცეს, ზოგს კი ეჭვი ეპარებოდა. მოვიდა იესო მათთან და უთხრა: „მოცემული მაქვს მე მთელი ხელმწიფება ცაში და დედამიწაზე...“ (მათე 28.16-18).

სახარების თანახმად: „...მაშინ განმგებლის ჯარისკაცებმა წაიყვანეს იესო სამსჯავროში და თავს მთელი რაზმი დაახვიეს. გახადეს მას და მოასხეს ძოწეულის მოსასხამი. დაწნეს ეკლის გვირგვინი, დაადგეს თავზე, მარჯვენა ხელში ლერწამი მისცეს. მის წინაშე მუხლს იყრიდნენ, დასცინოდნენ და ეუბნებოდნენ: „გიხაროდეს, იუდეველთა მეფეო!“ და აფურთხებდნენ მას, აიღეს ლერწამი და ურტყამდნენ თავში. დაცინვით რომ გული იჯერეს, გახადეს მოსასხამი, ჩააცვეს თავისივე სამოსელი და წაიყვანეს, რომ ჯვარს ეცვათ...“ (მათე 27.27-31).

ამრიგად, სახარების თანახმად, ბიბლიურ-ქრისტიანული წმინდა ერთარსება სამების მეორე წევრი ძე ღმერთი-იესო ქრისტე აღმასრულებელია.

ბიბლიის თანახმად, ბიბლიურ-ქრისტიანული წმინდა ერთარსება სამების მესამე წევრი სულიწმიდა მსაჯულია: „...მაგრამ ჭეშმარიტებას გეუბნებით თქვენ: თქვენთვის უკეთესია, რომ წავიდე, რადგან თუ არ წავედი, ნუგეშისმცემელი ვერ მოვა თქვენთან. თუ წავალ, მე მოგივლენთ. და როდესაც ის მოვა, ამხილებს წუთისოფელს ცოდვის, სიმართლისა და სამსჯავროს გამო. ცოდვის გამო, რომ არ მიწამეს; სიმართლის გამო, მამასთან რომ მივდივარ და ვერასოდეს მიხილავთ; სამსჯავროს გამო, რომ მთავარი ამ წუთისოფლისა მსჯავრდებულია...“ (იოანე 16.7-10).

სახარებიდან ჩანს, რომ სულიწმიდის მეშვეობით წმიდები განიკითხავენ წუთისოფელს: „როგორ გაბედავს ვინმე თქვენგანი, თავისიანთან რომ აქვს დავა, ურჯულოებთან მივიდეს სამსჯავროზე და არა წმიდებთან? ნუთუ არ იცით, რომ წმიდები განიკითხავენ წუთისოფელს? ხოლო თუ თქვენ განიკითხავთ წუთისოფელს, განა მცირე საქმეთა განკითხვის ღირსნი არა ხართ? ნუთუ არ იცით, რომ ანგელოზებს განვიკითხავთ, მით უმეტეს საერო საქმეებს... ასეთი იყო ზოგიერთი თქვენგანი; მაგრამ განიბანეთ, მაგრამ წმიდად გახდით, მაგრამ გამართლდით ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სახელით და ჩვენი ღვთის სულით...“ (I კორ. 6.1-11).

ამრიგად, სახარების თანახმად ბიბლიურ-ქრისტიანული წმინდა ერთარსება სამების მესამე წევრი სულიწმიდა მსაჯულია.

აქედან ნათლად ჩანს, რომ ხელისუფლების სამად დანაწილების თეორია, რომელიც მსოფლიოში აღიარებულ და მსოფლიოს დემოკრტიული ქვეყნების მმართველების მიერ თავიანთ ქვეყნებში დანერგილ მმართველობის სამ სხვადასხვა შტოს აერთიანებს, სათავეს ბიბლიიდან და ბიბლიურ-ქრისტიანული წმინდა ერთარსება სამების რელიგიური დოგმატიდან იღებს.

ხელისუფლების სამად დანაწილების თეორია, პირველად ქართულ ისტორიულ სინამდვილეში განახორციელა დავით აღმაშენებელმა.

ხელისუფლების სამად დაყოფა-დანაწილების თეორია თეორიულ საფუძველს ბიბლიაში და ბიბლიურ-ქრისტიანული წმინდა ერთარსება სამების რელიგიურ დოგმატში პოულობს.

ხელისუფლების სამად დანაწილების თეორია მსოფლიოში პირველად შეიმუშავა და თავის ნაშრომში „კანონთა საზრისი“ სრულყოფილი სახით ჩამოაყალიბა მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეების ფრანგული განმანათ-ლებლობის ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა შარლ-ლუი მონტესკიემ, რომელმაც განავითარა და საბოლოოდ დახვეწა ინგლისელი ჯონ ლოკის შეხედულებები ხელისუფლების სამი შტოს შესახებ.

შარლ-ლუი მონტესკიემ ერთმანეთისაგან გამოჰყო და დაანაწილა საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო მართვის ორგანოები, რითაც ინგლისელ ჯონ ლოკთან ერთად მსოფლიოში პირველმა შეიმუშავა და ჩამოაყალიბა ხელისუფლების სამად დანაწილების თეორია (მონტესკიე 1994: III).

საქართველოს ისტორიაში ამგვარ მოვლენას ადგილი ჰქონდა ქართველი მეფის დავით მეოთხე-აღმაშენებელის საქმიანობაში, რომელმაც შექმნა ახალი ქართული უზენაესი სასამართლო და ცალკე მართვის ორგანოდ აქცია ეს დაწესებულება. გამოჰყო ერთმანეთისაგან აღმასრულებელი მართვის ორგანო და სასამართლო მართვის ორგანო, რომელიც ადრე საკანონმდებლო მართვის ორგანოსთან და აღმასრულებელ მართვის ორგანოსთან ერთად მეფის

ხელისუფლებაში იყო მოქცეული და ეს მეფე ბაგრატოვანთა სამეფო გვარის წარმომადგენელი იყო.

ი. ჯავახიშვილის მოსაზრებით, დავით აღმაშენებელმა განსაკუთრებული უზენაესი სამოსამართლო დაწესებულება შეჰქმნა და დაადგინა „კაცნი მართლად მცნობელნი და განმკითხველნი მომჩივართანი რომელთაგან მიიღებდეს კურნებასა“: „...ქართული სამართლის მდგომარეობასაც მან ყურადღება მიაქცია, განსაკუთრებით უმაღლეს სასამართლოს წარმოებას. წინათ საქართველოში უზენაეს მსაჯულად თვით მეფე იყო...

რომ მომავალში ამგვარი რამ აღარ მომხდარიყო დავით აღმაშენებელმა განსაკუთრებული უზენაესი სამოსამართლო დაწესებულება შეჰქმნა და დაადგინა „კაცნი მართლად მცნობელნი და განმკითხველნი მომჩივართანი რომელთაგან მიიღებდეს კურნებასა“. ამ ახალი დაწესებულების შექმნას დიდი პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა: იმას გარდა რომ ამ გზით სასამართლოს წესიერ წარმოებას აღარავითარი გარეშე პირობები აღარ შეაფერხებდნენ, თვით მარტო ის გარემოება, რომ სასამართლო უზენაესს საფეხურშიც მართვა-გამგეობისაგან განცალკევებული იყო და განსაკუთრებულ დაწესებულებად იქცა, ქართული სამართლის დიდ წარმატებად და ღირებულებად უნდა ჩაითვალოს...“ (ჯავახიშვილი 1983: 217).

დავით აღმაშენებელმა შექმნა სრულიად ახალი თანამდებობა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის სახით და „სააჯო კარი“ ანუ უმაღლესი სასამართლო მას დაუქვემდებარა. ამით დავით მეოთხე-აღმაშენებელმა, რომელიც 1089-1125 წლებში მეფობდა საქართველოში, ჯერ კიდევ მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში შეიმუშავა და პრაქტიკულად განახორციელა ხელისუფლების სამად დანაწილების თეორია.

ხელისუფლების სამად დანაწილების თეორია აისახა კონსტანტინე გამსახურდიას რომან „დავით აღმაშენებელში“, სადაც ნათლად ჩანს, რომ სასამართლო მართვის ორგანოს ხელმძღვანელობა ანუ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეობა აკისრია არა უშუალოდ დავით მეოთხე-აღმაშენებელს, არამედ მის გამზრდელს გიორგი ჭყონდიდელს, რომელიც გვევლინება როგორც

მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი და სასამართლო საქმეების წარმოების უშუალო შემსრულებელი, რომელიც დამოუკიდებლად, მეფის ნებართვის გარეშე ყოველი კვირის ორშაბათ დღეს აწარმოებს სასამართლო საქმეების გარჩევას.

ეს სამართლებრივი პარადიგმა ხშირადაა აღწერილი კონსტანტინე გამსახურდიას რომან „დავით აღმაშენებელში“: „...მესტუმრეთუხუცესი ვეღარ აუდიოდა მარიამ დედოფლის ძუძუმტეების, მათ ნათესავთა და მოაჯეთა მიღებას. ჩვეულებრივად ჭყონდიდელი იჯდა ორშაბათობით „სააჯო კარსა შინა“, ხოლო ხუთშაბათობით ეზოსმოძღვარი ცინცილუკ არიგებდა დრაჰკანებს...“ (გამსახურდია 1954: 242).

იგივე სამართლებრივი პარადიგმა მეორდება რომანში, სადაც ორშაბათი გვევლინება როგორც ქვრივ-ობოლთა და უპოვართა განკითხვის დღე: „...მეორე დღეს ორშაბათი იყო. „დაჯდა ჭყონდიდელი სააჯო კარსა“ და შეუდგა ობოლთა და მიძალებულ მოჩივართა განკითხვას, თუმცა ისევ და ისევ თოვდა დაუცხრომლად, მაინც მოაწყდნენ ლიპარიტისეულ სასახლეს უპოვარნი და გლახაკნი, დიდძალი დრაჰკანი, პერპერა და ბოტინატი დაურიგა ჭყონდიდელმა მეფის სახელით მათ...“ (გამსახურდია 2013: 14).

სამართლებრივი პარადიგმა რომელიც გვიხატავს ორშაბათს, როგორც მართლმსაჯულებისა და „სააჯო კარის“ დღეს ხშირადაა აღწერილი რომანში: „...მეორე დღეს, ორშაბათს, ჭყონდიდელი დაბრანდა სააჯო კარში. საწოლის მწიგნობარი გვერდით მოისვა. ზარდახნის მწიგნობარი მიმოდიოდა სააჯო კარსა და სასახლის ეზოში მოგროვილ ხალხს შორის.

ეზოში თავი მოეყარათ აფხაზეთიდან, კლარჯეთიდან, ქართლიდან, კახეთ-ჰერეთიდან, კავკასიონის მთიანეთიდან ჩამოსულ ხეიბრებს ომებისას, დიდაზნაურთა, სამღვდელოთა მიერ მიმძლავრებულთა, ომებში დაღუპულთა ქვრივ-ობლებს, უპოვარებსა და გლახაკებს...

ჭყონდიდელს გულზე შემოეყრებოდა, როცა თვალს შეავლებდა ჟამთა სიავისაგან გასრესილ, დამახინჯებულ ადამიანებს, დამშეულებსა და დაოსებულებს, წამებისაგან სიგიჟის ზღურბლამდის მიღწეულებს. ერთნი ხმამაღლა ყაყანებდნენ, იწყევლიდნენ გაჩენის დღეს, სხვა ასწლოვან ხეების

ჩეროს შეხიზნოდნენ, უსიტყვოდ, უდრტვინველად ისხდნენ, ან ხმადაბლა მასლაათობდნენ. ყვიროდა ქადაგად დავარდნილი ზოგი, იმუქრებოდა, ილანძღებოდა, გმობდა თავის გაჩენის დღეს...

ასეთი ვინმე ხელში ჩაიგდებდა ხოლმე თავმოდრეკილსა და უთქმელ ჭყონდიდელს, თითქოს მას შესძლებოდა ერთ მშვენიერ ორშაბათს დღეს განეკურნა ხალხისათვის ყველა წყლულება, რაც მას მიადგა დიდი თურქობის, მიწისძვრების, გვალვების მეოხებით...“ (გამსახურდია 2013: 394-395).

რომანიდან მოყვანილი ეპიზოდები ადასტურებს მოსაზრებას, რომ კონსტანტინე გამსახურდიას რომან „დავით აღმაშენებელში“ გამოყენებულია ხელისუფლების სამად დანაწილების თეორია. მოყვანილი ეპიზოდებიდან ნათლად ჩანს, რომ სასამართლოს საქმეებს აწარმოებს გიორგი ჭყონდიდელი, ანუ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი და არა დავით მეოთხე-აღმაშენებელი.

ეს ნიშნავს, რომ რომან „დავით აღმაშენებელში“ გაზიარებულია თეორია, რომლის თანახმადაც აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელად გვევლინება დავით აღმაშენებელი, ხოლო სასამართლო ხელისუფლების მეთაურად, ანუ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ წარმოგვიდგება გიორგი ჭყონდიდელი, რომელიც პირველი დაინიშნა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის გაერთიანებულ თანამდებობაზე.

მკვლევარ ე. შუშანიას მოსაზრებით, რომანში ნაჩვენებია, თუ როგორი გულისხმიერებით ეკიდებოდა გიორგი ჭყონდიდელი მართლმსაჯულების საქმეს: „...გარდა ამისა, რომ ყველა საადმინისტრაციო თანამდებობა ჭყონდიდელს ექვემდებარებოდა, დავით მეფემ იგი დანიშნა მის მიერ დაარსებული სამი კაცისაგან შედგენილი უზენაესი სასამართლოს „სააჯო კარის“ მეთაურად.

„სააჯო კარი“ დავით მეფის პოლიტიკის ახალ, მძლავრ იარაღს წარმოადგენდა, რითაც მან მართლმსაჯულებას ახალი გზა გაუკვლია...“ (შუშანია 1976: 164).

კონსტანტინე გამსახურდიას რომან „დავით აღმაშენებელში“ მრავალი ისტორიული ფაქტი და მოვლენაა აღწერილი.

რომანში საუბარია დავით აღმაშენებლის ურთიერთობაზე ბიზანტიის იმპერიასთან, რომელიც ამ პერიოდში დაღმასლვას განიცდიდა და ზედიზედ მარცხდებოდა თურქ-სელჩუკებთან. საქართველო კი პირიქით დღითი დღე ძლიერდებოდა და ყოველი ფეხის ნაბიჯზე ამარცხებდა თურქ-სელჩუკებს. ყოველივე ამან ბიზანტიის იმპერატორებს საბოლოოდ ათქმევინა უარი საქართველოს დაპყრობაზე და იძულებული გახადა ეღიარებინა, რომ საქართველო იყო ამიერკავკასიის უძლიერესი სახელმწიფო, რომელთანაც ურთიერთობა უნდა ეწარმოებინა როგორც სწორი-სწორთან. ხოლო დავით აღმაშენებლმა უარი თქვა ყველა იმ სახელმწიფოებრივ პრივილეგიაზე, რომელსაც ბიზანტიის იმპერატორები ანიჭებდნენ ქართველ მეფეებს.

დავით მეოთხემ შეძლო უსაშინლესი მტრის თურქ-სელჩუკების არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ამიერკავკასიის მთელი ტერიტორიიდან განდევნა, რითაც სასიკვდილო განსაცდელს გადაარჩინა როგორც კავკასიის ხალხები, ისე ქართული სამეფო. ჯვაროსნები, რომლებიც დიდ სიძნელეებს განიცდიდნენ თურქ-სელჩუკებთან ბრძოლაში, საქართველოს სამეფოსა და დავით აღმაშენებელს განიხილავდნენ, როგორც მოკავშირეს ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში და ჰქონდათ ქართველი მეფისა და მისი ძლევამოსილი ლაშქრის დიდი იმედი.

რომანში აღწერილია დავით აღმაშენებელი, არა მხოლოდ როგორც დიდი სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი, არამედ როგორც ჩვეულებრივი ადამიანი, რომელიც არაფრით განსხვავდება სხვა ჩვეულებრივი მოკვდავებისაგან. ნაწარმოებში მოთხრობილია დავით მეფისა და დედისიმედის სიყვარულის ისტორია, რომელიც რომანის მიხედვით არის კლდეკარის ერისთავის ლიპარიტ ბაღუაშის ქალიშვილი. ეს სიყვარული ტრაგიზმითაა აღსავსე, მას უდიდესი პოლიტიკური მისია უნდა შეესრულებინა იმ თვალსაზრისით, რომ ერთმანეთთან დაემოყვრებინა და შეერიგებინა ბაგრატოვნებისა და ბაღუაშ-ორბელიანების გვარები, რასაც უდიდესი პოლიტიკური დატვირთვა გააჩნდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ასე ჩაიყარა წყალში მარიამ დედოფლის ყველა მცდელობა დავითისა და დედისიმედის სიყვარული იმ პოლიტიკურ მოვლენად ექცია, რომელიც

საშვილიშვილოდ შეარიგებდა ბაგრატოვნებსა და ბაღუაშ-ორბელიანებს და ამით ქართული სამეფო კიდევ უფრო შეიკვრებოდა და განმტკიცდებოდა.

მაგრამ მარიამის პოლიტიკურმა და დიპლომატიურმა მცდელობებმა კრახი განიცადა. თავად მარიამ დედოფალი ჭკვიანი პოლიტიკოსი და ქვეყნის უდიდესი პატრიოტია. ის ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟია, რომლის პოლიტიკური მიზნები სამშობლოს სიყვარულით არის შთაგონებული. მას ისტორიამ მძიმე ტვირთი დააკისრა. რომანის მიხედვით მარიამი ბიზანტიის იმპერატორის მეუღლე და ბიზანტიის იმპერიის დედოფალია. მაგრამ ის ტრაგიკული პიროვნებაა, რომელსაც ბედისწერამ მძიმე ხვედრი არგუნა. ამიტომაც, საკუთარ ბედს ის დედისიმედის ბედს ადარებს: „...ცეცხლს თვალი აარიდა მარიამმა და დედისიმედს შეავლო სიბრალულით აღსავსე მზერა. ოქრომკედისფერი თმები ცალ ღაწვზე ჩამოშლოდა ქალწულს. შენიშნა: ნამტირალევი ჰქონდა თვალები. „ულამაზესნი დიაცნი ცუდ ვარსკვლავზე იბადებიან ამ ქვეყნად“. – ფიქრობდა მარიამი. საკუთარი ხვედრი მოაგონდა მას. ორგზის გადააყირავეს მის გამო საკეისრო ტახტი მამაკაცებმა, ორგზისვე სისხლით შეღებეს ავგუსტეონის მოედანი და პალატიონის ოქროს დარბაზები, მარიამსაც ცხოვრება გაუმრუდეს, ვეღარც თავათ ეწიენ უკეთესს ბედს კვლავ შეხედა ხელსაქმით გართულს, მწუხარება მომეტებულად შვენოდა მას...

მარიამს მოაგონდა ის ღამე, როცა ნიკიფორე ბოტანიატესის სასახლეში შემოვარდნენ ალექსი კომნენის თანამდგომნი, თუჯის სალარო დალეწეს და ოქროები დაიბნენ მარმარის იატაკზე. თვალი შეავლო მდუმარე ქალწულს და ეს გაიფიქრა: ბიზანტიონში თუ მეწვია ოდესმე, კომნენის ოსტატებს უთუოდ დავახატვინებ მას პიგის მონასტრის აღმოსავლეთის კესონზე და იბერიის ღვთისმშობელი დაერქმევაო ამ ფრესკოს უთუოდ...“ (გამსახურდია 1954: 247-248).

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ის ცდილობს შუამავლის როლი ითამაშოს ბაგრატოვნებსა და ბაღუაშებს შორის, მაგრამ მის მიერ წამოწყებულ საქმეს უცნაური ძალები აღდგომიან წინ: „...ცეცხლს შესცქერის და ფიქრობს მარიამ: რა უცნაური ძალები აღდგომიან წინ მის დაჟინებულ სურვილს? მიანებოს თავი მის მიერვე წამოწყებულ საქმეს, გზების გახსნის უმალვე ბიზანტიონს წავიდეს?

ებრალება ეს ახალგაზრდები. დავითი მამაკაცია და თავის საქმისათვის თავგამეტებული. ეს ანგელოსი ებრალება, თავმოდრეკილად ბუხრის წინ მჯდომარე.

ჭეშმარიტად საწყალობელია დიაცი: თუ მიჯნურია, იგი იტანჯება მომეტებულად, თუ დედაა, იგი იჩაგრება, თუ კარგი ცოლია, წელში წყდება დედისა, მეუღლისა და მიჯნურის ვალდებულებათა შეთავსებისას. ამასაც ჰხედავდა გულმეცნიერი დიაცი, ნიშნობა თუ დაიშალა, ვინ იცის, რა ხუშტური წამოუვლის ლიპარიტს ან რატის...

საქართველოში კვლავ განახლდება შუღლი ბაგრატოვანთა და ლიპარიტისძეთა შორის. მეფე გიორგი დაბერდა, დავით მეფე ჯერაც ჭაბუკია. დარბაზის ერთა ბჭობა მოაგონდა იმდღევანდელი. არც მარიამს მოეწონა ლიპარიტისა და რატის ნაუბარი. ძაგან ერისთავი კახთა მეფეს მიემხრო, მათ ეს-ღა აღშფოთებდა: როგორ გაბედესო მოდისტოსის ეპისკოპოსად ხელდასმა? არც როქის სპის გაძლიერება ეპრიანებათ ორბელიანებს. ვთქვათ, ალექსი კომნენმა ფრანკნი წარმოგზავნა. დავითი ლაშქარს გააძლიერებს, ლიპარიტ კვლავ განდგება და ძველი ამბავი დაიწყება ხელახლა...“ (გამსახურდია 1954: 247).

მარიამ დედოფლის წამოწყებული საქმე ბევრი მწუხარების სათავე გახდა და მას ყველა ჰქირდავდა და აბრალებდნენ, რომ ამაოდ არია ბაგრატოვანთა სასახლე, დედისიმედს გადაჰკიდა ჭაბუკი მეფე, ხოლო ჩვილი ყრმის პატრონი რუსუდანი სოხასტერს წარგზავნაო: „...ამდენი მწუხარების სათავე გახდა მის მიერ წამოწყებული საქმე! რუსუდანის წამებული სახე რიალებდა მის თვალწინ. საყვარელი პირმშო დასტოვა ბედშავმა მარტოკა...

მთელ სასახლეში აღარავინ ეგულება თანამდგომი, თანამზრახველი. კოზმან ბერს ენა მოჰქონდა მასთან: არამც თუ შარვაშიძის ქალი, ხელშინაურნიცა: მსახურთუხუცესი, მესტუმრეთუხუცესი და სხვა მისთანანი, წარმოიდგინეთ თვით ის კახპა, კუროპალატისსა მელიტაც ჰქირდავდნენ თურმე მარიამს. ვაგლახ! კუროპალატისსა მელიტა ქრისტიანულ ზნეობას უწუნებდეს მას! ამაოდ არიაო ბაგრატოვანთა სასახლე, სვებედნიერად ცხოვრობდნენ დავითი და

რუსუდანი, ბიზანტიონიდან ჩამოვიდა, დედისიმედს გადაჰკიდა ჭაბუკი მეფე, სოხასტერს წარგზავნაო ჩვილი ყრმის პატრონი დედა...“ (გამსახურდია 1954: 251).

ასევე, ტრაგიკული პიროვნებაა რომანის მთავარი გმირი დავით მეოთხე-აღმაშენებელი. თუ ერთის მხრივ იგი უდიდესი სახელმწიფო მოღვაწეა, ნიჭიერი დიპლომატი და უბადლო მხედართმთავარი, მეორეს მხრივ რომანში აღწერილი დავით მეოთხე-აღმაშენებელი პირად ცხოვრებაში ტრაგიკული პიროვნებაა და ეს ასეც უნდა იყოს. მისი სიცოცხლე ხომ სამშობლოს ეკუთვნის და დედისიმედისადმი დავითის სიყვარული სამშობლოს სამსხვერპლოზე შეწირული ზვარაკია. ასეთი ხვედრი ჰქონია ყველა დიდ სახელმწიფო მოღვაწეს და ამ ხვედრს ვერც დავით აღმაშენებელი აუვლიდა გვერდს. მისი სიცოცხლე და სიყვარული სამშობლოს ეკუთვნოდა. ეს დავით მეოთხის ხელით უნდა გაერთიანებულიყო და გამთლიანებულიყო მისი სათაყვანებელი სამშობლო, ხოლო დავით მეოთხის სახელი მისი სამშობლოს სიძლიერის სიმბოლოდ უნდა ქცეულიყო და ასე უნდა გადაცემოდა თაობიდან თაობას უკუნითი უკუნისამდე.

ეს კი დიდ მსხვერპლს მოითხოვდა, რაც დავით მეფის პირად ბედნიერებაზე აისახა. დავითი მზად იყო ეს მსხვერპლი გაეღო სამშობლოს წინაშე, რადგანაც სწორედ ასე იყო თავიდანვე გადაწყვეტილი არსთა-გამრიგის მიერ. სწორედ ამიტომ ეუბნება დავითი დედისიმედს: „...მე ჩემს თავს არ ვეკუთვნი, სულო"...

უფრო მეტი სთქვა მანვე, როცა ბაბილოვანი ვენახი გადაიარეს: „...შენ რა გგონია, ხანდახან მეც განვიცდი ხოლმე მარტოობას. ადამიანი უნდა შეეცადოს მარტოობას შეეგუოს როგორმე, რადგან, ბოლოს და ბოლოს, კაცი რჩება თავის ღმერთის წინაშე, სულო...“

ხოლო დიდ ვენახთან მიღწეულმა ესა თქვა:

„...მე ვგავარ იმ მექარავნეს, რომელიც უახლოვდება უდაბნოს მიჯნას, უკვე მოაქვს ქარს უდაბნოს ცხელი სუნთქვა, ნელ-ნელა უახლოვდება იგი ურწყულსა და თვალშეუდგამ ტრამალს და გრძნობს, სადაცაა ქარბორბალა ამოვარდება... მე ვიცი, ჩემი სახელით უნდა აღსდგეს ერთ დღეს ჩემი ხალხი და სისხლისაგან დაცლილმა კვლავ დაანთხიოს სისხლი. შესაძლოა ამ ბრძოლებში მე დავიღუპო,

მაგრამ სხვა გზა არ არის სულო". მცირე ხანს მდუმარედ მიდიოდა ორი ლანდი ვენახის ბნელ თალარებს ქვეშ და ბოლოს ვაჟმა სთქვა: „...მე წარამარა მქირდავს მამაი, ამსოფლიურ ლხენას აარიდეო გული. განა მე არ ვიცი, კუპიდონის ამბორი რომ უფრო ტკბილია, ვიდრე პირსისხლიანი მარსის მახვილის ხელში აღება. მაგრამ ჩემს სულში ისეთი უშრეტელი სამხილი დაუნდთია არსთგანმრიგეს, მე აღარ შემიძლია ამსოფლიურ ლხენას მივეცე. და ამიტომაც მეწყალვი, სულო, განა მარტო შენ, დედაჩემი და მამაჩემი, უფლისწული დემეტრე, ყველა, ვინც ჩემი ბედის ვარსკვლავთან ოდნავ მაინცაა დაკავშირებული...“ (გამსახურდია 2013: 192).

ხოლო სიკვდილს მიტანებული დავით მეფე ეუბნება შაოსან იღუმენიას, რომელშიც ლიპარიტ ერისთავის ასული ამოიცნო: „...მაპატიე, დაო, შენი და ჩემი სიცოცხლე საქართველოს რომ შევწირე ტარიგად..." (გამსახურდია 2013: 708).

თავისი სიყვარული და პირადი ბედნიერება საქართვლოს შესწირა ტარიგად დავით აღმაშენებელმა. ეს ყოველივე მხატვრული თვალსაზრისით აღწერილია კონსტანტინე გამსახურდიას რომან „დავით აღმაშენებელში". მხატვრული სახეები, რომლებიც მწერლის წარმოსახვის ნაყოფია ავსებენ და ამთლიანებენ ნაწარმოებში აღწერილ ისტორიულ მოვლენებს. დედისიმედის მხატვრული სახის გარეშე წარმოუდგენელია დავით აღმაშენებლის პერსონაჟი, რომელიც ნაწარმოებშია წარმოდგენილი და თავად რომანიც ვერ იქნებოდა ისეთი მხატვრული ღირებულების, როგორიც სინამდვილეშია.

დავით აღმაშენებლის სახელი უკვდავად შემოინახა ქართველმა ერმა. მისი სახელი საუკუნოდ დაუკავშირდა ქართველი ერის სიძლიერეს, ერთიანობასა და აღმშენებლობას. მადლიერმა ქართველმა ხალხმა დავით მეოთხეს აღმაშენებელი უწოდა და ასედაც დარჩა იგი ქართველი ერის მეხსიერებაში. ხოლო კონსტანტინე გამსახურდიამ, როგორც შემოქმედმა სიტყვიერი ძეგლი დაუდგა დიდებულ ქართველ მეფეს თავისი შესანიშნავი რომანით „დავით აღმაშენებელით".

გიორგი პირველით დაიწყო და დავით აღმაშენებელით დასრულდა ერთიანი ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობის და სამხედრო განვითარების

სახელმწიფოებრივი სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავდა ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნას, რომელსაც ერთი ხელისუფლება ეყოლებოდა და ამ ხელისუფლების მმართველი ბაგრატოვანი მეფე იქნებოდა. როგორც შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, ასეთი სახელმწიფოებრივი მოწყობის და სამხედრო განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავება საფუძველი შეიქმნა ერთიანი ძლიერი ქართული სახელმწიფოს შექმნისა, რომელიც გადაჭიმული იყო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და წარმოადგენდა ამიერკავკასიის უძლიერეს სახელმწიფოს, რომელიც შიშის ზარს სცემდა თურქ-სელჩუკებს და სხვა უცხო დამპყრობლებს. განუზომლად დიდია ძლიერი და სამხედრო თვალსაზრისით მოწინავე ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში ბაგრატოვანი მეფეების - გიორგი პირველისა და დავით აღმაშენებლის წვლილი. სწორედ ამ ორ დიდებულ ქართველ მეფეს ეძღვნება ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას შესანიშნავი რომანები „დიდოსტატის მარჯვენა" და „დავით აღმაშენებელი", სადაც აღწერილია სამშობლოსათვის თავდადებული ამ ორი ქართველი მეფის მოწამეობრივი ცხოვრება და აღსასრული.

კონსტანტინე გამსახურდიას რომანებში „დიდოსტატის მარჯვენასა" და „დავით აღმაშენებელში" ქრისტიანული სარწმუნოება წარმოდგენილია როგორც სახელმწფო იდეოლოგიური ფორმა, როგორც ხელისუფლების სამად დანაწილების თეორიის უშუალო წყარო, რომლის საფუძველზეც შეიქმნა და ჩამოყალიბდა ერთიანი და ძლიერი ქართული ფეოდალური სახელმწიფო.

მწერალმა ეს ისტორიული ფაქტები მხატვრული თვალსაზრისით ასახა თავის უკვდავ რომანებში „დიდოსტატის მარჯვენასა“ და „დავით აღმაშენებელში“ და შთამომავლობის წინაშე კიდევ ერთხელ გააცოცხლა გიორგი პირველისა და დავით მეოთხე-აღმაშენებლის, როგორც დიდი სახელმწიფო მოხელეებისა და უბადლო მხედართმთავრების უკვდავი სახეები.

თავი 4. კონსტანტინე გამსახურდიას ბიოგრაფიის ასახვა „ლანდებთან ლაციცში“

კონსტანტინე გამსახურდიას როგორც დიდი მწერლისა და მოაზროვნის შემოქმედება საფუძველს მისი ბიოგრაფიიდან იღებს. მწერლის რომანებისა და ნოველების ანალიზს მივყავართ დასკვნამდე, რომ საქმე გვაქვს დიდი ერუდიციისა და გაქანების მქონე მწერალთან და მოაზროვნესთან, რომელმაც წარმართული კულტურა, ასევე ქრისტიანული სარწმუნოება და სახელმწიფოს მართვის თეორიები ორიგინალურად ასახა თავის შემოქმედებაში.

მან თავის რომანებსა და ნოველებში გვიჩვენა წარმართული კულტურის, ასევე ქრისტიანული სარწმუნოების და სახელმწიფოს მართვის თეორიების, როგორც ისტორიული რეალობის დადებითი და უარყოფითი მხარეები. წარმართობასთან მძიმე დაპირისპირებასა და ბრძოლაში ქრისტიანობამ მოიპოვა გადამწვყეტი გამარჯვება და ძირითადი როლი შეასრულა ქართველი ერის ისტორიაში. მაგრამ, ამავე ბრძოლის შედეგად განხორციელდა წარმართული და ქრისტიანული კულტურების ერთმანეთთან დაახლოება და შექმნა ისეთი რელიგიური კულტებისა, რომელშიც გაერთიანებული და სინთეზირებულია როგორც წარმართული, ასევე ქრისტიანული ტრადიციები. ეს არის ის ამოსავალი დებულება, რომელიც საფუძვლად უდევს კონსტანტინე გამსახურდიას რომანებსა და ნოველებს.

მწერლის ბიოგრაფიული წყაროს „ლანდებთან ლაციცის“ განხილვა უფრო თვალნათელს გახდის იმ ურთიერთობას, რომელიც მწერალს გააჩნია როგორც წარმართობისადმი, ასევე ქრისტიანული სარწმუნოებისადმი დამოკიდებულებაში.

მკვლევარ ნ. გრიგალაშვილის მოსაზრებით, გამსახურდიები აზნაურები იყვნენ, მათი ფუძე ქართლში ყოფილა და ქართლიდან გადასულან სამეგრელოში: „...გამსახურდიები აზნაურები იყვნენ, მე-19 საუკუნის ერთ-ერთი წყაროს მიხედვით მათი ფუძე ქართლში ყოფილა (გამსახურდაშვილი) და ქართლიდან გადასულან სამეგრელოში. ერთი გამსახურდია, სახელად პავლე, თბილისის მიტროპოლიტი ყოფილა მე-18 საუკუნის დასაწყისში. ერთი შტო გამსახურდიების გვარისა ვახტანგ VI-გაჰყოლია რუსეთში...

კონსტანტინე გამსახურდიას მემუარულ თხზულებაში „ლანდებთან ლაციცი“ პირუთვნელადაა მოთხრობილი მწერლის წინაპართა ხასიათსა და ცხოვრების წესზე. გამსახურდიები, რბილად რომ ვთქვათ, ერთობ ფათერაკიანი ხალხი ყოფილან, არაორდინალურნი, გამორჩეულნი როგორც ფეოდალის სისასტიკით, ისე სიქველით ცალკეულ პირთა...“ (გრიგალაშვილი 1997: 320).

კონსტანტინე გამსახურდია ბიოგრაფიულ რომან - „ლანდებთან ლაციცში", მოგვითხრობს თავისი დაბადების შესახებ: „დავბადებულვარ მაისის მშვენიერ დღეს, გათენებისას, ძველი აზნაურის ოჯახში...

დავბადებულვარ 1893 წელს..." (გამსახურდია 1967: 56).

პატარა კონსტანტინეს სიყრმის განცხრომის სავანეს წარმოადგენდა პატარა მდინარე ზანა, რომელიც მისი მამა-პაპისეული მამულებიდან იღებდა სათავეს და მდინარე აბაშას უერთდებოდა: „...მამისეული ოჯახი იმყოფებოდა მსოფლიოში უუმცირესი მდინარის, ზანას ნაპირზე. ეს მდინარე საქართველოს გეოგრაფიის რუკაზე არცაა აღნიშნული. იგი სათავეს იღებდა პაპაჩემის, სიკო თოფურიძის მამულებიდან და სამიოდე კილომეტრის მანძილზე გადადიოდა მამაჩემისა და მისი სახლისკაცების მამულებზე და ერთვოდა მდინარე აბაშას... ეს მდინარე იყო ჩემთვის სიყრმის განცხრომის სავანე. მასზე გამართულ საცალფეხო ხიდიდან არაერთხელ გადავარდნილვარ. მისი საამური ჩხრიალი ჩემ საწოლში ისმოდა..." (გამსახურდია 1967: 58).

კონსტანტინეს ზრდასთან ერთად იზრდებოდნენ ბობღია ლანდებიც. დასიცხულ ავადმყოფს შემოუტევდნენ ხოლმე ისინი. დედა კი ამ დროს ნანას უმღეროდა: „მუდამ ჭაობებში და მდინარის პირად მოტანტალეს ციება დამრევდა ხელს და დასიცხულ ავადმყოფს შემომიტევდნენ ხოლმე ბობღია ლანდები, რომელნიც ზღაპრული მდევების დარად დაბაჯბაჯებდნენ ჩემს საწოლ ოთახში და ასეთ დროს დედა იღებდა ჩონგურს და ნელი, ნელი ხმით დაამღერებდა: შოუ ნანა, შოუ შვილო, შოუ ცისკენ ფრთა გაწვდილო..." (გამსახურდია 1967: 59). ასე თანდათან შემოდიოდნენ მომავალი მწერლის ცნობიერებაში გიგანტური ლანდები და მისი გულიც გაოცებით ივსებოდა.

კონსტანტინემ ჯერ კიდევ პატარაობისას გამოიჩინა წიგნებისადმი ინტერესი. ის გატაცებით კითხულობდა ქართული ისტორიოგრაფიის ძეგლებს და ოცნებობდა მალე გაზრდილიყო, რათა გენერალი გამხდარიყო და გაეჟუჟა საქართველოს მტრები: „ძალიან პატარა ვიყავი, როცა ამ წიგნების კითხვას მივყევი ხელი. „ქართლის ცხოვრების" კითხვის დროს არაერთხელ მიტირნია ვახტანგ გორგასალის, გიორგი პირველის, ბაგრატ IV-ის, დავით აღმაშენებლის, თამარის, გიორგი ბრწყინვალის, სვიმონ მეფისა და ერეკლე მეორის გარდაცვალების გამო. შვიდი წლის ბიჭი ვიქადნიდი, წამოვიზრდები და ჩვენი ქვეყნის მტრებს გავჟუჟავ-მეთქი, მთელი ჩემი სიყრმის მანძილზე ვოცნებობდი: დიდი გენერალი გავმხდარიყავი, ლაშქარი შემედგინა და საქართველოს მტრები შემემუსრა..." (გამსახურდია 1967: 61).

კონსტანტინე გამსახურდიასთან ოჯახში ყოველ შაბათს დადიოდნენ მღვდელი იონა ქოიავა და მისი დიაკონი ევგენი ქოიავა, რათა მისი მამისათვის სუფრა ეკურთხებინათ. სწორედ ევგენი ქოიავა იყო ის ადამიანი, რომელმაც მომავალ მწერალს ქრისტიანული სარწმუნოებისადმი სიყვარული ჩაუნერგა. ამ პერიოდში კონსტანტინე გამსახურდიას ძმა ალექსანდრე პოლიტიკაში გაერია. ის ჯერ ბოლშევიკებს მიემხრო, ხოლო შემდეგ სოციალ-დემოკრატებს. მეორე ძმამ ვიქტორმა ურიადნიკს თავში გირა უთავაზა და აფხაზეთში გადაიხვეწა. მანამდე უფროს ძმას ბესარიონს სისხლი ჩაექცა და საშინელი წამებით გარდაიცვალა. მამა სიყრმიდანვე უჩიჩინებდა, რომ ვაჟკაცს ისე არაფერი არ შვენისო, როგორც სიმამაცე და ყოველის გზით ცდილობდა მასში სიმამაცის ჩანერგვას. თავად მამამისს ასთმა აღმოაჩნდა და ლოგინად ჩავარდა. შემდეგ გუბერნატორმა დაიჭირა და ქუთაისის ციხეში ჩასვა. პატარა კონსტანტინე და დედამისი ყოველ კვირა ჩადიოდნენ მის სანახავად. შემდეგ როგორც ავადმყოფი, თავდებით გაანთავისუფლეს ქუთაისის ციხიდან. მთელი ოჯახი კონსტანტინეს და მისი ძმის ვანოს კისერზე დარჩა. ორი ძმა გაქცეული იყო სახლიდან. მამა ლოგინად ჩავარდნილი. ჰყავდათ უმცროსი და. პატარა კონსტანტინე და მისი ძმა ვანო საკუთარი ხელებით ჩორკნიდნენ მიწას, რადგანაც ამ პერიოდში გლეხებმა

თავადაზნაურობას ბოიკოტი გამოუცხადეს და მამამისის ნათლულები და ნათლიმამები ვერ ბედავდნენ დასახმარებლად სათოხარში მისვლას.

პირველდაწყებითი განათლება სოფლის სამრევლო სკოლაში შეასწავლათ დიაკონმა ევგენი ქოიავამ და კონსტანტინემაც გადაწყვიტა აღარასოდეს ეფიქრა სწავლაზე და დიაკვნის თანაშემწე ყოფილიყო: „ჩვენ პირველდაწყებითი განათლება მივიღეთ ჩვენი სოფლის სამრევლო სკოლაში. ანბანი გვასწავლა დიაკონმა ევგენი ქოიავამ. იგი ლამაზი, ჩოხიანი ვაჟკაცი იყო და მაყარს უფრო ჰგავდა, ვიდრე მასწავლებელს. მიუხედავად ამისა, ამ დიაკონმა მე შემაყვარა ბიბლია, სახარება და ეკლესია. ჩემს ძმას ვანოს არც ერთი მათგანი არაფრად მიაჩნდა. დიაკონს მე ძლიერ ვუყვარდი, ყოველ წირვაზე თან მივყავდი ეკლესიაში, ბრწყინვალე ოლარს დამკიდებდა მხრებზე, საცეცხლურს ხელში მომცემდა და ეს იყო ჩემთვის უდიდესი სიხარული: კლიროსზე ვგალობდი, საცეცხლურს ვაქანავებდი და დავითნს ვკითხულობდი მთავარდიაკვნის ამბონზე. მაშინ მე გადავწყვიტე, არავითარ სწავლისათვის არ მეფიქრნა და დიაკონი თუ არა, მისი თანაშემწე ვყოფილიყავი მუდამჟამს" (გამსახურდია 1967: 72).

ამასობაში კონსტანტინეს მამა გამომჯობინდა და ის და მისი ძმა ვანო სენაკის სააზნაურო სკოლაში მიაბარა სასწავლებლად. იქ ძალიან დიდი სირთულეების გადალახვა მოუხდათ კონსტანტინეს და ვანოს. იმ სახლის პატრონი, რომელშიც ისინი მამამ დაასახლა გამოდგა ლოთი, რომელიც თავის ცოლ-შვილს სცემდა, ხოლო ვანოსა და კონსტანტინეს ლანძღავდა და აგინებდა. კვირაობით კი ეკის მთიდან მარილს აზიდინებდნენ. ამიტომაც, ძმებმა გადაწყვიტეს სენაკიდან გაპარვა და აბაშაში საკუთარ სახლში დაბრუნება. ისინი ასეც მოიქცნენ და სახლში დაბრუნდნენ. თან გზაზე ოცნებობდნენ საკუთარი მომავლის შესახებ: „ვანო ამბობდა: „არ მინდა სწავლა, არც წიგნები, არც ნიკოლა, მამაჩვენს იმდენი მამულები აქვს, მე ვთოხნი, ვენახს ვსხლავ და ცოლს შევირთავ. შენ დიაკვანი გახდი. ვინ იცის, ეგებ, ჩვენი სოფლის ბებერი მღვდელი მოკვდეს. ხომ შეიძლება მღვდელიც გახდე. რა სჯობია ამას! მამაო ჩვენო, მამაო ჩვენო, იძახე, მერმე ცოლი შეირთე და ვიცხოვროთ ბედნიერად" (გამსახურდია 1967: 74).

სახლში დაბრუნებულ კონსტანტინესა და ვანოს მშობლები ლოგინში ჩავარდნილი დახვდათ. ამიტომაც, მათი დედა მამას დიდხანს არ უმხელდა სენაკის სკოლიდან მათი გამოპარვის ამბავს და ისინი სიხარულით იმალებოდნენ მათი გადია ეკაიას სამზადში, რომელიც მათთვის ადამიანური სათნოების განსახიერებას წარმოადგენდა. ეკაია იყო კონსტანტინე გამსახურდიას მამის ნათლული, მისი პაპის ნაყმევის შვილიშვილი, რომელიც ვიღაც ლოთმა ავანტიურისმა სოხუმში გაიტაცა, ცოლობას შეჰპირდა და დააორსულა, რის შედეგადაც ბედშავი ეკაია დასნეულდა. ამის შემდეგ ბატონი სუმო ჩავიდა სოხუმში, კარგად სცემა ეკაიას შემცდენელი. წაართვა მას ეკაია, წამოიყვანა თავის სახლში და მისი ოჯახის სრულუფლებიან წევრად აქცია.

ბატონი სუმო რომელიც ოჯახში არავის არ ერიდებოდა, სიბრალულის გამო ეკაიას განსაკუთრებული პატივით ეპყრობოდა. ეკაიას გამსახურდიების ოჯახში ებარა მეურნეობა და იგი იყო ამ საქმეში ნამდვილი დიქტატორი. მისი ნებართვის გარეშე ოჯახში ვერავინ შეეხებოდა ხბოს, კრავს, ციკანს ან ქათამს. ყოველ ახალ წელს ბატონი სუმო აიღებდა ვერცხლით, ბროწეულითა და აბრეშუმით მორთულ „ჩიჩილაკს“, სახლ-კარსა და მამულს ლოცვით შემოუვლიდა, პირველად ეკაიასთან მივიდოდა, ფეტვს დააპნევდა თავზე და მიულოცავდა ახალ წელს. ყოველ დღესასწაულზე ახალ კაბებსა და ფეხსაცმელებს ჩუქნიდა თავისი ცოლის ხელით. ოჯახში ოჯახის წევრებიც და მოსამსახურეებიც ერიდებოდნენ ეკაიას განაწყენებას. ეკაიამ იცოდა ძალიან ბევრი ლოცვები. სამზარეულოში მას ჰქონდა უამრავი ხატი და მოცლილობის ჟამს განუწყვეტლივ ლოცულობდა.

როგორც კონსტანტინე გამსახურდია აღნიშნავს, ეკაიამ კარგად იცოდა მთვარის მოქცევის ამბები და ყველაფერი, რაც მან დაწერა მთვარის მოქცევისა და წარმართული, პაგანისტური ამბების შესახებ „დიდოსტატის მარჯვენასა" და „მთვარის მოტაცებაში" ეკაიას მონაყოლიდან აქვს აღებული. ეკაიას ძლიერ მოსწონდა კონსტანტინეს იდუმალი განზრახვა დიაკვნად გახდომის შესახებ და ეს პატივი ეცოტავებოდა კიდეც მისთვის და ეტყოდა: „რატომ დიაკვნობა, მერე

მღვდელი უნდა გახდე, ან ეპისკოპოსი, ბოლოს სიბერეში კათალიკოსი და საქართველო დაიხსენი ურჯულოების ხელიდან" (გამსახურდია 1967: 76).

როცა კონსტანტინე და ვანო გამოიპარნენ სენაკის სკოლიდან, ეკაიას ჭკუაში დაუჯდა კონსტანტინეს იდუმალი განზრახვა დიაკვნად გახდომის გამო და დღენიადაგ ჩასჩიჩინებდა მას: „არ გინდათ, შვილებო, ბევრი სწავლა, წიგნები აგიჟებს ადამიანებს. ჩვენს მაცხოვარს იესო ქრისტეს, ბევრი წიგნი არ წაუკითხავს. თითით სწერდა თურმე მიწაზე, კარგ იგავებს ამბობდა და ამიტომაც ჯვარს აცვეს იგი მწიგნობრებმა და ურიებმა" (გამსახურდია 1967: 77).

ხოლო როცა ქუხილი ატყდებოდა, ეკაია უამბობდა მათ წმინდა გიორგის ვაჟკაცობის შესახებ, რომლის რაშის ტორების თქარათქური მოისმოდა ღრუბლებით წაგრაგნილ ციდან. და გმირობის ეს უცნაური ეპიფანია მხნეობით მოსავდა სასწაულით აღვსილ პატარა კონსტანტინეს სულს. როცა კონსტანტინეს მამა გამომჯობინდა, იგი წაიყვანა ქუთაისის სააზნაურო გიმნაზიაში, ხოლო მისი ძმა ვანო ბაქოში გაუშვა სასწავლებლად. ქუთაისში გიმნაზიის დირექტორი იყო იოსებ ოცხელი. გარკვეული დროის შემდეგ ბატონმა სუმომ კონსტანტინეს გიმნაზიიდან წაყვანა მოინდომა და მიზეზად საკუთარი პატიმრობა დაასახელა, რომ მას ცოტა ხანში დაიჭერდნენ და იგი ვეღარ შეძლებდა ბავშვის პატრონობას. იოსებ ოცხელის დახმარებითა და ძალისხმევით კონსტანტინე გამსახურიდას სტიპენდია დაუნიშნეს. ამასობაში ბატონი სუმო გარდაიცვალა. იოსებ ოცხელმა და გიმნაზიის სხვა მასწავლებლებმა მამობრივი მზრუნველობა არ მოაკლეს დაობლებულ კონსტანტინეს. სწორედ გიმნაზიაში დაიწყო წერა კონსტანტინემ. ჯერ სასკოლო გაზეთში, შემდეგ პრესაში. ამ გიმნაზიაში მოუვიდა მას კონფლიქტი თავის მეგობარ შუბლაძესთან, რომელმაც იგი დანით დაჭრა. ქუთაისში გაიცნო კონსტანტინე გამსახურდიამ გალაქტიონ ტაბიძე, რომელსაც სურვილი ჰქონდა გიმნაზიის მეშვიდე კლასში მიღებისა, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა.

გიმნაზიაში კონსტანტინე გამსახურდიამ და მისმა ამხანაგებმა ჩამოაყალიბეს პოლიტიკური ორგანიზაცია „ცხრა მუხა". როცა მოახლოვდა რომანოვების სამასწლიანი ბატონობის იუბილე, ამ მოვლენას კონსტანტინემ და მისმა

ამხანაგებმა პროტესტით უპასუხეს. მათ შეამტვრიეს გიმნაზიის სააქტო დარბაზის კარი და ძირს ჩამოყარეს, დაფხრიწეს და ფეხებით გათელეს მეფეებისა და გენერლების სურათები. კონსტანტინე და მისი ამხანაგები დააპატიმრეს. ეს პატიმრობა იყო კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრების ერთი უბედნიერესი მომენტი. ბედნიერი გრძნობისაგან შეპყრობილი იგი იმეორებდა სახარებისეულ ბრწყინვალე სიტყვებს: „ნეტარ იყვნეთ თქვენ, რამეთუ გდევნონ ჩემი სახელით" (გამსახურდია 1967: 84).

იოსებ ოცხელის დახმარებით გაანთავისუფლეს კონსტანტინე და მისი ამხანაგები. ამ დროს მან წარმატებით ჩააბარა გიმნაზიის გამოცდები და მოემზადა პეტერბურგში წასასვლელად, სადაც სწავლა უნდა გაეგრძელებინა იმ უნივერსიტეტში, რომელშიც ილია ჭავჭავაძე სწავლობდა. იოსებ ოცხელისავე დახმარებით კონსტანტინე გამსახურდიას სტიპენდია დაენიშნა. პეტერბურგში კონსტანტინე გამსახურდია დაბინავდა აკაკი შანიძის პატარა ოთახში. მისი სურვილი იყო გამხდარიყო ნიკო მარრის მოწაფე, რომელთანაც სარეკომენდაციო ბარათი გაატანა კიტა აბაშიძემ. მაგრამ ერთ-ერთ ლექციაზე, როცა ნიკო მარრმა უდიერად მოიხსენია ილია ჭავჭავაძე, მასა და კონსტანტინე გამსახურდიას შორის მოხდა კონფლიქტი, რომლის შემდეგაც კონსტანტინე გამსახურდიამ გადაწყვიტა თავი მიენებებინა პეტერბურგის უნივერსიტეტისათვის და სწავლა საზღვარგარეთ გაეგრძელებინა.

კიტა აბაშიძის დახმარებით მას შავი ქვის საბჭოს სტიპენდია დაუნიშნეს. კონსტანტინემ სწავლა გერმანიის ქალაქ კენიგსბერგში გააგრძელა, სადაც იგი კანტის ფილოსოფიას დაეწაფა. აქ ის დაუმეგობრდა სომეხ აკოფ არეშიანს და რუსეთიდან ჩამოსულ ებრაელ სტუდენტს ერიხ ვაინბერგს. აქვე მოუწია დუელი გერმანელ კორპორანტთან, რომელმაც იგი ნიკაპში დაკოდა, ხოლო თვითონ გერმანელი ყურში დაჭრა. ამის შემდეგ ერიხ ვაინბერგი ბალკანეთის ომში გაემგზავრა საომრად, სადაც იგი თურქებმა მოკლეს.

მკვლევარი მ. აბულაძე აღნიშნავს, რომ: „...კენიგსბერგის უნივერსიტეტში კონსტანტინე გამსახურდია სწავლობდა გერმანულ კლასიკურ ფილოსოფიას, მაგრამ იძულებული იყო ერთი სემესტრის შემდეგ ეს ქალაქი დაეტოვებინა,

რადგან ადგილობრივმა ჟანდარმთა შეფმა მეტი დროით დარჩენის უფლება არ მისცა, როგორც პოლიტიკურად საეჭვო პირს...“ (აბულაძე 1976: 6).

კონსტანტინე გამსახურდია გამოემშვიდობა თავის მეგობარს აკოფ არეშიანს და ლაიპციგში გაემგზავრა სწავლის გასაგრძელებლად. აქ იგი განუზომლად ბევრს მეცადინეობდა, განუწყვეტლივ დადიოდა ბიბლიოთეკებში, ესწრებოდა ლექციებს, კითხულობდა და წერდა რეფერატებს. ლაიპციგის უდიდეს ბიბლიოთეკაში მას ჰქონდა უჯრიანი მაგიდა, რომლის გასაღებისათვის ხუთ მარკას იხდიდა წელიწადში. ლაიპციგში მას გაეღვიძა ინტერესი გოეტეს მიმართ და ბეჯითად შეისწავლა მისი არქივი. აქვე იგი დაეწაფა რუდოლფ შტაინერის თეოსოფიას და სვედენბორგის ნაწერებს, რამაც ის სიკეთე მოუტანა, რომ გაუნელდა სიყვარული ნიცშესადმი. ლაიპციგშივე დააინტერესა იგი ფსიქოლოგიის საკითხებმა და ბეჯითად ისმენდა ცნობილი ფსიქოლოგის ვილჰელმ ვუნდტის ლექციებს.

აქვე ინტერესით უსმენდა პროფესორ კესტნერის შთამაგონებელ ლექციებს ლიტერატურის ისტორიის სფეროდან. აქ იგი დაუმეგობრდა მოგზაურ პოეტ რაიმონ მენიოს, რომელსაც მთელი ევროპა შემოვლილი ჰქონდა და კონსტანტინე გამსახურდია მასთან ერთად იტალიაში გაემართა, სადაც ყურადღებით დაათვალიერა იტალიური კულტურის ღირსშესანიშნაობანი და კვლავ ლაიპციგში დაბრუნდა და იქ ერთი სემესტრი სწავლობდა.

შემდეგ ის ცოტა ხნით სამშობლოში ჩამოდის, ხოლო 1914 წელს მიუნხენში მიემგზავრება, სადაც თარგმნის გერმანელი რომანისტის თომას მანნის ერთ ნოველას და ამის შესახებ მოკრძალებული ბარათით ამცნობს ავტორს. თომას მანნი დაინტერესდა და თავის სახლში მიიწვია კონსტანტინე გამსახურდია და დიდხანს ესაუბრა მას საქართველოსა და საერთოდ, წინა აზიის ისტორიისა და კულტურის შესახებ, ხოლო მომავალ შაბათს სადილად დაპატიჟა. აქედან ჩაეყარა საფუძველი კონსტანტინე გამსახურდიასა და თომას მანნის მეგობრობას. მიუნხენშიც კონსტანტინე გამსახურდია განაგრძობდა ბიბლიოთეკებში სიარულს, გამუდმებულ კითხვასა და უცხო ენების შესწავლას. თომას მანნის ოჯახში მან გაიცნო მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორი, ლიტერატურის ისტორიის

დიდი სპეციალისტი ფრიდრიხ ფონ დერ ლაიენი, რომლის თხოვნითაც გერმანული ლექსით თარგმნა ვაჟა-ფშაველას „გველისმჭამელი", რომელიც ფონ დერ ლაიენმა თომას მანნს წააკითხა.

კონსტანტინე გამსახურდია ისე იყო გართული სწავლასა და თავის ლიტერატურულ მუშაობაში, რომ ვერც კი შეამჩნია იმ დროინდელი პრესის შეშფოთება, რომლებიც იუწყებოდნენ ბოსნია ჰერცოგოვინას მემკვიდრე პრინცის მკვლელობას, რაც საყოველთაო არეულობისა და პირველი მსოფლიო ომის დაწყების მიზეზი გახდა. გერმანიაში დაიწყეს სერბი და რუსი სტუდენტების დახოცვა. კონსტანტინე გამსახურდია იძულებული გახდა „არალეგარულ" ცხოვრებაზე გადასულიყო. იმ დღეებში იგი კვლავ ეწვია თომას მანნს, რომელმაც ურჩია რომ არ წასულიყო გერმანიიდან, ხოლო გასაჭირის ჟამს დახმარება აღუთქვა. ამ დროისათვის ნაციონალისტური აგრესია გერმანიაში სხვა ეროვნების წარმომადგენლების წინააღმდეგ იმდენად გაძლიერდა, რომ კონსტანტინე გამსახურდია იძულებული გახდა საკუთარი ფეხით მისულიყო და ჩაბარებოდა ბავარიის პოლიციას, სადაც იგი რეციდივისტებთან და ქურდებთან ერთად ერთ კამერაში მოათავსეს.

შემდეგ კონსტანტინე გამსახურდია სხვა ეროვნების ადამიანებთან ერთად წაიყვანეს მიუნხენის ფორშტატში, ერთ კოშკში, რომელსაც ისმანინგი ერქვა. აქ ტყვეებისათვის შედარებით კარგი პირობები იყო, მაგრამ ერთ დღეს ყველა ტყვე გადაიყვანეს პატარა ქალაქ ტრაუნშტაინში, სადაც მიიყვანეს მარილის ქარხანაყოფილში. მწერალი უაღრესად მძიმე პირობებში აღმოჩნდა სხვა ტყვეებთან ერთად. იგი რამოდენიმეჯერ გადაურჩა აშკარა სიკვდილს. ბოლოს მოახერხა და თომას მანნს ბარათი მისწერა, სადაც მას დახმარებას სთხოვდა. თომას მანნის დახმარებით კონსტანტინე გამსახურდია ლაგერიდან გამოუშვეს, ხოლო რამდენიმე თვეში მიუნხენის უნივერსიტეტში აღადგინეს სტუდენტად.

მკვლევარი მ. აბულაძე მართებულად შენიშნავს, რომ ევროპაში მოგზაურობისა და განსწავლის შემდეგ კ. გამსახურდია საქართველოში ბრუნდება და იწყებს აქტიურ შემოქმედებით და საზოგადოებრივ მოღვაწეობას:

„...მიუნხენიდან იგი გადადის ბერლინის უნივერსიტეტში, რომელიც დაამთავრა 1919 წელს და მიენიჭა ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი...

ევროპაში მოგზაურობათა და განსწავლის შემდეგ იგი ბრუნდება საქართველოში და იწყებს აქტიურ შემოქმედებით მუშაობას და საზოგადოებრივ მოღვაწეობას...“ (აბულაძე 1976: 8).

მკვლევარი შ. რადიანი აღნიშნავს, რომ კონსტანტინე გამსახურდიამ ლიტერატურულ-სამწერლო მოღვაწეობა დაიწყო კ. აბაშისპირელის ფსევდონიმით: „...სხვადასხვა დროს კ. გამსახურდია იყო რედაქტორი ან თანარედაქტორი ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალებისა და გაზეთებისა: „პრომეთე“, „ილიონი“, „ლომისი“, „საქართველოს სამრეკლო“, „ქართული სიტყვა“.

ლიტერატურულ-სამწერლო მოღვაწეობა კ. გამსახურდიამ დაიწყო ლექსებით (წერდა კ. აბაშისპირელის ფსევდონიმით). მისი რომანები და მოთხრობები გადათარგმნილია რუსულ, ფრანგულ, უკრაინულ, ინგლისურ და სომხურ ენებზე...“ (რადიანი 1958: 6).

მკვლევარ დ. მძინარიშვილის მოსაზრებით, კონსტანტინე გამსახურდია, ევროპაში რომ გაემგზავრა, მისი ლექსები უკვე იბეჭდებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში: „...კონსტანტინე გამსახურდია, ევროპისაკენ რომ გასწია, მაშინ უკვე გამოსული იყო სამწერლო ასპარეზზე და მისი ლექსები ქართულ ჟურნალ-გაზეთებში უკვე იბეჭდებოდა. მისი პირველი ლექსი კ. აბაშისპირელის ფსევდონიმით დაიბეჭდა 1909 წელს...

1916 წელს, გერმანიაში ყოფნის დროს, მან გამოაქვეყნა ორი ნოველა - „ფოტოგრაფი“ და „ნაპოლეონი“... კ. გმსახურდიას იმდროინდელი ნაწარმოებები - „ზარები გრიგალში“, „მკვდართან შეხვედრა“, „ქოსა გახუ“ და სხვანი იმპრესიონისტული მანერით შესრულებული ნოველებია...

1924 წელს კონსტანტინე გამსახურდია აქვეყნებს თავის პირველ წიგნს „ქვეყანა, რომელსაც ვხედავ“. ამას ჩქარა მოჰყვა მისი პირველი რომანი „დიონისოს ღიმილი“.

1935-1936 წლებში კ. გამსახურდიამ დაბეჭდა რომანი „მთვარის მოტაცება“, რომელიც ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ნაწარმოებია...

1934 წელს კონსტანტინე გამსახურდია აქვეყნებს თავის ისტორიულ რომანს „დიდოსტატის მარჯვენას“, რომლის მთავარი გმირი არის კონსტანტინე არსაკიძე – სვეტიცხოვლის ამშენებელი...

„მხოლოდ ოსტატს ვერ ეწევა სიკვდილიო“. ამბობს არსაკიძე და ავტორიც ამ უკვდავებაზე წერს, არა მარტო ერთი ოსტატის, არამედ მთელი ხალხის უკვდავეაზე...

ქართული პროზის მონუმენტური ძეგლია ვრცელი ეპოპეა „დავით აღმაშენებელი“, რომელზედაც მწერალი მუშაობდა 1941-1951 წლებში; ამ რომანში მწერალმა გვიჩვენა ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების და განმტკიცების პროცესი, როცა სახელმწიფო სათავეში იდგა ძლიერი და მონოლითური პიროვნება – მეფე დავითი, რომელმაც დათრგუნა განდგომილი ფეოდალები და გმირულად დაიცვა ჩვენი ქვეყანა გარეშე მტრების თარეშისაგან.

1956 წელს გამსახურდიამ გამოაქვეყნა რომანი „ვაზის ყვავილობა“, რომელშიც დიდების ჰიმნი უმღერა განახლებულ სოციალისტურ ეპოქას...

გარდა ორიგინალური ნაწარმოებებისა, კონსტანტინე გამსახურდიას კალამს ეკუთვნის არაერთი ბრწყინვალე თარგმანი, რომელთა შორის უნდა დავასახელოთ დანტეს „ღვთაებრივი კომედია“, გოეთეს „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი“, რემარკის „დასავლეთის ფრონტი უცვლელია“ და სხვ.

ამას გარდა, გამსახურდიამ გამოაქვეყნა ბრწყინვალე ესეები და წერილები, როგორც კლასიკურ მემკვიდრეობაზე, ისე თანამედროვე მწერალთა შემოქმედებაზე...“ (მძინარიშვილი 1983: 3-5).

კონსტანტინე გამსახურდიას ბიოგრაფიული წყაროს „ლანდებთან ლაციცის“ განხილვამ დაგვანახა, რომ მწერლის ბიოგრაფიაში მოიპოვება სხვადასხვა ეტაპები და საფეხურები, როცა მას შეხების წერტილები გააჩნდა როგორც ქართულ და ბერძნულ მითოლოგიასთან და ნიცშეს ფილოსოფიასთან, ასევე ქრისტიანულ სარწმუნოებასთან, სახელმწიფოს მართვის თეორიებთან და სამხედრო სტრატეგიულ სისტემებთან, რომელიც სახელმწიფოს მართვის თეორიის შემადგენელ ნაწილად წარმოდგება. პატარა კონსტანტინე გამსახურდია ბავშვობაში ოცნებობდა, რომ სასულიერო პირი გამოსულიყო. ასევე, ოცნებობდა

რომ გამხდარიყო დიდი გენერალი და გაეჟუჟა საქართველოს მტრები. მას თავიდანვე გვერდით ედგნენ ადამიანები, რომლებმაც შეაყვარეს ბიბლია, სახარება და ეკლესია და ჩაუნერგეს ქრისტიანული სარწმუნოებისადმი სიყვარული.

მომავალმა მწერალმა კლასიკური ევროპული განათლება მიიღო სტუდენტობის პერიოდში, როცა განუწყვეტლივ მოგზაურობდა და სწავლობდა ევროპულ უნივერსიტეტებში. ის ამ წლების განმავლობაში ხვდებოდა და უმეგობრდებოდა მსოფლიოში სახელგანთქმულ მეცნიერებს, მწერლებსა და სახელმწიფო მოღვაწეებს. მათთან განუწყვეტელმა კონტაქტმა, საუბრებმა ლიტერატურულ და ისტორიულ თემატიკებზე, თავისი წარუშლელი კვალი დატოვა მწერლის მსოფლმხედველობის საბოლოოდ ჩამოყალიბებაზე, რამაც თავისი შედეგი კონსტანტინე გამსახურდიას რომანებში და ნოველებში გამოიღეს.

მწერალს ევროპის რომელ ქალაქშიც უწევდა ყოფნა, არ ყოფილა შემთხვევა, რომ ამ ქალაქში არსებული დიდი ბიბლიოთეკები, რომლებიც კი მისთვის ცნობილი გახდებოდა უყურადღებოდ დაეტოვებინა. ამ ბიბლიოთეკებში იგი საათობით იჯდა და კითხულობდა წიგნებს. სწავლობდა ლიტერატურის და ისტორიის საკითხებს, ფსიქოლოგიას, ფილოსოფიას, რელიგიას. ეუფლებოდა ახალ-ახალ უცხო ენებს. მან აქ შეისწავლა ბევრი დიდი მოაზროვნის შემოქმედება და ნააზრევი.

მაგრამ მიუხედავად კლასიკური ევროპული განათლების მიღებისა, მწერალს ერთი ნაბიჯითაც არ გადაუხვევია ეროვნული და პატრიოტული თემატიკიდან. მან თავის შემოქმედებაში ვრცლად ასახა ქართული წარმართული ტრადიციები და მოტივები. თავის საუკეთესო რომანებსა და ნოველებში მკითხველის წინაშე ორიგინალური კუთხით წარმოადგინა ბიბლიურ-ქრისტიანული პარადიგმები, რითაც მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში შემოიტანა და დანერგა ქრისტიანული „მისტიკურ-ალეგორიული" თეორია.

მწერალმა თავის შემოქმედებაში ვრცლად ასახა და მკითხველის წინაშე გააცოცხლა დიდი ქართველი მეფეები და მხედართმთავრები, რომლებმაც თავიანთი სისხლითა და ოფლით მოახერხეს ქვეყნის დაცვა გარეშე მტრებისაგან

და შეიმუშავეს სახელმწიფო მართვის თეორიები და სამხედრო სტრატეგიული სისტემები, რომლებიც მოიცავდნენ ქვეყნის გაერთიანებისა და გამთლიანების, სამართლიანი სახელმწიფო მმართველობის საერთო ეროვნულ სტრატეგიას, რამაც ის დიდი შედეგი გამოიღო, რომ ქართული სახელმწიფო მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში იქცა არა მხოლოდ ამიერკავკასიის, არამედ იმდროინდელი მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ფეოდალურ სახელმწიფოდ, რომელსაც ერიდებოდნენ და ანგარიშს უწევდნენ იმდროინდელი მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოების მეფეები და მმართველები.

გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ კონსტანტინე გამსახურდიას რომანებსა და ნოველებში აღწერილი მოტივებისა და პარადიგმების უშუალო სათავეს და მწერლის შემოქმედებითი ნააზრევის ძირითად წყაროს მისივე ბიოგრაფია წარმოადგენს, რომელიც აღწერილია მის ბიოგრაფიულ რომან „ლანდებთან ლაციცში“.

ყოველდღიურ ცხოვრებაში მას ადრეული ასაკიდანვე ჰქონდა შეხება წარმართულ და ქრისტიანულ ტრადიციებთან, სახელმწიფოს მოწყობის სამართლებრივ თეორიებთან და სამხედრო სტრატეგიებთან, რომლებიც საბოლოოდ მწერლის რომანებსა და ნოველებში აისახა. ხოლო ევროპაში მოგზაურობისა და განსწავლის შემდეგ, მწერალს საბოლოოდ ჩამოუყალიბდა ის მსოფლმხედველობრივი სისტემა ანუ შემოქმედებითი ნააზრევი, რომელიც კონსტანტინე გამსახურდიას რომანების და ნოველების სახითაა წარმოდგენილი მკითხველის წინაშე და ამ ნააზრევის ერთ ძირითად წყაროს მწერლის ბიოგრაფიული რომანი „ლანდებთან ლაციცი“ წარმოადგენს.

ძირითადი დასკვნები

მკვლევართა დიდი ნაწილი კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების „არაქრისტიანულ" ხასიათზე მიუთითებს და ცდილობს კონსტანტინე გამსახურდიას ცალკეული რომანების და ნოველების ძირითადი პერსონაჟები „არაქრისტიანებად" და წარმართებად წარმოაჩინონ, რაც, ჩვენი აზრით, არ არის სამართლიანი.

ქართველთა უძველეს ტომებს ჰყავდათ საკუთარი წარმართული ღმერთები, რომელთაც თაყვანს სცემდნენ ქართველთა წინაპრები. ამ წარმართული პანთეონის მთავარი ღვთაება იყო მთვარე, რომელსაც აიდეალებდნენ როგორც მამაკაც ღვთაებას და მას ემორჩილებოდა ქართულ წარმართულ პანთეონში არსებული ყველა ღმერთი. ქართული წარმართული მთვარის კალენდარული სისტემის არსებობას ადასტურებს თეთრი გიორგის თაყვანისცემის რიტუალები, რომლებიც მხოლოდ ორშაბათობით ღამით სრულდებოდა. ორშაბათი წარმართულ ეპოქაში ქართული წარმართული პანთეონის მთავარი ღვთაების მთვარის დღედ იყო მიჩნეული და საუფლო დღედ ითვლებოდა.

კონსტანტინე გამსახურდია ღებულობს ივანე ჯავახიშვილის დებულებას მთვარის კულტისა და წმინდა გიორგის კულტის ერთიანობის შესახებ. მის რომანებში „დიონისოს ღიმილში“, „მთვარის მოტაცებაში“, „დიდოსტატის მარჯვენაში“ და ცალკეულ ნოველებში სუჯუნის წმიდა გიორგის და ილორის წმიდა გიორგის ქართული წარმართული პანთეონის მთავარი ღვთაების - მთვარის ადგილი უჭირავთ, რაც ადასტურებს მწერლის რომანებსა და ნოველებში ქართული წარმართული - მთვარის კალენდრული სისტემის არსებობას.

მწერლის რომანებისა და ნოველების პერსონაჟები დიდი მოკრძალებით და რიდით არიან გამსჭვალულები ორშაბათი დღის მიმართ, რომელიც ქართული წარმართული პანთეონის მთავარი ღვთაების – მთვარისა და წმინდა გიორგის დღეს წარმოადგენს.

კონსტანტინე გამსახურდიას რომანებში „დიონისოს ღიმილსა“ და „მთვარის მოტაცებაში“ გამოყენებულია გერმანელი ფილოსოფოსისა და მოაზროვნის ნიცშეს ფილოსოფიური ნააზრევი - ზეკაცისა და „მარადიული დაბრუნების“ იდეის შესახებ.

ზეკაცის იდეა, რომელიც ნიცშეს შემოქმედებაშია წარმოდგენილი სათავეს ქრისტიანობიდან, კერძოდ იოანეს „გამოცხადებიდან“ უნდა იღებდეს (იოანეს გამოცხ. 19.11-16).

ბიბლიიდან, კერძოდ „დაბადებიდან“ უნდა იღებდეს სათავეს „მარადიული დაბრუნების“ იდეაც. „დაბადებაში“ საუბარია ღმერთის მიერ მზის, მთვარის და ვარსკვლავების შექმნის შესახებ, როცა შეიქმნა ეკლიპტიკის ზოდიაქური სარტყელი, დიდი წრე. ეს დიდი წრე ანუ მთვარე-მზის კალენდარული სისტემა ზოდიაქოს თორმეტი თანავარსკვლავედი, რომლის გარშემოც ბრუნავს დედამიწა ერთი წლის მანძილზე (დაბ. 1.14-19), წარმოადგენს „მარადიული დაბრუნების“ იდეის ამოსავალ წერტილს, რომელიც ერთი და იმავე მოვლენის განმეორებას გულისხმობენ, ოღონდ სხვადასხვა დროსა და სივრცეში.

ჩვენი აზრით, სწორედ მთვარე-მზის კალენდარული სისტემა წარმოადგენს „მარადიული დაბრუნების“ ფილოსოფიური იდეის რეალურად არსებულ საფუძველს.

ვფიქრობთ, რომ კონსტანტინე გამსახურდიას პიროვნებისა და შემოქმედების „არაქრისტიანული" ხასიათი იმავე სიბრტყეზე უნდა იქნეს განხილული, როგორც შოთა რუსთაველის პიროვნებისა და მისი „ვეფხისტყაოსნის“ „არაქრისტიანული" ხასიათი. ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს უაღრესად ქრისტიანული სულისა და მსოფლმხედველობის მატარებელ შემოქმედთან, რომელთა შრომებშიც სრული სისავსით ასახულია ქრისტიანული სული და მსოფლმხედველობა. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ შოთა რუსთაველი შუასაუკუნეების ღვიძლი შვილია და მისთვის დამახასიათებელია ყველა ის რწმენა თუ ცრუ რწმენა, რომელიც მაშინ იყო გაბატონებული, ხოლო კონსტანტინე გამსახურდია ახალი დროის ორფეოსია და ქრისტიანულ რელიგიას მისთვის მხოლოდ სარწმუნოებრივი მნიშვნელობა აღარ აქვს, როგორც ეს შუასაუკუნეების მსოფლმხედველობისთვის იყო

დამახასიათებელი. კონსტანტინე გამსახურდია უფრო თამამად საუბრობს წარმართული კულტების შესახებ თავის შემოქმედებაში, ვიდრე ამას შოთა რუსთაველი გაბედავდა, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ მიუხედავად ქრისტიანული ხასიათისა წარმართული მოტივების ნაკლებობა არც „ვეფხისტყაოსანში“ შეინიშნება.

ქართულ მეცნიერებაში, კერძოდ, რუსთველოლოგიაში ქრისტიანული „მისტიკურ-ალეგორიული" თეორია, ანუ ქრისტიანული „საღვთო მიჯნურობის" იდეა შემოიტანა და დანერგა მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეების ქართველმა მეფემ და მეცნიერმა ვახტანგ მეექვსემ, რომელმაც ეს თეორია გამოიყენა „ვეფხისტყაოსნისა" და მისი ავტორის შოთა რუსთაველის დასაცავად იმ ოპონენტთა თავდასხმისაგან, რომლებიც „ვეფხისტყაოსანს" განიხილავდნენ, როგორც არაქრისტიანულ ნაწარმოებს, ხოლო თავად ავტორს შოთა რუსთაველს უწოდებდნენ სარწმუნოებისაგან განდგომილს, რომელმაც, მათი აზრით, გარყვნა ქრისტიანობა.

ვახტანგ მეექვსემ ეს მოსაზრება „თარგმანის“ სახით დაურთო თავისავე სტამბური სახით დაბეჭდილ „ვეფხისტყაოსანს“. ბიბლიურ-ქრისტიანული „მისტიკურ-ალეგორიული“ თეორია ანუ ქრისტიანული „საღვთო მიჯნურობის“ იდეა იოანეს „გამოცხადების“ მისტიკურ ქორწინებას უკავშირდება, რომელიც ხორციელდება ქრისტესა და ეკლესიას ანუ სიძესა და სასძლოს შორის. „ვეფხისტყაოსანში“ ეს მოტივი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის, ავთანდილისა და თინათინის ქორწინების სახითაა წარმოდგენილი, რომლებიც ბიბლიური ქორწინების ალეგორიულ პარადიგმებს ასახავენ.

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მეორედ მოსვლის ბიბლიურ პარადიგმებს, რომელსაც მოსდევს ქვეყნიერების ნგრევა და ახალი სამყაროს შექმნა, სადაც ხორციელდება საკრალური ქორწინებანი ანუ ქვეყნიერებაზე მყარდება ცათა სასუფეველი ანუ ღმერთის სასუფეველი. ეს მოტივები მოცემულია იოანეს „გამოცხადებაში“ (იოანეს გამოცხ. 21.2-21). აქ ნახსენებია ზეციური იერუსალიმი, რომელსაც ეწოდება „სასძლო, კრავის ცოლი“ და მას უკავშირდება თორმეტი თვალი პატიოსანი. ამ თორმეტ

თვალ პატიოსანს დიდი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული კონსტანტინე გამსახურდიას რომანებში „დიონისოს ღიმილსა“ და „მთვარის მოტაცებაში“ მეორედ მოსვლის მოტივებთან ერთად.

აპოკალიფსური იდეის გამომხატველია, აგრეთვე, იოანეს „გამოცხადების“ „მწვანე ცხენი“ (იოანეს გამოცხ. 6.7-8), რომელსაც ქვეყნიერებაზე მოაქვს ნგრევა და უბედურება. ეს მოტივები ხშირადაა გამოყენებული მწერლის ცალკეულ რომანებსა და ნოველებში, რაც ადასტურებს მოსაზრებას, რომ მსგავსად შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნისა“, კონსტანტინე გამსახურდიას რომანებსა და ნოველებში რეალურად დასტურდება ქრისტიანული „მისტიკურ-ალეგორიული“ თეორია.

კონსტანტინე გამსახურდიას რომანებში „დიონისოს ღიმილში“, „მთვარის მოტაცებაში", „დიდოსტატის მარჯვენაში“ და მწერლის ცალკეულ ნოველებში დასტურდება ქრისტეს ჯვარცმის ბიბლიური პარადიგმა. ამ ნაწარმოებებში ქრისტიანულ პარადიგმებს ერწყმის წარმართული პარადიგმები. სინთეზი იმდენად ღრმაა და სახისმეტყველება იმდენად მრავალფეროვანი, რომ რეალურად ჭირს იმ კონკრეტული ქრისტიანული წყაროს დადგენა, საიდანაც აღებულია ესა თუ ის იდეა და მოტივი.

კონსტანტინე გამსახურდიას რომანებს და ნოველებს მსჭვალავს წარმართობის დაძლევისა და ქრისტიანობის აღორძინების იდეა, რომელიც ხორციელდება კონსტანტინე სავარსამიძისა და თარაშ ემხვარის გაორებულ პიროვნებაში მათი სულიერი გამთლიანებით.

მართალია კონსტანტინე სავარსამიძე და თარაშ ემხვარი ამქვეყნიურ ცხოვრებაში მარცხს განიცდიან და იღუპებიან, მაგრამ ამით თავად სიცოცხლე არ სრულდება, რადგანაც მათ დაღუპვაში თავიდანვე დევს სიცოცხლის ხელახლა დაბადებისა და განახლების რელიგიური იდეა. ამ ნაწარმოებების ძირითადი არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ, მართალია, ადამიანი კვდება, მაგრამ ამით თავად სიცოცხლე არ ისპობა და არ ნადგურდება. კონსტანტინე სავარსამიძისა და თარაშ ემხვარის სახით კვდება სულიერად გაორებული ადამიანი, რათა შემდეგში კვლავ დაიბადოს, როგორც ერთიანი და

სრულყოფილი. სწორედ აქ ჩნდება ქრისტეს ჯვარცმის ბიბლიური პარადიგმა, რომლის მიხედვითაც, მაცხოვარი „სიკვდილისა სიკვდილითა დამთრგუნველია და საფლავების შინათა სიცოცხლის მიმნიჭებელი“. მკვდრეთით აღდგომით მაცხოვარმა სძლია სიკვდილს და ცოდვითდაცემული კაცობრიობა აზიარა მარადიულ სიცოცხლესა და უკვდავებას.

ქრისტეს ჯვარცმის ბიბლიური პარადიგმა მხატვრულად აისახა დიდი ქართველი მწერლისა და შემოქმედის კონსტანტინე გამსახურდიას რომანებში „დიონისოს ღიმილში“, „მთვარის მოტაცებაში“, „დიდოსტატის მარჯვენაში“, მწერლის ცალკეულ ნოველებში, რომელთა მთავარი პერსონაჟები კონსტანტინე სავარსამიძე, თარაშ ემხვარი და კონსტანტინე არსაკიძე, მნათე ოქროპირ და მწერლის რომანების და ნოველების სხვა გმირები თავად არიან ქრისტეს იმპულსის მატარებელნი. ისინი თავიანთი სიკვდილით ქრისტეს მსგავსად სძლევენ სიკვდილს და ეზიარებიან მარადიულ სიცოცხლესა და უკვდავებას.

მსოფლიო სამართლის ისტორიაში მიჩნეულია, რომ ხელისუფლების სამად დანაწილების თეორია მსოფლიოში პირველად შეიმუშავა და თავის ნაშრომში „კანონთა საზრისი“ ჩამოაყალიბა ფრანგული განმანათლებლობის ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა შარლ-ლუი მონტესკიემ, რომელმაც ერთმანეთისაგან განაცალკევა საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო მართვის ორგანოები, რითაც მსოფლიოში პირველმა განავითარა და სრულყოფილი სახე მისცა ინგლისელი ჯონ ლოკის ხელისუფლების სამად დანაწილების თეორიას, რომელიც შემდგომში ბევრმა ქვეყანამ გამოიყენა თავისი ქვეყნის სახელმწიფო მმართველობის საფუძვლად. ხელისუფლების სამად დანაწილების თეორია საფუძველს ბიბლიიდან, სახარებიდან იღებს. აქ იგულისხმება ბიბლიურ-ქრისტიანული წმიდა ერთარსება სამების რელიგიური დოგმატი, რომლის თანახმადაც 1. მამა ღმერთი კანონმდებელია (გამ. 20.1-26); 2. ძე ღმერთი (იესო ქრისტე) აღმასრულეელი (ლუკა 1.26-38); 3. სულიწმიდა მსაჯული (იოანე 16.7-15).

საქართველოს ისტორიულ სინამდვილეში ხელისუფლების სამად დანაწილე-ბის თეორიამ ასახვა ჰპოვა ქართველი მეფის დავით IV აღმაშენებელის

საქმიანობაში, რომელმაც დემოკრატიული ცვლილებები განახორციელა საქართველოს ეკლესიურ მმართველობაში, ასევე სახელმწიფო მმართველობაში და შექმნა ახალი ქართული უზენაესი სასამართლო და ცალკე მართვის ორგანოდ აქცია ეს დაწესებულება. გამოჰყო ერთმანეთისაგან აღმასრულებელი მართვის ორგანო და სასამართლო მართვის ორგანო, რომელიც ადრე საკანონმდებლო მართვის ორგანოსთან და აღმასრულებელ მართვის ორგანოსთან ერთად ქმნიდა ერთიან სახელისუფლებო სისტემას და სახელმწიფო მართვის სამივე შტო უშუალოდ მეფის ხელში იყო მოქცეული.

დავით IV აღმაშენებელმა შექმნა სრულიად ახალი თანამდებობა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის სახით და „სააჯო კარი“, ანუ უმაღლესი სასამართლო მას დაუქვემდებარა. ამ თანამდებობაზე დავით მეფემ დანიშნა თავისი აღმზრდელი გიორგი ჭყონდიდელი, რომელიც დამოუკიდებლად, მეფის ნებართვის გარეშე ყოველი კვირის ორშაბათ დღეს აწარმოებდა სასამართლო საქმეების გარჩევას. ამით დავით IV აღმაშენებელმა ჯერ კიდევ მეთერთმეტე საუკუნეში შეიმუშავა და პრაქტიკულად განახორციელა ხელისუფლების სამად დანაწილების თეორია. ხელისუფლების სამად დანაწილების თეორია აისახა კონსტანტინე გამსახურდიას ტეტრალოგიაში „დავით აღმაშენებელი“.

კონსტანტინე გამსახურდიას როგორც მწერლისა და მოაზროვნის შემოქმედებითი გზა საფუძველს მისი ბიოგრაფიიდან იღებს. მწერლის ბიოგრაფიული რომანის „ლანდებთან ლაციცის“ განხილვა გვარწმუნებს, რომ კონსტანტინე გამსახურდიამ როგორც დიდი გაქანებისა და შესაძლებლობების მქონე მწერალმა და მოაზროვნემ თავის რომანებსა და ნოველებში ობიექტურად შეაფასა წარმართობის, ასევე ქრისტიანული სარწმუნოების როლი მსოფლიო ისტორიის განვითარების რთულ პროცესში. მან მოგვცა ქრისტიანული სარწმუნოების ისტორიული კრიტიკა და მკითხველის წინაშე რეალურად წარმოაჩინა ის ბალასტი, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ქრისტიანობას შეერია. მან ასევე რეალურად დაგვანახა წარმართობის, ასევე ქრისტიანული სარწმუნოების როლი ქართველი ერისა და ხალხის წინაშე და ობიექტურად

შეაფასა ის დადებითი და უარყოფითი ასპექტები, რომლებიც ქრისტიანულმა სარწმუნოებამ მოუტანა ქართველ ერს.

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების სახით ჩვენ საქმე გვაქვს ქრისტიანული მსოფლმხედველობის მწერალთან და მოაზროვნესთან, რომელმაც დაუვიწყარი კვალი დატოვა ქართველი ერის სულიერ ცხოვრებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ასათიანი 1983: ასათიანი გ., თანამდევი სულები, თბ., 1983
2. ბაქრაძე 1967ა: ბაქრაძე ა., „მითი მთვარის მოტაცებაში", „მნათობი", 1967, №12
3. ბაქრაძე 1967: ბაქრაძე ა., „მთვარის მოტაცების მედიტაცია", „მნათობი", №10, 1967
4. ბაქრაძე 1968: ბაქრაძე ა., „დიონისოს თვითმკვლელობა", „მნათობი", №12, 1968
5. ბაქრაძე 1990: ბაქრაძე ა., „მწერლობის მოთვნიერება", 1990
6. ბაქრაძე 2000: ბაქრაძე ა., „მითოლოგიური ენგადი", 2000
7. ბაქრაძე 2004: ბაქრაძე ა., თხზულებანი ტომი II, თბ., 2004
8. გაბიძაშვილი 1991: გაბიძაშვილი ე., წმინდა გიორგი ძველ ქართულ მწერლობაში, თბ., 1991
9. გამსახურდია 1954: გამსახურდია კ., ტეტრალოგია, წიგნი I, თბ., 1954
10. გამსახურდია 1965: გამსახურდია კ., რჩეული თხზულებანი, ტ. VII, თბ., 1965
11. გამსახურდია 1967: გამსახურდია კ., რჩეული თხზულებანი, ტ. VIII, თბ., 1967
12. გამსახურდია 1973: გამსახურდია კ., თხზულებათა ათტომეული, ტ. I, თბ., 1973
13. გამსახურდია 1976: გამსახურდია კ., თხზულებათა ათტომეული, ტ. IV, თბ., 1976
14. გამსახურდია 1980: გამსახურდია კ., თხზულებათა ათტომეული, ტ. VI, თბ., 1980
15. გამსახურდია 1991: გამსახურდია ზ., წერილები, ესსეები, თბ., 1991
16. გამსახურდია 1991: გამსახურდია ზ., ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება, თბ., 1991
17. გამსახურდია 2013: გამსახურდია კ., დავით აღმაშენებელი, წიგნი III-IV, თბ., 2013

18. გამყრელიძე 1990: გამყრელიძე თ., წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, თბ., 1990

19. გაწერელია 1977: გაწერელია ა., რჩეული ნაწერები, ტ. I, თბ., 1977

20. გვერდწითელი 1949: გვერდწითელი გ., მწერლებზე და მწერლობაზე, გამ. „საბ. საქართველო", თბ., 1949

21. გრიგალაშვილი 1997: გრიგალაშვილი ნ., სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები, თბ., 1997

22. დოიაშვილი 1982: დოიაშვილი თ., მატერიაზე გავლით სულობისაკენ, „ცისკარი", №1, 1982

23. თვარაძე 1969: თვარაძე რ., მთლიანი საქართველოს მესიტყვე, „ცისკარი“, №12, 1969

24. თვარაძე 1985: თვარაძე რ., თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა, თბ., 1985

25. თოდუა 1998: თოდუა მ., ვეფხვის ნახტომი ანუ რითი სჯობს რუსთველი შექსპირსა და გოეთეს, ქუთ., 1998

26. იუნგერი-ხოტივარი 1982: იუნგერი-ხოტივარი შ., „დიონისოს ღიმილის სტრუქტურა და ფილოსოფიური ძირები", „ცისკარი", 1982 №10

27. კანკავა 1962: კანკავა გ., ქართული ისტორიული პროზის ტრადიციები „დიდოსტატის მარჯვენის თემატური პრობლემატიკიდან", „მნათობი", №5, 1962

28. კანკავა 1969: კანკავა გ., ისტორიული რომანი და მისი ქართული ტრადიციები, თბ., 1969

29. კანკავა 1983: კანკავა გ., დიონისოს ღიმილის მითოსური სტრუქტურა, „კრიტიკა", №2, 1983

30. კეკელიძე 1980: კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1980

31. კეკელიძე 1981: კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის

ისტორია, ტ. II, თბ., 1981

32. კიკაჩეიშვილი 1997: კიკაჩეიშვილი თ., კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, თბ., 1997

33. კოსიდოვსკი 1976: კოსიდოვსკი ზ., ბიბლიური თქმულებები, თბ., 1976

34. ლემონჯავა 1981: ლემონჯავა ნ., კონსტანტინე გამსახურდიას ენისა და სტილის საკითხები, თბ., 1981

35. ლიპინი, ბელოვი 1970: ლიპინი ლ., ბელოვი ა., თიხის წიგნები, თბ., 1970

36. ლომიძე 1998: ლომიძე გ., „გაუცხოების პრობლემა კ. გამსახურდიას „დიონისოს ღიმილში", საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, „ლიტერატურული ძიებანი," XIX, 1998

37. მიშველაძე 2000: მიშველაძე რ., უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 2000

38. მერკვილაძე 1963: მერკვილაძე გ., „ორი ბედი", ცისკარი, №12, 1963

39. მონტესკიე 1994: მონტესკიე შარლ ლუი., კანონთა გონი, თბ., 1994

40. მძინარიშვილი 1983: მძინარიშვილი დ., კონსტანტინე გამსახურდია, თბ., 1983

41. ნიკოლეიშვილი 1994: ნიკოლეიშვილი ა., XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები, ქუთ., 1994

42. ნიკოლეიშვილი 2002: ნიკოლეიშვილი ა., XX საუკუნის ქართული მწერლობა, ქუთ., 2002

43. ნიკოლეიშვილი 2005: ნიკოლეიშვილი ა., XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორის ნარკვევები, ტ. VI, თბ., 2005

44. ნიკოლეიშვილი 2007: ნიკოლეიშვილი ა., XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორის ნარკვევები, ტ. VII, თბ., 2007

45. ნიკოლეიშვილი 2010: ნიკოლეიშვილი ა., „ქართველოლოგიური ეტიუ-

დები" I, 2010

46. პატარიძე 1980: პატარიძე რ., ქართული ასომთავრული, თბ., 1980

47. ჟღენტი 1967: ჟღენტი ბ., კონსტანტინე გამსახურდია, თბ., 1967

48. რადიანი 1958: რადიანი შ., კონსტანტინე გამსახურდია, თბ., 1958

49. სიგუა 1980: სიგუა ს., კონსტანტინე გამსახურდიას პროზის სტრუქტურა, თბ., 1980

50. სიგუა 1991: სიგუა ს., მარტვილი და ალამდარი, თბ., 1991

51. სიგუა 2007: სიგუა ს., მხატვრული აზროვნება - გენეზისი და სტრუქტურა, თბ., 2007

52. ღვინჯილია 1987: ღვინჯილია ჯ., დანიშნულება, თბ., 1987

53. ღლონტი 2007: ღლონტი კ., ქრისტიანული მსოფლმხედველობა კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში, თბ., 2007

54. ღლონტი 2008: ღლონტი კ., საღვთო სახეთა სიმბოლიკა, თბ., 2008

55. შანიძე 1986: შანიძე ა., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. V, თბ., 1986

56. შუშანია 1976: შუშანია ე., კონსტანტინე გამსახურდია, თბ., 1976

57. ჩხეიძე 1962: ჩხეიძე ი., მთვარის მოტაცება და ხასიათები, „ცისკარი", №1 1962

58. ჩხეიძე 1969: ჩხეიძე ი., მთვარის მოტაცების თავისებურება, „მნათობი", №4, 1969

59. ცაიშვილი 1986: ცაიშვილი ს., წინამორბედნი და თანამედროვენი, თბ., 1986

60. ცანავა 1970: ცანავა ა., გამსახურდია და ხალხური შემოქმედება, „ქართული ზეპირსიტყვიერების საკითხები", თბ., 1970

61. ცანავა 1991: ცანავა ა., გამსახურდია და ქართული მითოსი,

„ერი", 15 მაისი, 1991

62. ცანავა 1998: ცანავა ა., წარმართობის პრობლემა კ. გამსახურდიას შემოქმედებაში, „საქართველოს რესპუბლიკა", 17-18 მაისი, 1998

63. ჭანია 1997:. ჭანია ლ., კ. გამსახურდიას ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსი, გამ. „ბედია", თბ., 1997

64. ჭილაია 1984: ჭილაია ს., უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია, ნაწილი I, თბ., 1984

65. ხალვაში 1998: ხალვაში რ., ტბელ აბუსერისძის სახისმეტყველება, ბათ., 1998

66. ხალვაში 2011: ხალვაში რ., ანდრია პირველწოდებული საქართველოში, ბათ., 2011

67. ხელაია 2008: ხელაია ნ., მიუწვდომელი მწვერვალები, თბ., 2008

68. ჯავახიშვილი 1979: ჯავახიშვილი ი., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, თბ., 1979

69. ჯავახიშვილი 1983: ჯავახიშვილი ი., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1983

70. ჯალიაშვილი 2006: ჯალიაშვილი მ., ქართული მოდერნისტული რომანი, 2006

71. ჯაფარიძე 1994: ჯაფარიძე ა., ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია ადამიდან იესომდე, თბ., 1994

72. ჯიბუტი 1969: ჯიბუტი ვ., თანამედროვენი, თბ., 1969